ირაკლი წერეთელი

ქართველთა ბრძოლები და დიდი ეროვნული ამბანყება, საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის, რუსეთის ბოლშევიკური იმპერიის წინააღმდეგ

თბილისი 2109

პოლიტიკური მიზანმიმართულების პროპაგანდისტული მონოგრაფია (ეძღვნება ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის რუსეთის ბოლშევიკურ იმპერიას შერკინებულთა და მათ შორის 1924 წლის აგვისტო-სექტემბრის აჯანყებულთა წმინდა ხსოვნას)

წიგნი აიწყო და დაიბეჭდა
გამომცემლობა „კალმოსანში“
კონტაქტი:
ელ. ფოსტა: *kalmosani@yahoo.com*
ტელ: 571 19 19 39; 2 665 965

ISBN 978-9941-9672-0-7

სარჩევი

წინასიტყვაობა ----------5
1924 წლის აგვისტოს დიდი ეროვნული აჯანყება ----------10
1) საქართველო 1924 წლის აგვისტოს
დიდ ეროვნულ აჯანყებამდე---------- 10
2) ეროვნულ-განმანთავისუფლებელი აჯანყებები
სვანეთში, ხევსურეთსა და
აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში----------18
ა) აჯანყება სვანეთში 1921-1922 წლებში ----------18
ბ) ქაიხოსრო(ქაქუცა) ჩოლოყაშვილის გამოსვლა და
1922 წლის ფშავხევსურეთის აჯანყება----------24
3 დამოუკიდებელი საქართველოს დევნილი მთავრობის
მოღვაწეობა ემიგრაციაში,საქართველოს კათალიკოს
პატრიარქ ამბროსის მამულიშვილურ-მწყემსმთავრული
თავდადება, საქართველოს---------- 38
4 საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი
და მისი საქმიანობა 1924 წლის
აგვისტოს ეროვნულ აჯანყებამდე---------- 48
5 საბჭოთა ხელისუფლებისა და საბჭოთა
სპეცსამსახურების საქმიანობა
ეროვნული აჯანყების დაწყებამდე----------74
6 ეროვნული აჯანყების დაწყება,
მიმდინარეობა და დამარცხება----------90
ა)აჯანყების მიმდინარეობა იმერეთში---------- 90
ბ) აჯანყების მიმდინარეობა სამეგრელოში---------- 100
გ) აჯანყების მიმდინარეობა გურიაში----------135
დ) აჯანყების მიმდინარეობა სვანეთში---------- 146
ე) აჯანყების მიმდინარეობა აფხაზეთში---------- 147
ვ) აჯანყების მიმდინარეობა აჭარაში---------- 62
ზ)აჯანყების მიმდინარეობა აღმოსავლეთ
საქართველოში და აჯანყების დამარცხება---------- 173
7) მასობრივი სისხლიანი რეპრესიები
აჯანყების დამარცხების შემდეგ---------- 182
ბოლოთქმა----------187
გამოყენებული ლიტერატურა ---------- 196

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა

კაცობრიობის ხანგრლივ ისტორიაში, ყველა დროსა და ყველა ქვეყანაში, თავისუფლებისთვის ბრძოლა ყოველთვის იყო და მუდამ იქნება უდაოდ საშვილთაშვილოდ დიადი, ღირსეული და საპატივსაცემო სიკეთე. ამ მხრივ აგვისტოს აჯანყება 1924 წელს ,პირდაპირი მიშვნელობით, უაღრესად დიდი და გამორჩეულად ღირსეული მოვლენაა საქართველოს და ქართველი ერის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. **ეს იყო დიდი ამბოხება ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაბრუნებისათვის, რუსეთის უდიდესი, უბოროტესი იმპერიის წინააღმდეგ. აგვისტოს აჯანყება გამოკვეთილად კონკრეტულ მიზნად ისახავდა საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის აღდგენას, საქართველოს სრულ განთავისუფლებას დამყრობთაგან, რუსეთის იმპერიის, ამჯერად რუსეთის ბოლკშევიკური ტოტალიტარული იმპერიის ბატონობისგან.** ამასთან ერთად უნდა ითქვას, რომ 1924 წლის აგვისტო-სექტემბრის აჯანყება არის უმნიშვნელოვანესი, ყველაზე მასშტაბური, მაგრამ შემადგენელი ნაწილი ქართველთა ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლებისა და მოძრაობისა გასული საუკუნის ოციანი წლების საქართველოში. მეოცე საუკუნის პირველი მეოთხედის ეროვნულგანმანთავისუფლებელი წინააღმდეგობა შეიძლება ითქვას ამ ტრაგიკული, მაგრამ ჰეროიკული და სასიქადულო შერკინებით დამთავრდა.

რამდენადაც თავისუფლება უდიდესი, უმთავრესი და უპირველესი სიკეთე და სათნოებაა ყველა სიკეთეთა და სათნოებათა შორის, რამდენადაც ეროვნული დამოუკიდებლობა არის საუკეთესო და სრულყოფილი გამოხატულება ეროვნული თავისუფლების, რამდენადაც ერის ღირსება, სიამაყე და თავმოყვარეობა უმაღლეს დადასტურებას ჰპოვებს სწორედ ეროვნულ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობაში, სწორედ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის სიდიადე და უაღმატებულესობა

განაპირობებს 1924 წლის აგვისტოს აჯანყების ისტორიულ, ეროვნულ და პოლიტიკურ დიდმნიშვნელოვანებას. მართალია სამწუხაროდ აგვისტოს ამბოხება დამთავრდა ქართველი ერის დამარცხებით,იგი ულმობლად და სასტიკად სისხლში იქნა ჩახშობილი, მტარვალი ბოლშევიკი აგრესორებისა და მოძალადეების მიერ, რაც თავისთავად აუცილებლად იყო და არის დიდი ეროვნული ტრაგედია, მაგრამ **აგვისტოს აჯანყებით ქართველმა ერმა ღირსეულად და ჰეროიკულად გამოთქვა თავისი პრინციპული ნება თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დასაბრუნებლად, გამოხატა და საქმით დაადასტურა დიდი ეროვნული შემართება და გამბედაობა უაღრესად კეთილშობილური, უმაღლესად მართალი და ღირსეული მიზნის, საღმრთოდ წმინდა მიზნის-- თავისუფლების გამო.** ქართველებმა შებრძოლება და შერკინება გაბედეს ძალიან ძლიერ, მრავალრიცხოვან, დაუნდობელ და სისასტიკით გამორჩეულ მტერთან--რუსეთის ბოლშევიკურ იმპერიასთან. აგვისტოს აჯანყებას წინ უსწრებდა ასევე ღირსეული ამბოხებები, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დასაბრუნებლად, 1921,1922 წლებში, სვანეთსა და ფშავხევსურეთში და კიდევ სხვა შედარებით მცირერიცხოვანი შეტაკებები ქართველ განმანთავისუფლებელ მამულიშვილებსა და დამპყრობელ ბოლშევიკ ოკუპანტებსა და რენეგატკოლაბორაციონისტებს შორის.

1924 წლის აგვისტოს ეროვნულმა აჯანყებამ და მასთან უშუალოდ დაკავშირებულმა მოვლენებმა გამოკვეთეს და წარმოაჩინეს არაერთი ღირსეული და სახელოვანი ერისკაცისა და მამულიშვილის, არაერთი თავდადებული მეომარგმირის საპატიო და სასიქადულო სახელი და პიროვნება, რომელთა პოპულარიზაცია და უკვდავყოფა ყოველმიზეზგარეშე არის კეთილსინდისიერ და ღირსეულ შთამომავალთა ერთერთი წმიდათაწმიდა მოვალეობა ერისა და ისტორიის წინაშე.

თავისუფლებისთვის ბრძოლა და თავგანწირვა უდაოდ გამორჩეულად და განსაკუთრებულად, სამაგ-

ალითოდ დიდი საქმე და სიკეთეა, რომელიც კატეგორიულად არ შეიძლება მიეცეს დავიწყებას. 1924 წლის აგვისტოს აჯანყება არის სახელოვანი გაგრძელება თავისუფლებისათვის ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი ბრძოლებისა და მათ შორის იმ გმირული მოვლენების, რომლებიც მომეტებული ელვარებით ბრწყინავენ ქართველთა მატიანეში, რუსეთის ფიზიკურად უდიდესი და უვერაგესი იმპერიის წინააღმდეგ ეროვნული ამხედრებებით, 1804 წლის მთიულეთის, 1810 წლის იმერეთის, 1812 წლის კახეთის, 1819 წლის გურიის,1820 წლის იმერეთის, 1840 წლის გურიის, 1856 წლის სამეგრელოსა და 1864 და 1870 წლების სვანეთის აჯანყებების სახით. 1924 წლის აგვისტოს აჯანყება ერთერთ ძლიერ საფუძვლად დაედო, მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ქართველი ერის საუკეთესო და თავისუფლებისმოყვარე ნაწილის მუდმივ და დაუოკებელ ლტოლვასა და მისწრაფებას თავისუფლებისკენ და და დამოუკიდებლობისკენ. ეს აჯანყება აუცილებლად იქცა ერთერთ ისეთ დამაფიქრებელ და სასიქადული მოვლენად, რაც თავისუფლებისმოტრფიალე ქართველებს მუდმივად განაცდევინებდა ეროვნული თავმოყვარეობისა და სიამაყის, ეროვნული ღირსებისა და თავგანწირვის ღმერთკაცობრივად აღმატებულ განცდასა და თვითშეგნებას.

1921-1924 წლების პერიოდის ქართველთა ღირსეულმა ეროვნულმა წინააღმდეგობამ ბოლშევიკური იმპერიული ძალმომრეობისადმი დიდი მამოძრავებელი სტიმული მისცა საქართველოში, გასული საუკუნის ბოლო მეოთხედში, კონკრეტულად 1987-1991 წლებში მიმდინარე დიდ ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობას. ამ მოძრაობამ, რომელიც ასევე აუმხედრდა რუსეთის მოდერნიზებული ტოტალიტარული საბჭოთა იმპერიის სახელმწიფოებრივ ძალმომრეობასა და სიცრუეს, გაანთავისუფლა საქართველო და ქართველი ერის განახლებულა ბრძოლა,ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის, გადამწყვეტი

ისტორიული გამარჯვებით დააგვირგვინა,საქართველოში საბჭოთა იმპერიული სახელმწიფოსა და ხელისუფლების დასრულებით და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის საშვილთაშვილო აღდგენით.

ჩვენ ვდგევართ იმ უტყუარი ისტორიული სინამდვილის წინაშე, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან უკვე 29 წელი გავიდა და მრავალი მძიმე და მტკივნეული სირთულისა და პრობლემის არესებობის მიუხედავად **საქართველო აგრძელებს თავის ისტორიულ-სახელმწიფოებრივ სინამდვილეს, როგორც მთელი ცივილიზებული მსოფლიოს მიერ საყოველთაოდ უნივერსალურ დონაზე აღიარებული და ცნობილი სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფო, მსოფლიო პოლიტიკასა და საერთაშორისო ურთიერთობებში.** რაც ასევე ძალზე მნიშვნელოვანია, ოფიციალურ ცნობააღიარებასთან ერთად, **საქართველოს დამოუკიდებლობა მუდმივად ჰპოვებს აქტიურ პოლიტიკურ სოლიდარობასა და მხარდაჭერას თანამედროვე მსოფლიოს ყველაზე უფრო მაღალგანვითარებული, ყველაზე უფრო ძლიერი და გავლენიანი სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ.**

2019 წლის აგვისტო-სექტემბერში ქრისტესშობიდან, როდესაც 95 წელი შეუსუსრულდა აგვისტოსექტემბრის ჰეროიკულ აჯანყებას, **სიამაყითა და პატივისცემით ვახსენებთ ამ აჯანყების მონაწილეთა სახელებს და სიყვარულითა და მოკრალებით ქედს ვიდრეკთ მათი წმინდა ხსოვნის წინაშე! აგვისტოს ამბოხების მონაწილეებთან ერთად უდიდეს სიყვარულსა და პატივისცემას მივაგებთ უკლებლივ ყველა სახელოვანი და ღირსეული ქართველის სანუკვარ სახელს, რომელნიც შეერკინენ რუსეთის უზარმაზარ იმპერიას, ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გამო, ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ბოლო ორასცხრამეტი წლის მანძილზე, მეცხრამეტე,მეოცე და**

ოცდამეერთე საუკუნეებში. ასევე აუცილებლად სიამაყითა და ძალუმი გულისხმიერებით ვიხსენებთ ყველას და მრავალს, საუკუნეთა და ათასწლეულთა მანძილზე რომ ეჭიდებოდნენ და ეომებოდნენ მტრებსა და მომხვდურთ სამშობლოს, ეროვნული თავისუფლებისა და ღირსების დასაცავად!

პატივი და დიდება 1924 წლის აგვისტოს აჯანყების მონაწილეებს! პატივი და დიდება საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის ყველა დროის მეომარ და თავდადებულ მამულიშვილებსა და გმირებს!

დიდება თავისუფლებას! დიდება ქართველ ერს! დიდება თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოს! დიდება უზენაეს უფალ ღმერთს!

1924 წლის აგვისტოს დიდი ეროვნული აჯანყება და ქართველთა შერკინება რუსეთის ბოლშევიკურ იმპერიასთან გასული საუკუნის ოციან წლებში (პოლიტიკური მიზანმიმართულების პროპაგანდისტული მონოგრაფია)

1 საქართველო 1924 წლის აგვისტოს დიდ ეროვნულ აჯანყებამდე

1921 წლის რუსული იმპერიული აგრესიის, დანაშაულებრივი სრულმასტაბიანი სამხედრო ინტერვენციისა და ოკუპაციის შემდგომ, რასაც უშუალო და პირდაპირ შედეგად მოჰყვა საქართველოს ფაქტობრივი ანექსია, საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ფიზიკური წართმევა რუსეთის საბჭოთა ბოლშევიკური იმპერიის მიერ, საქართველოში დემოკრატიული სახელმწიფოსა და პოლიტიკური სისტების ძალადობრივი მოსპობა, საქართველოში დაიწყო გამიზნული, მრავალხრივი ეროვნული მოძრაობა, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაბრუნებისთვის და ამ მოძრაობის სათავეში იმთავითვე ჩადგა როგორც ემიგრაციაში გადასული დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა, ასევე არაერთი ღირსეული ქართველი პატრიოტი და მოღვაწე. **გაიშალა აქტიური და გამიზნული პოლიტიკური მოქმედება და ბრძოლა სრულიად საქართველოში, საქართველოს ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის დაბრუნებისთვის, რასაც შეძლებისდაგვარად ხელს უწყობდა ემიგრაციაში წასული დამოუკიდებელი საქართველოს კანონიერი მთავრობა, რომელმაც ისე დასტოვა საქართველო, რომ დამპყრობელთა წინაშე, ბოლშევიკური რუსეთის იმპერიის წინაშე, თავი დამარცხებულად არ უღიარებია და კაპიტულაციის აქტს ხელი არ მოაწერა.**

ეროვნული წინააღმდეგობა საქართველოს გასანთა-

ვისუფლებლად დაიწყო 1921 წლიდან. სისტემატიური პოლიტიკური და მშვიდობიანი შეკრებების, მიტინგების, მანიფესტაციებისა და დემონსტრაციების გარდა პერმანენტული ხასიათი მიიღო შეიარაღებულმა განმანთავისუფლებელმა გამოსვლებმაც. იქმნებოდა განმანთავისუფლებელი მიზანმიმართების მქონე არალეგალური შეიარაღებული დაჯგუფებები და რაზმები, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. კონკრეტულად **აჯანყებები მოხდა სვანეთში 1921-1922 წლებში, ასევე ამბოხებამ იფეთქა ფშავხევსურეთსა და საქართველოს აღმოსავლეთ მთიანეთში, სვანეთის აჯანყების შემდგომ, 1922 წელს. სისტემატიურად ფიქსირდებოდა აგრეთვე მომეტებულად შედარებით მცირერიცხოვანი შეიარაღებული შეტაკებები, ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის ამხედრებულ მამულიშვილებსა და ბოლშევიკებს, საბჭოთა საოკუპაციო ხელისუფლების სამხედრო ძალებსა და ძალოვანებს შორის.** ერთერთი ასეთი განმანთავისუფლებელი რაზმი შექმნა ქართველმა თავადიშვილმა, წარმომავლობით კახეთიდან, სამხედრო ოფიცერმა, პოლკოვნიკმა **ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილმა, რომელმაც სახელი დიდად განითქვა, როგორც შესანიშნავმა მეომარმა და სიმამაცით, შემართებითა და სამხედრო ნიჭით გამორჩეულმა მხედართმთავარმა.** განმანთავისუფლებელი სულისა და ხასიათის შეიარაღებული პატრიოტული რაზმები შეიქმნა აგრეთვე ქართლშიც, იმერეთშიც, გურიასა და სამეგრელოშიც, სვანეთსა და რაჭა-ლეჩხუმში.

ქართველი ერი არ ცნობდა ბოლშევიკური ინტერვენციისა და ოკუპაციის შედეგად დამყარებულ ეგრედ წოდებულ საბჭოთა ხელისუფლებასა და სახელმწიფოს, არც მაშინ, როდესაც ბოლშევიკებმა ფორმალურად, სულ რაღაც ერთი წლით, თვალების ასახვევად, შეინარჩუნეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა,საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების ძალით დამყარებისა და დამოუკიდებელი საქართველოს ლეგიტიმური

მთავრობის განდევნის შემდგომ და მით უფრო არც მაშინ, როდესაც **აგრესოროკუპანტმა საბჭოთა ხელისუფლებამ ოფიციალურად უარყო საქართველოს ეროვნული და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, როდესაც საქართველო, წინააღმდეგ ქართველი ერის ნებისა, იძულებით გააერთიანა 1922 წელს ჯერ ამიერკავკასიის ფედერაციულ რესპუბლიკაში და შემდგომ, იმავე 1922 წელს, დეკემბერში, საქართველო გააწევრიანა სსრ კავშირად სახელწოდებულ რუსეთის ერთიან მოდერნიზებულ საბჭოთა იმპერიაში.** 1922 წელს საქართველოს იძულებითი, თავსმოხვეული გაერთიანებით ამიერკავკასიის ფედერაციასა და შემდგომ საბჭოთა კავშირში, საქართველომ ფაქტობრივად დაკარგა თავის დროზე, კონკრეტულად 1818 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე კანონიერად მოპოვებული ეროვნული თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

საკითხის სრული ნათელჰყოფისთვის ხაზგასმით უნდა აღინიშნოს შემდეგი, რაც მკითხველს გაცილებით სრულყოფილ წარმოდგენებს შეუქმნის საქართველოს ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის პრობლემატიკაზე

1 **საქართველომ ეროვნული თავისუფლება და დამოუკიდებლობა აღიდგინა 1918 წლის 26 მაისს , ეროვნული ყრილობის მიერ არჩეული უმაღლესი წარმომადგენლობითი ხელისუფლების ეროვნული საბჭოს გარდაწყვეტილებით საქართველოს დამოუკიდებლობის საქვეყნო გამოცხადებით, შესაბამისი ფუძემდებლური სამართლებრივ-სახელმწიფოებრივი ძეგლის--საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის მიღებითა და გამოქვეყნებით. ამით ქართველმა ერმა დაიბრუნა მეცხრამეტე საუკუნეში რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსიის შედეგად წართმეული ეროვნული თავისუფლება, დამოუკდებლობა და სახელმწიფოებრიობა.**

2 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის აქ-

ტის მიღებითა და გამოქვეყნებით, ქართველი ერისა და საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში შეიქმნა პირველი დემოკრატიული და რესპუბლიკური სუვერენული, დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო, სახელწოდებით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, იგივე საქართველოს რესპუბლიკა, იგივე საქართველო ,ისტორიულად დიდი საქართველოს ძირითად ტერიტორიაზე, 118 000 კვადრატული კილომეტრის ფართობით.

3 1919 წლის მარტში საქართველოს დამოუკიდებლობამ მოიპოვა საყოველთაო ეროვნული დადასტურება, როდესაც 1919 წლის /13/14/ 15 და 16 თებერვლის არჩევნებში საყოველთაო დემოკრატიული კენჭისყრით არჩეულმა საქართველოს უმაღლესმა წარმომადგენლობითმა საპარლამენტო ხელისუფლებამ-საქართველოს დამუძნებელმა კრებამ, თავის პირველსავე შეკრებაზე, საქვეყნოდ დაადასტურა 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის კანონიერება და ძალმოსილება.

4 საქართველოს დამოუკიდებლობამ შეიძინა საერთაშორისო აღიარება, რადგან საქართველოს დამოუკიდებლობა დე ფაქო და დე იურე ცნო და აღიარა მსოფლიოს 22 მა სახელმწიფომ, მათ შორის მსოფლიოს გავლენიანმა და ძლიერმა სახელმწიფოებმა--ინგლისმა, საფრანგეთმა, გერმანიამ, იტალიამ, იაპონიამ, რუსეთმა და თურქეთმაც და კაცობრიობის ისტორიაში პირველმა უნივერსალურმა საერთაშორისო ორგანიზაციამ ერთა ლიგამ.

5 1921 წლის 21 თებერვალს დამოუკიდებელი საქართველოს ლეგიტიმურმა და უმაღლესმა საპარლამენტო, წარმომადგენლობითმა ხელისუფლებამ-- საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო სახელმწიფოს უზენაესი კანონი-კონსტიტუცია, რომლის ძალითაც საქართველოს სახელმწიფოებრივმა დამოუკიდე-

ბლობამ მოიპოვა უზენაესი კანონიერი დადასტურება და სამართლებრივად, იურიდიულად და კოსტიტუციურად საშვილთაშვილოდ განიმყარა და განიძლიერა ეროვნული სუვერენიტეტის უზენაესობა, განუწყვეტელობა და მუდმივმოქმედება. იხილეთ საქართველოს კონსტიტუციის მე 8 და მე 10 მუხლები, კონსტიტუციის უზენაესობის, შესრულების აუცილებლობისა და კონსტიტუციის მუდმივობისა და შეუწყვეტლობის შესახებ.

6 1921 წლის თებერვალში საქართველოში საბჭოთა რუსეთის შეიარაღებული ძალების შემოჭრა, მათ მიერ საქართველოს ტერიტორიების დაკავება, კანონიერი მთავრობის ძალით დამხობა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარება, შემდგომში საქართველოს იძულებითი გაწევრიანება ჯერ ამიერკავკასიის ფედერაციასა და შემდგომ სსრ კავშირში , საქართველოს კუთვნილი ეროვნული ტერიტორიების საკმაოდ დიდი ფართობების უკანონო და უსამართლო გადაცემა რუსეთისთვის, თურქეთისთვის, სომხეთისა და აზერბაიჯანისთვის იყო შეიარაღებული აგრესია და იმპერიული ბოროტება, ამდენად უმძიმესი საერთაშორისო დანაშაული, რომელიც ჩაიდინა საბჭოთა ბოლშევიკურმა რუსეთმა დამოუკიდებელი და დემოკრატიული საქართველოს წინააღმდეგ, დანაშაულებრივი სრულმასშტაბიანი სამხედრო ინტერვენციითა და ოკუპაციით და შემდგომ ქვეყნის ასევე დანაშაულებრივი ფაქტობრივი ანექსიითა და ტერიტორიული ერთმთლიანობის ძალადობრივი ხელყოფითა და დესტრუქციით.

7 დამოუკიდებელი საქართველოს კანონიერმა მთავრობამ მნიშვნელოვანი სამხედრო წინააღმდეგობა გაუწია აგრესორ ოკუპანტებს და ისე გადავიდა იძულებით ემიგრაციაში, რომ დამყრობელთა წინაშე კაპიტულაციის აქტს ხელი არ მოაწერა და თავი დამარცხებულად არ სცნო. ამით დამოუკიდებელი საქართ-

ველოს ემიგრაციაში წასულმა მთავრობამ გააგრძელა საყოველთაო დემოკრატიული კენჭისყრით არჩეული, საქართველოს უმაღლესი წარმომადგენლობითი და ლეგიტიმური საპარლამენტო ხელისუფლების--დამფუძნებელი კრების მიერ მისთვის მინიჭებული მანდატი, როგორც ქართველი ერისა და საქართველოს ხალხის ნების ერთადერთმა კანონიერმა გამომხატველმა.

თავისუფლად და სიამაყით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ 1918 წლის 26 მაისიდან მოყოლებული დანაშაულებრივ საბჭოთა ოკუპაციამდე **საქართველო, როგორც სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფო, სახელმწიფო ინსტიტუტებისა და სამსახურების მშენებლობით, დემოკრატიული საკანონმდებლო სამართალშემოქმედებითა და სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებით, ადგა თავისუფალი, დამოუკიდებელი, სუვერენული და დემოკრატიული განვითარების პოზიტიურ და პერსპექტიულ გზას, რაც სამწუხაროდ და საუბედუროდ იმპერიული ძალადობით დაამუხრუჭა და მრავალი წლის მანძილზე დანაშაულებრივად შეაჩერა რუსეთის ბოლშევიკურმა, ანტიდემოკრატიულმა, ტოტალიტარულმა იმპერიამ, საქართველოს ანტილეგიტიმური სრულმასშტაბიანი სამხედრო ოკუპაციით და შემდგომ ოკუპირებული საქართველოს ფაქტობრივი ანექსიითა და ტოტალური ანტიდემოკრატიული პოლიტიკური, ეკონომიკური, მენტალურიდეოლოგიური და ტერიტორიული დესტრუქციით.** საგულისხმოა ის ფაქტიც რომ 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის გამოცხადება მოხდა სრული ფიზიკური თავისუფლების, სრული დეოკუპაციის პირობებში, რადგან იმჟამად საქართველოს მთელს ტერიტორიაზე ,არსად აღარ იდგა, არც რუსეთის და არც რომელიმე სახელმწიფოს სამხედრო ძალების არცერთი წარმომადგენელი.

ემიგრანტული მთავრობის ლეგიტიმაციას აძლიერებდა ის ფაქტიც, რომ საოკუპაციო საბჭოთა ხელისუფლებამ

ვერ მოიპოვა ქართველი ერისა და საქართველოს ხალხის საყოველთაო მხარდაჭერა, რეფერენდუმისა და დემოკრატიული არჩევნების ჩაუტარებლობით. **ამდენად, 1921 წლის ბოლშევიკური აგრესიისა და დანაშაულებრივი სამხედრო ოკუპაციის შემდგომ , ქართველი ერის წინაშე დადგა ისტორიული აუცილებლობა ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის აღსადგენად ებრძოლა როგორც გარეშე დამპყრობლის, რუსეთის საბჭოთა იმპერიის, ასევე ადგილობრივი ანტილეგიტიმური, კოლაბორაციონისტული და რენეგატული და ამდენად დანაშაულებრივი ხელისუფლების წინააღმდეგ, რაც მხოლოდ და მხოლოდ იმას მოასწავებდა, რომ ბრძოლა საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის იყო ისტორიული, ნაციონალური, პოლიტიკური, მორალურჰუმანური აუცილებლობით განპირობებული, თხემიდანტერფამდე ღირსეული , სახელოვანი, სრულიად სამართლიანი და კანონიერი საქმე და სიკეთე.**

1924 წლის აგვისტოს აჯანყებას წინ უსწრებდა უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენები, როგორც მშვიდობიანი და არაშეიარაღებული, ასევე შეიარაღებული, ღირსეულ და სამართლიანი ეროვნული წინააღმდეგობის სახით, კონკრეტულად **1921 და 1922 წლების სვანეთის, 1922 წლის ხევსურეთისა და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის აჯანყებები, 1921, 1922, 1923 და 1924 წლების, სხვადასხვა ფორმისა და მასშტაბის ეროვნულ-განმანთავისუფლებელი აქციები და ღონისძიებები.**

1921- 1922 წლებში მაისისა და თებერვლის თვეებში მოეწყო განმანთავისუფლებელი შინაარსის პოლიტიკური დემონსტრაციები და მანიფესტაციები **თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, შორაპანში, ზესტაფონში, ჭიათურაში,ფოთში, სამტრედიაში, ოზურგეთში,გორში, თელავში, ბანძაში, ლანჩხუთში,ნატანებში** და სხვაგან, სადაც აქტიურობდნენ ქართველი ახალგაზრდები, როგორც პოლიტიკური პარტიის წევრები, ასევე საერთოდ

უპარტიოებიც. ერთ-ერთი ასეთი სტუდენტური დემონსტრაციის დროს, წითელი არმიის ჯარისკაცებით ალყაშემორტყმულ უნივერსიტეტში, დააპატიმრეს დიდი ქართველი მეცნიერები და მოღვაწენი **ივანე ჯავახიშვილი და ანდრია რაზმაძე.** ისინი მალე გაანთავისუფლეს.

1922 წელს მუშათა დიდი გაფიცვა მოხდა საჭილაოს ტყის საჭრელ ქარხანაში და ტყიბულის მაღაროებში . 1922 წლის 11 თებერვალს და 24 მაისს მოწყობილ გამოსვლებში აქტიური მონაწილეობა მიიღეს სპორტული საზოგადოება **შევარდენი**-ს წევრებმაც , რომელიც ათასობით ადამიანს აერთიანებდა. ამის გამო, 1922 წლის 23 ნოემბერს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილება საზოგადოება **შევარდენი-ს** დაშლის შესახებ. დაშალეს ასევე სპორტული საზოგადოებები **„სოკოლი“ და „სკაუტი“,** რომლებიც „კონტრრევოლუციურ საზოგადოებებად“ მონათლეს. საბჭოთა ოკუპაციის შემდგომ პირველ წლებში განმანთავისუფლებელი ხასიათის პოლიტიკური შეკრებები, მიტინგები, დემონსტრაციები ეწყობოდა მუდმივად 26 მაისს და მის წინა დღეებში, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღისადმი პატივისცემის დადასტურებისა და საბჭოთა ოკუპაციის გაპროტესტების ნიშნით.

2. ეროვნულ-განმანთავისუფლებელი აჯანყებები სვანეთში, ხევსურეთსა და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში.

1/2-- სვანეთის აჯანყება 1921-1922 წლებში.

1921 და 1922 წელს სვანეთში მოხდა ორი შეიარაღებული აჯანყება. პირველი ამბოხება დაიწყო 1921 წლის 28 ოქტომბერს, ზემო სვანეთში, სოფელ **მულახში.** სვანებმა ორგზის დაამარცხეს წითელარმიელი ოკუპანტები და შეიარაღებული კომუნარები **მულახში.** შემდგომ ოკუპანტრენეგატები, რომლებიც უკან იხევდნენ სამეგრელოს მიმართულებით, ჯვარისკენ, ჯერ შემუსრეს **ეცერის** მიდამოებში და შემდგომ **ხაიშის** შესასვლელთან. ამ ბრძოლებში არაერთი მოწინააღმდეგე განადგურდა. აჯანყებულებმა დიდძალი იარაღიც იგდეს ხელთ და კიდევ უფრო გამაგრდნენ.

საბჭოთა დამპყრობლებმა და ადგილობრივმა კოლაბორაციონისტულმა და რენეგატულმა საბჭოთა ხელისუფლებამ სვანეთში მრავალრიცხოვანი საოკუპაციო ძალები გამოაგზავნა. **მესტიისკენ მიმავალ მთავარ გზაზე, ნაკრის გადასახვევთან,** წინასწარ ჩასაფრებულმა და გამაგრებულმა სვანებმა ბრძოლა გაუმართეს საბჭოთა წითელარმიელ ოკუპანტებს და მწარე დამარცხება აგემეს. **ნაკრის გადასახვევთან** მომსდარ შერკინებაში მომხვდურებმა ბევრი მებრძოლი დაკარგეს და უკან დაიხიეს. ისევ სამეგრელოს მიმართულებით მიიქცნენ და შემდეგ საერთოდ დასტოვეს ზემო სვანეთი. სვანების შეუპოვრობისგან და განუტეხლობისგან გამწარებულმა კომუნისტებმა გადაწყვიტეს მეამბოხე სვანთა სამაგალითო სისასტიკით დასჯა და ზემო სვანეთში მრავალრიცხოვანი სამხედრო-შეიარაღებული ძალები გააგზავნეს,რუსული და ქართული წითელი არმიის შენაერთებისა და საგანგებო კომისიის სპეცდანიშნულების რაზმების სახით. ამჯერად

ბუნებაც სვანეთის მოკავშირე აღმოჩნდა და ახლად მოსულმა დიდმა თოვლმა ეს უმშვენიერესი უძირძველესი ქართული კუთხე ჩაკეტა და მტერთაგან მიუდგომელი გახადა.

საბჭოთა ხელისუფლებაში მრავლად იყვნენ ისეთნიც, რომელთაც სვანეთში განვითარებული და საბჭოთა ხელისუფლებისთვის გაუარესებული მდგომარეობის გამოსწორება სვანებთან მშვიდობიანი მოლაპარაკებითა და შეთანხმებით ბევრად უჯობდათ, ვიდრე ამ მაღალმთიანეთში მასობრივი სისხლიანი რეპრესიების ჩატარება. სვანთა შორისაც იყვნენ მშვიდობის მომხრენი, რადგან ყველას კარგად ესმოდა , რომ **უზარმაზარ საბჭოთა იმპერიასთან პირისპირ დაპირისპირებაში ამჯერად მარტო დარჩენილ, ბევრად უფრო რიცხვმცირე სვანებს ძალიან გაუჭირდებოდათ გამარჯვების მოპოვება ფიზიკურად და რაოდენებრივად შეუდარებლად უფრო დიდსა და გაცილებით უკეთესად შეიარაღებულ მტრებზე.**

1922 წლის 20 იანვარს სვანეთის დეპუტაციამ თბილისში პეტიცია ჩაიტანა რომელშიც ითხოვდნენ **1. აღიძრას შუამდგომლობა საქართველოს რევკომის წინაშე შეაჩეროს და აკრძალოს ჯარების შეყვანა სვანეთში! 2. შეიქმნას განსაკუთრებული კომისია, რომელიც შეისწავლის ადგილობრივი რევკომის საქმიანობას და სვანეთის პრობლემატიკას! 3. გაიხსნას გზები და სვანეთი დაუკავშირდეს საქართველოს სხვა რეგიონებს; 4. მიეცეს სვანეთს უფლება დააფუძნოს ადგილობრივი მართველობა და ხელისუფლება, საქართველოს შიგნით, საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლების პირდაპირ და უშუალო დაქვემდებარებაში, ყოველგვარი ავტონომიის გარეშე,რადგან სვანები ყოველთვის ვიყავით, ვართ და მუდამ ვიქნებით საქართველოსა და ქართველი ერის მოუშლელი ერთიანობის შემადგენელი და განუყოფელი სისხლხორცეული ნაწილი!**

თბილისში სვანთა დეპუტაცია კარგად მიიღეს,მნიშვნელოვანი ფულადი თანხებიც მისცეს ადგილობრივი

საბჭოთა მართველობის ჩამოსაყალიბებლად და შესაბამისი სამსახურების ასამოქმედებლად. სამწუხაროდ საბჭოთა ხელისუფლებამ მიცემული დაპირებები არ შეასრულა და მთელ რიგ უმსგავსო ქმედებებთან ერთად დააპირა ანგარისსწორება ამბოხებულთა მიმართ. **სვანები კვლავ აჯანყდნენ და 1922 წლის 15 მარტს ლენტეხის, ჩოლურისა და ლაშხეთის საგუშაგოებს დაესხნენ თავს და ბოლშევიკები და წითელარმიელები განაიარაღეს და დაატყვევეს.** მოგვიანებით აჯანყებულებმა ცაგერს შეუტიეს, მაგრამ ვერ აიღეს და უკან დაიხიეს. **1922 წლის მარტის ბოლოსათვის ზემო და ქვემო სვანეთის მთელს ტერიტორიაზე საბჭოთა ხელისუფლება იყო ლიკვიდირებული, საოკუპაციო ჯარის ნაწილები და ადგილობრივ საბჭოთა ხელისუფლებას დაქვემდებარებული მილიციისა და ჩეკისტთა რაზმები სრული შემადგენლობით გაყვანილნი.**

საბჭოთა სახელმწიფო დადგა რთული ალტერნატივის წინაშე, ან უნდა დაემარცხებინათ და გაეტეხათ სვანები, სამხედრო სადამსჯელო ოპერაციებისა და მასობრივი სისხლიანი რეპრესიების ჩატარებით ან მოლაპარაკებებითა და შეთანხმების გზით საფუძვლიანად დაეწყნარებინათ და განემუხტათ უკიდურესად დაძაბული და რეალურად შექმნილი უაღრესად არასახარბიელო და სავალალო მდგომარეობა. ამ შემთხვევაში შეურიგებელ სამხედრო დაპირისპირების ავისმომასწავებელ იდეაზე გაიმარჯვა კომპრომისისა და შეთანხმების გზამ.

1922 წლის 5 მაისს საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებისა და სვანეთის ყველა საზოგადოების წარმომადგენელთა კრება გაიმართა. შეკრებაზე სვანეთის აჯანყების ერთერთმა თავკაცმა **ბიძინა პირველმა** სვანების ტრადიციების მიმართ ღირსეული დამოკიდებულება და წითელი ჯარის ნაწილების მიერ რეკვიზირებული საქონლის დაბრუნება მოითხოვა, სვანეთის ერთგვარად დამშვიდების შემდეგ საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ მიზნად სვანეთის სრული გან-

იარაღება დაისახა, რათა სვანეთში აჯანყების განმეორება არ მომხდარიყო. **1922 წლის 9-15 აგვისტოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ ძალოვანი სტრუქტურების აქტიური მონაწილეობითა და ადგილობრივ სვანებთან ფარული შეთანხმებით** ზემო სვანეთში მოსახლეობიდან **300 შაშხანა; 100 ბერდანა და 4 ტყვიამფრქვევი** ამოიღო. ამოღებული შეიარაღება იყო სვანეთის სრული განიარაღების გათამაშება, რამეთუ შეიარაღების უმეტესი ნაწილი სვანებმა დაიტოვეს და საგულდაგულოდ გადამალეს.

დიდი რაოდენობით წითელი არმიისა და შეიარაღებული მილიციის შენაერთები შევიდნენ სვანეთში, მაგრამ ამჯერად ბოლშევიკი აგრესორები სვანეთში მასობრივ სისხლიან ანგარიშსწორებასა და სისასტიკეს მოერიდნენ,კიდევ უფრო მტკივნეული და მძიმე დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად, რასაც ამჯერად სვანეთის მოსახლეობის უმრავლესობა გაგებით შეხვდა. **ასე რომ სვანეთის ღირსეული აჯანყებები საბჭოთა ოკუპაციისა და თავსმოხვეული, ანტიეროვნული საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ჩაცხრა შედარებით მშვიდ ვითარებაში, მასობრივი სისხლიანი რეპრესიებისა და სისასტიკით გამორჩეული ეგზეკუციების გარეშე.** ამ ეროვნულ გამოსვლებმა გამოკვეთეს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის ღირსეულად მორკინალნი და შეუდრეკელნი გმირები-- **გრიშა ონიანი, გიორგი ფოჩიანი, ბიძინა პირველი,ეგნატე გაბლიანი, ბიძინა გვიშიანი, ბიძინა ნიჟარაძე, სამსონ ქალდანი, ნესტორ გარდაფხაძე, მოსესტრო დადეშქელიანი, კონსტანტინე დადეშქელიანი, თენგიზ დადეშქელიანი, მალაქია ონიანი** და კიდევ სხვანი. აღსანიშნავია ის გარემოებაც ,რომ 1921 და შემდგომ 1922 წლებში, სვანეთში მიმდინარე ეროვნულ-განმანთავისუფლებელი აჯანყების პროსცესში დაფიქსირებულია **18 ზე მეტი შეიარაღებული შეტაკება, ამბოხებულ ქართველებსა და საოკუპაციო-რენეგატულ საბჭოთა ხელისუფლების სამხედრო ძალებსა და სადამსჯელო სამსახურებს შორის,რომლებშიც სვანებმა**

მოიპოვეს გამარჯვება, რიცხვით ბევრად აღმეტებულ მტრებზე.

სვანეთის აჯანყება ჩაცხრობის მიუხედავად დიდმნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს ქართული ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობისა და ქართველი ერის ისტორიაში. 1921 და 1922 წლებში აჯანყებულმა სვანებმა თვალნათლივ დაადასტურეს რომ არიან გამორჩეულნი გამბედაობითა და საომარი შემართებით, თავისუფლების სიყვარულითა და ღირსებით, შეურცხვენელნი მემკვიდრენი ხალდეს ბრძოლების საარაკო გმირებისა და სახელოვანი წინაპრებისა. სვანებმა მთელ ცივილიზებულ მსოფლიო საზოგადოებას დაანახეს, რომ საბჭოთა რუსეთი აგრესორი და დამპყრობელი იმპერიაა, ხოლო ქართველი ერი ვერ და არ ეგუება დანაშაულებრივ საოკუპაციო რეჟიმსა და იმპერიულ ძალმომრეობას და მრავალრიცხოვან და ფიზიკურად ძლიერ ოკუპანტაგრესორთა წინააღმდეგ უთანასწორო ბრძოლას აწარმოებს. ძალზე საყურადღებოა ის ფაქტიც რომ ემიგრაციაში გადასულმა დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ გენუის საერთაშორისო კონფერენციაზე და დასავლეთის წამყვანი სახელმწიფოთა მთავრობების წინაშე დიდი ხმაური ატეხა სვანთა აჯანყების გამოც, რამაც ამ შემთხვევაში პოზიტიურად იმოქმედა ბოლშევიკებზე უკიდურესად არ გაემწვავებინათ და არ დაეძაბათ ვითარება მასობრივი რეპრესიებითა და სისხლისმღვრელი სადამსჯელო ეგზეკუციებით. ეს აჯანყება იმითაც საყურადღებოა, რომ არის ქრონოლოგიურად პირველი ქართული განმანთავისუფლებელი ამბოხება საბჭოთა რუსეთის ტოტალიტარული და ანტიდემოკრატიული იმპერიის წინააღმდეგ, დანაშაულებრივი და სრულმაშტაბიანი საბჭოთა იმპერიული ოკუპაციის შემდგომ. ამ აჯანყებებით სვანებმა მთელი წელიწადნახევრის მანძილზე დაამხეს საბჭოთა ხელისუფლება და უკანასკნელ კაცამდე განდევნეს საბჭოთა ბოლშევიკური იმპერიის საოკუპაციო ჯარები

და ადგილობრივი კოლაბორაციონისტულ-რენეგატული ხელისუფლების ძალოვანი სამსახურები და გასამხედროებული ძალები, სვანეთის მთელს ტერიტორიაზე, როგორც ზემო, ასევე ქვემო სვანეთის სრული მასშტაბითა და მოცემულობებით. სვანებმა ფაქტია 1921 და 1922 წლებში აშკარად დაამარცხეს საბჭოთა იმპერიული საოკუპაციო სახელმწიფო და ხელისუფლება მთელს სვანეთში წელიწად ნახევრის მანძილზე, უბრალოდ უზარმაზარ და ფიზიკურად სამხედრო თვალსაზრისითაც ძალიან ძლიერ რუსეთის ბოლშევიკურ იმპერიასთან მტრის სასარგებლოდ არსებულ უთანასწორო დაპირისპირებაში მარტო დარჩენილი ფიზიკურად მცირე სვანეთი საბოლოო გამარჯვებას ბუნებრივად და კანონზომიერად ვერ მოიპოვებდა. **ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაბრუნებისთვის შეიარაღებული აჯანყებით სვანებმა, სისხლითა და ბრძოლებით დაადასტურეს, თავისი ჭეშმარიტი ქართველობა, განუყოფელი და მოუშლელი ეთნონაციონალური და პოლიტიკური ერთობა დანარჩენ ქართველობასთან, საქართველოსა და ქართველი ერის ისტორიულად ჩამოყალიბებულ და დამკვიდრებულ სამარადჟამო და დაურღვეველ ერთმთლიანობაში.**

ანტისაბჭოთა განმანთავისუფლებელმა გამოსვლებმა სვანეთში დიდი ბიძგი მისცა უსამართლოდ ოკუპირებული საქართველოს მოსახლეობის პოლიტიკურ აქტივობას საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. შემდგომი ბრძოლებისთვის ძლიერი ბიძგი იყო, აგრეთვე, **1922 წლის 26 მაისის მასობრივი მრავალრიცხოვანი მანიფესტაციები თბილისში, ქუთაისში, ბათუმსა და ზუგდიდში** და საქართველოს სხვა ქალაქებში. ანტისაბჭოთა და განმანთავისუფლებელი არაშეიარაღებული გამოსვლების, მიტინგებისა და მანიფესტაციების ჩატარებამ სისტემატიური ხასიათი მიიღო როგორც საქართველოს დედაქალაქში, ასევე პროვინციებშიც. ძალიან ხშირად პოლიტიკური მნიშვნელობის ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ხასიათის მიტინგებსა და დემონსტრაციებს არბევდნენ და მათ

ინიციატორებსა და მონაწილეებს აპატიმრებდნენ. ანტისაბჭოთა პოლიტიკური გამოსვლების სიხშირით საქართველოს კუთხეთა შორის გამოირჩეოდა იმერეთი, გურია და სამეგრელო.

2/2 ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის გამოსვლა და 1922 წლის ფშავხევსურეთის აჯანყება

1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობისა და დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის ემიგრაციაში წასვლის შემდგომ ბევრმა ღირსეულმა ქართველმა მამულიშვილმა და მათ შორის არაერთმა მეომარმა, სამხედრო პირმა გადაწყვიტა, რომ არ შეგუებოდა მომხდურს და წამოეწყო ბრძოლები რუსი დამპყრობლებისა და ადგილობრივი რენეგეტ-კოლაბორაციონისტების, ეგრედ წოდებული საბჭოთა ხელისუფლებისა და ბოლშევიკების წინააღმდეგ, საქართველოს განსათავისუფლებლად და ბოროტი აგრესიის შედეგად წართმეული ეროვნული დამოუკიდებლობის დასაბრუნებლად. **ერთერთი ასეთი ინიციატორი აღმოჩნდა ქართველი თავადიშვილი,პროფესიით სამხედრო პირი, წოდებით პოლკოვნიკი ქაქუცა ჩოლყაშვილი , სიმამაცით, მხედარმეომრული შემართებითა და შემტეობით გამორჩეული, შესანიშნავი მხედართმთავარი და შემდგომში სასიქადულო ეროვნული გმირი, რომლის სახელი და გვარი საუკუნო პატივითა და დიდებით შეიმოსა საქართველოს ისტორიაში.** ქაიხოსრო ჩოლოყაშვილს არაერთმა პატრიოტმაც შესთავაზა სათავეში ჩადგომოდა ამ ფრიად დიდმნიშვნელოვან ეროვნულ საქმეს . ეს საკითხი თბილისში ყოფნისას განიხილეს კიდევაც გენერალმა **კოტე აფხაზმა და ქაიხოსრო. ჩოლოყაშვილმა.**

ქაქუცამ შემოიკრიბა თანამზრახველნი და ოკუპაცი-

ის პირველსავე დღეებიდან დაიწყო ბრძოლა საქართველოს განთავისუფლებისთვის. იგი კახეთში დაბანაკდა და რაზმიც შექმნა. ამ დროიდან მოყოლებული იწყება მუდმივი ზრუნვა ფარული გასამხედროებული დაჯგუფებების შექმნაზე ,სრულიად საქართველოს მასშტაბით. მოსახლეობაში გავრცელებულმა ხმებმა, რომ ჩოლოყაშვილი პარტიზანულ რაზმებს აყალიბებსო, ერმა სიხარულით მიიღო და ადგილობრივი მკვიდრნიც ყველანაირად ხელს უმართავდნენ მათ. ყოველივე ეს კეთდებოდა კონსპირაციულად,სრულიად საიდუმლო ვითარებაში. ყოველ სოფელში, სადაც კი სიტყვა და ხელი მიუწვდებოდათ ნიშნავდნენ ათისთავებსა და და ასისთავებს. დანარჩენ საქართველოში, სადაც პარტიზანებს ჰყავდათ უშუალო ნაცნობმეგობრები, ჩოლოყაშვილი აგზავნიდა სანდო პირებს და ამგვარად ამყარებდა მათთან კავშირს.

ქაქუცა ჩოლოყაშვილს, მას შემდეგ, რაც შეიქმნა ინტერპარტიულ პარიტეტულ საწყისებზე საქართველოს განმანთავისუფლებელი საერთო ეროვნული ბრძოლის ხელმძღვანელი ორგანიზაცია-საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი (1922 წლის აგვისტოს დამლევს) და ამ კომიტეტთან არსებული **სამხედრო ცენტრი, რომლის მეთაური იყო ეროვნულ-დემოკრატი გენერალი კონსტანტინე აფხაზი, დიდი ილია ჭავჭავაძის დისწული, მუდმივი ფარული კონტაქტები ჰქონდა დამკომთანაც და პარიტეტულ კომიტეტთან არსებულ სამხედრო ცენტრთანაც.** ეს კომიტეტი და ხსენებული ცენტრი კოორდინაციას ახდენდა საქართველოს იმ რაიონებთან, სადაც მუშაობა არ შეეძლოთ პარტიზანებს. საკმაოდ მოკლე ხანში ფარულმა ორგანიზაციებმა მოიცვა არა მარტო მთელი კახეთი, არამედ დუშეთისა და გორის მაზრებიც. პარალელურად, მუშაობა მიმდინარეობდა დასავლეთ საქართველოშიც, ასევე საქართველოს საბჭოთა შეიარაღებულ ძალებშიც, სადაც ოფიცერთა ნაწილი, რომელიც მოჩვენებითად კომუნისტებისადმი ლოიალობას იჩენდა, სინამდვილეში, ამბოხებისათვის განმანთავი-

სუფლებელი რაზმების ჩამოყალიბებით იყო დაკავებული.

პარტიზანებმა ბაზად, როგორც საიმედო ადგილი, აირჩიეს პანკისის ხეობა, სადაც მათ მრავლად ჰყავდათ ნაცნობებიც და მოკავშირეებიც. პარტიზანებმა ბინა დაიდეს ხეობის სათავეებში მდებარე ვრცელ ტყეში, საიდანაც საცხენოსნო გზა გადის კავკასიონის მთავარი ქედისკენ. ამ ადგილებში მათ დიდ ხანს მოუხდათ დარჩენა და საკმაოდ კარგი ურთიერთობები ჩამოუყალიბდათ ადგილობრივ ქისტებთან. უნდა აღინიშნოს ის ფრიად საყურადღებო ფაქტი რომ **პანკისელ ქისტებს კარგი ურთიერთობა ჰქონდათ ქაქუცასთან და ბოლშევიკური ოკუპაციის პირველივე დღეებიდანვე ბევრი მათგანი ქართველის გვერდით იბრძოდა ოკუპანტებისა და ბოლშევიკების წინააღმდეგ, საქართველოს გასანთავისუფლებლად.**

ბოლშევიკი ოკუპანტები და დამპყრობლები საქართველოში შემოსვლისთანავე აქტიურად და გააფრთრებულად დევნიდნენ განმანთავისუფლებელ მებრძოლებს, რის გამოც ჩოლოყაშვილის რაზმელებს, მსგავსად სხვათა ამხედრებულთა, მუდმივად და ხშირად უხდებოდათ ადგლმდებარეობის შეცვლა. ერთხელაც, ბაზირების ადგილის ცვლისას შეფიცულთა რაზმი გზაზე გადაეყარა მილიციონერებს, რომლებიც ალყას არტყამდნენ მათ. **ურთიერთსროლის შედეგად კომუნისტებმა დაკარგეს ახმეტის რაიონის კომისარი, რომელიც ოპერაციას ხელმძღვანელობდა. კომუნისტი მილიციელები გაიქცნენ.** ახმეტის ინციდენტის შემდეგ რაზმმა არაერთი ადგილი შეიცვალა, თუმცა დიდი ხნით არსად გაჩერებულან, ვინაიდან კომუნისტებმა გააძლიერეს ქაქუცას მომხრეების ძებნა. შემდგომში შეფიცულები დაბანაკდნენ **ყარაღაჩის ტყეებში, დედოფლის წყაროს მახლობლად.**

ძალიან მალე, სიღნაღის მაზრაში მთავრობამ შექმნა შედარებით მრავალრიცხოვანი რაზმი,რომელიც დაკომპლექტებული იყო მილიციონერებისგან და კომუნისტებისგან და დაიწყეს ქაქუცას რაზმის გამაღებული დევნა. პარალელურად, პარტიზანებიც ცდილობდნენ ამ დაგეშილი

კომუნისტების მომწყვედევას. ერთ მშვენიერ დღეს შეფიცულებმა უზუნდარას ხევში ხელსაყრელ პოზიციაში იგდეს დედოფლისწყაროსკენ მიმავალი კომუნისტები, რომლებიც ცხენებზე იყვნენ ამხედრებულნი და მალევე დაამარცხეს. ქაქუცას ამ შეტაკებაში დაეჭრა მხოლოდ ერთი თანამებრძოლი ვამეხ ვაჩნაძე, ხოლო საგანგებოდ შექმნილი კომუნისტური რაზმიდან დაიჭრა 14 და განიგმირა 18 რენეგატკომუნარი. ტყვედჩავარდნილნი უკლებლივ გაანთავისუფლეს შეფიცულებმა, ყოველგვარი ფიზიკური ხელყოფისა და შეურაცხყოფების გარეშე.

ამასობაში, მთელ საქართველოში გავარდა ხმა, ქაქუცა საბრძოლველად გავიდაო. 1922 წლის მარტში, აღდგომა დღეს პარტიზანები აღნიშავდნენ დღესასწაულს და ჰყავდათ სტუმრები, უაღრესად სანდო პირები და მოკავშირეები, რომელთა შორის იყო ხევსური **დიმიტრი ჭინჭარაული,** რომელსაც ადგილობრივები ბაბოს ეძახდნენ. სააღდგომო ნადიმზე დიმიტრიმ, რომელიც ფრიად განსწავლული კაცი იყო, მიმართა დამსწრე საზოგადოებას შემდეგი სიტყვებით.

დღეს ჩვენ ვუქმობთ ბრწყინვალე საქრისტიანო დღეს, აღდგომას და მასთან ერთად ბრძოლის დასაწყისს წმინდა საქმისათვის. აი ამ მთებში ბალახმა აიტანა ალექსანდრე ბატონიშვილის მიერ დაქნილი ბილიკები. რუსეთის უსამართლობას ებრძოდნენ ჩვენი წინაპრები. ვითომდა მოყვრულად მოსულნი, მტრად გადაგვექცნენ, რომლებიც ოჯახებს გვიწიოკებდნენ და ქალებს გვიუპატიურებდნენ. იგივე მეორდება დღესაც. შენ, ქაქუცაო, შენა გხვდა წილად შენი წინაპრების ნაბრძოლი საქმის გაგრძელება შენი სამშობლოს საკეთილდღეოდ. შენ უნდა აღადგინო ალექსანდრე ბატონიშვილის ნათელი ბილიკები. თქვენ, რაზმელებო, ალბათ გახსოვთ, რომ ალექსანდრე ბატონიშვილს შეფიცულები ჰყავდა შემოკრებილი თავის ირგვლივ. თქვენც უნდა შეიფიცნოთ და გერქვათ შეფიცულთა

რაზმი, რომელიც სამუდამოდ დარჩება. თქვენ შემოგყურებთ მთელი საქართველო. ეს პატარა რაზმი უნდა გადააქციოთ ქართულ ჯარად. თქვენზეა დამოკიდებული ჩვენი ლამაზი ქვეყნის სიდიადე. ჩვენ მედგრად უნდა ვებრძოლოთ რუსეთს. ეს არის ჩვენი მთავარი მტერი. ჩვენ უნდა გავაკეთოთ ის, რაც ვერ შეძლო ჩვენმა მამა-პაპამ. ჩვენი წინაპრების თავგანწირული ღვაწლის მეოხებით კიდევ ღვივის საქართველოს ნაპერწკალი. ჩვენ არ უნდა ჩავაქროთ ეს ნაპერწკალი. დღეს თქვენზეა დამოკიდებული ამ ნაპერწკლის გაღვივება. მაშ გაუმარჯოს დიდი დავითის,თამარისა და ერეკლეს საქართველოს!"

ამას შემდეგ **დიმიტრი ჭინჭარაულმა** რაზმის წევრები ხევსურული წესით დააფიცა და სწორედ ეს მომენტი მიიჩნევა შეფიცულთა რაზმის დაარსების ოფიციალურ თარიღად.

იმავე ხანებში დააპატიმრეს **არჩილ ვაჩნაძე,** რომელიც ბევრი სტანჯეს კომუნისტებმა და ბოლოს დახვრიტეს. ასევე დააპატიმრეს **სუსლიკა (ნამდვილი სახელი ყარამან) ანდრონიკაშვილი,** რომელიც ბევრი აწამეს და მაინც მისგან ვერაფერი გაიგეს. ჩეკისტ **შულმანთან** მორიგი დაკითხვისას, ანდრონიკაშვილმა კედლიდან ლურსმანი ამოაძრო და საქართველოში განთქმულ ჯალათს ყელში გაურჭო. შულმანის ყვირილზე კარისკაცები შეცვივდნენ ოთახში და ანდრონიკაშვილი ადგილზევე მოჰკლეს.

იმ ხანებში ქაქუცას შეფიცულებმა სიცოცხლეს გამოასალმეს წარმომავლობით კისისხველი ბოლშევიკი კომისარი, სისასტიკითა და ღვთისმგმობელობით სახელგავარდნილი **ბულიაშვილი. ეს უღმერთო ავაზაკი მაშინ მოკლეს როდესაც ხოდაშნის ეკლესიის გუმბათიდან ჯვარს ხსნიდა და მასთან ერთად შემუსრეს და განაიარაღეს კომუნისტრენეგატთა მოზრდილი სამხედრო რაზმი, რომელიც ახლდა ღვთისმდევნელ ბულიაშვილს, რომელიც ღმერთის სიწმინდის შეურაცხყოფის ჟამს დამსახურებულად ჩააძაღლეს ეროვნულ თავი-**

სუფლებისთვის ამხედრებულმა ქაქუცელებმა.

1922 წლის აგვისტოში შეფიცულთა რაზმი დუშეთის მაზრაში ტრიალებდა, საიდანაც მათ მოულოდნელად მოუხდათ გასვლა. ამის მიზეზად იქცა ის გარემოება, რომ შეფიცულთა ბანაკიდან დიდი მოშორებით **შალიკო კანდელაკი** წააწყდა ძაღლით მოსეირნე რუს ჩეკისტს, რომელიც დასაზვერად იყო გამოსული. კანდელაკმა ჩეკისტი თავის ძაღლთან ერთად მიაკლა და ამის გამო ისინი იძულებულნი გახდნენ თავიანთი ადგილსამყოფელი შეეცვალათ. **დუშეთის მახლობლად ქაქუცას რაზმმა შემუსრა და გაანაირაღა ბოლშევიკთა მოზრდილი დაჯგუფება და გადავიდა ფშავში. ფშავში მაღაროსკართან შეფიცულებს შებრძოლება მოუწიათ წითელარმიელ ოკუპანტებთან და ჩეკისტებთან. 70 კაცით ქაქუცა ჩოლოყაშვილმა სასტიკად დაამარცხა 250 წითელარმიელი. ამ ბრძოლამდე ქაიხოსრო ჩოლოყაშვილმა ჟინვალის მახლობლად მდებარე სოფელ ორთვალთან წარმატებით შემუსრა ბოლშევიკთა რაზმი, რომელსაც კომისარი ავქსენტი ჭურღულია ხელმძღვანელობდა. უზუნდარას ხევში,ორთვალთან, დუშეთთან და მაღაროსკართან** მოპოვებული გამარჯვებების შემდეგ **ქაქუცა ჩოლოყაშვილი,** თავისი მებრძოლი გმირებით გარემოცული,ძლევამოსილი შევიდა ხევსურეთში და **ბარისახოში** დაბანაკდა.განახლდა ენერგიული სამზადისი განმანთავისუფლებელი აჯანყების დასაწყებად.

საბჭოთა ხელისუფლებამ მაღაროსკარში გადატანილი წინა მარცხიდან მცირე ხნის შემდეგ ისევ მიიტანა იერიში მაღაროსკარზე, რომელსაც იცავდნენ ქაქუცელები და და ფშავხევსურნი. მნიშვნელოვანი რიცხობრივი უპირატესობა მომხვდურმოღალატე ბოლშევიკების მხარეზე იყო, მაგრამ **ბევრად მცირერიცხოვანმა ქართველმა მეამბოხეებმა სამჯერ წარმატებით მოგერიეს რუს და ადგილობრივ წითელარმიელთა და ჩეკისტმილიციელთა ძლიერი შემოტევები და ისევ გაიმარჯვეს.** გეგმის თანახმად, ბრძოლის მსვლელობისას, შეფიცულებს თან-

დათან უკან უნდა დაეხიათ და ამ გზით, არაგვის ხეობაში უნდა შემოეტყუებინათ ოკუპანტრენეგატები, რათა ხეობაში მომწყვდეულები პირწინდად გაენადგურებინათ. ეს ბრძოლა სამ დღეს გაგრძელდა და მოულოდნელად რუსებმა უკან დაიხიეს და ბარში დაბრუნდნენ. **მაღაროსკართან გამართული გააფთრებული და ქართველთათვის უთანასწორო სამდღიანი ბრძოლა თავისუფლებისათვის აღმდგართა ძლევით დამთავრდა. რენეგატოკუპანტებმა დაკარგეს საკმარისად ბევრი მებრძოლი, ბევრიც დაეჭრათ და რაც მთავარია სამხედრო შეტევის გაგრძელების შეუძლებლობის გამო უკან დაიხიეს და გარკვეული დროით საერთოდ გაეცალნენ ფშავს. ამ შერკინებამ მთელს საქართველოში განუთქვა სახელი ქაქუცა ჩოლოყაშვილს, ვითარცა უმამაცეს მეომარსა და შესანიშნაბ მხედართმთავარს.**

ქაქუცამ რუსის ჯარს დიდი ვნება ზარალი მიაყენა, რუსებმა უკან დახევა დაიწყეს მცხეთის მიმართულებით. მცხეთამდე მისდია ქაქუცამ მტერს, მაგრამ ძალთა რიცხობრივი სიმცირე არ აძლევდა საშუალებას გადამწყვეტ გენერალურ შეტევაზე გადასულიყო. მომხვდურთა უკან დახევით ისარგებლეს შეფიცულებმა და ხალხი აფრინეს შატილში, რათა დასახმარებლად ჩეჩნებს მოლაპარაკებოდნენ. ისინი გადავიდნენ სოფელ **ჯარეგოში** (ჩეჩნეთი) და ადგილობრივ თავკაცებს მოელაპარაკნენ.

გაავებულმა საბჭოთა სახელმწიფომ მრავალრიცხოვანი სამხედრო ძალა გამოყო თავისუფლებისათვის ამხედრებულთა გასანადგურებლად. ხევსურეთის აჯანყებას დიდძალი ჯარით შეებნენ რუსები და ადგილობრივი მოღალატე კომუნისტბოლშევიკები. **აჯანყებულ ხევსურებსა და შეფიცულებს ბარელმა ქართველებმა უღალატეს, რომელთაც შეთანხმების თანახმად ზურგიდან უნდა დაერტყათ მტრისთვის.** ხანდაკის ხეობასა და მთიულეთის არაგვისა და მისი შენაკადების ხეობებში თავმოყრილი იყო 1500 ზე მეტი შეიარაღებული მეამბოხე, რომელთაც სათავეში ედგნენ **სიმონიკა ბაგრატიონ-მუხრანელი**

და ოფიცერი ყარალაშვილი .

დაგეგმილი აჯანყების სამხედრო შტაბის უფროსმა გენერალმა როსტომ მუსხელიშვილმა კატეგორიულად მოსთხოვა სოციალ-დემოკრატებს კონია არდიშვილის მეშვეობით, რომ მსგავსად სხვა პარტიებისა, იმათაც საერთო სამხედრო ხელმძღვანელობისთვის, კონკრეტულად როსტომ მუსხელიშვილის განკარგულებაში გადაეცათ თავიანთი რაზმები. როგორც ირკვევა როსტომ მუსხელიშვილს ქაქუცასთან ერთად ჰქონდა შემუშავებული აჯანყების გაშლაგაფართოებისა და მსვლელობის მთელი გეგმა. გენერალ მუსხელიშვილის მიმართვის შემდეგ სოცდემოკრატებმა საკითხი კენჭისყრაზე გაიტანეს და დიდი ბჭობის დასრულების მერმე, რომელმაც რამდენიმე დღე გასტანა, სოცდემოკრატთა პარტიამ უარი განაცხადა შეიარაღებულ გამოსვლებში მონაწილეობის მიღებაზე.

ამ პერიოდში,როდესაც შიდაპარტიულ დებატებში იკარგებოდა ძვირფასი დრო, ფშავ- ხევსურეთის არაგვის ხეობაში სისხლი იღვრებოდა, ქართველ განმანთავისუფლებელ მორკინალებსა და საბჭოთა საოკუპაციო სამხედრო-შეიარაღებულ ძალთა შორის მიმდინარე განახლებული და გაავებული ბრძოლების შედეგად. მაღაროსკარში განცდილი მძიმე დამარცხებისა და უკან დახევის შემდეგ, მრავალრიცხოვანი სამხედრო ძალებით გაძლიერებულმა საბჭოთა ოკუპანტაგრესორებმა კვლავ შემოუტიეს ფშავხევსურეთს და ამ უაღრესად კრიტიკულ ჟამს ქაქუცა ჩოლოყაშვილი და საბჭოთა ოკუპაციას წინააღმდეგ ამხედრებულნი ხევსურნი მარტო აღმოჩნდნენ, მტრის სასარგებლოდ განვითარებულ, რიცხობრივად მეტად, უთანასწორო დაპირისპირებაში. ფშავხეცსურეთში განახლებულ ბრძოლაში, ბოლშევიკების სასარგებლოდ არსებული შეუდარებლად აღმატებული უპირატესობის გამო, ქაქუცა ჩოლოყაშვილი დამარცხდა, მაგრამ მრავალრიცხოვანი მტრისგან რკალშემოვლებულმა შეძლო ალყის გარღვევა და ოკუპანტ

ბოლშევიკებისათვის დიდი დანაკარგების მიყენებით, კახეთისკენ უკან დაიხია. ამის შემდგომ რუსები და რენეგატი ქართველები ხევსურეთში შევარდნენ და არაადამიანური სისატიკით დაიწყეს მოსახლეობის რბევააწიოკება.

ამ ბოროტების აღსრულებას მნიშვნელოვნად ხელი შეუწყო სოცდემოკრატების მოღალატეობამ და გაუმართლებელმა პარტიულიდეოლოგიურმა ეგოიზმმა. სოცდეკებმა ყველგან დაგზავნეს თავისი პროპაგანდისტები და აგენტები, რომლებიც თავიანთ მრავალრიცხოვანი პარტიის წევრებს მოუწოდებდნენ არ მიეღოთ მონაწილეობა **ქაიხოსრო ჩოლოყაშვილისა** და **ხევსურთა** მიერ წამოწყებულ აჯანყებაში. ქართველი მენშევიკები ამ ამბოხს უდროო თავადაზნაურულ გამოსვლას უწოდებდნენ. იგივე აგენტები დადიოდნენ **ხანდაკის ხეობასა და მთიულეთის არაგვის აუზში** თავმოყრილ მეამბოხეებში და ეუბნებოდნენ: თუ ჩოლოყაშვილმა გაიმარჯვა, ეგ თავადია და მამულებს მაშინვე მემამულეებს დაურიგებსო. ამისთანა ანტიეროვნული პროვოკაციული პროპაგანდით ასობით შეიარაღებული მეამბოხე, სულ მცირე 1200 მორკინალი, ტყვიის გაუსროლელად დაშალეს.

ქართველმა სოცდემოკრატებმა ფშავ ხევსურეთის აჯანყების დროს ჩაიდინეს, პირდაპირი მნიშვნელობით, ნამდვილი ეროვნული ღალატი და სამარცხვინო პოლიტიკური მავნებლობა , საქართველოს განთავისუფლებისათვის მიმდინარე რეალური და პერსპექტიული ბრძოლის გადამწყვეტად კრიტიკულ პროცესში. სოცდემოკრატთა მოღალატეობის ხორცშესხმას ხელი შეუწყო იმ ფაქტმა, რომ იმჟამიდელ საქართველოში ბევრი ჩვენი თანამემამულე გამოშტერებული იყო მარქსიზმითა და სოცდემოკრატიის ანტიეროვნული იდეოლოგიით და სამწუხაროდ თვით ანტისაბჭოთა წრეებში, მათ შორის შეიარაღებულ განმანთავისუფლებელ ძალებში, სწორედ სოცდემოკრატებს ჰყავდათ ყველაზე მეტი მომხრე რიცხობრივად.

ხევსურეთის აჯანყება მეტად ხელსაყრელი იყო იმ თალსაზრისით, რომ იმ მომენტისთვის საქართველოში იდგა მხოლოდ თორმეტი ათასი რუსი ჯარისკაცი, რომლებიც მიმოფანტულნი იყვნენ საქართველოს მთელს ტერიტორიაზე. მთელ აღმოსავლეთ საქართველოში ფართოდ იყო გაშლილი გასამხედროებულ დაჯგუფებათა და ორგანიზაციათა დიდი ქსელი. დასავლეთ საქართველოშიც კარგად იყო ორგანიზებული ეს საქმე . **რაც ყველაზე მთავარია და მნიშვნელოვანიც, ბევრი ქართველი , მათ შორის საბჭოთა სახელმწიფოს სამხედრო და ძალოვან სამსახურში მომუშავენიც, არნახულად მოწადინებული იყო საბრძოლველად, ვინაიდან ისინი ხედავდნენ საერთო ეროვნული გამარჯვების რეალურ და სასიქადულო პერსპექტივას, ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის აღდგენის საშვილთაშვილოდ სასიკეთო საქმეში.**

ამბოხების ხელმძღვანელთა დაზუსტებული გათვლით, ფშავხევსურეთიდან დაწყებული აჯანყების გაშლის შემთხვევაში ამბოხების საწყისსავე ეტაპზე საბრძოლველად გამოვიდოდა კარგად შეიარაღებული 3000 მდე ქართველი, რომელთა რიცხვი, პირველადი სამხედრო წარმატებების შემდეგ, აუცილებლად გაიზრდებოდა 12000 მებრძოლამდე. აჯანყების წარმატებითი მიმდინარეობის პროცესში ძალიან ბევრი ქართველი, რომელიც წითელ არმიასა და საბჭოთა მილიციაში ირიცხებოდა, გარანტირებულად შეუერთდებოდნენ მეამბოხე მამულიშვილებს. ეს რაოდენობა და მოცემულობა კი სავსებით საკმარისი იყო აჯანყების სრული და საბოლოო გამარჯვებისათვის. **ასეთ შემთხვევაში გარანტირებულად დადასტურებული ხელსაყრელი ვითარება შეიქმნებოდა, როგორც საზღვარგარეთიდან დიდი ფინანსურ-მატერიალური დახმარებების მისაღებად, ასევე იმჟამინდელი ქართველი ერის უდიდესი უმრავლესობის ენერგიულ და აქტიურ ჩაბმაში ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დასაცავად და გასამარჯვებ-**

ლად.

ერთი სიტყვით სოცდემოკრატთა სამარცხვინო მოღალატეობამ ჩააგდო და ჩაშალა ფშავხევსურეთში დაწყებული განმანთავისუფლებელი აჯანყების ნათელი პერსპექტივა, რომელსაც ყველანაირი შანსი ჰქონდა, გადაზრდილიყო საყოველთაო ეროვნულ ამბოხებაში და საშვილთაშვილო ისტორიული გამარჯვებით დაგვირგვინებულიყო.

ხევსურეთის აჯანყება, სვანეთის ამბოხების შემდგომ, იყო ქართველთა მეორე დიდი შერკინება რუსეთის იმპერიასთან და მის დანაშაულებრივ საოკუპაციო რეჟიმთან საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის, რომლის დამარცხებაში გადამწყვეტი უარყოფითი როლი შეასრულა, ხშირ შემთხვევაში ქართველთათვის საბედისწეროდ დამახასიათებელმა, არაერთსულოვნებამ, ურთიერთგაუტანლობამ და ღალატმა.

აჯანყების წარუმატებლობის შემდეგ, რუსების და რენეგატკოლაბორაციონისტი ქართველებისგან შემდგარმა რაზმებმა იწყეს ხევსურეთის მოსახლეობის აწიოკება და დარბევა. მამაცმა ხევსურებმა გმირული წინააღმდეგობა გაუწიეს ოკუპანტრენეგატებს, დიდი ვნებაზარალიც მიაყენეს მომხვდურთ, არ დანებდნენ და ბევრმა მათგანმა მთებსა და ხეობებს შეაფარა თავი და მრავალიც დარჩა მოუხელთებელი მტარვალ დუშმანთაგან. შეფიცულები კვლავ ტყეში გაიხიზნენ და კვლავ გააგრძელეს, გმირი ქაქუცა ჩოლოყაშვილის თავკაცობით არალეგალურ მდგომარეობაში ცხოვრება, როგორც რუსულ იმპერიულ ძალმომრეობას შერკინებულმა და ადგილობრივი მოღალატეობრივი საბჭოთასაოკუპაციო ხელისიფლების უსამართლობის წინააღმდეგ ამხედრებულმა მეომარ ერისკაცებმა. ქაქუცა ჩოლოყაშვილმა შიკრიკები აფრინა ჩეჩნეთში, რათა ვითარების გაუარესებისა და აჯანყების დამარცხების გამო, საომრად გამზადებული ჩეჩნები,ამ ეტაპზე. ტყუილად აღარ გადმო-

სულიყვნენ საქართველოში .

ერთხელ, ქაქუცას მოულოდნელად ეახლნენ მისი ბიძა **შაქრო ჩოლოყაშვილი** და ახლო სისხლისმიერი ნათესავი **ბიძინა მაყაშვილი,** რომლებმაც მას მთავრობის დანაბარები გადასცეს. ეს იყო მათი პირველი და უკანასკნელი მოსვლა შეფიცულებთან.მათ უთხრეს-- კომუნისტებს აინტერესებდათ, თუ რატომ გვებრძვის ჩვენ და რა უნდაო? მეორეც, წინადადებაც შესთავაზეს, თუ საზღვარგარეთ წახვალ, ფულს რამდენსაც გინდა მოგცემთ და თუ არ გვენდობა, საზღვარზე გადასვლის დროს მოითხოვოს ვინმე მძევლად წასაყვანადო და გადასვლის მერე გაათავისუფლონო. ქაქუცამ მათ უპასუხა- **ქართველ ერს თუ მოსწონს ბოლშევიკური ხელისუფლება, ჩვენ წინააღმდეგნი არ ვიქნებით და ვიმსახურებთ კიდევაც სახელმწიფოს ჯარში, ოღონდ რუსის ჯარი სრული შემადგენლობით უნდა გავიდეს ქვეყნიდან და საქართველო აუცილებლად უნდა იყოს სრულიად დამოუკიდებელი და თავისუფალი ქვეყანა და სახელმწიფო. ჩვენ ვიბრძოლებთ საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბოლომდე. მანამდისინ შევძლებთ და თუ ჩვენ ვერ შევძელით ამ დიადი საქმის შესრულება, მომავალი თაობა გააგრძელებს ჩვენს მიერ დაწყებულ საქმეს".** ამ შეხვედრამ და შეხვედრის შემდეგ მიღებულმა ცნობებმა ქაქუცასა და მის სისხლისმიერ ნათესავს შორის მომხდარი ლაპარაკის შესახებ, კომუნისტებს თვალნათლივ დაანახა, რომ ჩოლოყაშვილი და მისი რაზმი არც იარაღს დაჰყრიდა და არც ბრძოლას შეწყვეტდა.

მატანში ცხოვრობდა ქაქუცას ბიძაშვილი **ანეტა ჩოლოყაშვილი,** რომელიც ყოველნაირად ეხმარებოდა შეფიცულებს წამლებითა და ჭრილობებისთვის საჭირო მასალებით. ერთ დღეს ანაზდაეულად, ეს ქალბატონი ჩეკამ დააპატიმრა. ბევრი წამების მიუხედავად მას ვერაფერი დააცდევინეს და 1922 წლის დამლევს იგი დახვრიტეს. ეს იყო მანდილოსნის დახვრეტის პირველი შემთხვევა ბოლშევიკური იმპერიის მიერ ოკუპირებულ საქართველოში.

ხევსურეთის აჯანყების წარუმატებლობის შემდგომ გარეთ გასულ ქაქუცას ჰქონდა მუდივი კავშირები საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტთან, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ხაზითა და მეშვეობით. **ის, როგორც იმპერიულ ძალმომრეობასა და დანაშაულებრივ ოკუპაციას აჯანყებული, აგრძელებდა პერმანენტულად შეიარაღებულ შეხლაშემოხლებსა და შეტაკებებს ბოლშევიკ აგრესორებთან და თავისი სასწაულებრივი სამხედრო ნიჭის, შემართებისა და ღვთის მფარველობის წყალობით რჩებოდა საბჭოთა სახელმწიფოსთვის მოუხელთებელ და დაუმორჩილებელ მეომარგმირად.**

აღსანიშნავია ის გარემოებაც რომ ხევსურეთის აჯანყების მიმდინარეობის პროცესში ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი და ფორმირებული ოკუპაციის შემდგომ დროინდელი საქართველოს საერთო ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლების ხელმძღვანელი ორგანიზაცია,სახელწოდებით **საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი(დამკომი), იგივე პარიტეტული კომიტეტი,რომელიც შექმნის პირველი დღიდანვე სათავეში ჩაუდგა ქართველი ერის საერთო ბრძოლას რუსეთის ბოლშევიკური იმპერიის წინააღმდეგ.**

საქართველოს ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის აღდგენისა და დაბრუნებისათვის, პოლიტიკურ ძალებს შორის, როგორც საზღვარგარეთ, ასევე საქართველოში უკვე მიმდინარეობდა დიდი ხნის წინ დაწყებული მოლაპარაკებები ერთიანი ეროვნული ფრონტის შექმნის თაობაზე ბოლშევიკების წინააღმდეგ, **მაგრამ დამკომი, როგორც განმანთავისუფლებელი საერთო ეროვნული ბრძოლის ხელმძღვანელი, მაორგანიზებელი და მაკოორდინრებელი სტრუქტურა ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული. საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი, ინტერპარტიულ პოლიტიკურ საწყისებზე შეიქმნა მალე, ფშავხევსურეთის აჯანყების დამარცხებიდან.**

ჩ ა ნ ა რ თ ი-მიუხედავად იმისა რომ არსებობს ვრცელი ლიტერატურა, უკვე ლეგალური, არადაფარული და ხელმისაწვდომი, ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის,- გასული საუკუნის 20 ანი წლების ანტისაბჭოთა განმანთავისუფლებელ მოძრაობაზე, მიუხედავად იმისა რომ ამ მოვლენების შესახებ საკმაოდ ბევრი დაიწერა და გამოქვეყნდა, მე პირადად იმ ხევსურთა და მთიელ ქართველთა სახელებსა და გვარებს, რომლებიც იბრძოდნენ 1922 წლის ფშავხევსურეთის აჯანყებაში, ჯერჯერობით ვერსად მივაკვლიე, რის გამოც საქვეყნოდ ვიხდი ბოდიშს და ვითხოვ პატიებას განმანთავისუფლებელ ბრძოლებში მონაწილე აღსრულებულთა სულთა წინაშე, მათი ვინაობების კონკრეტულად მოუხსენებლობის გამო და საქვეყნოდ ვაცხადებ ღმერთის **წინაშე-ყოვლადდიადო და ყოვლადძლიერო უზენაესო უფალო ღმერთო აცხოვნე და განანათლე საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი და მორკინალი უკლებლივ ყველა აღსრულებულის სული და დაუმკვიდრე მათ საუკუნო დიდება ღვთის ნათელ გაბრწყინებულ მარადიულობასა და სასუფეველში!**

3 დამოუკიდებელი საქართველოს დევნილი მთავრობის მოღვაწეობა ემიგრაციაში, საქართველოს კათალიკოს პატრიარქ ამბროსის მამულიშვილურ-მწყემსმთავრული თავდადება, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის შექმნა

საქართველოს ემიგრანტულმა მთავრობამ, ეროვნულ-პოლიტიკური ერთიანობის უზრუნველსაყოფად, საფრანგეთში ჩასვლისთანავე 1921 წელს, კოალიციური მთავრობა ჩამოაყალიბა. მთავრობის შემადგენლობაში **ეროვნულდემოკრატიული პარტიიდან გრიგოლ ვეშაპელი შევიდა (მალე ის სპირიდონ კედიამ შეცვალა), სოციალისტ-ფედერალისტებიდან — იოსებ მდივანი (შემდგომ ის სამსონ ფირცხალავამ შეცვალა), სოციალისტ-რევოლუციონერებიდან — იოსებ გობეჩია.** მალევე ჩამოყალიბდა **განმანთავისუფლებელი ბრძოლის პოლიტიკური ცენტრი, საერთო ფრონტი შემდეგი შემადგენლობით: ნოე რამიშვილი (თავმჯდომარე), იოსებ მდივანი(თავმჯდომარის მოადგილე), გრიგოლ ვეშაპელი (მდივანი), ევგენი გეგეჭკორი, კარლო ჩხეიძე, აკაკი ჩხენკელი, ირაკლი წერეთელი. ნოე ჟორდანია** ამ კომიტეტის საქმიანობაში მონაწილეობას გადამწყვეტი ხმის უფლებით ღებულობდა.

1921 წლის ბოლოს საქართველოს ემიგრანტულმა მთავრობამ **კონსტანტინე საბახტარაშვილის** მეშვეობით ვატიკანთან კონტაქტი დაამყარა. კარდინალმა **შუსტერმა ნოე ჟორდანიას** ვატიკანისა და პირადად რომის პაპის მხრიდან დახმარება აღუთქვა. იმავდროულად კარდინალმა ნ. ჟორდანიას საქართველოზე სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება სთხოვა. ქართველი ემიგრანტებით განსაკუთრებით პოლონეთი იყო დაინტერესებული. ამის

გამოხატულებას წარმოადგენდა ქართველი გენერლების **ალექსანდრე ზაქარიაძისა და ბაქრაძის,** აგრეთვე ქართველი იუნკრებისა და ოფიცრების პოლონეთის არმიაში ჩარიცხვა. ქართველი ემიგრანტებით დაინტერესება საბერძნეთმაც გამოთქვა და შესაბამისად, ქართველი იუნკრების მცირე ჯგუფი საბერძნეთის სამხედრო სასწავლებელში ჩაირიცხა.

1921 წლის ზაფხულში ჟენევაში საფუძველი ჩაეყარა **ლტოლვილთა კომისარიატს, რომელმაც სპეციალური „ნანსენსის პასპორტები" შეიმუშავა.** ამ პასპორტების მეშვეობით ქართველ ემიგრანტებს ევროპის ქვეყნებში გადაადგილება გაუადვილდათ. ლტოლვილთა კომისარიატმა დევნილებისთვის გარკვეული თანხებიც გამოყო. **სტამბოლში მყოფ საქართველოდან დევნილ 400 ქართველს დახმარება ერთა ლიგამ, ერთა ლიგის ლტოლვილთა დამხმარე ამერიკულმა კომიტეტმა და შრომის საერთაშორისო ბიურომ აღმოუჩინეს.**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას მსოფლიოში საერთაშორისო სამართალსუბიექტად არ აღიარებდნენ. საქართველოს ემიგრანტული მთავრობა დიდ იმედს საერთაშორისო თანამეგობრობის აქტიურ დახმარებაზე ამყარებდა. პირველი ასეთი იმედი გენუის კონფერენციის მიმართ გაჩნდა, რომელიც **1922 წლის 10 აპრილიდან 19 მაისამდე მიმდინარეობდა. გენუის საერთაშორისო კონფერენციაში 29 სახელმწიფო და ინგლისის 5 დომინიონი მონაწილეობდა. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა კონფერენციაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა.** გენუის კონფერენციის მიზანი იყო რუსეთის იმპერიის საგარეო ვალები საბჭოთა რუსეთისათვის დაეკისრებინა, ამ ქვეყნის დე იურე ცნობის სან აცვლოდ.

საქართველოს ემიგრანტული მთავრობის წარმომადგენელმა **აკაკი ჩხენკელმა** კონფერენციამდე **საფრანგეთის პრეზიდენტთან მილერანთან და საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარესთან პუანკარესთან** შეხ-

ვედრისას მოითხოვა გენუის კონფერენციაზე საქართველოს ემიგრანტული მთავრობის წარმომადგენელი დაეშვათ და, პირიქით, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის წარმომადგენელი არ დაეშვათ. მართალია **აკაკი ჩხენკელის** მეორე მოთხოვნა დააკმაყოფილეს და საბჭოთა საქართველოს წარმომადგენელი კონფერენციაზე არ დაუშვეს, მაგრამ არც ემიგრანტული მთავრობის წარმომადგენელი დაასწრეს მას.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია გენუაში მიწვეული არ ყოფილა, მისი სრულუფლებიანი ელჩი პარიზში **აკაკი ჩხენკელი** რამდენიმე ქართველ პოლიტიკურ მოღვაწესთან **(ირაკლი წერეთელთან, სვიმონ მდივანთან, გრიგოლ ვეშაპელთან, ზურაბ ავალიშვილთან)** ერთად გენუაში მაინც ჩავიდა, რათა საჭირო საბუთები მიეწოდებინა იმ სახელმწიფოთა წარმომადგენლებისათვის, რომლებიც მზად იყვნენ საქართველოს საკითხი კონფერენციაზე დაეყენებინათ. **კონფერენციის დაწყებისთანავე აკაკი ჩხენკელმა წერილით მიმართა გენუის კონფერენციის თავმჯდომარეს, იტალიის პრემიერ-მინისტრს ლუიჯი ფაჯტას საბჭოთა რუსეთის ძალმომრეობისაგან საქართველოს დაცვის თხოვნით.** მაგრამ იმ მოტივით, რომ საქართველო არ იყო მიწვეული კონფერენციაზე, მისი საკითხის განხილვა დღის წესრიგიდან მოიხსნა. თუმცა **კონფერენციაზე აღინიშნა, რომ საბჭოთა რუსეთმა საქართველო დაიპყრო და ამიტომ საბჭოთა რუსეთს უფლება არ ჰქონდა საქართველოს სახელით ელაპარაკა.**

აღსანიშნავია ისიც რომ ემიგრაციაში წასული საქართველოს მთავრობა მუდმივად მიმართავდა საქართველოს განთავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საკითხზე დასავლეთის ძლიერი სახელმწიფოების მთავრობებს, მაგრამ სამწუხაროდ ამ თვალსაზრისთ იმდროინდელი დასავლეთის მხრიდან გადამწყვეტი მნიშვნელობის ძლიერი მხარდაჭერა ვერ **მოხერხდა, რაც არა და ვერ ამ-**

ართლებს იმ პერიოდის დასავლეთის სახელმწიფოებს.

უაღრესად ღირსეული მოვლენა იყო გენუის საერთაშორისო კონფერენციის მიმართ საქართველოს ეკლესიის იმჟამინდელი მწყემსმთავრისა და უმაღლესი იერარქის ოფიციალური გზავნილი. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა **ამბროსი ხელაიამ,** საკათალიკოსო საბჭოსთან ერთად, სპეციალური მემორანდუმი შეიმუშავა და გენუის კონფერენციაზე გააგზავნა. კათოლიკოს-პატრიარქის მიმართვამ კონფერენციის მონაწილეთა შორის და საერთოდ ევროპაში დიდი რეზონანსი ჰპოვა. **1922 წლის 5 მაისს პატრიარქის წერილის ტექსტი გენუის გაზეთ „კაფარა"-ში დაიბეჭდა .**

გენუისკონფერენციისმსვლელობისდროსსვანეთშიანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყება მიმდინარეობდა. მოგვიანებით მოძრაობა რაჭა-ლეჩხუმშიც გავრცელდა. აჯანყებულებმა თავდაპირველად მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს, მაგრამ საბოლოოდ საოკუპაციო ჯარის ნაწილები ვერ გააანადგურეს. სვანეთში სისხლიანი ანგარიშსწორება დაიწყო. **სვანეთში მიმდინარე მოვლენები ნოე ჟორდანიამ დეპეშით გენუის კონფერენციის მონაწილეებს აცნობა და სთხოვა მათ იძულებული გაეხადათ რუსეთი, სვანეთში სამხედრო მოქმედებები შეეჩერებინა.** იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის, მცირე კომისიის თავმჯდომარის **შანცერის** წინადადებით მიიღეს მიმართვა რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის გ. ჩიჩერინის სახელზე. გ.ჩიჩერინის პასუხი ამაზე შემდეგი იყო: „საქართველოში არავითარი ომი არ მიმდინარეობს და რუსეთს არავითარი მე-9 არმია არ ჰყავს და ეს მხოლოდ კერძო პირის ნ. ჟორდანიას მონაგონია და თუ სიმართლე გსურთ ამის შესახებ, აქ მყოფი საქართველოს საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელი ალაპარაკეთო.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა და მასთან კავშირში მყოფი პირების წინააღმდეგ საგანგებო კომისიაში დაიწყო აგენტურული მონაცემების შეგროვება კოდური სახელწოდებით „სვიატოი". აგენტურული მო-

ნაცემებით ცნობილი ხდება, **რომ კათოლიკოს-პატრიარქი კომუნისტებს ანტიქრისტეებს, გამყიდველებსა და იუდებს ეძახდა და რაც მთავარია ერს მოუწოდებდა ებრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის. 1922 წლის 1 ივნისს** საქართველოს საგანგებო კომისიის თანამშრომლებმა პატრიარქი მესამე განყოფილებაში წაიყვანეს დასაკითხად. დაკითხვის დასრულების შემდეგ პატრიარქი უკან დააბრუნეს. **1922 წლის 2 ივნისს** პატრიარქი იძულების წესით საპატრიარქო რეზიდენციიდან გამოასახლეს, **23 ივნისს** რეზიდენცია და პატრიარქის სამუშაო ოთახები დალუქეს. ამასთანავე, წაიღეს როგორც საეკლესიო,ისე საერო დანიშნულების ნივთები. **1922 წლის 17 ნოემბერს** მთავრობამ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სასახლის კონფისკაცია მოახდინა. **1923 წლის 12 იანვარს** საქართველოს საგანგებო კომისიამ „გაბედული" ნაბიჯი გადადგა და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი და მასთან ერთად საკათალიკოსო საბჭოს წევრები პატიმრობაში აიყვანა. მოგვიანებით პატრიარქს შინა პატიმრობა მიესაჯა. 1924 წლის 19 მარტს, საღამოს 8 საათზე საქართველოს სსრ უზენაესმა სასამართლომ დაპატიმრებულებს სხვადასხვა ვადით პატიმრობა მიუსაჯა. სასულიერო პირებს გენუაში გაგზავნილი მემორანდუმის გარდა ბრალად საეკლესიო განძეულის გადამალვა წაუყენეს .**საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ სიტყვითაც და საქმითაც საშვილთაშვილოდ დაადასტურა, რომ ქართველ ერს მისი სახით ჰყავდა სამაგალითოდ გამორჩეული ერისა და მამულის უღირსეულესი და უშიშარი სულიერი და სარწმუნოებრივი წინამძღოლი ,ჭეშმარიტად დიდი ქრისტეანი და ჭეშმარიტად დიდი ქართველი.**

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში (1918-1921 წწ.) ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებში, ასევე ადგილობრივ თვითმმართველობებში, უმრავლესობაში საქართველოს სოციალ-დემოკრატი-

ული მუშათა პარტიის (მენშევიკების) წარმომადგენლები იყვნენ. საქართველოს დანარჩენი პოლიტიკური პარტიები მმართველ ძალას ოპოზიციაში ედგნენ. გამომდინარე აქედან,სოციალდემოკრატებსა და ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს შორის მძაფრი წინააღმდეგობა არსებობდა. 1921 წლის თებერვალ-მარტის ომის შემდეგ ამ წინააღმდეგობამ კულმინაციას მიაღწია. საბჭოთა რუსეთთან ომში საქართველოს დამარცხებას ქართული პოლიტიკური პარტიები სოციალ-დემოკრატების მიზანშეუწონელი,ანტიეროვნული და არაადეკვატური პოლიტიკის შედეგად მიიჩნევდნენ. თავის მხრივ, სოციალ-დემოკრატები ბრალს სდებდნენ ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს იმაში, რომ ისინი საკმარისად არ ეხმარებოდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას და თავიანთი შეურიგებელი პოლიტიკით მის საქმიანობას ხელს უშლიდნენ.

ქართულ პოლიტიკურ პარტიებს შორის ურთიერთ ბრალდებების წაყენებამ დიდხანს გასტანა. აზრთა ასეთი სხვადასხვაობის მიუხედავად ყველა პოლიტიკური პარტია კარგად ხვდებოდა, რომ საბჭოთა სახელმწიფოსა და ხელისუფლების წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლის ორგანიზებისათვის გარკვეულ კომპრომისებზე წასვლა და ერთიანი ეროვნული ფრონტის შექმნა იყო საჭირო. გაერთიანებისაკენ მიმართული პირველი ნაბიჯი საზღვარგარეთ გადაიდგა.

1921 წლის 8 მაისს პარიზში აზერბაიჯანის მთავრობის რეზიდენციაში ერთმანეთს კავკასიის რესპუბლიკების ემიგრანტული მთავრობების წარმომადგენლები შეხვდნენ. თათბირს ესწრებოდნენ: **საქართველოს წარმომადგენლები: ე. გეგეჭკორი, ნ. ჩხეიძე, ნ. რამიშვილი, კ. საბახტარაშვილი; აზერბაიჯანის წარმომადგენლები: ა. შეიხ-ულისლამოვი, დ. ჰაჯიბეკოვი, მ. მაგერამოვი, ალ. თოფჩიბაშევი; სომხეთის წარმომადგენლები: ა. აგარონიანი, ა. ხატისიანი, ნ. ბეკზადიანი; ჩრდილო კავკასიის წარმომადგენელი: ა. ჩერმოევი).**

1921 წლის 10 ივნისს კავკასიის ემიგრანტული მთავრობების წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის შესახებ შეთანხმებას. შეთანხმების ხელმოწერისთანავე მათ ამის შესახებ საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს **არისტიდ ბრიანს** აცნობეს. ა. ბრიანისადმი წარდგენილ მოხსენებით ბარათში შეთანხმების მონაწილეები აღწერდნენ კავკასიის ბუნებრივ სიმდიდრეებსა და იმ სარგებლობას, რომელსაც მიიღებდა საფრანგეთი თუ მისი მთავრობა კავკასიაში ეროვნული ხელისუფლებების აღდგენაში დაეხმარებოდა ემიგრაციაში მყოფ პოლიტიკურ ძალებს. ამასთანავე, კავკასიის წარმომადგენლები მზად იყვნენ რუსეთის იმპერიის ვალებიდან მათი კუთვნილი წილი გადაეხადათ.

1921 წლის 7 ნოემბერს ა. ბრიანის წარმომადგენელ ლუშერსა და კავკასიის ემიგრანტული მთავრობების წარმომადგენლებს შორის მოლაპარაკება გაიმართა. ლუშერმა მოითხოვა კონკრეტულად აეხსნათ მისთვის კავკასიის ემიგრანტული მთავრობების წარმომადგენლებს, თუ რა სახის დახმარებას ითხოვდნენ ისინი საფრანგეთისაგან და რა კომპენსაციას მიიღებდა საფრანგეთი ამის სანაცვლოდ. დელეგატებმა ლუშერს პირობა მისცეს, რომ სპეციალურ კომისიებს შექმნიდნენ ამ საკითხების დეტალურად დასამუშავებლად.

1921 წლის 9 ნოემბერს კავკასიის ემიგრანტული მთავრობების წარმომადგენელთა თათბირზე შეიქმნა სამხედრო კომისია, საფინანსო-ეკონომიკური კომისია, ნავთობმრეწველობის კომისია და გზათა კომისია. 1921 წლის 16 ნოემბერს სამხედრო კომისია კავკასიის ემიგრირებული მთავრობების წარმომადგენელთა საერთო თათბირზე მოხსენებით წარსდგა. მოხსენებაში საუბარი იყო საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლის საერთო გეგმაზე. ამ გეგმის თანახმად განსაზღვრული იყო 3700 სამხედროსაგან არმიის შექმნა კავკასიის რესპუბლიკების ტერიტორიაზე. თათბირზე

გადაწყდა, რომ სამხედრო შტაბი პარიზში უნდა ყოფილიყო, ხელმძღვანელი ცენტრი კი რაც შეიძლება ახლოს მოქმედების თეატრთან. **ა. ბრიანის** რჩევით კავკასიის წარმომადგენლებმა იმ ფრანგ კაპიტალისტებთან დაამყარეს კავშირი, რომლებიც კავკასიის სამრეწველო პოტენციალით იყვნენ დაინტერესებული. თავის მხრივ საქართველოს ემიგრანტული მთავრობა მოლაპარაკებებს აწარმოებდა სხვადასხვა ქვეყნის ნავთობკომპანიებთან და მათი მხარდაჭერის მოპოვებას ცდილობდა. განსაკუთრებული დაინტერესება გამოთქვა დიდი ბრიტანეთის ნავთობმომპოვებელმა ფირმა **შელიმ**, რომელიც მზად იყო დაეფინანსებინა ანტიბოლშევიკური რევოლუცია, რომელიც ბათუმის ჭიშკრის გავლით გაუხსნიდა მათ გზას ბაქოსაკენ.

კავკასიის ემიგრანტული მთავრობების წარმომადგენლების შეთანხმების პარალელურად ემიგრაციაში მყოფი ქართული პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა დაიწყეს მუშაობა გაერთიანების მიზნით. **საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიების გაერთიანებული ორგანოს როლს საზღვარგარეთ ჯერ „დამფუძნებელი კრების კომისია“ და „პარტიათა წარმომადგენლობა“ ასრულებდა, რომელიც შემდეგ პარიტეტულმა კოლეგიამ შეცვალა, ეს უკანასკნელი კი საზღვარგარეთის ბიურომ. საზვარგარეთის ბიურო პარიტეტულ საწყისებზე შეიმნა . მასში შევიდნენ: სოციალ-დემოკრატი ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე, ეროვნულ-დემოკრატი გრიგოლ ვეშაპელი შემდეგ — სპირიდონ კედია, სოციალისტ-ფედერალისტი სოსიკო მდივანი და სოციალისტ-რევოლუციონერი იოსებ გობეჩია.**

საზღვარგარეთის ბიუროსა და ემიგრანტული მთავრობის ყველა მოქმედება ევროპის სახელმწიფოებში ქართული საკითხის პოპულარიზაციას ისახავდა მიზნად. ამ მუშაობის შედეგად შეიძლება ჩაითვალოს საბჭოთა კავშირ-დიდ ბრიტანეთს შორის წარმოებულ მოლაპარაკებაში ისეთი პუნქტის **შეტანა, სადაც ინგლისი აცხადებდა, რომ ის ცნობდა საბჭოთა კავშირს იმ ტერ-**

იტორიებზე, რომელი ტერიტორიის მოსახლეობაც ცნობდა საბჭოთა ხელისუფლებას. საზღვარგარეთის ბიუროსა და საქართველოს ემიგრანტული მთავრობის მოღვაწეობის შედეგად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ მეორე ინტერნაციონალში შემავალი პარტიები ვალდებულებას იჩენდნენ თავიანთ ქვეყნებში ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემთხვევაში დახმარებოდნენ საქართველოს ემიგრანტულ მთავრობას.

ევროპის სახელმწიფოებში საქართველოს საკითხთან დაკავშირებით საერთო აზრის ჩამოყალიბების მიზნით საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა **პარტიამ პარიზში, ლონდონში და ჟენევაში „საქართველოს დახმარების კომიტეტები"** დაარსა. **კარლო ჩხეიძე** ჟენევაში სპეციალური მოხსენებით გამოვიდა. კ. ჩხეიძე ინგლისს ურჩევდა სესხი არ მიეცა საბჭოთა კავშირისათვის, რადგან ეს თანხა, მისი აზრით, წითელი არმიის გაძლიერებას მოხმარდებოდა. ამ მოხსენების ანგარიში ჟენევის ყოველდღიურ გაზეთ **„ტრავაი -ში დაიბეჭდა.**

აკაკი ჩხენკელი და ირაკლი წერეთელი მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ საფრანგეთში **დემურგთან და ერიოსთან,** რის შედეგადაც აკაკი ჩხენკელი საზეიმოდ მიიღო დემურგმა, როგორც საქართველოს ოფიციალური ელჩი. ფრანგი სოციალისტი **რენოდელი ირაკლი წერეთელს** წერდა, რომ ფრანგი სოციალისტები შეეცდებოდნენ საქართველოს საკითხში ჩარევას.. საქართველოს ემიგრანტულმა მთავრობამ **1922 წლის 28 დეკემბრის** სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება სტამბოლში მყოფი „პოლიტიკური კომისიისათვის" 10 000 ფრანკი გაეგზავნა ე. წ. „პუნქტების" მოსაწყობად. აღსანიშნავია, რომ საქართველოს საზღვრის სიახლოვეს შექნილი ამ პუნქტების მეშვეობით ფოსტა-ტელეგრაფისა და სპეციალური ლიტერატურის საქართველოში გადატანა და არალეგალი პირების გადაყვანა ხორციელდებოდა.

ქართული ანტისაბჭოთა პოლიტიკური პარტიების გაერთიანების მიზნით ინტენსიური მუშაობა საქართვე-

ლოშიც მიმდინარეობდა. გაერთიანების იდეის ინიციატორები სოციალ-დემოკრატები იყვნენ. **1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით ანტისაბჭოთა პარტიების წინაშე დაისვა ერთიანი ეროვნული ფრონტის შექმნის საკითხი, რომლის მიზანი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა უნდა ყოფილიყო .** ეს მოლაპარაკებები დიდხანს გაგრძელდა, რადგან თითოეული პარტია მეტისმეტად გადაჭარბებულად აფასებდა თავის გავლენას საქართველოში და არ სურდა წასულიყო რაიმე დათმობაზე. სოციალ-დემოკრატები, იმ შემთხვევაში თუ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დაემხობოდა, მოითხოვდნენ **როგორც საზღვარგარეთ ემიგრაციაში წასული საქართველოს ყოფილი მთავრობის, ისე ყოფილი დამფუძნებელი კრების სრულად აღდგენას.** საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მოითხოვდა **საქართველოში საბჭოთა წყობილების დამხობის შემდეგ შექმნილიყო მთავრობა, რომელიც დაკომპლექტდებოდა თანაბარი რაოდენობით სოციალისტებისა და არასოციალისტებისაგან .**

თითოეულმა პარტიამ მოლაპარაკებისათვის თითო წარმომადგენელი გამოყო. **სოციალ-დემოკრატებიდან მოლაპარაკებას ნიკოლოზ ქარცივაძე აწარმოებდა, ეროვნულ-დემოკრატებიდან სპირიდონ კედია (მისი დაპატიმრების შ ემდეგ — იასონ ჯავახიშვილი), სოციალისტ-ფედერალისტებიდან გრიგოლ რცხილაძე, სოციალისტ-რევოლუციონერებიდან იოსებ გობეჩია, დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატებიდან მუხრან ხოჭოლავა .** პარტიებს შორის გამიზნული მოლაპარაკებები და შეხვედრები საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის შექმნით დამთავრდა, რაც ფრიად მნიშვნელოვანი წარმატება იყო საერთო ეროვნულ-განმანთავისუფლებელი წინააღმდეგობის პროცესში.

4 საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი და მისი საქმიანობა 1924 წლის აგვისტოს ეროვნულ აჯანყებამდე.

ქართულ პოლიტიკურ პარტიებს შორის დაწყებული მოლაპარაკებები საერთო მიზნის გარშემო ორგანიზაციული გაერთიანების შესახებ წარმატებით დასრულდა. საერთო მიზნის მისაღწევად საქართველოს ხუთი წამყვანი პოლიტიკური პარტია გაერთიანდა: **საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია (მენშევიკები), საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტური პარტია, საქართველოს სოციალისტრევოლუციონერთა (ესერთა) პარტია და საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას ჩამოშორებული ჯგუფი „სხიველები“ (დამოუკიდებელი სოციალდემოკრატები). ამ პოლიტიკურმა პარტიებმა 1922 წლის აგვისტოში საფუძველი ჩაუყარეს ინტერპარტიულ ორგანიზაციას საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს („დამკომს“) იგივე პარიტეტულ კომიტეტს.**

ხუთ ქართულ პოლიტიკურ პარტიას შორის დადებული შეთანხმების ტექსტი შემდეგი შინაარსის იყო: „1 დაარსდეს „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“, აღნიშნულ პარტიათა თითო წარმომადგენლისაგან. კომიტეტს დაევალოს გაერთიანება და საერთო ხელმძღვანელობა საქართველოს გასათავისუფლად მიმართული მთელი მუშაობისა. შენიშვნა: კომიტეტში ყველა საკითხი წყდება შეთანხმებით. 2 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უცხოეთში მყოფი კანონიერი მთავრობა განაგრძობს თავის მუშაობას მიმართულს დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ. 3 დამოუკიდებლობის კომიტეტი მხარს უჭერს მთავრობის ამ მუშაობას, მთავრობა კი თავის მხრივ არ სდგამს მნიშვნელოვან პოლიტი-

კურ, ახალი ურთიერთობის შემქმნელ ნაბიჯს დამოუკიდებლობის კომიტეტის დაუდასტურებლად. 4 მთავრობა ვალდებულია მიაწოდოს ნივთიერი საშვალებანი მხოლოდ დამოუკიდებლობის კომიტეტს ეროვნული მუშაობის საწარმოებლად იმ ქონებიდან და თანხებიდან, რომელიც საქართველოს რესპუბლიკას ეკუთვნის ან რომლის გამო რესპუბლიკა პასუხისმგებელია. შენიშვნა: მთავრობასა და დამოუკიდებლობის კომიტეტს შორის არსებობს ურთიერთ ფინანსური ანგარიშ-ვალდებულება და კონტროლი. 5 გარდამავალ ხანაში მთავრობის ფუნქციების შესრულება მიენდოს დროებით მმართველობას, რომელსაც შეადგენს დამოუკიდებლობის კომიტეტი კოალიციის საფუძველზე, ყველა შეთანხმებულ პარტიათა წარმომადგენლებისგან იმ აუცილებელი პირობით, რომ არც ერთ პარტიას მმართველობაში ერთ მესამედზე მეტი ადგილი არ ქონდეს. 6. დროებითი მმართველობა დემოკრატიულ რესპუბლიკას და მის კონსტიტუციას აღდგენილად აცხადებს. 7 ადგილობრივი ხელისუფლების (თვითმმართველობის) ორგანოები ეწყობიან დროებითი მმართველობის პრინციპით და პროპორციით. განაპირა კუთხეებში (აფხაზეთში, ბათუმსა და მის ოლქში, ბორჩალოს და ახალციხე-ახალქალაის მაზრებში), ხელისუფლების შექმნის საკითხი რჩება ღიათ და გადაწყდება დროებითი მმართველობის მიერ. შენიშვნა: დროებით მმართველობას უფლება აქვს გამოსცეს განსაკუთრებული დადგენილება საერთოდ ადგილობრივ ხელისუფლების შედგენის შესახებ. 8 დამფუძნებელი კრება იკრიბება პირველ შემთხვევისთანავე და ადასტურებს დროებით მმართველობას. 9 მთავრობა ჩამოსვლისთანავე წარუდგება დამფუძნებელ კრებას მოხსენებით და გადადგება. ასევე მოიქცევა და ამავე დროს გადადგება დროებითი მმართველობა. ამის შემდეგ დამფუძნებელი კრება ადგენს კოალიციონურ მთავრობას იმავე

პრინციპით, როგორც დროებითი მმართველობა. 10 დამფუძნებელი კრება უხსნის კრედიტს მთავრობას, იმუშავებს კანონს ერთიანი სამხედრო სისტემის შესახებ, ირჩევს საგანგებო, საგამომძიებლ პარიტეტულ კომისიას საქართველოს დამარცხების მიზეზების გამოსარკვევად, ირჩევს საარჩევნო პარიტეტულ კომიტეტს და იშლება. 11 არა უადრეს ორი თვისა, დამფუძნებელი კრების დაშლის შემდეგ, ან არა უგვიანეს ოთხი თვისა ხდება საქართველოს პარლამენტის არჩევნები. ჩანართი-ეს პრინციპი , რომელიც ითვალისწინებდა საქართველოს დამფუძნებელი კრების დაშლას საქართველოს ახალი პარლამენტის არჩევნების ჩატარებამდე და მის პირველ შეკრებამდე ჩვენი გადმოსახედიდან იყო პრინციპულად და კატეგორიულად არამართებული და მიუღებელი პოზიცია. დამფუძნებელი კრება, ვითარცა საყოველთაო დემოკრატიული კენჭისყრით არჩეული უმაღლესი წარმომადგენლობითი ლეგიტიმური საპარლამენტო ხელისუფლება არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაშლილიყო, ის უნდა დაშლილიყო მხოლოდ ახალი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების შემდეგ, ახალი პარლამენტის პირველსავე შეკრებისთანავე.

შეთანხმების ტექსტს ხელს აწერდნენ: სოციალ-დემოკრატებიდან - გიორგი (გოგიტა) ფაღავა, ეროვნულ-დემოკრატებიდან - იასონ ჯავახიშვილი, სოციალისტფედერალისტებიდან - გრიგოლ რცხილაძე, სოციალისტ-რევოლუციონერებიდან-იოსებ გობეჩია, დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატებიდან - მუხრან ხოჭოლავა.

პოლიტიკურ პარტიებს შორის მიღწეული შეთანხმების მიხედვით საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტში (პარიტეტულ კომიტეტში) შემავალი ყველა პოლიტიკური პარტია თანაბარუფლებიანი იყო. მოსახლეობაში პარტიის გავლენას არანაირი ყურადღება არ ექცეოდა. დამკომში დასმული ნებისმიერი საკითხი

დღის წესრიგიდან იხსნებოდა, თუ დამკომის ერთი წევრი წინააღმდეგი აღმოჩნდებოდა. გარდა ამისა, დამკომში შემავალ არცერთ პოლიტიკურ პარტიას არ ჰქონდა უფლება, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ნაბიჯი დამკომთან შეთანხმების გარეშე გადაედგა. თუ დამკომი წინააღმდეგი აღმოჩნდებოდა, მაშინ პარტიას ეს საკითხი დღის წესრიგიდან უნდა მოეხსნა .თბილისში მიღწეული შეთანხმების ტექსტი ესერ იოსებ გობეჩიას ხელით საზღვარგარეთ მყოფ ნოე ჟორდანიას მთავრობას გაეგზავნა.

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის პირველი შემადგენლობა ასეთი იყო: სოციალ-დემოკრატებიდან დამკომში შევიდა გიორგი (გოგიტა) ფაღავა, ეროვნულ-დემოკრატებიდან - იასონ ჯავახიშვილი, სოციალისტფედერალისტებიდან - გრიგოლ რცხილაძე, სოციალისტ-რევოლუციონერებიდან -იოსებ გობეჩია, დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატებიდან -მუხრან ხოჭოლავა. შესაბამისად დამკომის პირველი თავმჯდომარე გოგიტა ფაღავა გახდა, ხოლო მდივანი იასონ ჯავახიშვილი.

მოგვიანებით საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტში გარკვეული ცვლილებები მოხდა. დამკომში სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი გოგიტა ფაღავა 1922 წლის აგვისტოშივე ნიკოლოზ ქარცივაძემ შეცვალა. შესაბამისად დამკომის თავმჯდომარე ნიკოლოზ ქარცივაძე გახდა. ნიკოლოზ ქარცივაძე დამკომს 1922 წლის აგვისტოდან 1923 წლის მარტამდე თავმჯდომარეობდა. 1923 წლის მარტში ქარცივაძე დააპატიმრეს. 1923 წლის მარტიდან დამკომის თავმჯდომარე სოციალ-დემოკრატი კონსტანტინე (კოტე) ანდრონიკაშვილი გახდა. კოტე ანდრონიკაშვილი დამკომს 1924 წლის აჯანყების დამარცხებამდე თავმჯდომარეობდა.

კოტე ანდრონიკაშვილმა დამკომში შემავალ პარტიებთან მოლაპარაკებები დაიწყო. სოციალისტ-ფედ-

ერალისტებს ანდრონიკაშვილმა **გედეონ სვანიძე** მიუგზავანა. სოციალისტ-ფედერალისტებმა და სოციალისტრევოლუციონერებმა დამკომში თავიანთი წარმომადგენლები გამოგზავნეს. 1922 წლის დეკემბერში **მუხრან ხოჭოლავას** გარდაცვალების შემდეგ დამოუკიდებელ სოციალდემოკრატებს დამკომში წარმომადგენელი არ გაუგზავნიათ. სოციალისტ-ფედერალისტი **გრიგოლ რცხილაძე** დამკომიდან 1923 წლის თებერვალში გავიდა. გ. რცხილაძის დამკომიდან გასვლა გამოიწვია დამკომის ერთ-ერთ სხდომაზე აჯანყების საკითხის დასმამ. რცხილაძე აჯანყების წინააღმდეგი იყო, რის გამოც მან პროტესტის ნიშნად სხდომა და შესაბამისად დამკომი დატოვა. 1924 წლის თებერვალში სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიამ დამკომში **სამსონ დადიანი** გააგზავნა. კ. ანდრონიკაშვილმა ს. დადიანს „შეთანხმების ტექსტი გააცნო. ამასთანავე, ამ სხდომაზე კ. ანდრონიკაშვილმა საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა.

1924 წლის ივლისის თვეში გამართულ დამკომის მორიგ სხდომაზე კოტე ანდრონიკაშვილმა კვლავ გააცნო წევრებს საერთაშორისო მდგომარეობა. ამასთანავე, მან განაცხადა, რომ საქართველოს საკითხი ევროპაში ძალიან პოპულარული იყო. სხდომის ბოლოს ანდრონიკაშვილმა შეიარაღებული აჯანყების საკითხი დასვა და, თავის მხრივ, დაასაბუთა თუ რატომ იყო პირადად იგი და სოციალ-დემოკრატიული პარტია აჯანყების მომხრე. ანდრონიკაშვილის პოზიცია ეროვნულ-დემოკრატებმა გაიზიარეს. **სამსონ დადიანმა** შეიარაღებული აჯანყების საკითხთან დაკავშირებით თავისი უარყოფითი დამოკიდებულება კიდევ ერთხელ გამოხატა და დამკომიდან გასვლით დაიმუქრა, თუ აჯანყების საკითხი დღის წესრიგიდან არ მოიხსნებოდა. სოციალისტ-რევოლუციონერების წარმომადგენელი აჯანყების იდეას **მიემხრო. სამსონ დადიანმა სხდომის მონაწილეებს განუცხადა, რომ ის დამკომიდან სოციალისტფედერალისტების გასვლის შესახებ დეკლარაციას გამოაქვეყნებდა. ამ სიტყვე-**

ბის შემდეგ სამსონ დადიანმა დამკომი 1924 წლის 18-19 აგვისტოს დატოვა. სოციალისტ-რევოლუციონერი **იოსებ გობეჩია** დამკომში **მიხეილ ბოჭორიშვილმა** შეცვალა, რომელიც დამკომში 1924 წლის აჯანყების დამარცხებამდე მუშაობდა. **მოგვიანებით დამკომში პოლიტიკურ პარტიებს შორის მიღწეული შეთანხმება შეიცვალა და კენჭისყრის დროს „ვეტოს გამოყენების უფლება გაუქმდა. ამიერიდან საკითხები ხმათა უმრავლესობით წყდებოდა.**

კონსტანტინე ანდრონიკაშვილის თავმჯდომარეობის დროს დამკომმა საზღვარგარეთიდან 10 000 ლირა მიიღო (ორჯერ 5000-5000 ლირა). საზღვარგარეთიდან გამოგზავნილ ფულს **გოგიტა ფაღავა** ღებულობდა. ეს ფული ორგანიზაციულ მუშაობას ხმარდებოდა. საზღვარგარეთიდან გამოგზავნილი ფულის ნაწილს დამკომი **ქაქუცა ჩოლოყაშვილს** უგზავნიდა. საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა საფინანსო კომისია, წითელი ჯვრის კომისია, სარედაქციო კომისია და „გაერთიანებული სამხედრო ცენტრი ჩამოაყალიბა.

სამხედრო ცენტრის შექმნის ისტორია ასეთია: საბჭოთა რუსეთის მიერ საართველოს დაპყრობის შემდეგ ქვეყნის ტერიტორიაზე რამდენიმე სამხედრო ორგანიზაცია შეიქმნა: **1 ქაქუცა ჩოლოყაშვილის სამხედრო ორგანიზაცია 2 ოფიცერთა და ჯარისკაცთა სამხედრო კომიტეტი, რომელსაც გიორგი მაზნიაშვილი მეთაურობდა 3 აჯანყებულთა რაზმების კომიტეტი 4 საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული სამხედრო ორგანიზაცია 5 ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული სამხედრო ორგანიზაცია.**

დამკომის შექმნის შემდეგ ყველა ამ ორგანიზაციის გაერთიანების საკითხი დაისვა, რის შემდეგაც, 1922 წლის აგვისტო-სექტემბრისთვის გაერთიანებული სამხედრო ცენტრი შეიქმნა. სამხედრო ცენტრში სო-

ციალ-დემოკრატებს და სოციალისტ-ფედერალისტებს **გენერალი ვარდენ წულუკიძე** წარმოადგენდა, ეროვნულ-დემოკრატებს **გენერალი კონსტანტინე (კოტე) აფხაზი.** სამხედრო ცენტრის დაზვერვას პოლკოვნიკი **ივანე ნარიკელაძე** განაგებდა. დამკომი სამხედრო ცენტრს საჭირო ინფორმაციებს აწვდიდა, ეს უკანასკნელი კი მათ ამუშავებდა. სამხედრო ცენტრი ადგილებზე საქართველოს სხვადასხვა რაიონში ფილიალების შექმნას შეუდგა. საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტში პოლიტიკური და სამხედრო ორგანიზაციების კონსოლიდირებული დიფერენციაცია მიუთითებდა იმჟამინდელ განმანთავისუფლებელ ბრძოლებში პროგრესული დემოკრატიული ცნობიერებისა და აზროვნების არსებობაზე. **განსაკუთრებით ფშავხევსურეთის პერსპექტიული ეროვნული აჯანყების დამარცხების შემდგომ ემიგრანტულ გაკოალიცირებულ მთავრობას, ასევე კოალიციურ სანყისებზე შემდგარ საზღვარგარეთის პოლიტიკურ ცენტრსა და დამოუკიდებლობის პარიტეტულ კომიტეტს ქართველი ერის წინაშე თავისი არსებობა უნდა გაემართლებინა რეალურად დიდი და ძლიერი ეროვნული აჯანყების მომზადებითა და წარმატებული განსრულებით, საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დასაბრუნებლად.**

საქართველოს საგანგებო კომისიამ და ამიერკავკასიის საგანგებო კომისიამ მოიპოვეს ინფორმაცია გაერთიანებული სამხედრო ცენტრის შესახებ, რის შემდეგაც სამხედრო ცენტრის 15 ოფიცერი დააპატიმრეს და 1923 წლის 21 მაისს დახვრიტეს, ძებნილებად კი გამოაცხადეს: **ვასილ კობიაშვილი (ეროვნულ-დემოკრატი), ვასილ (ვასო) ზანდუკელი, სამსონ ერისთავი, ნიკოლოზ ზაქარიას ძე კეცხოველი (ეროვნულ-დემოკრატი), მიხეილ მილითაური, გერასიმე ნინიძე (სოციალდემოკრატი), ილია მაისურაძე (სოციალ-დემოკრატი), ივანე ლოლუა, იასონ ჯავახიშვილი (ეროვნულ-დემოკრატი), სამსონ დადიანი (სოციალისტფედერალისტი), ბიქტორ**

ელისაბედაშვილი (სოციალ-დემოკრატი), გიორგი კლიმიაშვილი (ეროვნულ-დემოკრატი), შალვა ამირეჯიბი (ეროვნულ-დემოკრატი), ნიკოლოზ ანდროს ძე კაიშაური, მიხეილ იშხნელი (ეროვნულ-დემოკრატი), ირაკლი ცაგურია (ეროვნულ-დემოკრატი), შალვა ჭუმბურიძე (სოციალ-დემოკრატი), გიორგი წინამძღვრიშვილი (ეროვნულ-დემოკრატი), ნიკიფორე იმნაიშვილი(დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატი), იოსებ ცინცაძე (სოციალ-დემოკრატი), გიორგი (გოგიტა) ფაღავა (სოციალ-დემოკრატი), ნოე ხომერიკი (სოციალდემოკრატი), შალვა ქარუმიძე (ეროვნულ-დემოკრატი), სიმონ ყიფიანი (ეროვნულდემოკრატი), დავით ვლადიმერის ძე ვაჩნაძე (ეროვნულ-დემოკრატი), გიორგი ფურცელაძე (სოციალისტ-ფედერალისტი), ელიზბარ ჭიჭინაძე (სოციალ-დემოკრატი), ვალიკო ჯუელი (სოციალ-დემოკრატი), გიორგი ამილახვარი, იოსებ მაჭავარიანი (ეროვნულ-დემოკრატი), ილია ჩაჩიბაია (სოციალ-დემოკრატი), პართენ გოთუა (ეროვნულ-დემოკრატი), დიმიტრი დუმბაძე (ეროვნულ-დემოკრატი), აკაკი ჯიბლაძე (სოციალ-დემოკრატი), ვლადიმერ ალექსანდრეს ძე ცაგარელი (სოციალისტფედერალისტი), აპოლონ სიმონის ძე ნიკოლაძე, არჩილ არაბიძე (სოციალდემოკრატი), ალექსანდრე ვასილის ძე ახმეტელი, აბესალომ შალამბერიძე (სოციალდემოკრატი), ნიკოლოზ ციციშვილი, ვარლამ რუხაძე (სოციალ-დემოკრატი), კირილე ნინიძე, მიხეილ იასონის ძე ლაშხი (სოციალ-დემოკრატი), გრიგოლ ტიმოთეს ძე გიორგაძე (დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატი), მიხეილ შავდია და სხვები.

საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებით ვაკის პარკის ტერიტორიაზე 1923 წლის 21 მაისს, დახვრიტეს სამხედრო ცენტრის შემდეგი წევრები-- ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, ვარდენ წულიკიძე, გიორგი ხიმშიაშვილი , როსტომ მუსხელიშვილი, კონსტანტინე(კოტე) აფხაზი, ნიკოლოზ ზანდუკელი ,სი-

მონ ბაგრატიონ-მუხრანელი, ფარნაოზ ყარალაშვილი, იასონ კერესელიძე, ივანე ქუთათელაძე, სიმონ ჭიაბერაშვილი, ალექსანდრე მაჭავარიანი, ელიზბარ გულისაშვილი, ლევან კლიმიაშვილი, დიმიტრი ჩრდილელი .

ამის შემდეგ სამხედრო ცენტრმა მუშაობა შეწყვიტა. სამხედრო ცენტრის ფუნქციები ე. წ. სამხედრო კომისიამ იკისრა.

სამხედრო კომისია შეიქმნა სოციალ-დემოკრატ **ნოე ხომერიკის** (რომელიც საქართველოში 1922 წლის ნოემბერში ჩამოვიდა) და ეროვნულ-დემოკრატ **მიხეილ ჯავახიშვილის** (ცნობილი ქართველი მწერალი) შემადგენლობით. საქართველოს საგანგებო კომისიის მიერ მ. ჯავახიშვილის დაპატიმრების შემდეგ სამხედრო კომისიაში ეროვნულ-დემოკრატი **გიორგი წინამძღვრიშვილი** შევიდა. აღსანიშნავია, რომ საზღვარგარეთიდან **ნოე ხომერიკის** ჩამოსვლის შემდეგ დამკომი უფრო ქმედუნარიანი გახდა. ნოე ხომერიკმა დამკომის ერთ-ერთ სხდომაზე საქართველოს ემიგრანტული მთავრობისა და საზღვარგარეთის ბიუროს საქმიანობის შესახებ მოხსენება წაიკითხა. მისი თქმით, სწორედ მათი ეფექტური მუშაობის წყალობით, საქართველოს საკითხი ევროპაში უფრო პოპულარული გახდა. ნოე ხომერიკმა დამკომის სხდომაზე ასევე განაცხადა, რომ თუ **საქართველო აჯანყების შემდეგ შეძლებდა ძალაუფლების ხელში აღებას და მის შენარჩუნებას ერთი-ორი თვის განმავლობაში, მაშინ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების მხრიდან დიპლომატიური საშუალებებით და ფულადი სახსრებით დახმარება დიდი იქნებოდა.** "

დამკომის გააქტიურებული მუშაობა 1923 წლის 9 ნოემბერს ნოე ხომერიკის დაპატიმრებამ შეაფერხა. სამხედრო კომისიაში ხომერიკი **გოგიტა ფალავამ** შეცვალა. ამის შემდეგ სამხედრო კომისიამ თბილისში სპეციალური სამხედრო ქვეკომისია შექმნა საზღვარგარეთიდან ჩამოსული სოციალ-დემოკრატ **ნაპოლეონ კახიანისა და ეროვნულ-დემოკრატ სოლომონ ზალდასტანიშვი-**

ლის შემადგენლობით. კახიანის დაპატიმრების შემდეგ თბილისის სამხედრო ქვეკომისიაში **ვასილ (ვასო) ნოდია** შევიდა. **გოგიტა ფაღავას და გიორგი წინამძღვრიშვილის** დაპატიმრების შემდეგ თბილისის ქვეკომისიამ **ვასო ნოდიასა და სოლომონ ზალდასტანიშვილის** შემადგენლობით სამხედრო კომისიის ფუნქციები თავის თავზე აიღო.

მოგვიანებით დაპატიმრებული **ვასილ ნოდია** საზღვარგარეთიდან ჩამოსულმა **ვალიკო ჯუღელმა** შეცვალა. სამხედრო კომისია რეგიონებში არსებულ დამკომის სამხედრო ორგანიზაციებს ეყრდნობოდა, ხოლო იქ, სადაც ასეთი არ არსებობდა — სპეციალურ სამხედრო რწმუნებულებს. ეს რწმუნებულები იმ პირების აღრიცხვას ახორციელებდნენ, რომლებსაც აჯანყებაში მონაწილეობის მიღება შეეძლოთ. **სამხედრო კომისია მოსამზადებელი სამუშაოების დამთავრების შემდეგ აჯანყების საკითხს დამკომში სვამდა, გადაწყვეტილებას კი დამკომის გაფართოებული სხდომა იღებდა. აჯანყების თარიღის განსაზღვრა აჯანყების წინ დანიშნული მთავარსარდლისა და მისი შტაბის კომპეტენციას შეადგენდა.**

აღსანიშნავია, რომ პოლიტიკურ პარტიებს თავიანთი „სამხედრო კომისიები" ჰქონდათ. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ სამხედრო კომისიაში თავდაპირველად **ვასილ ნოდია და გოგიტა ფაღავა** შედიოდნენ, შემდეგ **გიორგი ჯინორია და კოტე ანდრონიკაშვილი.** საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სამხედრო კომისიაში თავიდან შედიოდნენ **დავით (დათა) ვაჩნაძე, ილიკო სიხარულიძე და სოლომონ ზალდასტანიშვილი,** მოგვიანებით **სოლომონ ზალდასტანიშვილი და გიორგი წინამძღვრიშვილი** .ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დაქვემდებარებაში მყოფი **ქაქუცა ჩოლოყაშვილის** რაზმი 1923 წლის დასაწყისიდან დამკომის განკარგულებაში გადავიდა. აქედან მოყოლებული დამკომი ქაიხოს-

რო ჩოლოყაშვილს ყოველთვიურად 300 ლირას უგზავნიდა. დამკომი ჩოლოყაშვილთან ურთიერთობას სამხედრო კომისიის მეშვეობით ანარმოებდა.

სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის სამხედრო კომისია ამავე პარტიის ახალგაზრდულ ორგანიზაციასთან არსებობდა. სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიას სამხედრო კომისია არ ჰქონდა. სოციალისტ-რევოლუციონერებმა მხოლოდ 1924 წლის აჯანყების წინ თბილისში „საგანგებო სამხედრო რაზმი შემნეს. დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას სამხედრო ორგანიზაცია არ შეუქმნია **დამკომთან არსებულ სარედაქციო კომისიას სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი დავით ონიაშვილი ხელმძღვანელობდა.** სარედაქციო კომისია დამკომის თავმჯდომარის მითითებებით დამკომის ბრძანებების, წერილების, პროკლამაციების გადამუშავებას ახორციელებდა. დავით ონიაშვილს დამკომის სხდომებზე დასწრების უფლება არჰქონდა.

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს რეგიონებში წარმომადგენლები, რწმუნებულები და კომისიები ჰყავდა. დამკომი რწმუნებულებს ისეთ დიდ რაიონებში ნიშნავდა, სადაც „პარიტეტული კომისიის“ შექმნა ვერ მოხერხდებოდა. ასეთი იყო ბათუმის ოლქი, სადაც დამკომის ერთადერთი სრულუფლებიანი წარმომადგენელი **გიორგი (გიზო) ანჯაფარიძე** იყო. საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტთან ტერორისტული ჯგუფი არსებობდა, რომელსაც **მიხეილ კოლუაშვილი ხელმძღვანელობდა. 1923 წლის 10 თებერვალს ამ ჯგუფმა ოზურგეთის მაზრის სოფ. ლიხაურში სამხედრო კომისარ ალექსანდრე ობოლაძეზე, წითელი ჯარის მეთაურებზე სანიკიძესა და ჩუბინიძეზე თავდასხმა განახორციელა, რის შედეგადაც სამივე ლიკვიდირებულ იქნა.**

მართალია საქართველოს საგანგებო კომისია თავისი აგენტურული ქსელის მეშვეობით იღებდა ინფორმაციებს 1924 წლის აჯანყების მზადების შესახებ და ამდენად „კარ-

გად" მუშაობდა, მაგრამ არანაკლებ კარგად მუშაობდნენ ეროვნულ-პატრიოტული ძალები. მათ ამიერკავკასიის საგანგებო კომისიაში თავიანთი კაცი **არჩილ ნიკოლოზის ძე კახიანი** ჰყავდათ. კახიანის გადაბირება **ნოე ხომერიკის** ინიციატივით მოხდა. ხომერიკი არჩილ კახიანის ბიცოლას, **ალექსანდრა ჯუღელს** დაუკავშირდა და თხოვა მას ეცადა კახიანის საზღაურის საფასურად გადმობირება. კახიანი ამ წინადადებას დათანხმდა და 1923 წლის ივნის-ივლისიდან ალექსანდრა ჯუღელისათვის ინფორმაციების მიწოდება დაიწყო. **1923 წლის აგვისტოში ნოე ხომერიკმა ალექსანდრა ჯუღელის მეშვეობით არჩილ კახიანს დაავალა გაერკვია შემდეგი: ვინ გასცა დამკომთან არსებული სამხედრო ცენტრი, მოეცა ყველა ცნობა, რომელიც გააჩნდა ინფორმატორებზე, მენშევიკების ცეკას წევრების (ხომერიკი, ციწცაძე, ფაღავა) რა მისამართები იყო ცნობილი ჩეკასთვის.**

1923 წლის ოქტომბერში ნოე ხომერიკმა არჩილ კახიანს ახალი დავალება მისცა. მას უნდა გაერკვია: იყო თუ არა ცნობილი ჩეკასთვის რომ მენშევიკები აგრძელებდნენ მუშაობას პარტიის მიერ სალიკვიდაციო კონფერენციის ჩატარების შემდეგ, გადაეცა ასლები დაპატიმრებულების ჩვენებების, მათ შორის ჭუმბურიძის ჩვენება, ინფორმატორების სია, რა ცნობები ჰქონდა ჩეკას ფედერალისტებზე და ეროვნულ-დემოკრატებზე, რა ხდებოდა აზერბაიჯანში, ცნობები მენშევიკების მუშაობაზე საზღვარგარეთ. დავალების მიცემიდან რამდენიმე დღეში არჩილ კახიანმა ალექსანდრა ჯუღელის მეშვეობით ნოე ხომერიკს გადასცა საზღვარგარეთ საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის სამი შეკრების ამსახველი დოკუმენტის ასლი და საგზაოსატრანსპორტო საგანგებო კომისიის თვიური მოხსენების ასლი. 1923 წლის ოქტომბერში ხომერიკმა არჩილ კახიანს დააცალა გაერკვია, თუ რა იცოდნენ საქართველოს საგანგებო კომისიაში საზღვარგარეთ მყოფ და საქართველოში დაბრუნებულ პოლიტიკურ მოღვაწეებზე. როგორც არჩილ კახიანმა გაარკვია, საქართველოს

საგანგებო კომისია ფლობდა ინფორმაციას საზღვარგარეთიდან ვალიკო ჯუღელის ჩამოსვლის შესახებ.

საქართველოს საგანგებო კომისიამ ნოე ხომერიკი 1923 წლის 9 ნოემბერს დააპატიმრა. დაპატიმრებისას ხომერიკს აღმოაჩნდა: სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს შესახებ ცნობები 1923 წლის 6 სექტემბრიდან 1923 წლის 30 სექტემბრამდე, ცნობები ვარშავიდან და საგზაო-სატრანსპორტო საგანგებო კომისიის პოლიტიკური განყოფილების 1923 წლის სექტემბრის თვის მოხსენება. ხომერიკს ასევე აღმოაჩნდა საზღვარგარეთიდან სპეციალურად მისთვის გამოგზავნილი წერილი. წერილში მას საქართველოს ემიგრაციაში მყოფი მთავრობის წარმომადგენლები წერდნენ:„გიგზავნით რადიო-აპარატს. თუ ეს აპარატი იმუშავებს, ჩვენ საშუალება გვექნება სამხედრო ცნობები შევკრიბოთ მთელ კავკასიაში, ჩვენი მიზნებისათვის ამას დაუფასებელი მნიშვნელობა ექნება. ნოე ხომერიკის დაპატიმრებისას აღმოჩენილმა მასალებმა **არჩილ კახიანის საქმიანობა გამოააშკარავა და 1923 წლის 10 ნოემბერს ის დააპატიმრეს.**პატიმრობაში აიყვანეს ასევე ალექსანდრა ჯუღელი. საქართველოს საგანგებო კომისიაში ხანგრძლივი დაკითხვების შემდეგ 1924 წლის მარტში ალექსანდრა ჯუღელი გაათავისუფლეს, **არჩილ კახიანი კი 1924 წლის 15 იანვარს, ღამის 1 საათზე დახვრიტეს.**

წარმოებული კონტრდაზვერვითი სამუშაოების შედეგად მოპოვებულ მასალებს საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი საზღვარგარეთ მყოფ საქართველოს ემიგრანტულ მთავრობას აწვდიდა. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით **გიორგი წინამძღვრიშვილი** აგროვებდა ცნობებს ქართული და რუსული წითელი არმიის რაოდენობის, მილიციისა და საგანგებო დანიშნულების ნაწილების მდგომარეობის შესახებ საქართველოში. ამ მიზნით, წინამძღვრიშვილს მაზრებში სათანადო რწმუნებულები ჰყავდა. დასავლეთ საქართველოში მსგავსი

ხასიათის ცნობებს „დასავლეთ საქართველოს კომიტეტი აგროვებდა.

საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარეს **სეით დევდარიანს** დაპატიმრებისას წითელი ჯარის დისლოკაციისა და რაოდენობის აღმნიშვნელი მასალები აღმოაჩნდა. **გოგიტა ფაღავას** დაპატიმრების დროს კონსტანტინოპოლიდან გამოგზავნილი წერილი უპოვეს, რომელსაც ხელს „დიმიტრი" აწერდა. წერილი 1923 წლის 5 სექტემბრით თარიღდებოდა. წერილში შემდეგი ფრაზა იყო: ამას გარდა მოგვანოდეთ სამხედრო ინფორმაცია. ფაღავას აღმოაჩნდა ასევე საზღვარგარეთიდან ფრანსუას მიერ გამოგზავნილი წერილი (1923 წლის 3 სექტემბრით დათარიღებული). ამ წერილში ავტორი იძლეოდა ცნობებს სამხედრო გადაჯგუფების შესახებ სარატოვ-ასტრახან-ბაქოს რეგიონებში და ითხოვდა ამ ცნობების გადამოწმებას.

საქართველოს საგანგებო კომისიას ხელში ჩაუვარდა საზღვარგარეთიდან საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელზე გამოგზავნილი წერილი, რომელიც 1924 წლის 5 ივლისით თარიღდებოდა. წერილში ითხოვდნენ: „რაც შეიძლება ჩქარა გვაცნობეთ რუსული ჯარის რეორგანიზაცია, მისი ძალები და ქართული ჯარის რაოდენობა". მეორე წერილში კი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ კომიტეტს კონსტანტინოპოლიდან წერდნენ: „გვაცნობეთ შემდეგი: გადავიდნენ ჩვენში სამილიციო სისტემაზე თუ არა, ან თუ რეგულარულ ნაწილებთან ერთად არსებობენ ტერიტორიალური ნაწილები. როდის და სად მოეწყვნენ და რამდენია რუსის ჯარი... ფრიად საჭიროა.

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი ჩრდილო კავკასიასთან და აზერბაიჯანთან დაკავშირება და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის შექმნა იყო. **სომხებმა შეთავაზებაზე უარი განაცხადეს.** 1923 წლის

მაისში საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ბაქოში **ევტიხი სალუქვაძე** მიავლინა, რათა მას მუსავატელებთან კავშირი დაემყარებინა.. სალუქვაძე მუსავატელების პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის **მირზა-ბალა-მამედ-ზადეს (მამედოვის) რწმუნებულს აღა-ალი იუსუფ-ზადეს შეხვდა. მამედ-ზადემ** თავის მხრივ **იუსუფ ზადეს** საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტთან კავშირის დამყარება დაავალა. 1923 წლის ნოემბერში ი. ზადე თბილისში ჩამოვიდა და გოგიტა ფაღავას შეხვდა, რომელმაც ის ნოე ხომერიკს შეახვედრა. **ხომერიკმა ი. ზადეს** შესთავაზა აზერბაიჯანს აჯანყებაში მონაწილეობა მიეღო, რომელიც ნ. ხომერიკის თქმით, საქართველოში 2-3 კვირის შემდეგ დაიწყებოდა. ი. ზადემ განაცხადა, რომ აზერბაიჯანს 6 თვეზე უფრო ადრე არ შეეძლო აჯანყებაში მონაწილეობის მიღება. ამასთანავე, ი. ზადემ ქართველებისგან მატერიალური დახმარება ითხოვა. ნ.ხომერიკი მას 300 თურქულ ლირას შეჰპირდა. **1923 წლის 9 ნოემბერს საქართველოს საგანგებო კომისიამ ნ. ხომერიკი დააპატიმრა, 1924 წლის თებერვალში დააპატიმრეს ე.სალუქვაძე და ი. ზადე, მოგვიანებით გოგიტა ფაღავა. ამის შემდეგ დამკომის კავშირი აზერბაიჯანთან გაწყდა.**

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა კავშირი დაამყარა ჩრდილო კავკასიასთან. **ჩრდილო კავკასიასთან კავშირის დამყარება პირველად ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელს უკავშირდება.** ჩოლოყაშვილს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა დაღესტნის განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერ **ნაჯბუდინ გაცინსკისთან.** 1923 წლის აგვისტოში ჩოლოყაშვილი 7-8 კაციან რაზმთან ერთად გაცინსკისთან შესახვედრად გაემართა. 1923 წლის ოქტომბრის პირველ რიცხვებში ჩოლოყაშვილი დაღესტნიდან ჩეჩნეთში, კონკრეტულად კი ტუმსოიში გადავიდა. ჩეჩნეთში ქაქუცამ გავლენიანი ბეგის **ათაბაი უმაევის** მეშვეობით **ალი მიტაევთან** (ჩეჩნეთის შეიხი) კონტაქტი დაამყარა. მიტაევი ქაქუცას კავკასიის მასშტაბით

აჯანყების მოწყობაში დახმარებას დაპირდა. ცოტა ხნის შემდეგ **ათაბაი უმაევმა ქაქუცას** აცნობა,რომ ჩეჩნეთში შეიარაღებული ქისტების რაზმი შეიქმნა, რომელიც კახეთში გადასასვლელად მზად იყო. მაგრამ ქისტების ეს რაზმი თუშებმა არ გამოატარეს,რადგან ქისტების მიერ მათი საქონლის გატაცების დიდი ალბათობა არსებობდა.

1923 წლის სექტემბერში სამხედრო კომისიის დავალებით (მაშინ მას ნოე ხომერიკი და გიორგი წინამძღვრიშვილი წარმოადგენდნენ) გიორგი წინამძვრიშვილი, კონსტანტინე ყარანგოზიშვილთან ერთად, ბაქოს გავლით ჩეჩნეთში ალი მიტაევთან გაემგზავრა. მიტაევი მზად იყო აჯანყებაში მიეღო მონაწილეობა და რამდენიმე ათასი მებრძოლიც გამოეყვანა, ოღონდ ის საქართველოდან 50 ოფიცრის ინსტრუქტორად გაგზავნას ითხოვდა. **წინამძღვრიშვილმა ყარანგოზიშვილი** ჩეჩნეთში დატოვა, თვითონ კი ათი დღის შემდეგ საქართველოში დაბრუნდა. საქართველოში დაბრუნებულმა წინამძღვრიშვილმა ჩრდილო კავკასიაში მოგზაურობის ანგარიში **ნოე ხომერიკს** გააცნო, ამ უკანასკნელმა **კოტე ანდრონიკაშვილს.** დამკომმა მოისმინა წინამძღვრიშვილის მოგზაურობის ანგარიში და გადაწყვიტა ჩრდილოეთ კავკასიასთან კავშირი შეენარჩუნებინა. რაც შეეხება ჩრდილოეთ კავკასიაში 50 ქართველი ოფიცრის გაგზავნას, უსახსრობის გამო ეს ვერ ხერხდებოდა.

მოგვიანებით საქართველოში ერთი ჩეჩენი ჩამოვიდა, რომელმაც ყარანგოზიშვილის წერილი ჩამოიტანა. **კონსტანტინე ყარანგოზიშვილი** ჩეჩნეთში 50 ქართველი ოფიცრის გაგზავნის დაჩქარებას ითხოვდა. 1923 წლის მიწურულს საქართველოდან ჩეჩნეთში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი **ლეო დგებუაძე** გაიგზავნა, რომელსაც ჩეჩნეთზე და მის მეზობლებზე მასალების შეგროვება დაევალა. დგებუაძე საქართველოში 1924 წლის იანვრის დამდეგს დაბრუნდა. მისი თქმით, **ალი მიტაევმა** უკვე გააბა კავშირი კაზაკებთან ვინმე გენერალ ფედიუშკინის მეშვეობით.

მოგვიანებით სამხედრო კომისიის წინადადებით (მაშინ მას **გოგიტა ფაღავა და გიორგი წინამძღვრიშვილი** წარმოადგენდნენ) ჩეჩნეთში **მიხეილ იშხნელი** გაემგზავრა. 1924 წლის თებერვლის შუა რიცხვებისათვის მ. იშხნელმა ჩეჩნეთიდან საქართველოში ვიღაც ჩეჩენის ხელით წერილი გამოაგზავნა. ამ წერილით იგი საქართველოდან სათანადო ინფორმაციების მიწოდებას ითხოვდა. სწორედ ამ დროს საქართველოს საგანგებო კომისიამ **გიორგი წინამძღვრიშვილი** დააპატიმრა, რის გამოც ჩეჩენი ფაქტიურად საქართველოდან უპასუხოდ წავიდა.

წინამძღვრიშვილის დაპატიმრების შემდეგ მალე ჩეჩნეთიდან საქართველოში იშხნელი დაბრუნდა,რომელმაც ჩეჩნეთთან კავშირის შენარჩუნების მიზნით თან ერთი ჩეჩენი ჩამოიყვანა. დამკომის მიერ **1924 წლის თებერვლისათვის დანიშნული აჯანყება გოგიტა ფაღავასა და გიორგი წინამძღვრიშვილის დაპატიმრების გამო გადაიდო.** ამიტომ დამკომი ცდილობდა ჩრდილო კავკასიასთან კავშირი შეენარჩუნებინა. 1924 წლის 14 აგვისტოს დამკომმა ყალბი პასპორტებით ჩეჩნეთში ეროვნულ-დემოკრატი **ივანე ავალიშვილი** (ზურაბ ავალიშვილის ძმა), ეროვნულ-დემოკრატი **ვლადიმერ ბერიძე და ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ნაკაშიძე** გააგზავნა. მათ დამკომმა სახარჯო ფული 500-700 მანეთი გამოუყო. ამ ჯგუფმა გროზნოში ჩასვლის შემდეგ გაიგო, რომ **ალი მიტაევი** დაპატიმრებული იყო. ამის შემდეგ ჩრდილო კავკასიასთან კავშირი შეწყდა. ასე რომ, საქართველო იძულებული იყო 1924 წლის აჯანყება მხოლოდ საკუთარი ძალებით დაეწყო.

ამ მუშაობის პარალელურად საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი ცდილობდა საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერა მოეპოვებინა. **ამ მიზნით დამკომმა 1923 წლის 26 მაისს ერთა ლიგას წერილი გაუგზავნა** (წერილის ასლი გაეგზავნა ასევე ევროპის სოციალისტურ პარტიებს, ამსტერდამის ინტერნაციონალს და ევროპის სახელმწიფოების მთავრობებს). გთავა-

ზობთ ამ წერილის ტექსტს-ქართველი ერის სახელით, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი, რომლის გარშემო ადგილობრივ შემოკრებილია დღეს მრავალტანჯული ქართველი ერი, მიმართავს ერთა ლიგას და მისი საშუალებით მთელ განათლებულ კაცობრიობას და აუწყებს მათ ქართველი ერის დღევანდელ უბედურ მდგომარეობას. ჩვენს მიერ აღწერილი სურათი ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობისა იქნება მკრთალი, რადგან შეუძლებელია სიტყვით გადმოცემა იმ ვაების, იმ წამებისა, რომელსაც დღეს განიცდის საქართველო...1921 წლის თებერვალში რუსის ჯარი მოულოდნელად შემოესია ჩვენს საქართველოს... რუსეთმა ის კვლავ დაიპყრო. დღეს საქართველო კვლავ რუსეთის ოკუპაციის ქვეშაა. ეს ოკუპაცია- დაპყრობა არ შეედრება არც ერთ ისტორიაში არსებულ ეროვნულ ძალდატანებას და დაპყრობას... საქართველოში გამეფდა უსაშინელესი კულტურული და ფიზიკური ტერორი. დღეს საქართველოს განაგებს რუსეთის ჩეკა და დამსჯელი რაზმები... საქართველო სასაკლაოდ არის გადაქცეული. ნადგურდება და ისპობა პატარა კულტურული ერი. ვფიქრობთ, რომ ერთა ლიგა აიმაღლებს თავის ავტორიტეტულ ხმას ამ ბარბაროსობის წინააღმდეგ... რუსეთის ჩეკამ და დამსჯელმა რაზმებმა ამ ორი წლის განმავლობაში ააოხრეს, ცეცხლს და მახვილს მისცეს საქართველოს მთელი ოლქები: კახეთი, სვანეთი,გურია. ამ ორი თვის წინათ გურია, საქართველოს ეს საუკეთესო და კულტურული ნაწილი, სამხედრო ექსპედიციებმა მთლად გაანადგურეს. აქ ჩეკამ გაგზავნა დამსჯელი რაზმების მეთაურად ყოფილი ყაჩაღი, ახლა ბოლშევიკი ობოლაძე. ობოლაძემ გადასწვა მთელი სოფლები, დახვრიტა უდანაშაულო ხალხი, ცეცხლში დაწვა ახალგაზრდა უდანაშაულო 15 წლის ვაჟი. ეს ვერაგი მოკლეს და ამ მკვლელობას დამპყრობლებმა იმით უპასუხეს, რომ ერთ ღამეში 92 კაცი გამოიყვანეს თბილისის ციხიდან და დახვრიტეს, მათ შორის 15 პოლიტიკური მოღ-

ვაწე, მასწავლებლები, სტუდენტები, კოოპერატორები, მუშები, გლეხები... ამა წლის 20 მაისს რუსეთის ჩეკამ გაუსამართლებლად დახვრიტა 15 ქართველი მხედარი. ქართველი მხედრობის ხელმძღვანელნი — გენერლები, შტაბის ოფიცრები, სახელგანთქმული მეომრები და პოლიტიკური მოღვაწენი... ისპობა და ნიავდება საუკუნეობით შექმნილი კულტურული ნაშთები. საქართველოში არ გაისმის არა თუ თავისუფალი სიტყვა და აზრი, მორწმუნე ხალხს ლოცვაც აღარ შეუძლია. ბოლშევიკურმა რუსეთმა დაანგრია და გაანადგურა ეკლესია-მონასტრები... საშუალო საუკუნეების ინკვიზიცია არარაა იმ წამებასთან,რომელსაც ოკუპანტები აყენებენ მუშებსა და გლეხებს... მაგრამ ქართველი ერი შეგნებულად ებრძვის დამპყრობელთ და იცავს თავის კულტურას და დამოუკიდებლობას. ერთა ლიგისადმი მიმართვა ქართველი ერისათვის არის ერთი ამ საშუალებათაგანი... ისმინეთ ხმა კულტურული პატარა ერისა. ეს ერი იჟლიტება ფიზიკურად, ისპობა მისი კულტურა, ინგრევა მისი კულტურული კერა. საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს იმედი აქვს, რომ ერთა ლიგა — ეს სამართლიანობის უაღრესი ორგანო, მიიღებს ყოველგვარ ზომებს ქართველი ერის გადასარჩენად და მისი დამოუკიდებლობის აღსადგენად.

აღნიშნული წერილი **კონსტანტინე ანდრონიკაშვილმა** შეიმუშავა და რედაქტირებისთვის ის **დავით ონიაშვილს** გადასცა. ონიაშვილმა რედაქტირების შემდეგ წერილი წასაკითხად **იასონ ჯავახიშვილსა და მიხეილ ბოჭორიშვილს** გადასცა. სოციალისტ-ფედერალისტები და დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატები წერილზე ხელმოსაწერად არ გამოცხადნენ .

1924 წლის მაისში საზღვარგარეთიდან თბილისში ვასილ (ვასო) ნოდია, ვალიკო ჯუღელი, ბენიამინ (ბენია) ჩხიკვიშვილი, ვლასა მგელაძე, ვასილ ცინცაბაძე და ბიქტორ ცენტერაძე ჩამოვიდნენ. მათ შემდეგი სახის ინფორმაცია ჩამოიტანეს: „საერთაშორისო მდგომარეო-

ბა ხელს უწყობს აჯანყების დაწყებას და თუ ვინიცობაა აჯანყება დამარცხდეს, მაშინ მოძრაობა პროვინციებში უნდა გაგრძელდეს, რომ ამით პარიზში მყოფმა გაერთიანებულმა ცენტრმა შესძლოს ზოგიერთ მეგობრულად განწყობილ სახელმწიფოსთან დიპლომატიური წესით მოაგვაროს საქართველოს საკითხი რუსებთან. **საქართველოს ემიგრანტული მთავრობა ვალიკო ჯუღელზე დიდ იმედს ამყარებდა. მას მალულად დაამთავრებინეს პარიზში სენ-სირის სამხედრო სკოლა. სწორედ ვალიკო ჯუღელი უნდა ჩადგომოდა სათავეში აჯანყებას სამხედრო თვალსაზრისით .**

1924 წლის ზაფხულში დამკომმა **ნოე ჟორდანიასაგან** სადირექტივო წერილი მიიღო. ეს წერილი **ვლასა მგელაძემ** ჩამოიტანა, რომელიც შემდეგ **ბენია ჩხიკვიშვილს** დაპატიმრებისას აღმოუჩინეს ამ წერილში ნ. ჟორდანია დაწვრილებით მიმოიხილავდა საქართველოში აჯანყების საკითხს და მეზობლებთან (ჩრდილო კავკასია, აზერბაიჯანი) დამოკიდებულებას. თუმცა ეს წერილი საქართველოს საგანგებო კომისიას ჩაუვარდა ხელში. საქართველოში აჯანყების თარიღის დანიშვნა დამკომისა და მთავარსარდლის კომპეტენცია იყო. აჯანყების მთავარსარდლად **სპირიდონ ჭავჭავაძე** დაინიშნა. მთავარსარდლის დასახმარებლად ორი პოლკოვნიკი გამოყვეს. დამკომის გადაწყვეტილებით აჯანყება საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო მდგომარეობის გართულებას უნდა დამთხვეოდა

საერთაშორისო ვითარების გასარკვევად დამკომმა საზღვარგარეთ **ვასო ნოდია** გაგზავნა. ნოდიამ საზღვარგარეთიდან ჩამოიტანა პასუხი,რომ საერთაშორისო სიტუაცია აჯანყების დასაწყებად ხელსაყრელი იყო. საზღვარგარეთიდან მიღებული ინფორმაციების გათვალისწინებით დამკომმა საქართველოში აჯანყება 1924 წლის თებერვლისათვის დანიშნა. მაგრამ **1923 წლის 9 ნოემბერს საქართველოს საგანგებო კომისიამ ნოე ხომერიკი დააპატიმრა, 1924 წლის**

24 იანვარს — გოგიტა ფაღავა , ამიტომ, დამკომი იძულებული გახდა აჯანყების თარიღი გადაეწია.

დამკომისა და სამხედრო კომისიის პირველი ერთობლივი სხდომა 1924 წლის ივლისის დასაწყისში ჩატარდა. სხდომას ესწრებოდნენ: კონსტანტინე ანდრონიკაშვილი, იასონ ჯავახიშვილი, მიხეილ ბოჭორიშვილი, ვალიკო ჯუღელი, სოლომონ ზალდასტანიშვილი და შალვა ამირეჯიბი. სამხედრო კომისიის მოხსენება ს. ზალდასტანიშვილმა წაიკითხა, რომელიც შემდეგში მდგომარეობდა: აჯანყების მოწყობას აღმოსავლეთ საქართველოში თავის თავზე ქაქუცა ჩოლოყაშვილი იღებდა, რომლის განკარგულებაში 700 შეიარაღებული მებრძოლი იყო. ჩოლოყაშვილს უნდა აეჯანყებინა კახეთი, დუშეთის მაზრა და მანგლისის რაიონი. გარე კახეთში აჯანყებისათვის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას უნდა ეხელმძღვანელა. გურიას (ძირითადად სოციალ-დემოკრატებს) 700 შეიარაღებული უნდა გამოეყვანა, სვანეთს 600, სამეგრელოს რამდენიმე ასეული. სვანეთისა და სამეგრელოს შეიარაღებულ ძალებს აფხაზეთი უნდა დაეკავებინათ. იმერეთში ძირითადად იმედები შორაპნისა და ქუთაისის მაზრებზე იყო დამყარებული. აჯანყების გეგმაში შედიოდა მთავრობის იარაღის საწყობების ხელში ჩაგდება, ამ იარაღების გადაცემა მოსახლეობისათვის და ამით აჯანყების კიდევ უფრო გაფართოება. თბილისში 500 შეიარაღებული მებრძოლი უნდა გამოეყვანათ სოციალ-დემოკრატებს, ეროვნულდემოკრატებს 150, სოციალისტ-რევოლუციონერებს 60. საბჭოთა სამთავრობო ჯარების რაოდენობა (რუსული წითელი არმია და წითელი არმიის ქართული ნაწილები),სოლომონ ზალდასტანიშვილის ინფორმაციით, 15/16 ათასს აღწევდა. ამ რიცხვში ჩეკას რაზმები და ადგილობრივი მრავალრიცხოვანი მილიცია არ იგულისხმებოდა. სხდომაზე აღინიშნამ რომ რეგულარი სამხედრო შენაერთების გარდა ბოლშევიკ აგრესორრენეგატებს ჰქონდათ კარგად

შემუშავებელი სარეზერვო შევსების სისტემა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებისათვის საჭირო ნებისმიერ დროს ოპერატიულად გაზრდიდა, სწორედ რეზერვით, საქართველოს საბჭოთა შეიარაღებული ძალების რაოდენობას 55 000 კაცამდე. დამკომის შეხედულებებისამებრ აჯანყების წარმატებით მიმდინარეობის შემთხვევაში საბჭოთა საქართველოს სამხედრო რეზერვისტთა უდიდესი უმრავლესობა აუცილებლად გადმოვიდოდა ამბოხებულთა მხარეს და იმოქმედებდა ეროვნული აჯანყების სასარგებლოდ. სოლომონ ზალდასტანიშვილის აზრითაც, წითელი არმიის ქართული ნაწილების აჯანყებულთა მხარეზე გადასვლის ალბათობა დიდი იყო.

1924 წლის ივლისის ბოლოს დამკომისა და სამხედრო კომისიის მეორე გაფართოებული სხდომა გაიმართა. სხდომას ესწრებოდნენ-- კონსტანტინე ანდრონიკაშვილი, იასონ ჯავახიშვილი, ვალიკო ჯუღელი, სოლომონ ზალდასტანიშვილი, შალვა ამირეჯიბი და მთავარსარდალი გენერალი სპირიდონ ჭავჭავაძე. ბინას, სადაც სხდომა ტარდებოდა **მიხეილ (მიშა) კოღუაშვილის** და ეროვნულ-დემოკრატთა შეიარაღებული რაზმი იცავდა. ეს სხდომა ფაქტიურად წინა სხდომის გაგრძელება იყო. **მთავარსარდალმა გენერალ სპირიდონ ჭავჭავაძემ განაცხადა, რომ შეიარაღებული ძალები აჯანყებისათვის და აჯანყების ტექნიკური თვალსაზრისით მომზადება მას საკმარისად მიაჩნდა .სხდომამ შეიარაღებული აჯანყების საკითხი დადებითად გადაწყვიტა.** ამის შემდეგ თანხმობის მიღების მიზნით აჯანყების საკითხი დამკომში შემავალი პოლიტიკური პარტიების ცენტრალურ კომიტეტებში გადაიტანეს.

დამკომმა აჯანყების თარიღად 1924 წლის 17 აგვისტო დანიშნა. აჯანყება შემდეგი გეგმით უნდა წარმართულიყო: **პირველად აჯანყება თბილისში დაიწყებოდა. ამისათვის ქაქუცა ჩოლოყაშვილი თავისი რაზმით თბილისს 20 კილომეტრზე მიუახლოვდებოდა და სოფელ. ნახშირის გორასთან დაბანაკდებოდა. ჩოლოყაშვილს**

დაუკავშირდებოდნენ: მიხეილ (მიშა) ლაშქარაშვილი თავისი რაზმით, გიორგი ნაცვლიშვილი დუშეთისა და დიღმის რაზმით, ელიზბარ ვაჩნაძე ბორჩალოს რაზმით. ამ ძალებს დაემატებოდა მანგლისის რაზმი. ამ დროს ვაზიანში დისლოცირებული წითელი არმიის არტილერია 120 ზარბაზანს ითვლიდა. ამ იარაღის ხელში ჩაგდება ნახევრად მაინც წყვეტდა თბილისის ბედს. ამიტომ აჯანყებულებს ეს არტილერია ხელში უნდა ჩაეგდოთ. ამ რაიონის სარდლად არტილერისტი, პოლკოვნიკი ირაკლი ცაგურია დაინიშნა. ი. ცაგურიას განკარგულებაში სოციალ-დემოკრატთა რაზმი იყო. შემუშავებული გეგმით, ამ რაზმს რუსებისათვის უნდა წაერთმია ზარბაზნები და თბილისს ნავთლუღის მხრიდან უნდა მისდგომოდა. აჯანყების მეორე დღეს თელავის, სიღნაღისა და გურჯაანის რაზმები ცაგურიას განკარგულებაში უნდა გადასულიყვნენ.

1924 წლის 6 აგვისტოს ვალიკო ჯუღელი დააპატიმრეს. ამან ძალაუნებურად აჯანყების გეგმა შეცვალა. საპყრობილეში ჯუღელს აჯანყების გეგმა დაუდეს წინ (შესაძლებელია საგანგებო კომისიის მიერ შედგენილი) და უთხრეს, რომ სამხედრო კომისიის ერთ-ერთი წევრი ხელისუფლებას ინფორმაციებს აწვდიდა. ამან **ვალიკო ჯუღელზე** დიდად იმოქმედა და მან დამკომს რამდენიმე წერილი გამოუგზავნა, რომელშიც აჯანყების საკითხის დღის წესრიგიდან მოხსნას ითხოვდა. დამკომმა **ვალიკო ჯუღელის წერილებს დიდი ყურადღება არ მიაქცია, რადგან საქართველოს საგანგებო კომისიის საპყრობილიდან ანალოგიური შინაარსის წერილები ადრე გიორგი წინამძღვრიშვილისა და გოგიტა ფაღავას სახელითაც მოვიდა.** განსხვავება მხოლოდ წერილის კატეგორიულობაში იყო. დამკომმა მიიღო გადაწყვეტილება ვ. ჯუღელთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტის შესახებ და მას თავისი წერილები უკანვე გაუგზავნა. მაშინ **ვალიკო ჯუღელმა საქართველოს საგანგებო კომისიას შესთავაზა დროებით გაეთავისუფლებინათ ის თანა-**

მებრძოლებთან მოსალაპარაკებლად, მაგრამ უარი მიიღო.

საქართველოს საგანგებო კომისიამ მხოლოდ **ვანო ღლონტი** გაათავისუფლა, რომელმაც ვ. ჯუღელის სახელით საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის ცენტრალურ კომიტეტს სთხოვა აჯანყებაზე ხელი აეღოთ. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ვ. ღლონტს უპასუხა: „გადაეცით ჯუღელს და ჩეკას, რომ გამოსვლის საკითხი ახლო მომავალში არა სდგას და არც არავითარ აჯანყებას არ ვაპირებთო. ამ პასუხით საქართველოს საგანგებო კომისია რასაკვირველია არ დაკმაყოფილდა და მასობრივ რეპრესიებს მიმართა. ხელისუფლებამ მანევრებზე მყოფი წითელი არმიის ნაწილები თბილისში დააბრუნა, თბილისის ირგვლივ გზები შეკრა. საღამოს 9 საათიდან თბილისიდან გასვლა და თბილისში შემოსვლა აკრძალა, ქალაქის მნიშვნელოვანი პუნქტები გაამაგრეს, ქუჩებში პატრულები გამოიყვანეს და საეჭვო სამხედრო პირების დაპატიმრება დაიწყეს. აჭარაში **გ. ფურცელაძე და ს. ყარალაშვილი** დააპატიმრეს. ყოველივე ამან დამკომს თავზარი დასცა .

1924 წლის 18 აგვისტოს დამკომის პრეზიდიუმმა პლენარული სხდომა მოიწვია,რომელსაც ესწრებოდნენ: **კონსტანტინე ანდრონიკაშვილი, იასონ ჯავახიშვილი,- მიხეილ ბოჭორიშვილი და სამსონ დადიანი.** სხდომას დამოუკიდებელი სოციალდემოკრატებიდან არავინ დასწრებია. სხდომამ განიხილა აჯანყების საკითხი. აჯანყებას მხარი დაუჭირეს: **კონსტანტინე ანდრონიკაშვილმა, იასონ ჯავახიშვილმადა მიხეილ ბოჭორიშვილმა,** ხოლო **სამსონ დადიანმა** სოციალისტ-ფედერალისტების სახელით პროტესტი განაცხადა და სხდომა დატოვა. დამკომის ამავე სხდომაზე გადაწყდა აჯანყების თარიღი ხუთ კაცს განესაზღვრა: **კონსტანტინე ანდრონიკაშვილს, იასონ ჯავახიშვილს, შალვა ამირეჯიბს, დავით ონიაშვილს (სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბიუროს თავმჯდომარე) და მთავარსარდალ გენერალ სპირიდონ**

ჭავჭავაძეს. ს. ჭავჭავაძეს აჯანყების წარმატებაში ეჭვი შეეპარა და დამკომს აჯანყების გადადება სთხოვა. იასონ ჯავახიშვილმა ს. ზალდასტანიშვილის პირით ჭავჭავაძეს შეუთვალა: „აჯანყება უკვე დაწყებულია და ამ პირობებში უკან დახევა და მისი შეჩერება უფრო მეტ მსხვერპლს გამოიწვევს. ვთხოვ მთავარსარდალს თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგეს. იასონ ჯავახიშვილმა დამკომში მთავარსარდლის გადაყენება და მის ნაცვლად **ქაქუცა ჩოლოყაშვილის** დანიშვნა მოითხოვა. დამკომმა ეს წინადადება უარყო და **სპირიდონ. ჭავჭავაძე** მთავარსარდლად დატოვა.

1924 წლის 22 აგვისტოს დამკომის უკანასკნელი სხდომა გაიმართა. სხდომას ესწრებოდნენ: **კონსტანტინე ანდრონიკაშვილი, იასონ ჯავახიშვილი და შალვა ამირეჯიბი.** სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად აჯანყება საქართველოში 1924 წლის აგვისტოს ბოლოს ან სექტემბრის დასაწყისში უნდა მომხდარიყო. დამკომის ამავე სხდომაზე გადაწყდა, რომ უარი ეთქვათ თბილისში აჯანყების დაწყებაზე, რადგან ხელისუფლებამ ქალაქში დამატებითი ძალების შემოყვანით კიდევ უფრო გაამაგრა იგი. თბილისზე შეტევა პროვინციებში წარმატების მიღწევის შემდეგ უნდა განხორციელებულიყო. თბილისში დარჩა სამხედრო კომისია, რომლის წინაშე შესასრულებლად შემდეგი ამოცანები იდგა: **ვაზიანის სამხედრო ბაზის დაკავება, აეროპლანების ხელში ჩაგდება, ფოსტა-ტელეგრაფის აღება, ჯავშნოსანი ავტომობილებისა და ჯავშნოსანი მატარებლის ხელში ჩაგდება, საქართველოს საგანგებო კომისიის შენობის დაკავება, სამხედრო კურსანტებისა და საავიაციო რაზმის დაპატიმრება.** დამკომის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება პოლიტიკურმა პარტიებმა ადგილებზე თავიანთ ორგანიზაციებს შეატყობინეს. ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ **ქაქუცა ჩოლოყაშვილსა და გოგი ჭაჭიაშვილს** (ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი დასავლეთ საქართველოში) შეტყობინებები გაუგზავნა.

1924 წლის 24 აგვისტოს ხუთმა კაცმა -კონსტანტინე ანდრონიკაშვილმა, იასონ ჯავახიშვილმა, შალვა ამირეჯიბმა, სპირიდონ ჭავჭავაძემ და დავით ონიაშვილმა აჯანყების თარიღად 1924 წლის 28-29 აგვისტოს ღამის 2 საათი დანიშნეს .საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით დამკომმა თბილისი 1924 წლის 27 აგვისტოს დატოვა და შიო მღვიმის ტყეში გადავიდა. შიო მღვიმის ტყეში გადავიდნენ ასევე დავით ონიაშვილი და შალვა ამირეჯიბი. შიო მღვიმის ტყეში ისინი ქაქუცა ჩოლოყაშვილს შეხვდნენ.

5 საბჭოთა ხელისუფლებისა და საბჭოთა სპეცსამსახურების საქმიანობა ეროვნული აჯანყების დაწყებამდე

საბჭოთა ბოლშევიკურმა რუსეთმა, საქართველოს დანაშაულებრივი სრულმასშტაბიანი სამხედრო ოკუპაციის შემდგომ,საქართველოში ანტილეგიტიმური და ანტიდემოკრატიული საბჭოთა სახელმწიფოსა და ხელისუფლების გამყარების, გაძლიერების მიზნით, იმპერიული შემოსვლის პირველივე დღეებიდანვე დაიწყო ადგილობრივი ძლიერი უშიშროების სამსახურების შექმნა ,რომელნიც, საოკუპოაციო ჯარების, ეგრედ წოდებულ წითელ არმიიის პარალელურად, ძალზე აქტრიურად მოქმედებდნენ ანტისაოკუპაციო, ანტიბოლშევიკური და ანტისაბჭოთა ეროვნული ძალების წინააღმდეგ, პირდაპირი მნიშვნელობით გაავებულნი და გააფრთებულნი ყველაფრისა და ყოველი იმის წინააღმდეგ, რაც და ვინც კი მიზნად ისახავდა რუსეთის იმპერიის მიერ, ყოვლადგაუმართლებელი, ანტიკანონიერი ძალმომრეობის, შეიარაღებული აგრესიის შედეგად ფიზიკურად წართმეული ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაბრუნებას, ეროვნული სუვერენიტეტისა და დემოკრატიის აღდგენას.

ამ მიმართულებით საბჭოთა რუსეთის იმპერია საქართველოში ,ადგილობრივი რენეგატული და კოლაბორაციონისტული საბჭოთა ხელისუფლების უშუალო და უაქტიურესი ძალისხმევით, სრულმასშტაბიანი ფრონტით ამუშავდა ეროვნული თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და დემოკრატიის წინააღმდეგ, პოლიტიკური,იდეოლოგიური, პროპაგანდისტული, ფინანსურ-მატერიალური, ეკონომიკური,რეპრესიული ბერკეტებისა და რესურსების ყოვლისმომცველი ამოქმედებით საქართველოს ოკუპაციური გასაბჭოებისთანავე. საბჭოთა საოკუპაციო ხელისუფლება პირდაპირი მნიშვნელობით მიდიოდა რო-

გორც ულმობელ რეპრესიებზე, მრავალრიცხოვანი დახვრეტების,დაპატიმრებებისა და გადასახლებების სახით, ასევე უზნეო მასობრივ ცრუ იდეოლოგიურ პროპაგანდაზე, ადამიანთა დაშინებასა და მოსყიდვებზე, გადმობირებებზეც, თავისუფალი სიტყვისა და აზროვნების, თავისუფალი მედიის, პრესის, ლიტერატურის აკრძალვასა და განადგურებაზე, ერთი სიტყვით ყოველგვარ ანტიჰუმანურ, ანტიდემოკრატიულ მეთოდებსა და საშუალებებზეც, რაც პრინციპულად და კატეგორიულად იყო მიუღებელი და დაუშვებელი პროგრესულ და დემოკრატიული მსოფლიოსთვის, მოწინავე და პოზიტიური კაცობრიობისთვის. **საბჭოთა საოკუპაციო რეპრესიების სისასტიკე იმითაც გამორჩეოდა, რომ საგანგებო კომისიებმა მიიღეს ადამიათა დაპატიმრებისა და დახვრეტის უფლებამოსილება სასამართლოების გვერდის ავლით , სასამართლო გადაწყვეტილებათა გარეშე.**

საბჭოთა რუსული ოკუპაციის იმპერიულობა და ანტიქართულობა გამოიხატა 1 საქართველოს ტერიტორიული ერთმთლიანობის დანაშაულებრივ ხელყოფაში, კონკრეტულად დამოუკიდებელი საქართველოს კანონიერად კუთვნილი ეროვნული ტერიტორიების მნიშვნელოვნად დიდი ნაწილი, 48 000 კვადრატული კილომეტრი,რომლის საქართველოს სახელმწიფო-ტერიტორიულ შემადგენლობაში ყოფნა კანონიერად იყო მიჩნეული და ოფიციალურად ცნობილი და დადასტურებული იმჟამინდელი ცივილიზებული მსოფლიოს, მათ შორის ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, მეზობელი და მოსაზღვრე სახელმწიფოების,რუსეთისა და თურქეთის, ასევე კაცობრიობის ისტორიაში პირველი უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაციის ერთა ლიგის მიერ, ისტორიული ტაოს, კლარჯეთის, კოლას, არტაანის, შავშეთის,ტაშირის, ძორაკერტის, ლორეს, აღმოსავლეთ ბარდავის,საინგილოს, ბალთის, ქლუხორისა და ჯიქეთის ტრადიციულად ქართული მიწები, წინააღმდეგ ქართველი ერის ნებისა და

საერთაშორისო სამართლისა, იმპერიული თვითნებობით,სავსებით უკანონოდ და უსამართლოდ გადაეცა თურქეთს, რუსეთს, სომხეთსა და აზერბაიჯანს. 2 ამის გარდა რუსეთის საბჭოთა იმპერიამ ხელყო საქართველოს ნაციონალურ-პოლიტიკური ერთიანობა, როდესაც ოკუპირებულ და იძულებით გასაბჭოებულ საქართველოში შექმნა აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. 3 რუსეთის საბჭოთა იმპერიამ, ასევე წინააღმდეგ ქართველი ერის ნებისა და საერთაშორისო სამართლისა, საქართველოს ფიზიკურად მოუსპო სახელმ,წიფოებრივი დამოუკიდებლობა და ეროვნული თავისუფლება, საქართველოს ტერიტორიული შეყვანით ჯერ ამიერკავკასიის ფედერაციასა და შემდგომ სსრ კავშირში.

1921 წლის თებერვალში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობის შემდეგ საოკუპაციო საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოში რუსეთის ანალოგიური ძალოვანი სტრუქტურების ფორმირება დაიწყო. **1921 წლის 25 თებერვალს თბილისში** მამია ორახელაშვილის თავმჯდომარეობით საქართველოს რევოლუციური კომიტეტის პირველი სხდომა გაიმართა. სხდომამ **შალვა ელიავას,მიხეილ ოკუჯავას, ლადო დუმბაძის, გიორგი ელისაბედაშვილის, შოთა გაბრიჩიძის (სხდომის მდივანი)** მონაწილეობით პირველ საკითხად მოისმინა საქართველოს საგანგებო კომისიის ორგანიზებისა და კომისიის დროებით თავმჯდომარედ **გიორგი ელისაბედაშვილის** დანიშვნის საკითხი. **1921 წლის 26 თებერვალს** საქართველოს რევკომმა სპეციალური ბრძანებით შექმნა „კონტრრევოლუციასთან, სპეკულაციასთან და საბოტაჟთან ბრძოლის საგანგებო საგამომძიებლო კომისია. **1921 წლის მარტში შეიქმნა ბათუმის საოლქო და ქუთაისის საგუბერნიო საგანგებო კომისიები.** დამტკიცდა მათი კოლეგიები, თითოეული ოთხ-ოთხი წევრის შემადგენლობით. **1921 წლის მარტის ბოლოს შეიქმნა აფხაზეთის**

საგანგებო კომისია.

ამიერკავკასიის რკინიგზის გაერთიანებასთან დაკავშირებით შეიქმნა ამიერკავკასიის საგზაო-სატრანსპორტო საგანგებო კომისია ცენტრით თბილისში, რომლის უფროსად საართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარე დაინიშნა. საქართველოს საგანგებო კომისია რუსეთის საგანგებო კომისიისაგან პერიოდულად ღებულობდა სახელმძღვანელო დოკუმენტებს, რომელთაც, როგორც წესი, გრიფი „სრულიად საიდუმლო ან „საიდუმლო ჰქონდათ. **1921 წლის 16 ივლისს საბჭოთა საქართველოს რევოლუციური კომიტეტის მიერ მიღებული დეკრეტით აჭარა ავტონომიურ რესპუბლიკად გამოცხადდა.** ამის შემდეგ ბათუმის საოლქო საგანგებო კომისიამ თავისი მოქმედების სფერო აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე გაავრცელა და აჭარის საგანგებო კომისიად გარდაიქმნა.

1921 წლის სექტემბერში საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა რუსეთის კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის სადირექტივო წერილის თანახმად მიიღო დადგენილება **საქართველოს საგანგებო დანიშნულების ნაწილების** შექმნის შესახებ, რომლის სარდლადაც 1921 წლის 7ოქტომბერს **გ. ხუტულაშვილი** დაინიშნა. შეიქმნა **საქართველოს საგანგებო დანიშნულების ნაწილების სამხედრო საბჭო, რომელშიც შევიდნენ:** გ.ხუტულაშვილი, საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი, საქართველოს საგანგებო კომისიის კოლეგიის წევრი, საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი და საქართველოს ნითელი არმიის პოლიტგანყოფილების წარმომადგენელი.

საქართველოს საგანგებო კომისიასთან შეიქმნა ცენტრალური სახელმწიფო საინფორმაციო სამეული საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტე-

ტის მდივნის თავმჯდომარეობით. აჭარის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საინფორმაციო სამეულები განისაზღვრა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ)საოლქო კომიტეტის მდივნის, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილისა და საგანგებო კომისიის ერთი თანამშრომლის შემადგენლობით. სამაზრო საინფორმაციო სამეულში შედიოდნენ საქართველოს კომუნისტური (ბ) პარტიის სამაზრო კომიტეტის მდივანი, მაზრის აღმასკომის თავმჯდომარე და მაზრის საგანგებო კომისიის უფროსი. საინფორმაციო პუნქტის უფროსი საქართველოს საგანგებო კომისიის დავალებისა და სხვა გადაუდებელი ოპერატიული ამოცანების შესრულებისათვის იყენებდა მაზრის მილიციას, მის უფროსთან წინასწარი მოლაპარაკების შემდეგ. საბჭოთა საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის **1922 წლის 10 ნოემბრის** დადგენილების თანახმად საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარედ **ეპიფანე კვანტალიანი** დაინიშნა. ქუთაისის გუბერნიის საგანგებო კომისია პოლიტბიუროდ გადაკეთდა, ზუგდიდის, ლეჩხუმის, რაჭის პოლიტბიუროების ბაზაზე საინფორმაციო პუნქტები შეიქმნა. მაზრებში საფილტრაციო კომისიები ფუნქციონირებდა, რომელთა წევრები სამაზრო კომიტეტის მდივნები, აღმასკომის თავმჯდომარეები და პოლიტბიუროს უფროსები იყვნენ. პერიოდულად ეწყობოდა საფილტრაციო კომისიის სხდომები, რომლებზეც ანტისაბჭოთა პარტიების დაპატიმრებულ წევრთა ფილტრაციის საკითხებს იხილავდნენ .საქართველოს საგანგებო კომისიასთან არსებობდა სპეციალური კომისია, რომელიც „მავნე პირების“ ადმინისტრაციულ გადასახლებას ახორციელებდა.

1921 წლის ივლისიდან საქართველოს საგანგებო კომისიის სამხედრო განყოფილების ბაზაზე საბჭოთა საქართველოს წითელი არმიის განსაკუთრებული განყოფილება ჩამოყალიბდა. 1921 წლის გაზაფხულიდან თბილისში ფუნქციონირება დაიწყო საბჭოთა რუსეთის

საგანგებო კომისიის სრულუფლებიანმა წარმომადგენლობამ ამიერკავკასიაში. რუსეთის საგანგებო კომისიის წარმომადგენლობა უხეშად ერეოდა საქართველოს საგანგებო კომისიის საქმიანობაში. **1922 წლის 12 მარტს შეიქმნა ამიერკავკასიის საგანგებო კომისია,** რომლის თავმჯდომარედ **სოლომონ მოგილევსკი** დაინიშნა. საქართველოს საგანგებო კომისიისა და ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის მუშაობაში მნიშვნელოვანი ადგილი აგენტურულ-ინფორმატორულ მუშაობას ეკავა. 1922 წლის ზაფხულისათვის საქართველოს საგანგებო კომისიას საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში 17 აგენტ-ინფორმატორი ჰყავდა, ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში - 14 საქართველოს საგანგებო კომისიასა და ამიერკავკასიის საგანგებო კომისიას შორის გარკვეული წინააღმდეგობა არსებობდა.

ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის თანამშრომლები უხეშად ერეოდნენ საქართველოს საგანგებო კომისიის კომპეტენციაში.

თავის მხრივ საქართველოს საგანგებო კომისიის მიმართ პრეტენზიები ამიერკავკასიის საგანგებო კომისიასაც გააჩნდა. ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **პანკრატოვი** საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარის **ეპიფანე კვანტალიანის** სახელზე გაგზავნილ წერილში საყვედურით აღნიშნავდა, რომ საქართველოს საგანგებო კომისია იგნორირებას უკეთებდა ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის მოთხოვნებს. საქართველოს საგანგებო კომისიასა და ამიერკავკასიის საგანგებო კომისიას შორის ასეთი დაძაბული ურთიერთობა წელიწადზე მეტხანს გაგრძელდა. **საკითხი ვერ გადაწყდა ვერც საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტში და ვერც კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტში.** საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) XIII ყრილობის მუშაობის დროს **სერგო ორჯონიკიძე, ლავრენტი ბერია და ლევან ღოღობერიძე ფილიპე ძერ-**

ჟინსკის შეხვდნენ, სადაც გადაწყდა, რომ ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის კოლეგიას დარჩებოდა საერთო ხელმძღვანელობა, მთელი ოპერატიული აპარატი კი საქართველოს საგანგებო კომისიის ხელში გადავიდოდა. ამასთანავე ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის შემადგენლობაში უნდა შეეყვანათ საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარე და მისი მოადგილე.

მიუხედავად ამ ცვლილებისა, საქართველოს საგანგებო კომისიასა და ამიერკავკასიის საგანგებო კომისიას შორის დაპირისპირებები შემდეგშიც გრძელდებოდა. **1922 წლის მიწურულიდან საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ ლავრენტი ბერია დაინიშნა.** ლ. ბერიას მისვლის შემდეგ საქართველოს საგანგებო კომისიის მუშაობა უფრო ეფექტური გახდა.

საქართველოს საგანგებო კომისია თავის მუშაობაში განსაკუთრებულ ყურადღებას მოქმედი პოლიტიკური პარტიების დაშლა-განადგურებას უთმობდა. საგანგებო კომისიაში სპეციალურად მესამე და მეოთხე ქვეგანყოფილებები შეიქმნა, რომლებიც შესაბამისად მემარჯვენე და მემარცხენე პოლიტიკური პარტიების წინააღმდეგ მუშაობდნენ .საგანგებო კომისიას თავის დაქვემდებარებაში ჰყავდა ინფორმატორები, რომლებიც კონსპირაციის მიზნით სხვადასხვა სახელს (ფსევდონიმს) ატარებდნენ. საქართველოს საგანგებო კომისიას ფარული აგენტები ჰყავდა საზოგადოების სხვადასხვა ფენაში. წარმატებული აღმოჩნდა საგანგებო კომისიისათვის საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სტუდენტთა კომიტეტის წევრთან **კალე მისაბიშვილთან** ურთიერთობა. კ. მისაბიშვილი საქართველოს საგანგებო კომისიამ 1923 წლის დასაწყისში საპყრობილიდან გაათავისუფლა. კ.მისაბიშვილი არალეგალურ საქმიანობაში კვლავ ჩაერთო, თუმცა მის მიმართ თანაპარტიელებში ერთგვარი ეჭვები გაჩნდა. **მიხეილ ჯავახიშვილის, კოტე აფხაზის, ვარდენ წულუკიძისა** და სხვების დაპატიმრების შემდეგ კ. მისაბიშვილის საგანგებო კომისიასთან თანამშრომლო-

ბა გამომჟღავნდა. ამიტომ საიდუმლო თათბირზე **იასონ ჯავახიშვილმა, გიორგი წინამძღვრიშვილმა, ნიკო კეცხოველმა** და სხვებმა **კალე მისაბიშვილის** ფიზიკური ლიკვიდაცია გადაწყვიტეს. კ. მისაბიშვილმა **იასონ ჯავახიშვილისა და გიორგი წინამძღვრიშვილის** წინაშე აღიარა, რომ პატიმრობაში მყოფი იძულებული გახდა საქართველოს საგანგებო კომისიასთან ეთანამშრომლა.

საქართველოს საგანგებო კომისიაში არსებულ მესამე ქვეგანყოფილებას დამატებით საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიაზე და სასულიერო პირებზე კონტროლის დანესება ევალებოდა. საქართველოს საგანგებო კომისია სასულიერო პირების დევნა-შევიწროების პარალელურად მათ კომპრომეტირებას ეწეოდა. ჩეკისტების მიერ შეთითხნილი პასკვილები პერიოდულად იბეჭდებოდა პრესის ფურცლებზე .

1923 წელს დაიწყო ინტენსიური პოლიტდაპატიმრებათა ახალი აქტიური ეტაპი.

1 1923 წლის იანვარში საქართველოს საგანგებო კომისიამ საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის 53 წევრი დააპატიმრა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს განკარგულებაში გადააგზავნა.

2 1923 წლის 27 იანვარს საქართველოს საგანგებო კომისიამ რესპუბლიკის მასშტაბით სპეცოპერაცია ჩაატარა, რომლის დროსაც 1000 ადამიანი დააპატიმრა. ამ დაპატიმრებულთაგან 40%-მა პარტია დატოვა, რის შესახებაც მათ პრესაში სათანადო განცხადება გააკეთეს.

3 1923 წლის 17 თებერვალს საგანგებო კომისიამ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის 34 აქტიური წევრი დააპატიმრა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს განკარგულებაში გადააგზავნა.

4 1923 წლის 22თებერვალს საგანგებო კომისიამ საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტების ცენტრალ-

ური კომიტეტის მთელი შემადგენლობა დააპატიმრა. ჩხრეკის დროს საგანგებო კომისიამ შემდეგი სახის მასალები ამოიღო: საქართველოს საგანგებო კომისიის ბრძანებები და ინსტრუქციები, რუსეთის საგანგებო კომისიის ბრძანება, საქართველოს საგანგებო კომისიის 1922 წლის აგენტურული მუშაობის საინსტრუქტურო ტელეგრამა, საქართველოს საგანგებო კომისიის 1922 წლის აგვისტოს ტელეგრამა და საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის მოხსენების დედანი საქართველოში ბანდიტიზმის შესახებ. 1923 წლის 7 მარტს საქართველო ს საგანგებო კომისიამ ხელში ჩაიგდო საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის სტამბა, პატიმრობაში აიყვანა სტამბის გამგე რუსიაშვილი და ასოთამწყობი ურუშაძე.

5 1923 წლის 13 მარტს საქართველოს საგანგებო კომისიის მიერ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის თბილისის მეოთხე და მეექვსე რაიონების კომიტეტები ლიკვიდირებულ იქნა, დააპატიმრეს 9 კაცი, მათ შორის თბილისის კომიტეტის წევრი ნაკაიძე.

6 1923 წლის 15 მარტს საქართველოს საგანგებო კომისიამ მორიგი სპეცოპერაცია ჩაატარა, რომლის დროსაც საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის თბილისის კომიტეტის უფლებამოსილი პირი კალანდაძე, წევრები ჩანტლაძე და ხაფავა დააპატიმრა, ასევე დააპატიმრეს რაიონული ორგანიზატორები. 1923 წლის 17 მარტს საგანგებო კომისიამ ხელში ჩაიგდო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტი ს მეორე სტამბა, პატიმრობაში აიყვანა სტამბის გამგე მანასე გოგუაძე და სახლის მეპატრონე მუჯირიშვილი.

7 1923 წლის თებერვალ-მარტში საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული პარტიის სტუდენტთა კომიტეტის წევრის კალე მისაბიშვილის ჩვენების საფუძველზე დააპატიმრეს სამხედრო ცენტრის 15

წევრი. 1923 წლის 19 მაისს საქართველოს საგანგებო კომისიისა და ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის კოლეგიების ერთობლივი სხდომა ჩატარდა. სხდომას სოლომონ მოგილევსკი თავმჯდომარეობდა. სხდომას ესწრებოდნენ: პანკრატოვი, ეპიფანე კვანტალიანი, ლავრენტი ბერია, მამია ორახელაშვილი, მიქელაძე და შალვა ელიავა. სხდომის დღის წესრიგში სამხედრო ცენტრის დაპატიმრებულ წევრთა საკითხი იდგა. ამ საკითხზე მოხსენება კონტრდაზვერვის უფროსმა აშუკინმა გააკეთა. სხდომამ სამხედრო ცენტრის წევრებს „დაუმტკიცა“ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობა, საქართველოში ბანდიტური მოძრაობის შექმნა და მასში მონაწილეობა, ანტანტის სასარგებლოდ შპიონაჟი, მუშურ-გლეხური სახელმწიფოს გაცემა და ღალატი. სხდომამ სამხედრო ცენტრის წევრებს სასჯელის უმაღლესი ზომა- დახვრეტა შეუფარდა. 1923 წლის 21 მაისს დილის 4 საათსა და 30 წუთზე თბილისში, ვაკის პარკის ტერიტორიაზე, ჩეკისტებმა სამხედრო ცენტრის წევრები დახვრიტეს. დახვრეტის წინ კოტე აფხაზის უკანასკნელი სიტყვები იყო: „მე ვკვდები სიხარულით, რადგან ღირსი გავხდი საქართველოს სამსხვერპლოზე ზვარაკად მიტანისა. ჩემი სიკვდილი გამარჯვებას მოუტანს საქართველოს!“ თხუთმეტივე ქართველი ოფიცერი დახვრეტის წინ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჰიმნ „დიდებას“ მღეროდა.

8 1923 წლის 13 აპრილს საქართველოს საგანგებო კომისიამ საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის კონტრდაზვერვის უფროსი ჩიქოვანი დააპატიმრა. ჩხრეკის დროს ჩიქოვანს საზღვარგარეთიდან გამოგზავნილი მასალები აღმოუჩინეს. დააპატიმრეს ასევე კონტრდაზვერვის რამდენიმე წევრი 9 1923 წლის 10 მაისს საქართველოს საგანგებო კომისიამ მთელი რესპუბლიკის მასშტაბით მეორე სპეცოპერაცია ჩაატარა. სულ 1198 ადამიანი დააპატიმრეს,რო-

მელთაგან 1000 მას შემდეგ გაათავისუფლეს, როცა მათ თავიანთი პარტიების დატოვების შესახებ განცხადება გააკეთეს.

10 1923 წლის მაისში საგანგებო კომისიამ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის 81 აქტიური წევრი დააპატიმრა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს განკარგულებაში გადააგზავნა. 1923 წლის 7 ივნისს საგანგებო კომისიამ საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1922 წლის არქივი ჩაიგდო ხელში. აღნიშნული მასალა ამიერკავკასიის საგანგებო კომისიაში გადააგზავნეს.

11 1923 წლის ივნისში საგანგებო კომისიამ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის თბილისის კომიტეტის შემადგენლობა დააპატიმრა. დაპატიმრებულთაგან ორი ვადაჭკორია და ვასაძე საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები იყვნენ.

12 1923 წელს საგანგებო კომისიამ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის არალეგალური ორგანიზაციების ლიკვიდაცია განახორციელა ახალი სენაკში, ფოთში, გორში და სოხუმში.

13 1923 წლის აგვისტოში საგანგებო კომისიამ ქ. ჩოლოყაშვილთან კავშირის გამო საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ხელმძვანელი სიმონ ვასილის ძე ყიფიანი დააკავა.

14 1923 წელს საგანგებო კომისიამ საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ქალთა ორგანიზაციის თავმჯდომარე მარო დვალი დააპატიმრა. როგორც გამოირკვა ქალთა ორგანიზაციას მიზნად ჰქონდა დასახული გაეერთიანებინა ის ქალები, რომლებიც საქართველოს განთავისუფლებასა და დამოუკიდებლობის აღდგენას თანაუგრძნობდნენ.

15 1923 წლის სექტემბრის მეორე ნახევარში საქა-

რთველოს საგანგებო კომისიამ საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის წევრები ილარიონ გეორგაძე და სამსონ დობორჯგინიძე დააპატიმრა.

16 1924 წლის ივლისში საგანგებო კომისიამ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის დაშიფრული წერილი და ფული ჩაიგდო ხელში. წერილი საქართველოს საგანგებო კომისიის მიერ დაკავებულ ქაქუცა ჩოლოყაშვილის კურიერს აღმოაჩნდა, რომელიც თბილისიდან კახეთში ბრუნდებოდა. წერილი 1923 წლის 7 დეკემბრით იყო დათარიღებული.

17 1924 წლის 25 ივლისს საქართველოს საგანგებო კომისიამ პარიზიდან საქართველოში სპეციალური დავალებით ჩამოსული სოციალ დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ბენია ჩხიკვიშვილი დააპატიმრა.

18 1924 წლის 6 აგვისტოს თბილისში, საღამოს 10 საათზე და 35 წუთზე საქართველოს საგანგებო კომისიამ ვალიკო ჯუღელი დააპატიმრა. 1924 წლის 7 აგვისტოს ვ. ჯუღელმა თავის მოკვლა სცადა: მარცხენა ხელზე 6 ადგილას ძარღვები გაიჭრა და ჭრილობა ჟანგით ამოივსო, თუმცა გადარჩა.

ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის №19 კამერაში მოთავსებული ვ. ჯუღელი საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარემ ე. კვანტალიანმა მოინახულა. კვანტალიანმა ჯუღელს გააცნო მასალები, რომლის შემდეგ ვ. ჯუღელი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ საქართველოს საგანგებო კომისიაში ყველაფერი იცოდნენ მოსალოდნელი აჯანყების შესახებ. ამის შემდეგ ვალიკო ჯუღელმა იზოლატორიდან თავის ამხანაგებს წერილი გაუგზავნა, რომელშიც მოუწოდებდა წინასწარგაცემულ აჯანყებაზე უარი ეთქვათ, რამეთუ უკვე ბოლშევიკებმა დეტალებში უწყოდნენ ამბოხების შესახებ. ამასთანავე, ვ. ჯუღელმა ითხოვა რამდენიმე დღით განთავისუფლება, თავის თანამებრძოლებთან მოსალაპარაკებლად აჯანყებაზე უარ-

ის თქმის მიზნით. ვალიკო ჯუღელს ამ თხოვნაზე უარი ეთქვა. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ბოლშევიკებმა იმიტომ უთხრეს ვალიკო ჯუღელს დროებით განთავისუფლებაზე უარი, რათა ვალიკო ჯუღელს არ განეხორციელებინა ამბოხების ინიციატორთა მიერ აჯანყებაზე ხელის აღება,რის შემდეგაც საოკუპაციო საბჭოთა ხელისუფლებას აღარ ექნებოდა არც მიზეზი და არც საბაბი ჩაეტარებინა საქართველოში მასობრივი სისხლიანი და ულმობელი რეპრესიები.

1923-1924 წლებში საქართველოში ასობით შეიარაღებული პირი იყო აღმდგარი და არალეგალურ მდგომარეობაში გადასული კომუნისტებისა და საბჭოთა ოკუპანტების წინააღმდეგ, ჩამოყალიბებული იყო მუდმივმოქედი გასამხედროებული რაზმები, სრულიად საქართველოში,რომლებიც კონსპირაციაში გადასულები საოკუპააციო ხელისუფლებასთან მუდმივი დაპირისპირების რეჟიმში ცხოვრობდნენ. ქაქუცა ჩოლოყაშვილი კახეთში,მიხეილ (მიშა) ლაშქარაშვილი შიდა ქართლში, გიორგი ნაცვლიშვილი დიღომსა და თრიალეთში,ელიზბარ ვაჩნაძე ქვემო ქართლსა და თრიალეთში, მიხაკო აბულაძე, გრიგოლ აბაშიძე, ვარლამ კაპანაძე, მიხაკო მორჩიაშვილი, ილიკო ჯუღელი ზემო იმერეთში, ღლონტია გოგუა, დობორჯგინიძე ოზურგეთში, მანწკავა და გოგიტიძე ბათუმსა და აჭარაში, ნესტორ კეთილაძე ქუთაისის მაზრაში, ბესარიონ ჯაში ფოთში, ბაგრატ ხონელია ზუგდიდში, აფხაზეთსა და სვანეთში კონსტანტინე (კოწია) დადეშქელიანი,მოსესტრო დადეჭქელიანი, თენგიზ დადეშქელიანი,ბიძინა პირველი, ნესტორ გარდაფხაძე . ყველა ამ ამბოხებულ თავკაცს ჰყავდა, როგორც მუდმივი თანმხლები შეირაღებული პირები, შედარებით მცირე რიცხვით და სამაგიეროდ ბევრად მრავალრიცხოვანი სარეზერვო თანამზრახველნი, რომლებიც აუცილებლად ჩაებმებოდნენ აჯანყებაში, ამბოხის დაწყებისთანავე.

1923 წლის აგვისტოში საქართველოს საგანგებო კომი-

სიაში 97150 დაშიფრული წერილის გაშიფვრა მოხდა, მათ შორის 1261 შემოსული იყო უცხოეთიდან, წითელი არმიიდან კი — 650. გარდა ამისა საგანგებო კომისიამ 97568 ტელეგრამის გაშიფვრა მოახდინა. კონფისკაციაქმნილი წერილების რაოდენობამ 10630 შეადგინა. 1923 წლის სექტემბრის თვეში საგანგებო კომისიაში 97623 წერილი გაშიფრეს. 1923 წლის აგვისტოში საგანგებო კომისიამ კონტროლი დაანესა 348 პერიოდულ და 41 ერთჯერად გამოცემაზე, ხოლო სექტემბრის თვეში 337 პერიოდულ და 28 ერთჯერად გამოცემაზე.

1924 წლის აჯანყების მზადების შესახებ საქართველოს საგანგებო კომისიაში ინფორმაციები 1924 წლის ადრე გაზაფხულზე შევიდა. ამით იყო განპირობებული ის, რომ საქართველოს საგანგებო კომისიამ თხოვნით მიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტს საქართველოს საგანგებო კომისიის ორგანოებში წინა წლებში მომუშავე ჩეკისტების აღრიცხვა მოეხდინა, აუცილებლობის შემთხვევაში მათგან საგანგებო კომისიის დაკომპლექტების მიზნით. 1924 წლის მარტის თვეში საგანგებო კომისიაში მოთხოვნილი სიები ადგილებიდან მართლაც შევიდა. 1924 წლის 14 მარტს ლ. ბერიამ აჭარის საგანგებო კომისიის, აფხაზეთის საგანგებო კომისიის, პოლიტბიუროებისა და სატრანსპორტო განყოფილებების უფროსებს გაუგზავნა ტელეგრამა გრიფით სრულიად საიდუმლო, რომელიც იტყობინებოდა, რომ **1924 წლის 25-26 მარტს ინგლის-საბჭოთა კავშირის კონფერენციასთან დაკავშირებით მოსალოდნელი იყო შეიარაღებული აჯანყების დაწყება.**

მოსალოდნელი გამოსვლების გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით საგანგებო კომისია კატეგორიულად მოითხოვდა:1 **მუდმივ სიფხიზლეს, სიმძიმის ცენტრის გადატანას აგენტურულ-ინფორმატორულ მუშაობაზე და თვალთვალის მაქსიმალურად გაძლიერებას; 2 მუშაობის გააქტიურებას არალეგალური ორგანიზაციების სამხედრო ნაწილებთან კავშირის გამოვლენის მიმარ-**

თულებით; 3 განსაკუთრებული ყურადღების მიქცევას მილიციისადმი და განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილებისადმი. იქ არასასურველი ელემენტების აღმოჩენის შემთხვევაში კომუნისტური პარტიის კომიტეტებში ფილტრაციის საკითხის დასმა და ამ გზით აღნიშნული დაწესებულებებიდან მათი გაძევება; 4 მუშაობის წარმართვა ანტისაბჭოთა პარტიების ყოფილი წევრების მიმართ, რომლებიც შესაძლოა აგრძელებდნენ ძველ საქმიანობას; 5 საქართველოს საგანგებო კომისიის აპარატის მომზადებას აქტიური ანტისაბჭოთა ელემენტების მასობრივი დაპატიმრებისათვის; 6 საგანგებო კომისიის საიდუმლო ოპერატიული ნაწილისათვის ანტისაბჭოთა პარტიების მუშაობის შესახებ ინფორმაციული ცნობების დაუყოვნებლივ მიწოდებას.

1924 წლის 16 ივლისს საგანგებო კომისიამ თავის ადგილობრივ ორგანოებს გაუგზავნა ტელეგრამა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული და საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიების მიერ უახლოეს პერიოდში შეიარაღებული აჯანყების შესაძლო დაწყების შესახებ. მოსალოდნელი აჯანყების აღკვეთის მიზნით საგანგებო კომისია თავის ადგილობრივ ორგანოებს ნებას რთავდა განეხორციელებინათ არალეგალური ორგანიზაციების ხელმძღვანელების დაპატიმრება. 1924 წლის 12 აგვისტოს საგანგებო კომისიამ საიდუმლო ცირკულარით აჭარის საგანგებო კომისიისა და აფხაზეთის საგანგებო კომისიის თავმჯდომარეებს, ყველა პოლიტბიუროსა და საინფორმაციო პუნქტის უფროსს მოსალოდნელი აჯანყების შესახებ კიდევ ერთხელ შეატყობინა.

1924 წლის 27 აგვისტოს ე. კვანტალიანმა პირდაპირი სატელეფონო ხაზით, დაშიფრული ტექსტით, ადგილობრივ ორგანოებს გადასცა ინფორმაცია, რომ უტყუარი მონაცემებით ანტისაბჭოთა პოლიტიკურ პარტიებს განზრახული ჰქონდათ შეიარაღებული გამოსვლის მოწყობა 1924 წლის 28-29 ან 29-30 აგვისტოს ღამით და ავალებდა მათ დაუყოვნებლივ მიეღოთ ზომები შეი-

არაღებული აჯანყების აღკვეთის მიზნით, ემოქმედათ საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ადგილობრივ კომიტეტებთან ერთად, შეენარჩუნებინათ სიმშვიდე, დაშიფრული ინფორმაციები დღეში სამჯერ მიეწოდებინათ მაზრის ხელმძღვანელებისათვის.

1924 წლის 28 აგვისტოს ე. კვანტალიანმა აჭარის საგანგებო კომისიას, აფხაზეთის საგანგებო კომისიასა და ყველა პოლიტბიუროს უფროსს გაუგზავნა შეტყობინებები, რომ 1924 წლის 28 აგვისტოს, ღამის 2 საათზე, მოსალოდნელი იყო ანტისაბჭოთა აჯანყება. შესაბამისად, ე. კვანტალიანი ზემოთ ხსენებულ ორგანოებს ნებას რთავდა მასობრივი რეპრესიული ღონისძიებები განეხორციელებინათ, ემოქმედათ საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) სამაზრო კომიტეტებთან ერთად, შედეგების შესახებ კი საქართველოს საგანგებო კომისიისათვის ეცნობებინათ.

ერთი სიტყვით საბჭოთა საოკუპაციო ხელისუფლება საქართველოში, თავისი სპეცსამსახურების, კონკრეტულად საკმაოდ ძლიერად მომზადებული საგანგებო კომისის შესაშურად დაუზარელი, დაუღალავი, ენერგიული და მაღალპრეფესიული ძალისხმევის შედეგად, აგვისტოს აჯანყებამდე პერმანენტულად ატარებდა საკმაოდ მრავალრიცხოვან რეპრესიებსა და სადამსჯელო ღონისძიებებს, აწარმოებდა დახვრეტებს, დაპატიმრებებს, დაშინებებსა და გადმობირებებს, ეფექტურად ამუშავებდა თავის მრავალრიცხოვან აგენტურას და ფლობდა უტყუარ და დაზუსტებულ ინფერმაციებს საქართველოში როგორც ანტისაბჭოთა ეროვნულ-განმანთავისუფლებელი პოლიტიკური და შეიარაღებული ძალების, მათი მოქმედებისა და გეგმების შესახებ, აგრეთვე იმის თაობაზეც კარგად იყო ინფორმირებული, რომ ანტისაბჭოთა განმანთავისუფლებელი ეროვნული ძალები ნამდვილად გეგმავდნენ საქართველოში დიდ ეროვნულ შეიარაღებულ აჯანყებას, საოკუპაციო საბჭოთა ხელისუფლების დამხობისა და საქართველოს სრული განთავისუფლების მიზნით.

6 ეროვნული აჯანყების დაწყება, მიმდინარეობა და დამარცხება

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის გადაწყვეტილებით საქართველოს ყველა კუთხესა და თბილისში ერთიანი გამოსვლის თარიღად საბოლოოდ დადგინდა 1924 წლის 29 აგვისტოს დილის 6 საათი. საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი, იმჟამინდელი მათ ხელთ არსებული არც თუ ისე სახარბიელო და საკმარისი შესაძლებლობების ფარგლებში, მაქსიმალურად მოემზადა ამბოხებისთვის, მაგრამ არსებობს მოსაზრება და საფუძვლიანი ეჭვები, რომ საბჭოთა იმპერიულმა საოკუპაციო ხელისუფლებამ და მისმა სპეცსამსახურებმა წინასწარ ყველაფერი და დეტალურად უწყოდნენ დაგეგმილი განმანთავისუფლებელი აჯანყების შესახებ, რამაც ლოგიკურად გამოიწვია ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის, რუსეთის უბოროტესი იმპერიის ძალმომრეობისა და უსამართლობის წინააღმდეგ ამხედრებულ ღირსეულ ქართველთა დამარცხება. ცენტრთან შეუთანხმებელი მოქმედების და ადგილობრივ სოციალ-დემოკრატთა დესტრუქციული საქმიანობის შედეგად, ქალაქ ჭიათურაში გამოსვლები დაიწყო 24 საათით ადრე, - 28 აგვისტოს.

ა) აჯანყების მიმდინარეობა იმერეთში

1924 წლის 27 აგვისტოს ოთხშაბათს ჭიათურაში ზემო იმერეთის ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ერთერთი პოლიტიკური ხელმძღვანელი **გიორგი წერეთელი** ჩავიდა. იმავე საღამოს აჯანყებულებმა შუქრუთელ კომუნისტებს იარაღი აყარეს, დააპატიმრეს და კოოპერ-

ატივის შენობაში მოათავსეს. ამის შემდეგ აჯანყებულები. ჭიათურისაკენ გაემართნენ. **1924 წლის 28 აგვისტოს დილის 4 საათზე** აჯანყებულები ჭიათურაში გიორგი წერეთლის მეთაურობით შეიჭრნენ. პირველად მათ იმ შენობას მიაშურეს, რომელშიც მუშათა საგანგებო რაზმი (ჩონი) იყო განლაგებული და სადაც რამდენიმე შაშხანა (კარაბინი) ვაზნებითურთ, ბომბები და ერთი ტყვიამფრქვევი ინახებოდა. აჯანყებულებმა დაიწყეს ყვირილი: „დაყარეთ იარაღები!" კომუნარებმა, რომლებმაც მოასწრეს ვაზნების მიღება, აჯანყებულებს სროლით უპასუხეს. კომუნარების ნაწილი ჩონის შენობაში შევარდა, ნაწილი კი სადგურის მიმართულებით გაიქცა. სროლების დროს აჯანყებულებმა **კომუნისტი სოფრომაძე** მოკლეს. **ა. ვაშაძემ, ტ. მგალობლიშვილმა, გ. ლომიძემ** და რიგითმა მილიციელებმა მილიციის შენობას შეაფარეს თავი. ისინი დანებებას არ აპირებდნენ, მაგრამ აჯანყებულმა **ლადია ვაშაძემ** როგორც კი ყუმბარა შენობის შიგნით შეაგდო მათ იარაღი დაყარეს.

ჭიათურა აჯანყების დაწყებიდან მალე მთლიანად აჯანყებულების ხელში აღმოჩნდა. აჯანყებულებმა მოახერხეს იარაღის საწყობის ხელში ჩაგდება, რის შედეგადაც მათ ხელში აღმოჩნდა 200-მდე შაშხანა და ბომბები. დაპატიმრებულები აჯანყებულებმა სამაზრო პროფესიული ბიუროს შენობაში მოათავსეს. მოგვიანებით აჯანყებულებმა დაპატიმრებულები გადაარჩიეს და პოლიტბიუროს შენობაში გადაიყვანეს აჯანყებულებმა ხელში ჩაიგდეს პროფკავშირის შენობა მისივე თანამშრომლებითურთ. კომუნისტმა ვალიკო შავგულიძემ შორაპნის მიმართულებით გაქცევა მოახერხა, რათა დამხმარე ძალა ჭიათურის მიმართულებით დაეძრა. ჭიათურის დაკავებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო გამოცდილმა ოფიცერმა **კონსტანტინე ჩაჩანიძემ.** 1924 წლის 28 აგვისტოს კ. ჩაჩანიძე სოფელ **ტეხისში** გამოცხადდა. მის განკარგულებაში 20 მებრძოლი იყო. კ. ჩაჩანიძემ თავისი რაზმით პარტიული კომიტეტისა და საავადმყოფოს დაკავება მოახერხა.

ქ.ჭიათურის აღების შემდეგ აჯანყებულთა რიცხვი 200 მდე გაიზარდა. შეიარაღებულ ძალებს, ამბოხებულთა მხედართმთავრის **სიმონ წერეთლის** მოსვლამდე სწორედ კ. ჩაჩანიძე ხელმძღვანელობდა. სიმონ წერეთლის მოსვლის შემდეგ **კონსტანტინე ჩაჩანიძე** ჭიათურის კომენდანტად დაინიშნა.

ჭიათურაში აჯანყებულებმა ხელში ჩაიგდეს კომუნისტები: **ტარასი მგალობლიშვილი, გრიგოლ (გრიშა) ლომიძე, ჭაბუკი მიშველიძე, მიხაკო კავთელაძე, ალექსანდრე ვაშაძე, სეფე ბუაძე, ვარლამ მასხარაშვილი, ონისიმე მოდებაძე, ილიკო წაქაძე, დავით კილურაძე, ივანე ლომთათიძე, ვანო მოდებაძე, კონია პოპოვი, ირაკლი ჯაოშვილი** და სხვები.

აჯანყებულები ჭიათურიდან შორაპნისაკენ გაემართნენ და შორაპანთან ახლოს რკინიგზის ლიანდაგები აყარეს. ერთი საათის შემდეგ შორაპნიდან ორთქლმავალი გამოვიდა, რომელსაც შეიარაღებული კომუნარები მოჰყავდა ჭიათურის მიმართულებით. მემანქანემ დროზე შენიშნა მწყობრიდან გამოყვანილი ლიანდაგი და დაამუხრუჭა. ამ დროს იქვე ჩასაფრებულმა აჯანყებულებმა ორთქმავალს ცეცხლი გაუხსნეს. ორთქმავალი უკან გაბრუნდა. სროლისას არავინ დაშავებულა ჭიათურაში აჯანყებულთა მხარეზე გმირულად ორი ქალი იბრძოდა — **ნინა წერეთელი და იულია გაფრინდაშვილი.** ჭიათურელმა აჯანყებულებმა 40 კაცი **პავლე (პავლუშა) ვაშაძისა და გრიგოლ (გრიშა) გამყრელიძის** მეთაურობით საჩხერეში გაგზავნეს, მაგრამ საჩხერე უკვე ადგილობრივ აჯანყებულებს ჰქონდათ დაკავებული.

ჭიათურაში დროებითი მთავრობა შეიქმნა, რომელსაც სათავეში **გიორგი წერეთელი** ჩაუდგა. მან ჭიათურის კომენდანტებად **კონსტანტინე (კოწია) ჩაჩანიძე და ეკო (ემელიანე) წერეთელი** დანიშნა, მილიციის უფროსად **გოგია ჩაჩანიძე,** ფოსტატელეგრაფის კომისრად — **ბარნაბა ჩუბინიძე** . აჯანყებულებმა სოფელ შუკინეთში წესრიგის დასაცავად ტიტე (დიმიტრი) ჩაჩანიძე გაგზავნეს.

შუკინეთში დაპატიმრებული კომუნისტების დარაჯად **გრიგოლ ლეონტის ძე ჩაჩანიძე** დაინიშნა. ჭიათურის რაიონის სოფლებიდან თბილისში მოდიოდა ინფორმაცია ხელისუფლების ადგილობრივი წარმომადგენლების დაპატიმრების თაობაზე. სოფელ. ქვაციხეში აღმასკომის თავმჯდომარედ აჯანყებულებმა **მელიტონ ჩუბინიძე** დანიშნეს, სოფ. კაცხში ფილიპე ცერცვაძე, სოფ. დიდი რგანში —კონსტანტინე (კოწია) ხვედელიძე, სოფ. პატარა რგანში **პორფილე სამყურაშვილი,** სოფ.ხრეითში — **სეით ცერცვაძე,** სოფ. წირქვალში **კოლია გაფრინდაშვილი** . საჩხერის აღებაში განსაკუთრებით **ანდრო მაჭავარიანი** აქტიურობდა საჩხერის რაიონი აჯანყებულებს ორი დღის განმავლობაში ეკავათ.

საჩხერის რაიკომის მდივანმა,როგორც კი აჯანყებულთა მიერ ჭიათურის დაკავების შესახებ შეიტყო, რაჭაში გადასვლა მოახერხა, აღმასკომის თავმჯდომარემ — სამხრეთ ოსეთად წოდებულ ჩრდილოეთ შიდა ქართლში. რაჭიდან და ეგრედ წოდებულ სამხრეთ ოსეთიდან საჩხერის მიმართულებით კომუნარები გაემართნენ. რაჭიდან და სამხრეთ ოსეთად წოდებული შიდა ქართლიდან წამოსული კომუნარები საჩხერეში შევიდნენ. აჯანყებულები მთების მიმართულებით მიიმალნენ. მოგვიანებით მათი უმრავლესობა დააპატიმრეს, ნაწილი კი საბჭოთა ხელისუფლებას თვითონ ჩაბარდა ზესტაფონის რაიონის საბჭოთა ხელისუფლებამ მოსალოდნელი აჯანყების შესახებ წინასწარ იცოდა, ამიტომაც ადგილობრივმა ხელისუფლებამ არაერთი საეჭვო პირი დააპატიმრა, რის შედეგადაც ზესტაფონში 1924 წლის აჯანყება არ მომხდარა.. ზესტაფონს აჯანყების დღეებში საფრთხე სვირის რაიონში მყოფი აჯანყებულების მხრიდან დაემუქრა, ამიტომაც ზესტაფონი სათანადოდ გაამაგრეს.

ხარაგაულის რაიონში 1924 წლის აჯანყებას ადგილი არ ჰქონია. მიუხედავად ამისა, ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მასობრივი დაპატიმრებები მაინც განხორციელდა. ამაშუკეთის რაიონში 1924 წლის აჯანყებას

ადგილი არ ჰქონია. ამაშუკეთის რაიონის კომუნარებმა ჭიათურიდან გაქცეული აჯანყების რამდენიმე ხელმძღვანელის დაპატიმრება მოახერხეს. აჯანყების დღეებში ჭიათურიდან და საჩხერიდან გაგზავნილმა აჯანყებულთა რაზმებმა კორბოულის რაიონის ხელმძღვანელი პირები განაიარაღეს და ერთი დღით კორბოულის რაიონს დაეპატრონენ. თუმცა აჯანყებულები კორბოულის რაიონიდან მალევე განდევნეს აჯანყებულების მიერ ჭიათურის საბოლოოდ დაკავებამდე.

საბჭოთა საქართველოს ხელისუფლება ჭიათურის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს ტელეფონით დაუკავშირდა. მიღებული ინფორმაციის შედეგად თბილისში შექმნილ ვითარებაში გაერკვნენ. ჭიათურაში სამხედრო კურსანტთა რაზმი და დასაზვერად აეროპლანი გაიგზავნა. ღრუბლიანობის გამო აეროპლანმა უღელტეხილზე გადაფრენა მხოლოდ 1924 წლის 29 აგვისტოს დილით მოახერხა. 1924 წლის 29 აგვისტოს ღამის სამი საათისათვის კურსანტთა რაზმი ჭიათურას 5 ვერსზე მიუახლოვდა. ამ დროისათვის ჭიათურის მისადგომებთან თავი მოიყარეს კომუნართა რაზმებმა ქუთაისიდან და ზესტაფონიდან, 29 აგვისტოს დილის 8 საათზე აეროპლანი ჭიათურის თავზე გამოჩნდა. აჯანყებულებს ის ინგლისური ეგონათ და მოსახლეობას არწმუნებდნენ, აეროპლანში ნ. ჟორდანია ზის, რომლითაც იგი თბილისში ჩამოფრინდაო. აეროპლანმა ძირს დაშვება დაიწყო და აჯანყებულებს ტყვიამფრქვევის ცეცხლი დაუშინა.

1924 წლის 28 აგვისტოს დილის შვიდის ნახევარზე შორაპნის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის ინსტრუქტორმა გერონტი კიკნაძემ მაზრის მილიციის უფროსს ჭიათურაში აჯანყებულების შეჭრის თაობაზე შეატყობინა. შორაპნის მაზრის მილიციის უფროსმა ზესტაფონიდან დამხმარე ძალის მოსვლის შემდეგ ჭიათურის მიმართულებით წასვლა გადაწყვიტა. მან სადგურ სალიეთთან თავისი ძალები ორი მიმართულებით გაშალა. შორაპნის მაზრის მილიციის უფროსის განკარგულებაში მყოფი შეიარაღებული

ძალების პირველი შეტაკება აჯანყებულებთან სოფელ კაცხთან მოხდა. აჯანყებულები გაიქცნენ. **ჭიათურის მაღლობამდე მისულ შორაპნის მაზრის მილიციის უფროსის რაზმს აჯანყებულებმა ყოფილი პოლკოვნიკის დავით ნოზაძის მეთაურობით ალყა შემოარტყეს. დაიწყო ორმხრივი სროლები. ბრძოლა 28 აგვისტოს საღამოს შვიდ საათამდე გაგრძელდა.** სროლების შედეგად მილიციელებს ერთი მებრძოლი დაეჭრათ, გვარად მენაბდე.მილიციის უფროსმა გადაწყვიტა სამი კომუნარის თანხლებით სადგურ სალიეთში დაბრუნება.

სადგურ სალიეთში შორაპნის მაზრის მილიციის უფროსმა თბილისიდან დეპეშით დამხმარე ძალები გამოითხოვა. საღამოს 9 საათზე ჩეკისტთა დიდი რაზმი **მარქაროვის** და ჩეკისტთა მეორე რაზმი **ჟორჟიკ ქავთარაძის** მეთაურობით მოვიდა. გადაწყდა გაერთიანებული ძალებით ჭიათურაზე შეტევა განეხორციელებინათ. ჭიათურისაკენ მიმავალი ხელისუფლების შეიარაღებული ძალები სოფ. **ქვაციხეში** აჯანყებულებს თავს დაესხნენ. შეტაკების დროს რამდენიმე აჯანყებული ხელისუფლებას ტყვედ ჩაუვარდა, ზოგი კი ბრძოლაში დაიღუპა. **29 აგვისტოს დილის 9 საათზე** ხელისუფლების შეიარაღებული ძალები ჭიათურას სამი ტყვიამფრქვევით მიადგნენ, ქალაქში შეიჭრნენ და პირველ რიგში მილიციისა და საფინანსო განყოფილების შენობები დაიკავეს. შეტაკების შემდეგ აჯანყებულებმა ჭიათურა დატოვეს. **1924 წლის 29 აგვისტოს საღამოს 8 საათისათვის ჭიათურიდან აჯანყებულები მთლიანად განდევნეს.** ჭიათურაში მომხდარ შეტაკებაში აჯანყებულებთა მხრიდან დაიღუპნენ: **ანტონ ბერიძე, მამუკა აბაშიძე, ვლადიმერ ნადირაძე, გიორგი გუჯეჯიანი, ვლადიმერ (ელო) ლილუაშვილი, ნიკოლოზ (კოლია) ჩაჩანიძე, ალექსანდრე გაფრინდაშვილი, ივანე ფხალაძე, ერემია ცერცვაძე,ტიხონ წერეთელი, თეოფილე და ნიკიტა კავთელაძეები, პარმენ სამხარაძე, არჩილ არაბიძე, ვლადიმერ (ვალიკო) არსენაძე, ტიტიკო საყვარელიძე. .**

ჭიათურიდან უკან დახევის შემდეგ აჯანყებულებმა ჭიათურელი კომუნისტები გაიტაცეს: **ბიტოლი ლეჟავა, ჭაბუკ მიშველიძე, ალექსანდრე სიმონის ძე ვლაშაძე, ტარასი მგალობლიშვილი, ისააკ მიქაძე (ყოფილი სოციალ-დემოკრატი), სეფე ჭეიშვილი, ვარლამ მასხარაშვილი, მიხეილ ლომიძე, ირაკლი ჯაოშვილი, მიხეილ (მიშა) კავთელიძე, ფილიმონ ლაბაძე, დავით (დათიკო) მაჭარაშვილი და ონისიმე მოდებაძე.** აჯანყებულებმა გატაცებული კომუნისტები სოფ. **პერევისაში** გაათავისუფლეს .აჯანყებულთა ნაწილმა **გრიგოლ ვაშაძის** მეთაურობით სოფელ. ზოდისაკენ წასვლა გადაწყვიტა. სოფ. დარკვეთის სადგურის მისადგომთან მათ **ილარიონ ტალახაძის** შეიარაღებულმა რაზმმა ცეცხლი გაუხსნა. აჯანყებულებმა სროლითვე უპასუხეს. სროლა თითქმის ერთ საათს გაგრძელდა. აჯანყებულებმა ტყეში მიმალვა უდანაკარგოდ მოახერხეს. ამის შემდეგ აჯანყებულებმა ღამით სოფ. კაცხისაკენ წასვლა გადაწყვიტეს, სადაც მათ **ალექსანდრე ვაშაძის** რაზმი გადაეღობა და აჯანყებულები დანებებაზე დაითანხმა. 1924 წლის 29 აგვისტოს 11 საათზე ჭიათურაში ჯარით **ილარიონ ტალახაძე** ჩავიდა..ტალახაძემ კომუნარებს ვაზნები მიაწოდა. იმავე დღეს კომუნარებისაგან სათანადო რაზმები შეიქმნა, რომლებიც. ჭიათურიდან ყველა მიმართულებით აჯანყებულების დასაჭერად გაიგზავნენ. მთლიანად შორაპნის მაზრაში აჯანყების დროს **16 აჯანყებული, 4 კომუნარი და 7 წითელარმიელი დაიღუპა.**

ვანის რაიონში (ქუთაისის მაზრა) აჯანყებულთა გამოსვლა 1924 წლის 29 აგვისტოს დაიწყო. აქ აჯანყების საერთო ხელმძღვანელი **სერგო თვალაბეიშვილი** იყო, პოლიტიკური **ამბერკი ადეიშვილი.** ვანის რაიონში აჯანყების სათავეში ასევე იდგნენ: **ფერშალი პოლიკარპე ნაფეტვარიძე, ანდრიუშა კიკნაძე, კონსტანტინე (კოწია) ბაქრაძე** და სხვ. აჯანყებულებმა შეტევა დაიწყეს სოფლებიდან: **ყუმური, ზედა ბზვანი, ქვედა ბზვანი.** აჯანყებაში ასევე ჩაებნენ სოფლები **ინაშაური, ამაღლება და დვალიშვილების**

თემი. დვალიშვილების თემში აჯანყებულებს **იოველ დვალიშვილი** ხელმძღვანელობდა. მათ გაათავისუფლეს სოფლები: **ისრითი, დიხაშხო, საქარხიდე.** ი. დვალიშვილის რაზმს მოხალისეები ემატებოდნენ. ისინი ჩავიდნენ სოფელ.ამაღლებაში, სადაც შეთანხმების მიხედვით თავი უნდა მოეყარა ყველა აჯანყებულს.

ამბერკი ადეიშვილის რაზმი დაეუფლა სოფლებს: **საპაიჭაოს, მუქეთსა და ტობანიერს.** ამ სოფლების დაკავების შემდეგ აჯანყებულებმა ვანის რაიონის აღმასრულებელი კომიტეტის შენობა დაიკავეს. შენობაში ვანის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ალექსანდრე კოლუაშვილი იმყოფებოდა **ა. კოლუაშვილმა ა. ადეიშვილი დაჭრა, საპასუხო გასროლით ა. ადეიშვილმა კი კოლუაშვილი მოკლა აჯანყებულებმა შეტაკების დროს ასევე კომუნისტი ვალოდია ახვლედიანი მოკლეს, აჯანყებიდან მესამე დღეს სიცოცხლეს კომუნისტი არტემ ლომინაძე გამოასალმეს.** მომდევნო დღეს აჯანყებულებმა სოფ. **პატრიკეთში** 4 კომუნარი მოკლეს, სოფელ **სულორში** — ვანის რაიონული ინსტრუქტორი **ერმილე ძაგნიძე** . აჯანყებულებს განზრახული ჰქონდათ **მდინარე რიონზე გადასულიყვნენ, ერთიანი ძალით აეღოთ ყველა სოფელი ქუთაისამდე და შემდეგ იერიში ქუთაისზე მიეტანათ.**

საპრასია-უხუთის რაზმს **გრიგოლ ხურციძე** მეთაურობდა. ისინი საპრასია-უხუთის გათავისუფლების შემდეგ სოფელ **ბაღდათში** გადავიდნენ, აქედან კი **სვირში** და იქ არსებული რკინიგზა გადაკეტეს **ამბერკი ადეიშვილმა სამტრედია-მუხიანის** მიმართულებით ბრძოლით დაიკავა სოფლები: **ბაში, საყულია, მუხიანი.** მოგვიანებით ადეიშვილი სოფელ **პატრიკეთში** შეიჭრა. ორსაათიანი ბრძოლის შემდეგ აჯანყებულებმა სოფელი პატრიკეთი დაიკავეს. **კომუნარი დომენტი ვაჩაბერიძე** ბრძოლის დროს დაიღუპა. აჯანყებულები სოფელ უკანეთში შეიჭრნენ და **კომუნარ გვანცელაძეს** თავს დაესხნენ, ის დაჭრეს, მისი ცოლი კი მოკლეს. **სოფელ უკანეთში** ბრძოლის დროს ორი კომუნარი დაიჭრა. ხელისუფლების ადგილობრივი მოხელეე-

ბიდან ზოგი ტყვედ ჩაუვარდა აჯანყებულებს, ზოგმა კი გაქცევა მოახერხა.

ამბერკი ადეიშვილის შეიარაღებული რაზმი 300 კაცამდე გაიზარდა. აჯანყებულები სოფელ გეგუთთან დიდ წინააღმდეგობას წააწყდნენ, ვინაიდან კომუნისტ **თემურხან პაპიაშვილს** ქუთაისიდან დამხმარე ძალა მოუვიდა . პაპიაშვილის რაზმს აჯანყებულებმა **იოველ დვალიშვილისა და ვასილ ახვლედიანის** მეთაურობით ორი მხრიდან შეუტიეს. გეგუთიდან დაიწყო სასტიკი ბრძოლა. ამ ბრძოლაში აჯანყებულთაგან სასიკვდილოდ დაიჭრნენ: **ბენია ტყეშელაშვილი დამიხა ძიგრაშვილი.** აჯანყებულებმა გეგმა შეცვალეს და გადაწყვიტეს ქუთაისზე შეტევა სოფელ **უკანეთიდან** დაეწყოთ. მათ ბრძოლით დაიკავეს სოფლები **მესხეთი და ბაკისუბანი.** საერთო გეგმის მიხედვით აჯანყებულებს ქუთაისზე ლეჩხუმის მხრიდანაც უნდა შეეტიათ. აჯანყებულებმა მიიღეს ცნობა, რომ მათ წინააღმდეგ ქუთაისელი კომუნისტები და რუსული წითელი ჯარის ნაწილები მოემართებოდნენ.

სამტრედია ადგილობრივმა აჯანყებულებმა მძიმე ბრძოლების შემდეგ დაიკავეს. **სოფელ ჯიხაიშთან ბრძოლის დროს ბოლშევიკებმა იარაღი დაყარეს და აჯანყებულებს ჩაბარდნენ.** ბაღდათის რაიონში აჯანყებას მეთაურობდნენ: **ანდრო კიკნაძე, კონსტანტინე(კოწია) ბაქრაძე, აბესალომ თავხელიძე, ვანიკო გებუაძე.** ბაღდათის რაიონში მყოფმა კომუნისტებმა შეიარაღებული ძალების სიმცირის გამო **სოფელ სვირის** მიმართულებით დაიხიეს. ამ გარემოებამ აჯანყებულებს საშუალება მისცა ბაღდათისა და ვანის რაიონებში თავისუფლად ემოქმედათ, სადაც ისინი ძალაუფლებას ორი დღის განმავლობაში ფლობდნენ.

აჯანყების დაწყებამდე **ხრესილისა და ტყიბულის** რაიონებში ამბოხებისი ხელმძღვანელად ვინმე **კუპრაშვილი** დაინიშნა. მან **ალიმ დარახველიძეს** სასწრაფოდ რაზმის შექმნა დაავალა. კუპრაშვილის გეგმით აჯანყებულებს ტყიბული ხრესილის მხრიდან შეტევით

უნდა აელოთ. კუპრაშვილი ა. დარახველიძეს **სოფ. გურნის** დაკავებას ავალებდა. ა. დარახველიძემ **სოფ. გურნი** დაიკავა და კომუნისტები განაიარაღა. ხრესილში აჯანყებულების წინააღმდეგ კომუნარების რაზმს **ეზეკია კუბლაშვილი** ჩაუდგა სათავეში. სოფ.კაცხში აჯანყებას **შალვა ისმაილის ძე კუპატაძე** მეთაურობდა. სოფ. რგანში აჯანყებულებმა ძალაუფლების ხელში აღების პარალელურად კომუნისტებს იარაღი ჩამოართვეს, რომელიც სოფლის სკოლის შენობაში შეინახეს და შემდეგ ხალხს დაურიგეს. ჩხარში აჯანყებულებს **ალექსანდრე არაბიძე** მეთაურობდა. ჩხარშია ჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს: **კლემენტი კუტივაძემ, კაკოლი არაბიძემ,მიხეილ (მიშა) ხიდისბეგიშვილმა, ლეუშკი მესხმა, დავით (დათიკო) სოფრომაძემ,სეფე კახიძემ** და სხვ. სულ ოცამდე აჯანყებულმა. ჩხარში მათთვის წინააღმდეგობა არავის გაუწევია.

1924 წლის 31 აგვისტოს კი ჭიათურიდან ჩხარის მიმართულებით საბჭოთა ხელისუფლებამ 85 კომუნარი გაგზავნა, ზესტაფონიდან ჩხარის მიმართულებით კი ნითელი ჯარი დაიძრა. ამ ძალებმა ჩხარის რაიონიდან აჯანყებულები განდევნეს. აჯანყებულების ნაწილი დააპატიმრეს, ნაწილმა კი მიმალვა მოახერხა. **ჩხარის რაიონში აჯანყებაში მონაწილეობა 100-მდე გლეხმა მიიღო.** 1924 წლის 28 აგვისტოს ღამეს სოფ. ორპირის კანცელარიასთან **ლუკა კუპრაშვილის** მეთაურობით 11-მდე შეიარაღებული აჯანყებული შეიკრიბა. მეორე დღეს **29 აგვისტოს აჯანყებულებსა და კომუნარებს შორის შეტაკება მოხდა,რომლის დროსაც აჯანყებულთა მეთაური ლუკა კუპრაშვილი დაიღუპა,** აჯანყებული **კაპიტონ დოღონაძე** კი დააპატიმრეს. დანარჩენი აჯანყებულები გაიქცნენ.

სამტრედიის რაიონის სოფ. **გომში** და ხონის რაიონის სოფ. **მათხოჯში** აჯანყებამდე ცოტა ხნით ადრე ადგილობრივმა ხელისუფლებამ მასობრივი დაპატიმრებები განახორციელა. გომსა და მათხოჯში აჯანყებულები მეზობელი სოფლებიდან შეიჭრნენ. 1924 წლის სექტემბერში სოფ.

საპაიჭაძეოში **ა. ადეიშვილისა და ს.თვალაბეიშვილის** რაზმს მილიციისა და კომუნარების 300 კაციანი რაზმი დაესხა თავს. სროლების დროს მილიციელებმა შეცდომით სამი თავისიანი დაჭრეს.აჯანყებულთა შეპყრობა ვერ მოხერხდა სოფ. **ბაშში** (ქუთაისის მაზრა) აჯანყებულებმა შორაპნის მაზრის მილიციის უფროსი **მელიტონ ჟორჟოლიანი** დააპატიმრეს (ავადმყოფობის გამო ამ დროს შვებულებაში იმყოფებოდა). მ. ჟორჟოლიანმა მოახერხა მისი დაპატიმრების ამბავი ქუთაისის ადგილობრივი ხელისუფლებისათვის ეცნობებინა. მ. ჟორჟოლიანის გათავისუფლება 1924 წლის 31 აგვისტოს დილით მოხერხდა. გათავისუფლების შემდეგ მ. ჟორჟოლიანმა სოფ. **ბაშში** აჯანყებულების წინააღმდეგ მოქმედება დაიწყო. მან **ამბერკი ადეიშვილის** რაზმის 6 ცხენოსანი შეიპყრო, მათ იარაღი აჰყარა და ისინი სადგურ მუხიანში მყოფ კურსანტების სკოლის კომისარს **მარქაროვს** გადასცა. 2 სექტემბერს მ. ჟორჟოლიანმა მარქაროვთან ერთად ვანის აღებაში მიიღო მონაწილეობა.

ალიმ დარახველიძემ სოფელში კომუნარების შემოსვლისთანავე თავის რაზმთან ერთად **გურნი** დატოვა და სოფ. **ძმუისში** დაბანაკდა. ა. დარახველიძე გეორგობიანთან ერთად გაიქცა და ჯერ ხრესილის რაიონში შემდეგ კი ლეჩხუმში იმალებოდა. 1924 წლის სექტემბრის ბოლოს ა. დარახველიძე ქუთაისის პოლიტბიურომ დააპატიმრა. 1924 წლის აჯანყების დროს იმერეთში საბჭოთა ხელისუფლების 19 წარმომადგენელი დაიღუპა გამოსვლები ქუთაისის მაზრაში 1924 წლის 7 სექტემბერს სრულად იქნა ლიკვიდირებული, რომლის შემდეგ აჯანყებულთა დაპატიმრების პროცესი დაიწყო.

ბ) აჯანყების მიმდინარეობა სამეგრელოში

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა სამეგრელოში აჯანყების მოსამზადებელი სამუშაოები 1924

წლის ზაფხულიდან დაიწყო. ამ მხრივ პირველი ნაბიჯი რეგიონალური (სამეგრელოს) სამხედრო შტაბის შექმნა იყო. სამხედრო შტაბში დამკომმა შეიყვანა: **გენერალი თოფურია** ხელმძღვანელად, **პოლკოვნიკი კოდუა** შტაბის უფროსად, **გენერალი ჯიჯიხია** ზურგის უფროსად, **დავით მხეიძე** სამხედრო კავალერიის უფროსად. სამხედრო შტაბს **სენაკის, ზუგდიდისა და სამურზაყანოს მაზრებში და ფოთში** სამაზრო შტაბების ფორმირება უნდა მოეხდინა. პრაქტიკულად რეგიონალური სამხედრო შტაბი და სამაზრო შტაბები არ ფუნქციონირებდნენ. ამიტომ, დამკომმა სამხედრო შტაბის უკეთ ორგანიზებისა და რეგიონალური დამკომის შესაქმნელად სამეგრელოში ეროვნულ-დემოკრატი **აკაკი მათეს ძე კალანდარიშვილი** მიავლინა. . კალანდარიშვილმა თავის უფროს ძმა შალვასთან ერთად (ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის რწმუნებული სამეგრელოში), მიზანშეწონილად ჩათვალა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის სენაკის სამაზრო კომიტეტის თავმჯდომარესთან **ვანო ესვანჯიასთან** დაკავშირება. **ძმებმა კალანდარიშვილებმა და ესვანჯიამ** პირველ რიგში მიზნად რეგიონალური სამხედრო შტაბის შეკრება დაისახეს, თუმცა ეს არც ისე ადვილი აღმოჩნდა. დიდი ძალისხმევის მიუხედავად მათ **გენერალი თოფურია** ვერ იპოვეს. **პოლკოვნიკ კოდუასთან** დაკავშირება ოფიცერ სპირიდონ სულუხიას მეშვეობით გახდა შესაძლებელი. კოდუას აჯანყებაში მონაწილეობის მიღება მხოლოდ რეალური საგარეო დახმარების პირობებში მიაჩნდა მიზანშეწონილად. რაც შეეხება **გენერალ ჯიჯიხიას**, ის საგანგებო კომისიამ დააპატიმრა და გამომდინარე აქედან ვერც მისი ნახვა მოხერხდა.

ერთადერთი პიროვნება, რომელიც მზად იყო აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიეღო ოფიცერი **დავით მხეიძე** იყო. ამიტომ ძმებმა **აკაკი და შალვა კალანდარიშვილებმა და ვანო ესვანჯიამ** ის **რეგიონალურ, მთელი სამეგრელოს სამხედრო შტაბს ჩაუყენეს სათავეში.** სამხედრო შტაბში ასევე შევიდნენ: **ხარიტონ ლაშხია, ავსსენტი**

შალამბერიძე და სპირიდონ სულუხია. ზემოხსენებული პირების მთავარი საზრუნავი სამეგრელოს რეგიონალური დამკომის ფორმირება იყო. სამეგრელოს დამკომში შევიდნენ: **სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან მასში ვანო ესვანჯია და თედო ესართია, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან შალვა კალანდარიშვილი და შალვა თვალთვაძე.** სამეგრელოს დამოუკიდებლობის კომიტეტი იმავე დროს იყო სენაკის მაზრის დამოუკიდებლობის კომიტეტი, რომელიც ზუგდიდის მაზრის დამოუკიდებლობის კომიტეტს ზედამხედველობას უწევდა.

1924 წლის აჯანყების წინა დღეებში სენაკის მაზრის დამოუკიდებლობის კომიტეტმა მაზრის ყველა რაიონში აჯანყების ხელმძღვანელად დანიშნული პირები შეკრიბა. შეკრებაზე გაირკვა, რომ **აბაშის, ბანძისა და სალხინოს** რაიონებში აჯანყების მოსამზადებელი სამუშაოები კარგად იყო ჩატარებული. საპირისპირო ვითარება იყო **მარტვილისა და ნოქალაქევის** რაიონებში. ამიტომ სალხინოსა და ბანძის აჯანყებულებს თავიანთ რაიონებში ძალაუფლების ხელში აღების შემდეგ **მარტვილისა და ნოქალაქევის** დაკავებაზე უნდა ეზრუნათ. **ახალი სენაკი** 200 შეიარაღებულს უნდა აეღო. აჯანყების ზუსტი თარიღი აჯანყებამდე სამი დღით ადრე საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა **თედო ესართიას** შეატყობინა. **ესართიამ 1924 წლის 26-27 აგვისტოს სენაკის, ზუგდიდისა და სამურზაყანოს მაზრებში აჯანყების მეთაურები გააფრთხილა.**

1924 წლის 28 აგვისტოს, დილით, სენაკის მაზრის დამკომისა და სამხედრო შტაბის გაერთიანებული სხდომა გაიმართა. სხდომაზე სენაკის რაიონის ასაღებად კონკრეტული გეგმა შემუშავდა. გადაწყდა ძალები ორად გაეყოთ. პირველ რაზმს სამოქმედოდ განესაზღვრა სოფლების: **ნოსირის, ქვემო და ზემო შხვიის, ხორშის ტერიტორიები და ახალი სენაკი.** ეს რაზმი 1924 წლის 29 აგვისტოს დილის ორი საათისათვის **საკალანდარიშვილოს** ეკლესიის

ეზოში (ახალი სენაკიდან ერთი ვერსის დაშორებით) უნდა შეკრებილიყო. მეორე რაზმს სამოქმედოდ განესაზღვრა სოფლების: **თეკლათის და ქვალონის** ტერიტორიები. პირველი რაზმის მეთაურად **დავით მხეიძე** დაინიშნა, მეორის —**ავქსენტი შალამბერიძე.** აჯანყებულთა ინფორმაციით, ქ. ახალი სენაკში არსებული შეიარაღებული ძალები მათ რეალურ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდნენ.

1924 წლის 28 აგვისტოს, საღამოს, საკალანდარიშვილოს ეკლესიასთან სენაკის მაზრის დამკომისა და სამხედრო შტაბის წევრები შეიკრიბნენ. აქ რამდენიმე საათში მიიღეს შევსება სხვადასხვა მახლობელი სოფლებიდან, შეიარაღებული რაზმელების სახით და 29 აგვისტოს დილით სენაკისკენ დაიძრნენ.. ამის შემდეგ **აკაკი კალანდარიშვილმა** აჯანყებულებს სიტყვით მიმართა და კიდევ ერთხელ მოუწოდამათ მამაცობისაკენ. **დავით მხეიძემ,** რომელიც აჯანყებულთა საერთო ხელმძღვანელად დაინიშნა, რაზმები საბრძოლველად მოამზადა. მეტის დაყოვნება არ შეიძლებოდა და აჯანყებულები ქალაქისკენ გაემართნენ შეძახილებით: „გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!" „გაუმარჯოს საქართველოს დამოუკიდებლობას! ძირს ოკუპაცია!

რამდენიმე წუთში აჯანყებულებმა აღმასრულებელი კომიტეტის შენობა დაიკავეს. ამ ოპერაციისას ორი აჯანყებული მსუბუქად დაიჭრა. ამის შემდეგ აჯანყებულებმა იერიში პარტიული კომიტეტისა და აღმასრულებელი კომიტეტის შენობებზე მიიტანეს, სადაც კომუნისტები იყვნენ გამაგრებულები. ამ დროს წინასწარგამოყოფილმა 30 აჯანყებულმა ყიჟინა ატეხა, რამაც აჯანყებულებს რაიმილიციის,პარტიული კომიტეტისა და აღმასრულებელი კომიტეტის შენობების დაკავება გაუადვილა. სადგურის და ფოსტის შენობა **ავქსენტი შალამბერიძის** რაზმმა დაიკავა. ამის შემდეგ აჯანყებულები დაიძრნენ საპყრობილის მიმართულებით, შეიპყრეს მისი უფროსი და კომენდანტი და ციხის ახალ უფროსად **გრიშა სპირიდონის ძე მატახერია დანიშნეს.** ქ.ახალი

სენაკის დასაკავებლად მიმდინარე ბრძოლა საათნახევარი გაგრძელდა. ბრძოლაში 10 აჯანყებული და ერთი კომუნარი დაიჭრა. ძალაუფლების ხელშიაღების შემდეგ აჯანყებულებმა საბჭოთა ხელისუფლების მიერ ჩამორთმეული ქონების ყოფილი მფლობელებისათვის დაბრუნება დაიწყეს .

აჯანყებულებმა მოსახლეობაში მრავალრიცხოვანი ტირაჟით განმანთავისუფლებელი და ანტისაბჭოთა შინაარსის ვრცელი პროკლამაცია გაავრცელეს. მოწოდებას მოსახლეობა აქტიურად გამოეხმაურა, ისინი აჯანყებულებს სხვადასხვა სახის დახმარებას უწევდნენ. ქალაქში კომუნისტების ახალი ძალების შემოსვლა რკინიგზის საშუალებით იყო მოსალოდნელი, ამიტომ აჯანყებულებმა მისი გამაგრების გადაწყვეტილება მიიღეს. სადგურ ახალი სენაკის კომენდანტად **სერგო მიქაძე** დაინიშნა, მის თანაშემწედ **გრიგოლ აფაქიძე.** აჯანყებულებმა დააპატიმრეს კომუნისტები: **სამსონ მამულია, ანია მამულია (სამსონის მეუღლე),ბაგრატ გოგინავა, ვანო ჩაკვეტაძე, ერმალო შალამბერიძე, ესტატე გვილავა, ნიკო შამათავა, გრიგოლ გვარამია, ხუტუ ხუბუტია, ანტონ გვარამია, პანტე ნაჭყებია,იასონ ნადარაია, კ. ჯანჯღავა, გ. ჯიქია, მ. კაჭარავა, კ. ლომია, ა. რუხაძე, ლ. გაგუა,შ. ჯოჯუა და სხვა**. ისინი საპყრობილეში მოათავსეს. მარტო №2 საპყრობილეში პატიმართა რიცხვმა 300 მიაღწია. ძალაუფლების ხელში აღების შემდეგ აჯანყებულებმა ეტლზე დასვეს რამდენიმე მღვდელი და ახალი სენაკი და მისი შემოგარენი აკურთხებინეს„კომუნისტების ნაკვალევის და მაცდურობისაგან გვიხსნასო უფალმაო!". მღვდელმა **არისტრახო კალანდარიშვილმა** იმ ადგილას, სადაც კომუნისტებმა ეკლესია დაანგრიეს, დიდი ზარი ჩამოაკიდებინა და წირვის ჩატარება დაიწყო.

ახალი სენაკში აჯანყებაში მონაწილეობა 296 კაცმა მიიღო, მათ შორის საბჭოთა დაწესებულების 15 მოსამსახურემ, 20 მოსწავლემ, 6 მღვდელმა, 30 სოციალდემოკრატმა, 70 ეროვნულ-დემოკრატმა.1924

წლის 29-30-31 აგვისტოს და 1 სექტემბრის საღამომდე აჯანყებულები ახალი სენაკში სრულ ძალაუფლებას ფლობდნენ. ამ დროის განმავლობაში მათ ლენინის, მარქსის, ენგელსის, ტროცკის ძეგლები და სურათები გაანადგურეს. მათ ადგილზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროშა აღმართეს.

1924 წლის 1 სექტემბრის საღამოს . ახალსენაკში კომუნისტების ახალი ძალების შემოსვლა დაიწყო. სროლები განახლდა. შეტაკებისას ახალი სენაკში და მის რაიონში აჯანყებულთა მხრიდან დაიღუპნენ: ბაგრატ ბეგლარის ძე ჟვანია, გიორგი დიმიტრის ძე ბერულავა, ალექსანდრენიკოლოზის ძე ფარცანია, ტერენტი ზურაბის ძე გაბუნია, მიხეილ გერასიმეს ძეხუხია, პართენ ფილიპეს ძე კემულარია, ნიკოლოზ ტარიელის ძე ჩიქოვანი, აკაკი ბიქტორის ძე მონიავა, ილარიონ ტატუზოს ძე დაჟემია, ხუხუ თომას ძე ელიავა,იპოლიტე ნესტორის ძე ბარამია, გიორგი გუჯუს ძე გაბუნია, კიწი ივანეს ძე ფაღავა, პავლე გიორგის ძე გაბუნია, ივანე გრიგოლის ძე ფაღავა, ბაგრატ ტუტუსძე ხაინდრავა, ფომი ტარასის ძე გაბუნია, ილია ისიდორეს ძე ანჯაფარიძე, რაჟდენ პავლეს ძე ყურუა, პორფირე პავლეს ძე ხურცილავა, ძიკი თედოს ძე გარდავა, დიანოზ ქვარცხავა, ტარას შარტავა, ალექსი სიმონის ძე წულეისკირი, გოჯე კაბანოს ძე ჩიჩუა, ჩიჩუ (ნიკო) ლაზარეს ძე გვასალია, შალვა (შალიკო) კაბანოს ძე ჩიჩუა, კოკი გრიგოლის ძე დადიანი, მატუშა ანდროს ძე ქაჯაია, უტუ ჯათუს ძე ბეჭვაია, პარმენ იოანეს ძე კოკაია, თადა პეტრეს ძე რატიანი, მიხეილ ქიშვარდის ძე ფიჩხაია, პორფირე ქიშვარდის ძე ფიჩხაია, ესტატე კვაშილავა, სიმონ ბერულავა,ესტატე (სიმონ) აროსიანი, მელენტი გიგოს ძე ჩაჩიბაია, ნიკოლოზ (ნიკო) პავლეს ძე გვასალია, იპოლიტე ნესტორის ძე ბარამია, ბესარიონ თანაფიეს ძე პინტურია, იროდიონ ერასტოს ძე გოგინავა, ბარნაბა თეიმურაზის ძე წითლიძე, მიხეილ კონსტანტინეს ძე კეკელია, ბიქტორ კონსტანტინეს ძე კეკელია, ალე-

ქსანდრე ბესარიონის ძე კარტოზია, ფედე გერასიმეს ძე გაბუნია, ლევან გვაჩის ძეკვარაცხელია.

აჯანყებულებმა მოწინააღმდეგის შეტევას ვერ გაუძლეს და ქ. ახალი სენაკის დატოვების გადაწყვეტილება მიიღეს. აჯანყებულები მოგვიანებით ქალაქზე იერიშის განხორციელებას გეგმავდნენ. ქ. ახალი სენაკის დატოვებისას აჯანყებულებმა წაიყვანეს ოცამდე ტყვე კომუნისტი. **სოფ. ზანაში** მისვლისთანავე **ა.კალანდარიშვილმა** კომუნისტები **ხუტუ ხუბუტია და ერმოლოზ შალამბერიძე** ახალი სენაკში მყოფ კომუნისტებს მიუგზავნა მოსალაპარაკებლად, რათა მათთვის ტყვე კომუნისტების წაყვანის ნამდვილი მიზეზი აეხსნათ. მოგვიანებით აჯანყებულებმა სოფ. ჯვარის ეკლესიასთან (ამჟამად ეკუთვნის წალენჯიხის რაიონს) ტყვეები **არჩილ რუხაძისა და სამსონ მამულიას** გარდა ყველანი გაათავისუფლეს. აჯანყებულებმა ა. რუხაძის მეშვეობით საბჭოთა ხელისუფლებასთან მოლაპარაკება სცადეს, თუმცა უშედეგოდ.

სოფ. ჯვარში მყოფი აჯანყებულების მიზანი სვანეთში გადასვლა იყო. სოფ.ჭუბერში მათ სვანების 60-80 კაციანი რაზმი დახვდათ **არდევან ჭკადუასა და დავით ნიჟარაძის** მეთაურობით. სვანებმა აჯანყებაში მონაწილეობის მიღების სურვილი გამოთქვეს, რის შემდეგ ისინი ერთად სოფ. ხუდონამდე ჩამოვიდნენ. სვანებმა როგორც კი სოფ. ჯვარის ეკლესიასთან საბჭოთა ხელისუფლების შეიარაღებული ძალების გამოჩენის შესახებ შეიტყვეს, ბრძოლაზე უარი განაცხადეს. ამის შემდეგ აჯანყებულებმა თავი ცხომარის ტყეს შეაფარეს.

მართალია. ახალი სენაკის საბჭოთა ხელისუფლებამ მოსალოდნელი აჯანყების შესახებ სამი დღით ადრე შეიტყო, მაგრამ მათ აჯანყების აღსაკვეთად არაფერი გაუკეთებიათ. სოფ. ზემო ჭალადიდის (ახალი სენაკის რაიონი) საბჭოთა ხელისუფლება მოსალოდნელი აჯანყების შესახებ ინფორმირებული იყო. აჯანყებულებმა ორსაათიანი ბრძოლის შემდეგ კომუნარების ნაწილი ტყვედ ჩაიგდეს. კომუნარების ნაწილი გაიქცა და ფოთის კომუნარებს

შეუერთდა. სოფ. ზემო ჭალადიდში აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს: **დოროთე ნანეიშვილმა, შალვა იოსელიანმა და ჭიჭიკო ქოჩაკიძემ. სოფ. ზემო ჭალადიდში აჯანყებაშიმონაწილეობა 68 კაცმა მიიღო.**

აჯანყებულებმა სოფ. ქვემო ჭალადიდში (ახალი სენაკის რაიონი) ძალაუფლების ხელში აღება ვერ მოახერხეს, რადგან კომუნარებთან ბრძოლაში დამარცხდნენ. აჯანყებულთაგან განსაკუთრებით **კოლია ნორაკიძე** აქტიურობდა. ქვემო ჭალადიდში აჯანყებაში მონაწილეობა 12 კაცმა მიიღო. **სოფ. ხორშის** საბჭოთა ხელისუფლება მოსალოდნელი აჯანყების შესახებ გაფრთხილებული იყო. აჯანყებულებმა ერთ საათიანი ბრძოლის შემდეგ სოფელი დაიკავეს და კომუნარები ტყვედ ჩაიგდეს. შეტაკებისას ერთი უპარტიო კომუნარი დაიჭრა. აჯანყებულები სოფელს ორი დღის განმავლობაში ფლობდნენ. **სოფ. ხორშაში** აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს: **იოსებ ეჯიბიამ, ჯონჯი დადიანმა და სალადინ ჭანტურიამ. სოფ. ხორშაში აჯანყებაში მონაწილეობა 69 კაცმა მი იღო.**

სოფ. ზანის (ახალი სენაკის რაიონი) საბჭოთა ხელისუფლება მოსალოდნელი აჯანყების შესახებ ინფორმირებული იყო. კომუნარებმა აჯანყებულთა პირველი შეტევა მოიგერიეს, მაგრამ მეორე შეტევის დროს აჯანყებულებს ტყვედ ჩაუვარდნენ. შეტაკების დროს ერთი აჯანყებული დაიჭრა. აჯანყებულებმა როგორც კი ძალაუფლება ხელში აიღეს ყოფილ მფლობელებს მიწები დაუბრუნეს. სოფ. ზანაში აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს: **პლატონ ანდროს ძე კვაშილავამ, ფარნა ღვინჯილიამ, ნესტორ შურღაიამ, კოკი აფაქიძემ, მიხეილ (მიშა) აფაქიძემ, ილიკო ბობოხიძემ, დუტუ აფაქიძემ, კირილე ესებუამ, პლატონ აფაქიძემ, ათანასე თოდუამ.** აჯანყებულები ძალაუფლებას სოფ. ზანაში ერთი დღის განმავლობაში ფლობდნენ. **სოფ. ზანაში აჯანყებაში მონაწილეობა 101 კაცმა მიიღო.**

სოფ. ძონძირ-ისულის (ახალი სენაკის რაიონი) საბჭო-

თა ხელისუფლებამოსალოდნელი აჯანყების შესახებ ინფორმირებული იყო. სოფელი აჯანყებულებმა ორ საათიანი ბრძოლის შემდეგ დაიკავეს და კომუნარები ტყვედ აიყვანეს. შეტაკების დროს ერთი კომუნარი დაიღუპა. სოფ. ძონძირ-ისულაში აჯანყებულთა მხრიდან განსაკუთრებით **ძაკუ პილას ძე ხოფერია** აქტიურობდა. აჯანყებულები სოფელს სამი დღის განმავლობაში ფლობდნენ. **სოფ. ძონძირ-ისულაში აჯანყებაში მონაწილეობა 34 კაცმა** მიიღო. სოფ. თეკლათის (ახალი სენაკის რაიონი) საბჭოთა ხელისუფლებამ აჯანყების მზადების შესახებ წინასწარ იცოდა. აჯანყებულებმა რამდენიმე საათიანი ბრძოლის შემდეგ სოფელი დაიკავეს და კომუნარები ტყვედ ჩაიგდეს. აჯანყებულთა მხრიდან განსაკუთრებით **ძიკა გარუჩავა** აქტიურობდა. აჯანყებულები სოფელს სამი დღის განმავლობაში ფლობდნენ. **სოფ. თეკლათში აჯანყებაში მონაწილეობა 299 კაცმა მიიღო.**

ახალი სენაკის რაიონში აჯანყებაში მონაწილეობა 879 კაცმა მიიღო. სოფ. ძველი სენაკის (ძველი სენაკის რაიონი) საბჭოთა ხელისუფლება მოსალოდნელი აჯანყების შესახებ გაფრთხილებული იყო. სოფელი აჯანყებულებმა ადვილად დაიკავეს. შეტაკების დროს მსხვერპლს ადგილი არ ჰქონია. სოფ. ძველი სენაკში აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს: **კალისტრატე ბოხუამ, პეტრე ფაჩუაშვილმა და კაპიტონ ანჯაფარიძემ.** აჯანყებულები სოფელს ორი დღის განმავლობაში ფლობდნენ. **სოფ. ძველი სენაკში აჯანყებაში მონაწილეობა 124 კაცმა მიიღო.**

სოფ. ეკის (ძველი სენაკის რაიონი) საბჭოთა ხელისუფლება მოსალოდნელი აჯანყების შესახებ ინფორმირებული იყო. აჯანყებულებმა სოფელი ადვილად დაიკავეს. შეტაკების დროს ერთი აჯანყებული დაიღუპა. აჯანყებულები სოფელში ძალაუფლებას ორი დღის განმავლობაში ფლობდნენ. სოფ. ეკში აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს: **ტარას შარტავამ, იპოლიტე წულეისკირმა, ევგენი წულეისკირმა, არტემ წულეისკირმა, დავით (დათიკო) საჯაიამ, ლევან გუნიამ, თეოფანე**

პეტრეს ძე ადამიამ, ძიკი გალდავამ, დოროთე ჟვანიამ. სოფ. ეკში აჯანყებაში მონაწილეობა 96 კაცმა მიიღო. სოფ. გეჯეთის (ძველი სენაკის რაიონი) საბჭოთა ხელისუფლებამ მოსალოდნელი აჯანყების შესახებ წინასწარ იცოდა. სოფელი აჯანყებულებმა ყოველგვარი მსხვერპლის გარეშე დაიკავეს. სოფ. გეჯეთში აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს: **დომენტი კიმოთეს ძე ჯღამაძემ და გრიგოლ სპირიდონის ძე მატახერიამ.** აჯანყებულები სოფელს ორი დღის განმავლობაში **ფლობდნენ. სოფ. გეჯეთში აჯანყებაში მონაწილეობა 68 კაცმა მიიღო.**

ძველი სენაკის რაიონში აჯანყებაში მონაწილეობა 288 კაცმა მიიღო. 1924 წლის 29 აგვისტოს დილის 7 საათზე ძველი სენაკის რაიონში მყოფმა კომუნისტებმა აჯანყებულთა მიერ ახალი სენაკის დაკავება შეიტყვეს. მათ ადგილობრივი საგანგებო სამეული **შექმნეს ლავრენტი დავითაიას, მიხეილ გოგიასა და ი. ბეჭვაიას** შემადგენლობით. სამეულმა **სოფ. ნოქალაქევში** მყოფ **მაკარ ბედიას** ახალი სენაკის დაცემის შესახებ აცნობა. მ. ბედია ძველი სენაკის რაიონში დაბრუნდა და სამეულს სათანადო დირექტივები მისცა. სამეულმა 25 შეიარაღებული კომუნისტი შეკრიბა. სამეულის დადგენილებით აჯანყებულებისათვის გადამწყვეტი ბრძოლა სოფ. ნოქალაქევში უნდა გაემართათ. ამ მიზნით საჭირო იყო სტრატეგიული ადგილების დაკავება. სამეულის განკარგულებაში მყოფი ძალები სოფ. ნოქალაქევის მიმართულებით დაიძრნენ, მაგრამ მათ გზაში 50 შეიარაღებული აჯანყებული დაესხა თავს. მიუხედავად ამისა, კომუნისტებმა სოფ. ნოქალაქევში შესვლა მოახერხეს და იქ მყოფ კომუნარებს შეუერთდნენ.

სოფ. ნოქალაქევში აჯანყებულების წინააღმდეგ ბრძოლა ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. მას შემდეგ რაც კომუნარებს ტყვია-წამლის მარაგი ამოეწურათ, ისინი იძულებული გახდნენ ტყეში გახიზნულიყვნენ. გახიზნულმა კომუნარებმა როგორც კი შეიტყვეს ახალი სენაკში აჯანყების დამარცხება, ლ. დავითაია და მასთან მყ-

ოფი კომუნარები უმალვე ძველი სენაკში დაბრუნდნენ. ძველი სენაკში ლ.დავითაიამ მობილიზაცია დაიწყო. 1924 წლის 3 სექტემბერს საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) სენაკის სამაზრო კომიტეტისა და წითელი არმიის შტაბის განკარგულებით კომუნარები **ლავრენტი დავითაიას** მეთაურობით აჯანყებულებისაგან სოფლების: **ლეძაძამეს, თამაკონისა და სალხინოს** გასათავისუფლებლად გაიგზავნენ. მათ ახალი სენაკის და ნოქალაქევის რაიონის კომუნარებიც შეუერთდნენ. ყველა ამ ძალის მეთაურად **ლავრენტი დავითაია** დაინიშნა. ლ.დავითაიამ მისთვის დაკისრებული ამოცანა წარმატებით გადაჭრა და დასახელებული სოფლები აჯანყებულებისაგან სრულად გაათავისუფლა.

აჯანყებულებმა სოფ. აბაშაში 3-4 დღით ძალაუფლების ხელში აღება მოახერხეს,რის შემდეგაც მათ ყველა ადგილობრივი კომუნისტი განაიარაღეს და დააპატიმრეს. კომუნისტებმა სოფ. აბაშაში შემოსვლა ჯავშნიანი მატარებლით სამტრედიიდან სცადეს. ამბოხებულებმა სათანადო თადარიგი დაიჭირეს და რკინიგზის ხაზი მწყობრიდან გამოიყვანეს, თუმცა მემანქანემ დროზე შეძლო მატარებლის შეჩერება. კომუნისტებმა მდ. ტეხურის ხიდთან განლაგებული ქვემეხებიდან მოწინააღმდეგეს ცეცხლი გაუხსნეს. აჯანყებულები გაიფანტნენ.

1924 წლის 28 აგვისტოს ღამით აჯანყებულები სოფ. **უშაფათში** კვარჩხალის მთაზე შეიკრიბნენ. შეკრებას ესწრებოდნენ:**ირაკლი გოგინავა,იროდიონ გოგინავა,ავქსენტი გოგინავა,მაინჩა გოგინავა,აკაკი ბახვას ძე საბახტარიშვილი, იასონ ქუჩულორია, მიტროფანე კარტოზია, კონსტანტინე (კოსტა) ფაცია, დანე ფაცია, თედო გოგინავა, დავით (დათიკო) კუბეცია, მოსე გაბერდავა,ალესი შამათავა, ალე კარტოზია, არისტრახო ბუსკაძე, მიხეილ (მიხა) კუბეცია,რაჟდენ ბუსკაძე, კოლია დემურია** და სხვები. შეკრებილებთან კურიერი უნდა მოსულიყო, რომელიც მათ საჭირო მიმართულებით წაიყვანდა, მაგრამ კურიერი არ გამოცხადდა და შეკრებილებიც დაიშალნენ.

1924 წლის 29 აგვისტოს, დილით,ირაკლი გოგინავამ და იროდიონ გოგინავამ აჯანყებულების მიერ ახალი სენაკის აღების შესახებ შეიტყვეს. ამიტომაც მათ რაზმის ხელახლა შეკრება და სოფ. ფოცხოსაკენ წასვლა გადაწყვიტეს. იმავდროულად სოფ. ფოცხოდან მათ წერილი მიიღეს, რომლითაც ფოცხოს აჯანყებულები დახმარებას ითხოვდნენ. სოფ.უშაფათის აჯანყებულთა 10 კაციანი რაზმი სოფ. ფოცხოსაკენ გაემართა. რაზმში იყვნენ: **ირაკლი გოგინავა, დანე ფაცია, მიტროფანე კარტოზია, იროდიონ გოგინავა,მაინჩა გოგინავა, იასონ ქუჩულორია, კოსტა ფაცია, თედო გოგინავა, ავქსენტი გოგინავა, რაჟდენ ხაბურძანია.** სოფ. ფოცხო ადგილობრივმა აჯანყებულებმა უშაფათის რაზმის მისვლამდე აიღეს.

ამის შემდეგ **უშაფათელი** აჯანყებულები უკან გაბრუნდნენ რათა სოფ. უშაფათის კანცელარია დაეკავებინათ. სოფლის კანცელარიაში მისულ აჯანყებულებს იქ არავინ დახვდათ. ადგილობრივი კომუნისტები. ნოქალაქევში აღმოჩნდნენ წასულები. ამის შემდეგ მათ სახალხო კრება მოაწყვეს და თავდაცვის კომიტეტი აირჩიეს შემდეგი შემადგენლობით: **ისიდორე გაბელია, დავით (დათიკო) ივანეს ძე გოგინავა, იასონ ქუჩულორია. სოფ. უშაფათში აჯანყებაში მონაწილეობა 38 კაცმა მიიღო.** აჯანყებულებმა სამფეროვანი დროშები ააფრიალეს, ეკლესიებში ზარები ჩამოკიდეს. სოფ. უშაფათში აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს: მაქსიმე ქუჩუს ძე ახალაიამ და სოკრატ ღვინჯილიამ.

1924 წლის 1 სექტემბერს, საღამოს 4 საათზე, სოფ. უშაფათის კანცელარიაში მიხეილ (მიშა) ევგენის ძე ბოკუჩავა და აკაკი ხორავა გამოცხადნენ და ახალი სენაკიდან შემდეგი შინაარსის წერილი მოიტანეს: „ფოცხო-უშაფათს. გთხოვთ საჩქაროთ გამოგზავნოთ, თუ რამე გაგაჩნიათ ასაფეთქებელი მასალები!“ წერილს ხელს შალვა კალანდარიშვილი და ვანო ესვანჯია აწერდნენ. არც უშაფათის და არც ფოცხოს აჯანყებულებს მსგავსი საბრძოლო საშუალება არ ჰქონდათ. სოფ. უშაფათში მყოფმა აჯანყებულებმა კომუ-

ნისტების მიერ. ახალი სენაკის აღების შესახებ შეიტყვეს, კანცელარიაში ყარაულები დააყენეს და სოფლის ტერიტორია დატოვეს.სოფ. ფოცხოში აჯანყებულებმა **კოლია დემურიასა და დავით (დათიკო) კუბეციას** მეთაურობით სოფლის კანცელარიის შენობა დაიკავეს, რის შემდეგ თავდაცვის კომიტეტი აირჩიეს. კომიტეტში შევიდნენ: **კოლია დემურია (თავმჯდომარე), დავით კუბეცია, ბაგრატ ღვინჯილია, მოსე გაბერდავა.** აჯანყებულებმა კომუნარები დააპატიმრეს და მათი სახლები გაჩხრიკეს, შემდეგ მიტინგი ჩაატარეს, სამფეროვანი დროშა აღმართეს და ეკლესიებში ზარები ჩამოკიდეს. სოფ. ფოცხოში აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს: **დავით (დათიკო) ზურაბის ძე კუბეციამ, ჭუკუ დიმიტრის ძე საჯაიამ, არისტრახო დიმიტრის ძე ბუსკანძემ, ვარლამ იოსების ძე გაბისონიამ, მოსე გაბისონიამ, კოლია ტუტუს ძე დემურიამ, კონსტანტინე (კოსტა) სტეფანეს ძე ხეცურიანმა, კოლია ივაკის ძე მამულიამ, ფანო დათას ძე ჯოჯუამ** დასხვ. **სულ 74 კაცმა.**

მოგვიანებით ფოცხოდან აჯანყებულებმა ნოქალაქევის მიმართულებით გალაშქრება გადაწყვიტეს, მაგრამ მათ ნოქალაქევი ადგილობრივი აჯანყებულების მიერ აღებული დახვდათ.აჯანყებულებმა სოფ. ფოცხოს კანცელარიის შენობა კომუნისტების მიერ ახალი სენაკის აღების შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე დატოვეს. **სოფ. ლეძაძამეს** აჯანყებულები ადვილად დაეუფლნენ და ორ ნახევარი დღის განმავლობაში აკონტროლებდნენ მას. აჯანყებულებმა კომუნარები დააპატიმრეს და მათი სახლები გაჩხრიკეს, შემდეგ მიტინგი ჩაატარეს,სამფეროვანი დროშები აღმართეს და ეკლესიებში ზარები ჩამოკიდეს. სოფ.ლეძაძამეში აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს: **სარდი ჯარუს ძე კაკაშვილმა, ნოე ბათურას ძე ძიმისტარაშვილმა, გრიგოლ (გრიშა) არისტოს ძე შუშანიამ, ისააკ უთუს ძე აფშილავამ, იოსებ ნიკოლოზის (ნიკოს) ძე ხურცილავამ. სოფ. ლეძაძამეში აჯანყებაში სულ მონაწილეობა 59 კაცმა მიიღო, მათ შორის იყო**

საბჭოთა დაწესებულების 4 მოსამსახურე, 3 მოსწავლე, 5 ღარიბი გლეხი, 2 მღვდელი, 21 სოციალ-დემოკრატი, 5 ეროვნულ-დემოკრატი .

ნოქალაქევის რაიონში აჯანყებაში მონაწილეობა 274 კაცმა მიიღო 1924 წლის 28 აგვისტოს ღამეს სოფ. ნოქალაქევში **მასვანჯებულის** მთაზე აჯანყებულებმა საიდუმლო კრება გამართეს. კრებას ესწრებოდნენ: **ევგენი ბესელია, რაჟდენ ხელაია, მიხეილ (მიხა) კილასონია, ივანე ბესელია, ალექსანდრე ბაღათურია, გრიგოლ (გრიშა) როგავა, ამირან შავდია, თადა ბესელია და ბიქტორ კოღუა.** კრებაზე აჯანყების კონკრეტული გეგმა შემუშავდა. 29 აგვისტოს, დილით, აჯანყებულები ადგილობრივ კომუნისტებს თავს დაესხნენ, დაამარცხეს ისინი და ძალაუფლება ხელში აიღეს. სოფ. ნოქალაქევში აჯანყებულები ძალაუფლებას დღენახევრის განმავლობაში ფლობდნენ. ამის შემდეგ მათ მიტინგი ჩაატარეს, სამფეროვანი დროშები აღმართეს და ეკლესიებში ზარები ჩამოკიდეს. აჯანყებულების შემდეგი ნაბიჯი თავდაცვის კომიტეტის შექმნა იყო. კომიტეტის ერთ-ერთი წევრი ვლადიმერ მანუჩარის ძე კარტოზია იყო. სოფ. ნოქალაქევში აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს: **თადეოზ ეგნატეს ძე ბესელიამ, მელიტონ ბეგლარის ძე კარტოზიამ, ვლადიმერ მანუჩარის ძე კარტოზიამ, ალექსანდრე გიორგის ძე ბარკალაიამ, გრიგოლ (გრიშა) გუსარის ძე როგავამ, ამირან გიორგის ძე შავდიამ, იასონ სიკოს ძე სანიკიძემ, შალვა ანდრიას ძე შალამბერიძემ, ილარიონ ბიქტორის ძე ბაღათურიამ. სოფ. ნოქალაქევში აჯანყებაში მონაწილეობა 103 კაცმა მიიღო.**

მარტვილის რაიონის სოფ. გაჭედილში აჯანყებულები სალხინოს რაიონიდან შეიჭრნენ, რომლებსაც ადგილობრივი აჯანყებულებიც შეუერთდნენ. კომუნარებმა აჯანყებულთა შეტევებს ვერ გაუძლეს, უკან დაიხიეს და მარტვილში მყოფ კომუნარებს შეუერთდნენ. შეტაკების დროს აჯანყებულთა მხრიდან ხუთი კაცი დაიღუპა, კომუნარების მხრიდან ერთი. **სოფ. გაჭედილში აჯანყე-**

ბაში მონაწილეობა 23 კაცმა მიიღო. სოფ. გაჭედილში აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს: **მიხეილ (მიხა) ჯანჯღავამ, მაკარ შავდიამ, პლატონ შავდიამ, აკაკი შავდიამ, ფარნა წულაიამ, სანდრო წულაიამ, მიხეილ (მიხა) ხურცილავამ, სოლომონ წულაიამ, მალაქია ღვინჯილიამ.** სოფლის ხელმძღვანელობამ მოსალოდნელი აჯანყების შესახებ არ იცოდა.

სოფელ ნახუნავოში (მარტვილის რაიონი) აჯანყებულებსა და ადგილობრივ კომუნისტებს შორის მომხდარ შეტაკებას მსხვერპლი არ მოჰყოლია. აჯანყებულებმა სოფელი დაიკავეს და მას ორი დღის განმავლობაში აკონტროლებდნენ. აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს: **თეოფანე ჭილაიამ, კოლია ცანავამ, ანტონ ცანავამ, ბოკო ჭოჭუამ, ვახტანგ ჭოჭუამ, პლატონ ქურდიანმა, ყარამან ჭოჭუამ, სოლომონ სიგუამ, მიხა სულაბერიძემ, გიგო ნარსიამ,ხარიტონ ადამიამ, მოსე ცანავამ.** სოფლის ხელმძღვანელობა მოსალოდნელი აჯანყების შესახებ ინფორმირებული არ ყოფილა.**სოფ. ნახუნავოში აჯანყებაში 55 კაცი მონაწილეობდა.**

სოფ. ნაგვაზავო (მარტვილის რაიონი) აჯანყებულებმა ადგილობრივი კომუნარების მიერ მარტვილის რაიონის დატოვების შემდეგ დაიკავეს და სოფელს დღენახევრის განმავლობაში ფლობდნენ. სოფლის ხელმძღვანელობა მოსალოდნელი აჯანყების შესახებ ინფორმირებული არ ყოფილა. **სოფ. ნაგვაზავოში აჯანყებაში მონაწილეობა 32 კაცმა მიიღო. სოფ. ხუნწში** (მარტვილის რაიონი) 1924 წლის აჯანყების დაწყებისთანავე ადგილობრივმა კომუნარებმა ხონის მიმართულებით დაიხიეს. აჯანყებულებმა სოფელი დაიკავეს და დღე-ღამის განმავლობაში აკონტროლებდნენ მას. აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს: **თენგიზ რევიამ, რაჟდენ გეგეჭკორმა, ლუკა ბერიამ, პავლე გელენიძემ, ბახვა კირთაძემ, ლადი მონიავამ, ჭიჭიკო რევიამ, ილია რევიამ,პლატონ გაბისონიამ, მიხა თოფურიამ, ალექსანდრე გოგიამ, ისააკ გოგიამ, რაჟდენ წონერიამ.** სოფლის ხელმძღვანელობა მოსალ-

ოდნელი აჯანყების შესახებ ინფორმირებული არ ყოფილა. **სოფ. ხუნწში აჯანყებაში მონაწილეობა 51 კაცმა მიიღო.**

სოფელი მარტვილი (მარტვილის რაიონი) აჯანყებულებმა ადვილად დაიკავეს და 18 საათის განმავლობაში აკონტროლებდნენ მას. სოფ. მარტვილში აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს: **სილოვან ფარულავამ, შალვა ჩიქოვანმა, გრიგოლ გაბისონიამ, ლუკა ხვინგიამ, კაკო მონიავამ, ხუხუ ელიავამ, ნოე კვანტალიანმა. სოფ. მარტვილში აჯანყებაში მონაწილეობა 86 კაცმა მიიღო. მარტვილის რაიონში აჯანყებაში მონაწილეობა 247 კაცმა მიიღო.**

სოფ. **სალხინოს** (სალხინოს რაიონი) აჯანყებულები 7 დღის განმავლობაში ფლობდნენ. მათ კომუნისტები საკუთარ სახლებშივე განაიარაღეს და დააპატიმრეს. შეტაკების დროს ორი კომუნარი დაიჭრა. **სოფ. სალხინოში აჯანყებაში მონაწილეობა 112 კაცმა მიიღო.** სოფ. სალხინოში აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს: **ნიკოლოზ (ნიკო) ლაშხიამ, ნიკოლოზ (ნიკო) კუხალაშვილმა, ანტონ მებონიამ, სევერიანე სხულუხიამ, გრიგოლ (გრიშა) აბულაძემ, ბარნაბა გაგუამ, ტუტუ დგებუაძემ, მარკოზ კალანდიამ, იასონ გვარამიამ, მელიტონ სხულუხიამ.** სოფლის ხელმძღვანელობამ მოსალოდნელი აჯანყების შესახებ არაფერი იცოდა.

სოფ. კურზუ (სალხინოს რაიონი) აჯანყებულებმა ადვილად დაიკავეს და 7 დღის განმავლობაში აკონტროლებდნენ მას. აჯანყებულებმა კომუნისტები თავიანთ სახლებშივე განაიარაღეს და დააპატიმრეს. სოფლის ხელმძღვანელობამ აჯანყების თარიღი არ იცოდა. სოფ. კურზუში აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს: **სამსონ ფირცხალავამ, ჯადული ნაჭყებიამ, იონა ნაჭყებიამ, აკაკი ნაჭყებიამ, დიმიტრი ნაჭყებიამ, დავით ნაჭყებიამ, ჯოტო ნაჭყებიამ, ილია ნაჭყებიამ, კირილე ჯოჯუამ, ექვთიმე ნაჭყებიამ, იონა დიმიტრის ძე ნაჭყებიამ, გიორგი პეპუს ძე ნაჭყებიამ და გიორგი სისოს**

ძე ბერულავამ და სხვ. სულ 72 კაცმა. სოფელი თამაკონი (სალხინოს რაიონი) აჯანყებულებმა ყოველგვარი გართულების გარეშე დაიკავეს. აჯანყებულები სოფელს 7 დღის განმავლობაში ფლობდნენ. მათკ ომუნისტები თავიანთ სახლებშივე განაიარაღეს და დააპატიმრეს. სოფლის ხელმძღვანელობამ მოსალოდნელი აჯანყების შესახებ არაფერი იცოდა. სოფ.თამაკონში აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს: **ხარიტონ ადამიამ, სისო ხეიძემ და ჯვებე დგებუაძემ. სოფელ თამაკონში აჯანყებაში მონაწილეობა 117 კაცმა მიიღო.**

სოფ. კიწია (სალხინოს რაიონი) აჯანყებულებმა ადვილად აიღეს. აჯანყებულები სოფელს 7 დღის განმავლობაში ფლობდნენ. მათ კომუნისტები თავიანთ სახლებშივე განაიარაღეს და დააპატიმრეს. სოფლის ხელმძღვანელობამ აჯანყების დაწყების თარიღი არ იცოდა. სოფ. კიწიაში აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს **გიორგი ჟვანიამ და ივლიანე ბოკუჩავამ. სოფ. კიწიაში აჯანყებაში მონაწილეობა 145 კაცმა მიიღო.**

სალხინოს რაიონში აჯანყებაში მონაწილეობა 446 კაცმა მიიღო. სოფ. ნოსირში (ახალი აბაშის რაიონი) აჯანყებულებმა ძალაუფლება ხელში ყოველგვარი გართულების გარეშე აიღეს. ნოსირში აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს: **ბარნაბა პავლეს ძე ძველაიამ, შალვა ამირანის ძე ძველაიამ, ბონდო ბარნაბას ძე ძველაიამ, კონსტანტინე (კოტე) წირლვავამ, ჯვანდი ანტონის ძე დგებუაძემ. სოფ. ნოსირში აჯანყებაში მონაწილეობა 201 მეამბოხემ მიიღო.** აჯანყებულებმა ძალაუფლება სოფ. ნოსირში ორი დღის განმავლობაში შეინარჩუნეს. **სოფ. წყემში** (ახალი აბაშის რაიონი) აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა **მიიღეს: ალექსანდრე ბესას ძე ჯალაღონიამ, გრიგოლ დიმიტრის ძე თოფურიამ, ლევთერ გოგის ძე ჯალაღონიამ, ყირიმ გიორგის ძე თუნგიამ და ალექსანდრე ამბაკოს ძე მელიამ. სოფ. წყემში აჯანყებაში მონაწილეობა 66 აჯანყებულმა მიიღო.**

სოფ. ძველი აბაშაში (ახალი აბაშის რაიონი) აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს: **ვარლამ ლევანის ძე ქოიავამ, ვარლამ ფარნას ძე ქოიავამ, ვარლამ ათანასეს ძე ქოიავამ, ტარასი ფარნას ძე ქოიავამ, არისტრახო ისიდორეს ძე ქოიავამ, ივანე მანუჩარის ძე ჭანტურიამ, მიხეილ პავლეს ძე ქოიავამ, შალვა დიმიტრის ძე იოსავამ, არტემ ზოსიმეს ძე კორძაიამ, ვასილ იაგორას ძე კუპრავამ, გალაკტიონ პავლეს ძე კუპრავამ, ლუკა მოსეს ძე კუპრავამ, ლავრენტი გაბრიელის ძე გრიგოლიამ, სანდრო სამსონის ძე ტყებუჩავამ, ელიზბარ მურზას ძე ტყებუჩავამ, კოლია ბეკოს ძე ტყებუჩავამ, ბესარიონ დათიკიას ძე ტყებუჩავამ, დათა ნოდიამ** და სხვ. სულ 72 კაცმა.

სოფ. სუჯუნაში (ახალი აბაშის რაიონი) აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს: **იოსებ ბეგლარის ძე ნოდიამ, სოლომონ ისიდორეს ძე მატკავამ** და სხვ. სულ 146 კაცმა. **სოფ. ნაესაკოვოში** (ახალი აბაშის რაიონი) **აჯანყებაში მონაწილეობა 70 კაცმა მიიღო. სოფ. ახალი აბაშაში** (ახალი აბაშის რაიონი) აჯანყებაში მონაწილეობა მიიღეს: **სამსონ მიმინოშვილმა, აკაკი თოფურიამ, დავით თოფურიამ, იოსებ დიმიტრის ძე თოფურიამ, ილიკო კაჭარავამ** და სხვ. სულ 177 კაცმა.

სოფ. მარანში (ახალი აბაშის რაიონი) **აჯანყებაში მონაწილეობა 52 აჯანყებულმა მიიღო. სოფ. ონტოფოში** (ახალი აბაშის რაიონი) აჯანყებაში მონაწილეობა მიიღეს: **სანდრო სტეფანეს ძე ფირცხალავამ, ჭიჭიკო ერისტოს ძე ჟვანიამ, მოსე ეგნატეს ძე ჟვანიამ, დიომიდე მეტოს ძე ჟვანიამ, ევგენი ნიკოლოზის ძე ნადარეიშვილმა, ნესტორ ბესას ძე ნადარეიშვილმა, ანტონ ტრიფონის ძე ნადარეიშვილმა, ზაქარია დუტუს ძე დავითაიამ, ჭიჭიკო ივანეს ძე ურუდიამ, ილია კინტირიას ძე ჭანტურიამ, კონდრატე მელიტონის ძე ბარკალაიამ, ბათუ ბესას ძე ნადარეიშვილმა, ბეგი სტეფანეს ძე ბოკერიამ, გიორგი ბესას ძე ნადარეიშვილმა** და სხვ. სულ 93 აჯანყებულმა.

სოფ. გეზათ-გულუხეთში (ახალი აბაშის რაიონი) აჯანყებაში მონაწილეობა მიიღეს: **ბუჭუ გიორგის ძე ბოკერიამ, კაკო გიორგის ძე ბოკერიამ, ისააკ დიმიტრის ძე შუბლაძემ, ვარლამ ბარნაბას ძე ჯიბლაძემ, თეოფილე სიმონის ძე შენგელიამ** და სხვ. **სულ 116 აჯანყებულმა. სოფ. სეფიეთში** (ახალი აბაშის რაიონი) აჯანყებაში მონაწილეობა მიიღეს: **ხუხუ მელიტონის ძე თოფურიძემ, ივანე გაბუნიამ, იაკობ კოსტას ძე მელიამ, ივლიანე ფარნას ძე ლაბარტყავამ, ერასტი ნიკოლოზის ძე ლაბარტყავამ** და სხვ. **სულ 36 აჯანყებულმა. " სოფ. სამიქაოში (ახალი აბაშის რაიონი) აჯანყებაში მონაწილეობა 162 კაცმა მიიღო, სოფ. ქოლობანში (ახალი აბაშის რაიონი) - 62 კაცმა. ახალი აბაშის რაიონში აჯანყებაში მონაწილეობა 1253 აჯანყებულმა მიიღო.** სოფ. ბანძაში (ბანძის რაიონი) აჯანყებულებმა ძალაუფლება ხელში აიღეს და ოთხი დღის განმავლობაში შეინარჩუნეს ის. აჯანყებულებმა კომუნარებისა დაპატიმრებები დაიწყეს, რის შემდეგაც სოფელში მიტინგი ჩაატარეს. მღვდლებმა ანაფორა ჩაიცვეს და გულზე ჯვრები დაიკიდეს. აჯანყების დროს ადგილობრივმა მილიციამ და კომუნარების ნაწილმა ნოქალაქევისა და მარტვილის რაიონებში გადასვლა მოახერხეს.

სოფ. ბანძაში აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს: **გიორგი ალექსანდრეს ძე ხაფავამ, ბათლომე ლუკას ძე ჭოჭუამ, ძორგო ლევარსას ძე გაბუნიამ, დათიკო გიორგის ძე კოკაიამ, მიხეილ კოსტას ძე კეკელიამ,ანდრო სესის ძე კეკელიამ, ტარას ანტონის ძე ეჯიბიამ, გიორგი ალექ სანდრეს ძეფალავამ, ბაგრატ კოსტას ძე კეკელიამ, პლატონ მიხეილის ძე გაბუნიამ, ექვთიმე ფანცულაიამ, ვარლამ ექვთიმეს ძე ფანცულაიამ, ერასტო მაქსიმეს ძე კეკელიამ, ვარლამ პეტრეს ძე ფალავამ, მეტია პეტრეს ძე ფალავამ, გაიოზ ტარიელის ძე ფალავამ, სევერიან ნიკოლოზის ძე კეკელიამ, კონსტანტინე მიხეილის ძე კეკელიამ, დავით მიხეილის ძე კეკელიამ, გერასიმე გაბუნიამ, ევგენი ივანეს ძე ფო-**

ჩხუამ, არსენ ვარლამის ძე ყურუამ, სამსონ გიორგის ძე პატარაიამ, ვასილ ივანეს ძე პატარაიამ, მაჭუ დავითის ძე ქაჯაიამ, ანდრია გიატის ძე სართანიამ, ხუტუ ევგენის ძე გოგინავამ, ბუხუ კოსტას ძე გაბუნიამ, დავით იასონის ძე ფალავამ, სევერიანე ბასილის ძე ესვანჯიამ. სოფ. ბანძაში აჯანყებაში მონაწილეობა 96 კაცმა მიიღო.

სოფ. ლეხაინდრავოში (ბანძის რაიონი) აჯანყებაში მონაწილეობა 58 აჯანყებულმა მიიღო. სოფ. ჯოლო-აბედათში (ბანძის რაიონი) აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს: პარმენ დიმიტრის ძე შელეგიამ, აკაკი ბახვას ძე შელეგიამ, ჭიჭიკო ერმინეს ძე ანჯაფარიძემ, ილია იოსების ძე ანჯაფარიძემ, ილია სტეფანეს ძე ლომიამ, ალექსანდრე უთუს ძე მიქავამ, ჯონდი უთუს ძე მიქავამ, პარმენ კოსტას ძე ჩიქოვანმა, ანდრო ნესტორის ძე ყურუამ და პეტრე ფაჩუაშვილმა. სოფ.ჯოლო აბედათში აჯანყებაში მონაწილეობა 89 კაცმა მიიღო. ბანძის რაიონში აჯანყებაში მონაწილეობა 253 კაცმა მიიღო.

ზუგდიდის მაზრის დამოუკიდებლობის კომიტეტმა აჯანყების თარიღი **თედო ესართიასაგან** შეიტყო. ზუგდიდის მაზრის დამკომმა მაზრის სამხედრო შტაბი და აჯანყებულთა შეიარაღებული რაზმების მეთაურები გააფრთხილა. აჯანყების მოსამზადებელი სამუშაოები, მაზრის დამკომის მტკიცებით, დამაკმაყოფილებელი იყო. აჯანყებულები 1924 წლის 28 აგვისტოს სოფ. კახათის კოოპერატივის შენობას განზრახ დაეცნენ.სოფ. კახათისაკენ ზუგდიდის რაიონული მილიციის უფროსი ა. თოლორაია მილიციელების თანხლებით გაემართა.

ზუგდიდზე იერიში 1924 წლის 29 აგვისტოს დილის ოთხ საათზე მიიტანეს. აჯანყებულები ინფორმპუნქტის შენობაში შეიჭრნენ და აღმასკომის თავმჯდომარე **გრიგოლ როგავა** სიცოცხლეს გამოასალმეს. აჯანყებულთა სხვა ძალები ქალაქისაკენ სამხრეთის მხრიდან მიიწევდნენ. აქ ისინი მაზრის მილიციის უფროსსა და მილიციელებს წააწყდნენ. ხანგრძლივი სროლის შემ-

დეგ აჯანყებულებმა უკან დაიხიეს. ამასობაში გააფთრებული ბრძოლა დადიანების სასახლეების მახლობლად მიმდინარეობდა. აქ აჯანყებულებს ტყვიამფრქვევით სამხედრო კომისარი **ჩიჩუა** უმკლავდებოდა. რიცხობრივი უპირატესობა აჯანყებულთა მხარეზე იყო, ამიტომ დადიანების სასახლისაკენ მაზრის მილიციის უფროსი ვანიჩკა ჩხეტიასთან და მილიციელებთან ერთად გაემართა. ბრძოლაში ვ. ჩხეტია სასიკვდილოდ დაიჭრა.

პოზიციური ბრძოლა დიდხანს გაგრძელდა. კომუნისტებს ტყვია-წამლის მარაგი აღმასკომის შენობაში ჰქონდათ, ამიტომ აღმასკომის დაუფლებისათვის ბრძოლას აჯანყებულები დიდ ყურადღებას უთმობდნენ. მაგრამ აჯანყებულებმა აღმასკომის შენობის დაკავება ვერ შეძლეს. შენობები ხელიდან ხელში გადადიოდა (საავადმყოფო, გამასწორებელი სახლი და სხვ.). აჯანყებულებმა გამასწორებელი სახლიდან (საპყრობილიდან)პატიმრები გაათავისუფლეს. **ზუგდიდის დაუფლებისათვის მიმდინარე ბრძოლა აჯანყებულთა გამარჯვებით დამთავრდა.** ამის შემდეგ აჯანყებულებმა კომუნისტების განიარაღებასა და დაპატიმრებას მიჰყვეს ხელი. აჯანყებულებმა დააპატიმრეს:**კირილე მიქაია, მელიტონ ხორავა** და სხვ.

ამის პარალელურად აჯანყებულები მოსახლეობაში მოწოდება-პროკლამაციას ავრცელებდნენ და აცხადებდნენ:„ყველაფერი გათავებულია მამია ანჯაფარიძე და ესტატე ლატარია ცენტრიდან ტელეგრამებს ღებულობდნენ. ზუგდიდის მაზრაში აჯანყებულთა რიცხვმა 1 500 მიაღწია. **მამია ანჯაფარიძემ ვლადიმერ ალესსანდრეს ძე გეგეჭკორი** ზუგდიდის მაზრის მასშტაბით სამხედრო ხელმძღვანელად დანიშნა.

1924 წლის 31 აგვისტოს ზუგდიდში კომუნისტების ახალი ძალების შემოსვლა დაიწყო,რომელსაც სათავეში საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ)აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი **აქირთავა** და გალის საინფორმაციო პუნქტის უფროსი **შარია** ხელმძღვანელობდნენ. განახლდა შეტაკებები. სროლები მთელი დღის განმავლობაში მიმ-

დინარეობდა. აჯანყებულთა ერთ-ერთი რაზმი,რომელსაც ვ. გეგეჭკორი მეთაურობდა, მდინარე ჩხოუშის ხიდთან დაბანაკდა. ამ დროს აჯანყებულებთან ვინმე კალანტარია მივიდა და აუწყა, რომ მათკენ მოიწევდნენ სამურზაყანოელი კომუნისტების შეიარაღებული რაზმები **ესტატე კოლბაიასა** (სოფ. ჭუბურხინჯის საბჭოს თავმჯდომარე) და **იასონ ქარდავას** ხელმძღვანელობით. კალანტარიას თქმით, ი. **ქარდავას** აჯანყებულებთან მოლაპარაკება სურდა. ვ. გეგეჭკორმა კალანტარიას დაავალა ი. ქარდავასთვის გადაეცა, რომ ის უკან იხევდა და მათ გზას უთმობდა.

სამურზაყანოს შეიარაღებული ძალები ზუგდიდში შევიდნენ. ვ. გეგეჭკორი აჯანყებულთა შტაბში გამოცხადდა (აჯანყებულთა შტაბი სასტუმრო „ფრანციაში" მდებარეობდა). ვ. გეგეჭკორმა ზუგდიდის მაზრაში არსებული აჯანყებულთა ცალკეული შეიარაღებული რაზმების ხელახლა შეკრება დაიწყო. **სოფელ მანცხვარში აჯანყებულთა ოთხი რაზმი შეიკრიბა. თითოეული რაზმი 100 მებრძოლისაგან შედგებოდა.** რაზმებში სულ ხუთი ოფიცერი იყო: **პირველ რაზმში იასონ ჯღამაია, მეორეში დურუ როგავა, მესამეში კონსტანტინე ჟვანია, მეოთხეში —გეთია და მეხუთეში ვლადიმერ გეგეჭკორი.**

ვლადიმერ გეგეჭკორმა შემდგომი მოქმედების გეგმის შედგენის მიზნით თათბირი ჩაატარა. ვ. გეგეჭკორმა სენაკის მიმართულებით წასვლა გადაწყვიტა. ამასთანავე მან განაცხადა, რომ მსურველებს შეეძლოთ არ გაჰყოლოდნენ მას. აჯანყებულთა სამხედრო შტაბი და 200 აჯანყებული ვ. გეგეჭკორს გაჰყვა. ვ. გეგეჭკორმა რაზმიდან 30 შეიარაღებული გამოყო, რომლებსაც პატიმარი კომუნისტების წაყვანა ევალებოდათ. მოიყვანეს 20-მდე პატიმარი კომუნისტი. აჯანყების მეოთხე დღეს სოფ. ცაიშთან აჯანყებულები 80 შეიარაღებულ კომუნისტს გადაეყარნენ. ვ. გეგეჭკორმა კომუნისტი შამუგია კომუნისტებთან გაგზავნა მოსალაპარაკებლად, რათა მათთვის გზა მიეცათ.

ვ. გეგეჭკორმა აჯანყებულებთან ერთად სოფ. ცაი-

ში გაიარა. სოფ. ხეთაში ვ. გეგეჭკორი აჯანყებულთა 60 კაციან რაზმს შეხვდა, რომელსაც სოციალ-დემოკრატი **ვარლამ კობახიძე** მეთაურობდა. მათ თან 200 დაპატიმრებული კომუნისტი მოყავდათ. 1924 წლის 1 სექტემბერს აჯანყებულებმა სოფ. ხეთა დატოვეს და ახალი სენაკისაკენ გააგრძელეს გზა. აჯანყებულებმა დაბა ხობში შეისვენეს. მოგვიანებით ვ. გეგეჭკორმა ე. ლატარიასთან და ჭაბუკიანთან საუბარი მოისურვა, მაგრამ ისინი ადგილზე არ აღმოჩნდნენ. ვ. გეგეჭკორი ახალი სენაკიდან მოსულ ერთ სოციალდემოკრატს გაესაუბრა, რომელმაც მას კომუნისტების მიერ ახალი სენაკის აღება აცნობა. ვლადიმერ გეგეჭკორმა აჯანყებულებს ყველაფერი აუწყა და დასძინა, რომ მოვლენათა შემდგომ განვითარებაზე ის პასუხს არ აგებდა და თითოეულ მათგანს თვითონ შეეძლო ეშველა საკუთარი თავისათვის. აჯანყებულებმა ხობის დატოვება დაიწყეს, მაგრამ ამ დროს მათ კომუნისტებმა ცეცხლი გაუხსნეს, რასაც აჯანყებულებმა სროლითვე უპასუხეს. შეტაკებისას აჯანყებულები დაიქსაქსნენ.

სოფ. კახათში აჯანყებულები 1924 წლის 29 აგვისტოს, დილით, ზუგდიდის რაიონის მილიციის უფროსს ა. თოლორაიას დაესხნენ თავს, რომელიც ორი მილიციელის თანხლებით სოფელში იყო მივლინებული იქ მომხდარი ყაჩაღობის ფაქტის გამოსარკვევად. ა. თოლორაია აჯანყებულებს გაექცა და ზუგდიდისაკენ აიღო გეზი. ა. თოლორაიამ ზუგდიდში შესვლა ვერ შეძლო, რადგან ქალაქი აჯანყებულების ხელში იყო. ა. თოლორაია სოფ. ჯოღეჯიანში გადავიდა, იქიდან —სოფ. ცაიშში და კომუნისტების შეგროვება დაიწყო. ამ ორ სოფელში მან ხუთ მებრძოლს მოუყარა თავი. სოფ. ცაიშში მათ აჯანყებულები დაესხნენ თავს, თუმცა აჯანყებულებისაგან გაქცევა ადვილად მოახერხეს. ამის შემდეგ ა. თოლორაია, შეკრებილ კომუნისტებთან ერთად, სოფ. კახათში დაბრუნდა და აჯანყებულების წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო (აჯანყებულები 60 კაცს შეადგენდნენ). ა. თოლორაიამ 25 აჯანყებულის განიარაღება და მათ მიერ დაპატიმრებული კომუნისტების გამოხსნა შეძლო.

ამასობაში ა. თოლორაიას რაზმი თანდათანობით ივსებოდა, რის შემდეგაც მათ აჯანყებულები საბოლოოდ დაამარცხეს. სოფ. კახათის დაკავების შემდეგ ა. თოლორაია სოფ. ცაიშში გადავიდა. აქ აჯანყებულებთან ცხარე ბრძოლა გაიმართა. შეტაკებისას ერთი აჯანყებული გვარად ბიბლაია დაიღუპა, ცხრა კი ტყვედ ჩავარდა. ა. თოლორაიამ 40 კომუნისტი აჯანყებულთა ტყვეობიდან გაათავისუფლა. აჯანყებულებმა სოფ. ხეთის მიმართულებით დაიხიეს. 1924 წლის 1 სექტემბერს ა. თოლორაია ზუგდიდიდან უკან დახეულ აჯანყებულებს
ჩაუსაფრდა. ბრძოლაში ერთი აჯანყებული გვარად **ჯიშკარიანი** დაიღუპა,დანარჩენები კი სოფ. ხეთის მიმართულებით გაიქცნენ, სადაც საბოლოოდ დაიშალნენ.

სოფ. აბასთუმანში აჯანყებულებმა 23 კომუნისტი დააპატიმრეს. აქ აჯანყებაში მონაწილეობდა 140 კაცი, სოფ. ჯოლეჯიანში - 45, სოფ. შამგონაში - 42, სოფ. ცაიშში - 51, სოფ. ყულისკარში - 250, სოფ. ცაიშის კახათში - 43. სოფ. რიყეში - 36, სოფ. კორცხელში -130, სოფ. ნიკოსიაში - 27, სოფ. ჯიხასკარში - 100, სოფ. ლედგებიეში - 64.

1924 წლის 28 აგვისტოს, ღამის 7 საათისათვის დარჩელის რაიონში ზუგდიდიდან **იაკობ ახალაია** (დარჩელის რაიონის აგრონომი) და **ვარლამ თორია**(სოციალისტ-ფედერალისტი) ჩავიდნენ, რომლებმაც ადგილობრივებს აჯანყების თარიღი აცნობეს. ადგილობრივმა აჯანყებულებმა დანიშნულ ადგილზე მოიყარეს თავი , სადაც დილამდე დაჰყვეს, დილას კი აჯანყება დაიწყეს **ვარლამ ანჩაბაძისა და ვალოდია ჩხოლარიას** ხელმძღვანელობით. აჯანყებულებმა ადგილობრივი კომუნისტები განაიარაღეს და დააპატიმრეს. კომუნისტებისათვის წართმეული იარაღებით აჯანყებულები შეიარაღდნენ. აჯანყებაში მოსახლეობა აქტიურად ჩაერთო, რის შემდეგაც აჯანყებულთა რიცხვმა **500-600 მიაღწია.** აჯანყებულებმა ძალაუფლების ხელში აღების შემდეგ ჩამოაყალიბეს თავდაცვის კომიტეტი შემდეგი შემადგენ-

ლობით: **ვარლამ ანჩაბაძე, კალისტრატე ხუფენია, ესავა სიჭინავა და ტარასხან სიჭინავა.** ბრძანებას და განკარგულებას ვ. ანჩაბაძე და კ.ხუფენია იძლეოდნენ.

აჯანყებულებმა დარჩელში ძალაუფლების მოპოვების შემდეგ 10 კაციანი რაზმი **კირილე ქეცბაიას** მეთაურობით სოფ. ანაკლიის მიმართულებით გაგზავნეს. ფოთიდან დამხმარე ძალების მოსვლის შემდეგ დარჩელის რაიონის მილიცია აჯანყებულების წინააღმდეგ შეტევაზე გადავიდა და სოფ. ანაკლია მთლიანად გაწმინდა აჯანყებულებისაგან .მდინარე ჯუმს (რომლის ორივე ნაპირზე მდებარეობს სოფ. დარჩელი) მიადგნენ სოფლების ერგეტასა და ორულუს კომუნისტები. ხიდის ერთ მხარეს პოზიციები დაიკავეს აჯანყებულებმა, მეორე მხარეს — კომუნისტთა რაზმმა. შუადღისთვის სოფ. დარჩელი კომუნისტებმა აიღეს.

სოფ. ორულუ-ერგეტაში (ამჟამად წარმოადგენენ ცალ-ცალკე სოფლებს და შედიან ზუგდიდის რაიონის შემადგენლობაში) აჯანყება 1924 წლის 29 აგვისტოს, დილით დაიწყო. აჯანყებულები ზუგდიდის მაზრის უფროსის მილიციელს ს. მიქავასა და მის ძმას. დაესხნენ თავს. ძმები მიქავეები სროლით გავიდნენ სახლიდან და სოფ. ორულუ-ერგეტაში მყოფი კომუნისტის **მიხა მამფორიას** რაზმს შეუერთდნენ. ამ რაზმმა რამდენიმე დღიანი ბრძოლის შემდეგ სოფ. **ორულუერგეტა** აჯანყებულებისაგან გაწმინდა და 1924 წლის 31 აგვისტოს . ზუგდიდში. მიქავა მაზრის მილიციის უფროსთან გამოცხადდა და არსებული ვითარების შესახებ პატაკი ჩააბარა

სოფ. კოკში (ამჟამად სოფელი ზუგდიდის რაიონში) აჯანყებაში მონაწილეობდა 150 კაცი, სოფ. **დიდინეძში** (ამჟამად სოფელი ზუგდიდის რაიონში) 120. აჯანყებამდე რამდენიმე დღით ადრე ხობში **ესტატე ლატარია გერმანე ლატარიას** ოჯახში მივიდა და აჯანყების თარიღი აცნობა. გ. ლატარიამ კი ყველა „თავისიანი"გააფრთხილა. 70 აჯანყებული 1924 წლის 28 აგვისტოს ღამით დათქმულ ადგილზე შეიკრიბა. მათ შორის იყვნენ: **გერმანე ლატარია, პაჩუ ჯორჯიკია, ვლადიმერ თამარიშვილი, სიმონ**

როდონაია, ბესარიონ ქირია. გ. ლატარიამ აჯანყებულები ოთხ რაზმად დაყო და თითოეულ მათგანს მეთაური მიუჩინა. აჯანყებულები 1924 წლის 29 აგვისტოს დილის ოთხ საათზე ხობში შეიჭრნენ და ადგილობრივი კომუნისტები განაიარაღეს და დააპატიმრეს. სოფ. ბიის მღვდელი **ლ. იოსავა** ხალხს არწმუნებდა, რომ სამეგრელოს ყველა კუთხე აჯანყებულების მიერ იყო აღებული და საბჭოთა ხელისუფლება აღარ არსებობდა. ხალხი აჯანყებაში მასიურად ჩაება, მოხუცებიც კი ითხოვდნენ იარაღს. აჯანყებულთა რიცხვმა 400 მიაღწია.

1924 წლის 29 აგვისტოს, დილის 8 საათზე, ხობის ბულვარში აჯანყებულებმა კრება ჩაატარეს. კრებაზე სოციალისტფედერალისტმა **ბესარიონ ჯორჯიკიამ** ხალხს საქართველოს გათავისუფლება მიულოცა და ხობის რაიონის დამკომის დაუყოვნებლივი შექმნის აუცილებლობაზე ისაუბრა (ზოგან აჯანყებულები მას თავდაცვის კომიტეტს ეძახდნენ). არჩეულ იქნა დამკომი **ლევან დუნდუას (თავმჯდომარე, სოციალ-დემოკრატი), ნესტორ როდონაიასა (სოციალ-დემოკრატი) და ბიქტორ პაჭკორიას (ეროვნულ-დემოკრატი)** შემადგენლობით. დამკომმა გერმანე ლატარია სამხედრო ხელმძღვანელად დატოვა. დამკომმა **ექვთიმე წიფურია** ხობის კომენდანტად დანიშნა, **ჭაჭია** (ყოფილი ოფიცერი) მის თანაშემწედ, ჯორჯიკია მილიციის უფროსად, **სილვესტრ კობახიძე** — ხობის რაიონის კომისრად.

1924 წლის 31 აგვისტოს ხობის აჯანყებულებმა მზვერავისაგან შეიტყვეს, რომ. ფოთისა და სოფ. ქვალონის კომუნისტების შეერთებული ძალები ხობს უახლოვდებოდნენ. აჯანყებულებმა ხობის საზღვრის გამაგრების გადაწყვეტილება მიიღეს, მაგრამ მალევე მიხვდნენ, რომ ამის გაკეთებას აზრი არ ჰქონდა. **აჯანყებულებსა და კომუნისტებს შორის შეტაკება დაიწყო. შეტაკებისას აჯანყებულები გაიფანტნენ. სოფ. ხეთაში** აჯანყებულები აჯანყების წინა ღამეს ორად გაიყვნენ, რათა უფრო მობილურად ემოქმედათ. აჯანყება სოფ. ხეთაში 1924 წლის

29 აგვისტოს, დილით,დაიწყო. აჯანყებულებმა ყველა ადგილობრივი კომუნისტი განაიარაღეს,დააპატიმრეს და სკოლის შენობაში მოათავსეს. ერთადერთი კომუნისტი, რომელიც წინააღმდეგობას აგრძელებდა **ლევან გოგია** იყო, მაგრამ საბოლოოდ იძულებული გახდა ფარ-ხმალი დაეყარა.

აჯანყებულებმა რაჟდენ ქირიას მეთაურობით სოფლის კანცელარიის შენობა დაიკავეს, რომლის შემდეგაც ადგილობრივი დამკომი აირჩიეს. დამკომში შევიდნენ: **ვარლამ კობახიძე (თავმჯდომარე), ჩაქვა (იასონ) კუტალია, რაჟდენ ქირია, თეიმურაზ კუკუვა და დროთე კიტია.** სამხედრო საქმეების გაძღოლა **ჩაქვა კუტალიასა და გიორგი პეტრეს ძე ლატარიას** დაევალათ. მათ ეხმარებოდნენ **სერაფიონ კობახიძე და დომენტი ქორთუა.** 1924 წლის 29 აგვისტოს, დღის ორ საათზე, სოფ. ხეთაში მოიტანეს ცნობა კომუნისტების მიერ სოფ. **ცაიშის** დაკავების შესახებ. ხეთის აჯანყებულებმა ცაიში-ხეთის საზღვრის დაცვის, გადაწყვეტილება მიიღეს, რაც შესრულდა კიდეც. უფრო მეტიც, მათ სოფ. **ცაიშიც** კი დაიკავეს და 26კომუნისტი დააპატიმრეს. 1924 წლის 31 აგვისტოს ზუგდიდიდან უკანდახეულმა აჯანყებულებმა **მამია ანჯაფარიძემ, ვარლამ გობეჩიამ, ვარლამ ხუბუტიამ, ბაგრატ ვეკუამ, არსენ კუჭავამ, ბეგი გეგეჭკორმა და სხვებმა ხეთაში 150 კომუნისტი პატიმარი მოიყვანეს 100 მცველის თანხლებით.** მათ 40 ავადმყოფი პატიმარი **სოფ. ხეთაში** დატოვეს,დანარჩენები კი **ხობის** მიმართულებით წაიყვანეს. მოგვიანებით ვ. კობახიძემ ხობში კაცი გააგზავნა კითხვით შეეძლოთ თუ არა მათ დამატებით პატიმრების მიღება? აღმოჩნდა, რომ ხობი უკვე კომუნისტებს ჰქონდათ დაკავებული.

სოფ ხეთაში ცნობა მოვიდა, რომ სოფ. ანაკლიის კომუნისტებისაგან შემდგარი რაზმი ხეთაზე თავდასხმისათვის ემზადებოდა. ვ. კობახიძემ რაზმი დაშალა. სოფ. ხეთაში აჯანყებაშიაქტიური მონაწილეობა 220 ადამიანმა მიიღო . სოფ. ნოჯიხევში აჯანყებაში მონაწილე-

ობდა 65 ადამიანი, სოფ. ქარიატაში - 30, სოფ.ქვალონში - 54, სოფ. პირველი ხორგაში - 30, სოფ. შუა ხორგაში -21.

ახალი ხიბულის რაიონში (ამჯამად სოფელი ხობის რაიონში) აჯანყებას ხელმძღვანელობდნენ: **ჯუგუ დადიანი, ფუხული ლომაია, ალექსანდრე ლომაია, რაჟდენ ყურაშვილი, აკაკი ქაჯაია.** სოფ. **ახალი ხიბულაში აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა 35 კაცმა მიიღო. საჩიჯაოში** აჯანყებულებმა ადგილობრივი კომუნისტები და კომკავშირლები დააპატიმრეს. აჯანყებულმა **გრიგოლ თირქიამ** ერთ-ერთ კომუნისტს მუქარის ძალით სოფლის კანცელარიის ეზოს ჭიშკარზე გამოსახული ჩაქუჩი და ნამგალი წააშლევინა. **ერასტო ქუჩულორიამ** ლენინის სურათი დანით დაჭრა და პატიმრებს ზედ დააფურთხებინა. სოფ. **საჩიჯაოში** აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს: **ერასტო ქუჩულორიამ, ამბაკო კუჭავამ, გრიგოლ გუსარის ძე თირქიამ, ნესტორ გუსარის ძე თირქიამ (გრიგოლ თირქიას ძმა), ნესტორ კოსტას ძე კვარაცხელიამ, გიორგი (კუკი) იოსების ძე ჩიჩუამ, ანტონ ბასას ძე ფულარიამ, ესტატე ახალაიამ, ხუტუ ესტატეს ძე ახალაიამ (ესტატე ახალაიას შვილი), ამბაკო თანაფიას ძე კუჭავამ, ლადი თანაფიას ძე კუჭავამ, კალისტრატე მიხეილის ძე ნანეიშვილმა .აჯანყებულთა რიცხვმა საჩიჯაოში 100 მიაღწია.**

სოფელ საჩიჯაოს თავდაცვის კომიტეტში შევიდნენ: გრიგოლ თირქია, ნესტორ კვარაცხელია და ერასტო ქუჩულორია. სოფ. ძველი ხიბულაში აჯანყების სათავეში **სიმონ ადამია** იდგა, რომლის განკარგულებაში 25 შეიარაღებული იყო. სოფ. ძველი ხიბულაში აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს: **ალექსანდრე ლომაიამ,ფუხული ლომაიამ, ჯუგუ დადიანმა, დურუ როგავამ** და სხვ. აჯანყებულებმა მოახერხეს ძალაუფლების ხელში აღება, რომლის შემდეგ თავდაცვის კომიტეტი ჩამოაყალიბეს. თავდაცვის კომიტეტში შევიდნენ: **იგორ კვირკვაია, ბეგი ჯიშკარიანი, ლევან გოგია.** სოფ. ხორგაში აჯანყების სათავეში **პილა ბერაია იდგა.**

სოფ. ნარაზენში (ამჟამად სოფელი ზუგდიდის რაიონში) აჯანყებაში მონაწილეობდა 17 კაცი, სოფ. ჭაქვინჯში (ამჟამად სოფელი ზუგდიდის რაიონში) – 10. **1924 წლის 28 აგვისტოს ცენტრიდან** გამოგზავნილმა პიროვნებამ სამსონ როდონაიას აჯანყების თარიღი აუწყა. ს. როდონაიამ, თავის მხრივ, ჩხოროწყუელი აჯანყებულები გააფრთხილა: აჯანყება ჩხოროწყუში 1924 წლის 29 აგვისტოს, გამთენიისას, დაიწყო. აჯანყებულთა მთავარი რაზმი **სპირიდონ შენგელიას** ხელმძღვანელობით **სოფ. ხაბუმიდან** წამოვიდა და დღევანდელი №1 ჩაის ფაბრიკის ტერიტორიაზე დაბანაკდა. აჯანყებულებმა ადგილობრივ ხელისუფლებასთან დელეგაცია გაგზავნეს და შეუთვალეს წინააღმდეგობის გაუწევლად დანებებულიყვნენ. პასუხად მიიღეს-- თუ მთელი საქართველო აჯანყებულთა ხელშია, დავაზუსტებთ და ჩაგბარდებითო. აჯანყებულთა რიცხობრივმა უპირატესობამ თავისი როლი შეასრულა და მათ სოფ. ჩხოროწყუში ძალაუფლება ხელში აიღეს. აჯანყებულებმა კომუნისტების ნაწილი განაიარაღეს,დააპატიმრეს და ეკლესიებსა და სხვა ნაგებობებში მოათავსეს. ამასობაში ჩხოროწყუს მილიცია ვარლამ შოგირაძის მეთაურობით ჩხოროწყუს სოფლებიდან გამოქცეული კომუნისტებით ივსებოდა და გადამწყვეტი ბრძოლისათვის ემზადებოდა.

ჩხოროწყუს აჯანყებულებმა ჩამოაყალიბეს თავდაცვის კომიტეტი **სპირიდონ შენგელიასა (სოციალ-დემოკრატი) და აკაკი შამათავას (ეროვნულ—დემოკრატი) შემადგენლობით. სოფ. ჩხოროწყუში აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა 46 კაცმა მიიღო.** სოფ. ახუთის აჯანყებულებმა **ვალოდია შუბლაძის** მეთაურობით სოფლები **ახუთი და გარახა** დაიკავეს და სოფ. ჩხოროწყუში დაბანაკებულ კომუნისტებს შეუტიეს. **სოფ. ახუთში აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა 58 კაცმამიიღო.** სოფ. კირცხში აჯანყებულებმა **ზებე ჯიქიას** მეთაურობით ადგილობრივი კომუნისტები დაატყვევეს და ეკლესიაში მოათავსეს. **სოფ. კირცხში აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა 61 კაცმა**

მიიღო.

სოფ. ლეწურწუმეში აჯანყებულებმა **ავქსენტი ქუთელიას, ბუხუტი ქუთელიას, დავით გობეჩიას, სპირიდონ გობეჩიასა და ალექსანდრე პერტაია ხელმძღვანელობით** ადგილობრივი კომუნისტები დააპატიმრეს და სოფ. ეგიარზენში, ვინმე ანთიას სახლში გამოკეტეს. **სოფ. ლეწურწუმეში აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა 31 კაცმა მიიღო. სოფ. ლესიჭინეში პაისი ჭიჭინაძის, იონა სიჭინავას, ილიკო სიჭინავას, ნიკოლოზ(ნიკო) სიჭინავასა და ნიკოლოზ (ნიკო) ფაციას** ხელმძღვანელობით მოქმედმა აჯანყებულთა რაზმმა სოფელში ძალაუფლება ხელში აიღო და ორი დღის განმავლობაში შეინარჩუნა. **სოფ. ლესიჭინეში აჯანყებაშიაქტიური მონაწილეობა 69 კაცმა მიიღო. სოფ. მუხურში** აჯანყებულებს **ალექსანდრე (საშა) ბენდელიანი და ივანე ბაძაღუა** მეთაურობდნენ.

სოფ. ნაფიჩხოვოში ადგილობრივ კომუნისტებს აჯანყებულები **პროფი ფიჩხაიასა და მიხეილ (მიხა) ფიჩხაიას** მეთაურობით დაუპირისპირდნენ. **სოფ. ნაფიჩხოვოში აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა 19 კაცმა მიიღო.** სოფ. ქვედა ჩხოროწყუში აჯანყებულებმა ძალაუფლება ხელში აიღეს და ორიდღე—ღამის განმავლობაში ფლობდნენ მას. რაც შეეხება **სოფ.ხაბუმეს,** სწორედ ამ სოფლიდან დაიწყო მოქმედება ჩხოროწყუს აჯანყებულთა მთავარმა რაზმმა **სპირიდონ შენგელიას** მეთაურობით. **სოფ. ხაბუმეში აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა 49 კაცმა მიიღო. სოფ. ჭოლაში აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა 44 კაცმა მიიღო.**

ჩხოროწყუს მილიციის რაზმმა აჯანყებულთა წინააღმდეგ აქტიური მოქმედება მას შემდეგ დაიწყო, რაც მათ **გიორგი სოსელია, ევგენი უბირია და თომა ლუკავა** შეუერთდნენ. მათ მოიტანეს ცნობა, რომ აჯანყებულებს საქართველოს მხოლოდ ცალკეულ რეგიონებში ჰქონდათ ძალაუფლება ხელში აღებული. **აჯანყებულების წინააღმდეგ ბრძოლა ჩხოროწყუს მილიციამ წარმატებით დაამ-**

თავრა და მთელი ჩხოროწყუს მასშტაბით აჯანყებულები დაამარცხა.

1924 წლის 30 აგვისტოს,საღამოსათვის, ჩხოროწყუს რაიონის ყველა სოფელი კომუნისტების ხელში იყო. აჯანყებულთა ნაწილმა ჩხოროწყუ დატოვა და წალენჯიხის გავლით სვანეთის ტყეებს შეაფარა თავი. ჩხოროწყუს კომუნისტებმა ზუგდიდიდან დახმარების თხოვნა მიიღეს. ზუგდიდისაკენ მიმავალი ჩხოროწყუელი კომუნისტები გზაში სოფ. ჯიხაშკართან აჯანყებულებს შეეტაკა. ასევე მდ. სინწასთან ისინი რიცხობრივად უპირატეს მოწინააღმდეგეს გადაეყარნენ, რომელსაც **ჭუჭუ ხუბულავა** მეთაურობდა. კომუნისტებმა ბრძოლას თავი აარიდეს და შემოვლითი გზით.ზუგდიდში შესვლა მოახერხეს. მათ ზუგდიდის რაზმთან ერთად, რომელსაც ვლადიმერ ზაქარაია ხელმძღვანელობდა, ალყაშემორტყმული მაზრის ხელმძღვანელების გათავისუფლება მოახერხეს.

წალენჯიხელი აჯანყებულებიდან აჯანყების ზუსტი თარიღი **იოსებ მიქაიამ** შეიტყო. ი. მიქაიამ **თედო ფიფია** და სხვები გააფრთხილა. 1924 წლის 29 აგვისტოს,-დილის საათებში, აჯანყებულებმა წალენჯიხა უომრად აიღეს. წალენჯიხის რაიონში აჯანყებას ხელმძღვანელობდნენ: **შალვა თვალთვაძე (ეროვნულ-დემოკრატი) და იოსებ კვარაცხელია (დამფუძნებელი კრების ყოფილი წევრი).** ძალაუფლების ხელში აღებისთანავე აჯანყებულებმა რაიონული დამკომი შექმნეს **ისიდორე კვარაცხელიასა (სოციალდემოკრატი) და გუდუ კვარაცხელიას (ეროვნულ—დემოკრატი) შემადგენლობით.** დამკომმა შტაბის ხელმძღვანელად **მიხეილ ბელქანია** დანიშნა (ის იყო ასევე წალენჯიხის რაიონის კომენდანტი), მილიციის უფროსად **იოსებ მიქაია,**მილიციის უფროსის თანაშემწედ — **ცხონდია,** მწერლად **თედო ფიფია,** მდივნად **მიხეილ თვალთვაძე.** მოსახლეობა აჯანყებულებთან მასიურად ცხადდებოდა და მათ თანადგომას უცხადებდა. აჯანყებულთა რიცხვმა 300 მიაღწია

სოფ. ობუჯში აჯანყება 1924 წლის 29 აგვისტოს, გამთენიისას დაიწყო. ამ დროს სოფელში ზუგდიდის მაზრის მილიციის უფროსის თანაშემწე **ვ. როგავა** იყო ჩასული, რომელსაც ბანდიტები უნდა შეეპყრო. იმავდროულად სოფელში წალენჯიხის რაიმილიციის უფროსი **ვასილ მანია** იმყოფებოდა, რომელიც სასოფლო სამეურნეო გადასახადის აკრეფის მიზნით იყო მივლინებული..აჯანყებულები ვ. როგავას თავს დაესხნენ. ორმხრივი სროლის დროს ვ. სოფლის სამმართველომდე მისვლა მოახერხა. სამმართველოში ტელეფონი იყო. მან შეიტყო აჯანყებულების მიერ ზუგდიდის დაკავება, რის გამო, სოფ. ობუჯის დატოვების გადაწყვეტილება მიიღო. აჯანყებულებმა სოფ. ობუჯში ადგილობრივი კომუნისტები ადვილად განაიარაღეს.

მოგვიანებით ობუჯელ აჯანყებულებს წალენჯიხიდან მოსული 10 კაციანი რაზმი შეუერთდა, რომელსაც **მეტო გიგიბერია** მეთაურობდა. მ. გიგიბერიამ შეკრებილ ხალხს აჯანყებულების მიერ საქართველოს ყველა ქალაქის დაკავებისა და საბჭოთა ხელისუფლების დამხობის შესახებ ამცნო. აჯანყებულებმა სოფ. ობუჯის თავდაცვის კომიტეტი აირჩიეს **ლევან მესხიას (თავმჯდომარე), მიხეილ ფიფიასა** და სხვათა შემადგენლობით. მ. გიგიბერია სოფ. ობუჯიდან წალენჯიხაში 20 კაციანი რაზმით **დაბრუნდა. სოფ. ობუჯში აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა 50 კაცმა მიიღო.**

სოფ. ჯგალი აჯანყებულებმა **კონსტანტინე კვარაცხელიას** მეთაურობით ადვილად აიღეს. ამის შემდეგ ისინი წალენჯიხაში გამოცხადნენ დახმარების აღმოსაჩენად. წალენჯიხის დამკომმა ისინი უკან გააბრუნა იარაღის მოსატანად. სოფ. ჯგალში მისვლისთანავე აჯანყებულებმა სოფლის აღმასრულებელი კომიტეტის წევრს ბაგრატ კვარაცხელიას ორი შაშხანა წაართვეს, ფოსტის უფროსს — რევოლვერი„სმიტ-ვერონა". აჯანყებულებმა იარაღი სხვა კომუნისტებსაც წაართვეს და წალენჯიხის დამკომს ჩაუტანეს. **სოფ. ჯგალში აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა 40 კაცმა მიიღო. სოფ. საჩინოში აჯანყებაში მონაწ-**

ილეობდა 38 კაცი, სოფ. მუხურში (ამჟამად ჩხოროწყუს რაიონი) – 60. წალენჯიხელმა აჯანყებულებმა ძალაუფლება 3-4 დღის განმავლობაში შეინარჩუნეს, ბოლოს კი ისინი გატყდნენ. წალენჯიხის რაიონის მილიციამ ზუგდიდის რაიონის მილიციასთან ერთად 70 აჯანყებული დააპატიმრა.

ლიის რაიონის სოფ. ლიაში (ამჟამად სოფელი წალენჯიხის რაიონში) აჯანყება1924 წლის 29 აგვისტოს, დილის 10 საათზ დაიწყო. 40 აჯანყებული ტარასი ბერიშვილის მეთაურობით სოფლის კანცელარიის შენობაში შეიჭრა და დაიკავა. აჯანყებულებმა ადგილობრივი კომუნისტები განაიარაღეს და დააპატიმრეს. **ლიის რაიონში აჯანყებაში მონაწილეობდნენ: ტრიფონ ბერიშვილი, მელიტონ სამუშია, პროკოფი ჩიქოვანი, ალექსი ბერიშვილი, ლეო ჭანტურია, შალვა დადიანი, კოწო დადიანი, სოლომონ გეთია (მღვდელი), ბებითუ ფიფია, ანტო გერგედავა, ილარიონ ხუბუტია, ჭუჭუ ჩიქოვანი, სევერი ჭიჭინაძე, ანდრო წულუკიძე, ტარასი ბერიშვილი, კაი ბერიშვილი, რაჟდენ აკობია (მოსწავლე), მათე ფიფია, ილარიონ ფიფია (მოსწავლე), ბიკა ფიფია (მოსწავლე), ავქსენტი ფიფია (მოსწავლე), ალექსანდრე კვაჯას ძე ბერიშვილი, ტვირი სამუშია, კოლია ჭანტურია, ფარნა ციმინტია, გრიშა აფაქიძე, სამსონ შონია, კირილე აფაქიძე, იოსებ ფიჩხაია, სტეფანე გოგია, ბათლომ ეგეთია, ბიჭიკო გობეჩია, გრიშა დადიანი** და სხვ.

აჯანყების დაწყებისთანავე ლიის რაიონის საბჭოთა ხელისუფლებამ საეჭვო პირების დაპატიმრება დაიწყო. დააპატიმრეს 60 პირი. კომუნარების ერთი რაზმი ჯვარის მიმართულებით გააგზავნეს, სადაც აჯანყებულებთან შეტაკებას ჰქონდა ადგილი, რა დროსაც რამდენიმე აჯანყებული დაიჭრა, რამდენიმე კი ტყვედ ჩავარდა. კომუნარების მეორე რაზმი სოფ. ლიის ცენტრში დარჩა და იცავდა საპყრობილეს და რაიონულ დაწესებულებებს. კომუნარების მესამე რაზმი (6 კაცი) ზუგდიდის მხრიდან იცავდა სოფელ ლიას. **კომუნარების ამ რაზმთან**

აჯანყებულების შეტაკება მოხდა. კომუნარებმა ვერ გაუძლეს აჯანყებულთა შეტევას და გაიქცნენ. შეტაკება მოხდა სოფ. ლიის ცენტრში, სადაც აჯანყებულთა მხრიდან დაიღუპნენ: **პლატონ ხუბუტია, ელიზბარ გვახარია და მელიტონ ხორავა, ანდრო წულუკიძე** კი დაიჭრა. კომუნარების მხრიდან ვლადიმერ ქობალია დაიჭრა. ადგილობრივმა საბჭოთა ძალებმა ვერ შეძლეს აჯანყების ჩაქრობა და ამიტომაც მათ რაიონში წითელი ჯარი შემოიყვანეს და საბერიოს რაიონიდან კომუნარები გამოიძახეს.

ძალაუფლების ხელში აღებისთანავე აჯანყებულებმა რაიონული თავდაცვის კომიტეტი **აირჩიეს: ალექსი ბერიშვილის (თავმჯდომარე), ალექსანდრე ბერიშვილის, მელიტონ სამუშიას, ესტატე სამუშიას, ივლიანე ბერიშვილისა და კაი ბერიშვილის** შემადგენლობით. აჯანყებულებმა სამხედრო ხელმძღვანელად **ტარასი ბერიშვილი** დანიშნეს. ბრძანებას და განკარგულებას **ალექსი ბერიშვილი** იძლეოდა. აჯანყებული ლიელების დასახმარებლად სოფ. ჭკადუაშიდან მოვიდა 40 შეიარაღებული პირი **პლატონ ჭანტურიას** მეთაურობით და სოფ. კორცხელიდან 10 შეიარაღებული ანდრო წულუკიძის მეთაურობით. სოფ. ლიაში მათ ორი დღე დაჰყვეს.

კომუნისტების ახალი ძალების სოფელში შემოსვლისთანავე ლიელმა აჯანყებულებმა თავიანთი პოზიციები დატოვეს და სოფ.ჯვარის მიმართულებით გაიქცნენ, რომ სვანეთის ტყეებისათვის შეეფარებინათ თავი. **სოფ. ლიაში აჯანყებაში მონაწილეობა 23 კაცმა მიიღო. სოფ. ჭკადუაშში (ამჟამად სოფელი ზუგდიდის რაიონში) აჯანყებაში მონაწილეობდა19 კაცი, სოფ. ტყაია ბეჟაშღალში (ამჟამად წარმოადგენს ორ სოფელს ტყაიასა და ჩხორიას და ორივე შედის ზუგდიდის რაიონის შემადგენლობაში) - 19, სოფ.ფახულანში (ამჟამად სოფელი წალენჯიხის რაიონში) – 20, სოფ. ჭალეში (ამჟამადსოფელი წალენჯიხის რაიონში) - 8, სოფ. ჯვარში (ამჟამად წარმოადგენს დაბას და შედის წალენჯიხის რაიონის შემადგენლობაში) - 53, სოფ. ეწერში (ამჟამად**

სოფელიწალენჯიხის რაიონში) -32.

ზუგდიდის მაზრაში აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს: ხარიტონ ივანეს ძე ვარაიამ, ლავრენტი ალექსის ძე ჩიქავამ, პავლე (ქარსანა) შენგელიამ, ადამურ სიკოს ძე ცხაკაიამ, ივლიანე ხუტუს ძე ნორაკიძემ, ოთარ კაჭის ძე ჩხოლარიამ, ტარას ყარამანის ძე ნავეიშვილმა, ვარლამ გრიგოლის ძე ანჩაბაძემ, ვარლამ გვარდღას ძე თორიამ, კაჭია კუკავამ, კონსტანტინე პახვალას ძე ჩხოლარიამ, ისიდორე ძოღოს ძე ხუფენიამ, იასონ ლატარიამ, ამროსი სტეფანეს ძე სორდიამ, კაპიტონ მიხეილის ძე გაბილაიამ, დვირია გოჩას ძე ნარუამ, რაჟდენ ერჩქინდის ძე შელიამ, იოსებ დავითის ძე ჭითანავამ, ასტამურ თადის ძე ჯაიანმა, ხუტუ ალექსის ძე ორზოლიამ, ალექსი თოდუამ, ერასტო შალვას ძე ქარჩავამ, ჯინჯერი ბორდღუს ძე ნოსირიძემ, კალისტრატე გაიოზის ძე ზარანდიამ, თარა კუტალიამ, გრიგოლ კუდნათის ძე შერვაშიძემ, ჭუჭუ ნესტორის ძე დგებუაძემ, შამელი ბაზალიას ძე გელენავამ, არსენა ქვათის ძე ნაყოფიამ, სპირიდონ მორგოშიამ, იოსებ მიხას ძე ლემონჯავამ, ტრიფონ ფიოლიამ, ვალოდია ქიბარის ძეროგავამ, იონა მარკოზის ძე სიჭინავამ, ცხოფო მიხეილის ძე მგალობლიშვილმა, ბეგო ქანთარიამ, ესტატე შენგელიამ, ბარნაბა შურღაიამ, კონსტანტინე (კოტე)ანჯაფარიძემ, ლუკა მურზაყანის ძე გვასალიამ, ძუკუ კონსტანტინეს (კოწიას) ძე წულეისკირმა, სოლომონ გერანდუხუს ძე ქუთელიამ, იასონ ჯინჯოლავამ, ევგენი ბულიამ, ფარნაოზ ნიკოლოზის ძე ფიჩხაიამ, ნიკოლოზ (ნიკო) სვიმოს ძე გოროზიამ, აკაკი ბასას ძე დარასელიამ, აქვსენტი კვარაცხელიამ, ექვთიმე თოდუამ, გრიგოლ (გრიშა) ბერანძემ, დოროთე საბას ძე ცხაკაიამ, ბეგლარ მესხმა, მაკარ პეხუს ძე დარასელიამ, რაჟდენ ტაიას ძე დგებუაძემ, ილარიონ ჯიშკარიანმა, დიმიტრი შენგელიამ, ლადი გოგიამ, თადეოზ პეტრეს ძე ვეკუამ, ძარგუ კოსტაიასძე წულეისკირმა.

1924 წლის აჯანყების დროს ზუგდიდის მაზრაში

საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან 13 კაცი დაიღუპა, 15 კი დაიჭრა. დაღუპულთა შორის იყვნენ: ზუგდიდის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **გრიგოლ როგავა,** საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის საინფორმაციო განყოფილების გამგე **ჩხეტია** და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ)წალენჯიხის რაიონული კომიტეტის მდივანი **სოლომონ გოგია.** ფოთში საბჭოთა ხელისუფლების მიერ წინასწარ მიღებული ენერგიული ზომების შედეგად 1924 წლის აჯანყებას ადგილი არ ჰქონია.

გ) აჯანყების მიმდინარეობა გურიაში

გურიაში აჯანყებულთა რაზმებს **სერგო მათითაიშვილი, თეოფილე მუხაშავრია და პარმენ ჭანუყვაძე და სიმონ გოგიბერიძე** ხელმძღვანელობდნენ.

1924 წლის 28 აგვისტოს, დილით სიმონ გოგიბერიძემ, რომელსაც დავალებული ჰქონდა **ნაგომარის** რაიონის დაკავება, სოფლების **ასკანის, ბუკნარისა და ნაგომარის** რწმუნებულები გამოიძახა. ს. გოგიბერიძემ მათ სათანადო დირექტივები მისცა, ადგილი და დრო დაუნიშნა, თუ სად შეკრებილიყვნენ. გაუგებრობის თავიდანაცილების მიზნით, ს. გოგიბერიძემ თითოეულ რწმუნებულს თითო მეგზური გააყოლა. ს. გოგიბერიძეს დაბა **ნაგომარში** ორი კურიერი ჰყავდა, რომლებმაც მას დაღამებამდე ორჯერ აცნობეს, თუ რამდენი მილიციელი იმყოფებოდა ნაგომარის რაიონული მილიციის სამმართველოში, რამდენი კაცი იცავდა ფოსტას, რამდენი დარაჯი იდგა საგრენაჟო საწარმოსთან და ა. შ. სიმონ გოგიბერიძემ თავისი რაზმიდან ე.წ. „მეორე რაზმი" გამოყო, რომელსაც აჯანყების დაწყებისთანავე სოფ. ნაგომარის მოსახლეობის გაფრთხილება ევალებოდა. მეორე რაზმს სურსათ-სანოვაგისა და სანიტარული ნივთების მომარაგებაც დაეკისრა.

1924 წლის 28 აგვისტოს ოზურგეთის აღმასრულებელმა კომიტეტმა, რომელიც ოზურგეთის მაზრაში გზების

გაყვანისა და ხიდების აგების საკითხზე მსჯელობდა, ღამის 12 საათზე მოსალოდნელი აჯანყების შესახებ შეტყობინება მიიღო. სამაზრო აღმასრულებელმა კომიტეტმა რაიონებისგაფრთხილებადროულადვერმოასწრო,რადგან მანამდე აჯანყებულებმა სატელეფონო მავთულები მწყობრიდან გამოიყვანეს. 1924 წლის 28-29 აგვისტოს ღამეს **სიმონ გოგიბერიძის** რაზმელები დანიშნულ ადგილზე შეიკრიბნენ. მათ თოფები და ერთი ტყვიამფრქვევი ჰქონდათ. ერთერთი ათეულის მეთაური სიცხიანი იყო, მაგრამ დანიშნულ ადგილას თავშეხვეული მაინც გამოცხადდა. ს. გოგიბერიძემ თავისი რაზმიდან მცირე ჯგუფი გამოყო,რომელიც **სოფ. ნაგომარის** ბაზრის პირდაპირ პატარა მაღლობზე დაბანაკდა .ტყვიამფრქვევი ამ რაზმს გადაეცა.

სიმონ გოგიბერიძე რაზმელებთან ერთად ბაზრისაკენ გაემართა. მისი გეგმის თანახმად, 5 მებრძოლს მილიციის სამმართველო უნდა აეღო, დანარჩენებს ფოსტის შენობა. სანამ აჯანყებულები აღნიშნულ დაწესებულებებამდე მიაღწევდნენ, მათ ერთი კილომეტრის სიმინდის ყანებში გავლამ მოუწიათ, რამაც ხმაური გამოიწვია. ხმაურზე ძაღლებმა ყეფა დაიწყეს. ს. გოგიბერიძის რაზმმა ბაზრის გასწვრივ მდებარე ღობეს მიაღწია თუ არა **სოფ. ხიდისთავში** თოფი გავარდა. თოფის ხმაზე სოფ. ნაგომარის მილიციის შენობიდან მილიციელები აივანზე გამოცვივდნენ. მილიციელებმა მათკენ მომავალი შეიარაღებულები შენიშნეს და ცეცხლი გახსნეს. ორმხრივი სროლები დაიწყო.აჯანყებულებმა ტყვიამფრქვევიდან ცეცხლი გახსნეს. მილიციელები შენობაში შეიკეტნენ. აჯანყებულები მილიციის შენობაში შეცვივდნენ და მილიციელები განაიარაღეს და დააპატიმრეს. მხოლოდ პარტიული კომიტეტის მდივანმა მოახერხა გაქცევა, რომელიც სამმართველოს უკანა კარებიდან გაიპარა. აჯანყებულებმა ის ერთ-ერთ სოფელში დააპატიმრეს. ს. გოგიბერიძის რაზმმა ფოსტის შენობა ადვილად დაიკავა.

აჯანყებულებმა ფოსტაში მყოფი კომუნისტები დააპატიმრეს, რომლებიც კედელთან მიაყენეს და აძახებინეს:

„გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!“ აჯანყებულებმა მწყობრიდან გამოიყვანეს გადამცემი აპარატი. მათ იპოვეს ტელეფონოგრამა, რომელიც აჭარის სამხედრო კომისარიატისაგან იყო გამოგზავნილი. ტელეფონოგრამაში აჭარის სამხედრო კომისარიატი გურიის სამაზრო და სარაიონო ადმინისტრაციას სთხოვდა ორ დღეში მომზადებულიყვნენ რეგულარული წითელი ჯარის ნაწილების მისაღებად. ამასთანავე, მათ ჯარის საჭიროებისათვის ცალკეული შენობები უნდა გამოეყოთ. მეორე დღესვე ს.გოგიბერიძემ ტელეფონოგრამა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის რწმუნებულს გურიაში **ქავთარაძეს** გადასცა. ამდენად, სოფ. ნაგომარი აჯანყებულებმა დაიკავეს.

. **ნაგომარში** აჯანყების წარმატებით დასრულებისთანავე აჯანყებულებმა დროებითი ხელისუფლება შექმნეს. **სერგო მათითაიშვილმა ხიდისთავში და ჩოხატაურში** შიკრიკები გააგზავნა და ნაგომარში აჯანყების გამარჯვება ახარა. ს. მათითაიშვილმა ჩოხატაურის რაიონში მისვლისთანავე ცნობები დააგზავნა სოფლებში: **სურებში, საჭამიასერში,საჯავახოში და ჩოხატაურის** დასაკავებლად ძალების მობილიზებას შეუდგა. **სოფ.სურებში** აჯანყებულებმა პირნათლად შეასრულეს დაკისრებული მისია და ძალაუფლება ხელში აიღეს.

საჭამიასერში აჯანყების მეთაურს ჰქონდა ერთი ნაგანი ოთხი ვაზნით. 1924 წლის 28 აგვისტოს (მარიამობას) ყველა ოჯახში დიდი სტუმრიანობა იყო და აქედან გამომდინარე, აჯანყებისათვის საჭირო რაოდენობის მებრძოლების შეკრება ვერ მოხერხდა. მიუხედავად ამისა,საჭამიასერის აჯანყებულთა მეთაურმა ადგილობრივ სარაიონო დაწესებულებებზე თავდასხმა მაინც განიზრახა. თავდასხმისას კომუნისტებმა აჯანყებულებს სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიეს. შეტაკების დროს რამდენიმე აჯანყებული დაიჭრა. აჯანყების პირველ დღეს აჯანყებულებმა ვერც ერთი დაწესებულება ხელში ვერ ჩაიგდეს. ამის შემდეგ აჯანყებულები რაზმის შევსებას შეუდგნენ და მეორე დღეს, **29 აგვისტოს დილას რაიონის ყველა დაწესე-**

ბულება დაიკავეს.

საჯავახოში მყოფ აჯანყებულებს რკინიგზის ხაზის მწყობრიდან გამოყვანა ევალებოდათ, მაგრამ დავალების დაგვიანებით მიღების გამო მათ ეს ამოცანა ვერ შეასრულეს. თუმცა აჯანყებულებმა **საჯავახოს სოფლებში ძალაუფლება ხელში აიღეს.** ს. მათითაიშვილი თავისი რაზმით ჩოხატაურისაკენ გაემართა. სოფ. სუფსასთან აჯანყებულები კომუნისტების რაზმს გადაეყარნენ, რომელსაც **სამსონ ჭანიშვილი** მეთაურობდა. **სუფსის გარემიდამოში დაიწყო ორმხრივი სროლები. აჯანყებულებმა კომუნისტებს სძლიეს, რომლებმაც სიბნელით ისარგებლეს და სიმინდის ყანებში გაიფანტნენ.** აჯანყებულებმა ჩოხატაურისაკენ გზა განაგრძეს.

ჩოხატაურში მყოფი კომუნისტები სროლის ხმის გაგონებისთანავე დაირაზმნენ. მათ განკარგულებაში ორი ტყვიამფრქვევი იყო. სერგო მათითაიშვილმა ფოსტა, მილიციის შენობა და სხვა დაწესებულებები დაიკავა და **ამბოხებულებმა ჩოხატაური აიღეს. აჯანყებულებმა კომუნისტები დააპატიმრეს. აჯანყებულებმა სოფელ ამაღლების დაკავების** შემდეგ ამ სოფელში სუფრაზე მიწვეული ოზურგეთის სასულიერო ორკესტრი ოზურგეთისაკენ წაიყვანეს.აჯანყებულთა მოთხოვნით ორკესტრი გზაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჰიმნ „დიდებას" უკრავდა.

ხიდისთავის დაკავების შემდეგ აჯანყებულებმა ოფიცრების აღრიცხვა და მობილიზაცია დაიწყეს. აჯანყებულებმა კოოპერატივიდან ტანსაცმლები გამოიტანეს და თავისიანებს დაურიგეს.. სოფ. ხიდისთავში გურიის ცენტრალური შტაბი შეიქმნა, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ: **სერგო მათითაიშვილი (ხელმძვანელი), ავქსენტი კალანდაძე, გერმანე კალანდაძე, ისიდორე ლომთათიძე, გრიგოლ გოგიბერიძე** და სხვ. შტაბთან თანამშრომლობდნენ: **ნოე შერმადინის ძე კალანდაძე, პოლიო ანტიფოს ძე კალანდაძე** და სხვ.

1924 წლის 29 აგვისტოს, დილით, ზემო გურიაში შემდე-

გი სურათი იყო: **აჯანყებულებმა დაიკავეს ნაგომარის, ხიდისთავის, სურებისა და საჭამიასერის რაიონები და ჩოხატაური.** ამ რაიონებში აჯანყებულებმა კომუნისტების უმეტესობა დააპატიმრეს.გაქცეული კომუნისტების მცირე ნაწილმა სოფ. **ერკეთს და სოფ. ხევს** შეაფარა თავი, ჩოხატაურიდან გაქცეულმა კომუნისტებმა კი სოფ. **ნიგოითის** მთის კალთებს. ს. მათითაიშვილის წინაშე სამი ამოცანა იდგა: **1) სოფ. ერკეთში და სოფ.ხევში გამაგრებული კომუნისტებისათვის შეეტია; 2) ჩოხატაურიდან გაქცეული კომუნისტებისათვის შეეტია; 3) იმერეთთან კავშირის დასამყარებლად საჯავახოში აჯანყებულთა რაზმი გაეგზავნა და გურია სამტრედიაში მყოფი რუსის ჯარის მოსალოდნელი შეტევისაგან დაეცვა.**

პირველი ამოცანის შესრულება ს.მათითაიშვილმა სოფ. ხიდისთავიდან გამოძახებულ რაზმს მიანდო. ამ რაზმმა დაკისრებულ მისიას წარმატებით გაართვა თავი და **სოფლები ერკეთი და ხევი სრულად გაწმინდა კომუნისტებისაგან.** ამის შემდეგ სოფ. ხიდისთავის რაზმი **საჯავახოში** მესამე ამოცანის შესასრულებლად გაიგზავნა. **საჯავახოში მისვლისთანავე ხიდისთავის რაზმმა რკინიგზის სადგური აიღო,** მაგრამ ამ დროს ისინი, ერთი მხრივ, ჯავშნოსანი მატარებლის და, მეორე მხრივ, იმერეთიდან რიონზე ბორანით გადმოსული კომუნისტების რაზმის ცეცხლის ქვეშ მოექცნენ. ორივე მხრიდან დაჭრილთა და დახოცილთა რაოდენობამ 50 მიაღწია. ბრძოლაში აჯანყებულთა მხრიდან დაილუპნენ სოფ. ხიდისთავის მცხოვრებლები ძმები **ევგენი და თეოფილე ცხოიძეები.** აჯანყებულებმა რკინიგზის სადგური დატოვეს და იქვე გორაკზე დაბანაკდნენ.

ხიდისთავის რაზმი 1924 წლის 30 აგვისტოს დილიდან 1924 წლის 2 სექტემბრის ღამემდე კომუნისტების იერიშებს იგერიებდა. სოფ.ხიდისთავის რაზმის სამდღიანმა გმირულმა ბრძოლამ ბევრი აჯანყებული ალყაში მოქცევას გადაარჩინა. ჩოხატაურიდან გაქცეული კომუნისტების წინააღმდეგ ს.მათითაიშვილმა თავის რაზმთან ერთად ერთი ჩოხატაურელი ოფიცერი გააგზავნა (მეორე

ამოცანა). **რაზმმა დაკისრებული ამოცანა შეასრულა და კომუნისტების ნაწილი გააქცია, ნაწილი კი დააპატიმრა.**

აჯანყებულთა გურიის სამაზრო კომიტეტის თავმჯდომარემ და დამკომის რწმუნებულმა სამხედრო ცენტრი შექმნეს. სამხედრო ცენტრში შევიდნენ: **სერგო მათითაიშვილი, თეოფილე მუხაშავრია** და კიდევ ერთი პირი. სამხედრო ცენტრი ოზურგეთის ასაღებად შეიქმნა. **ოზურგეთის** დასაკავებლად აჯანყებულთა ძალები **ნასაკირალზე** უნდა შეკრებილიყვნენ. ოზურგეთში ამ დროს ასეთი ვითარებაიყო: აჯანყების ბრძანება ოზურგეთის რაიონის შტაბმა 1924 წლის 27 აგვისტოს, ნაშუადღევის 3 საათზე, მიიღო. შტაბმა **პარმენ ჭანუყვაძის** მეთაურობით სპეციალური გეგმა შეიმუშავა, რომელიც შემდეგში მდგომარეობდა: **ბახვის,შემოქმედის, ლიხაურისა და სხვა სოფლების გათავისუფლება და შემდეგ ოზურგეთის აღება და გამაგრება.**

შემოქმედის რაიონის სოფ. გომში აჯანყება 1924 წლის 28-29 აგვისტოს ღამეს დაიწყო. ამ დროს სოფ. გომში თავის მეუღლესთან ერთად **ფილიპე მახარაძე** იმყოფებოდა. საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ოზურგეთის სამაზრო კომიტეტმა აჯანყების დაწყებისთანავე ფ. მახარაძის გასაფრთხილებლად ოზურგეთის მაზრის მილიციის უფროსი **ლავრენტი სოსელია** ორ წითელარმიელთან და სამ მილიციელთან ერთად გააგზავნა აჯანყებულებმა ფ. მახარაძე მის გაფრთხილებამდე დააპატიმრეს. **ლ. სოსელიამ ფ. მახარაძის** გათავისუფლება მოახერხა აჯანყებულები ფ. მახარაძის კვლავ დაპატიმრებას ცდილობდნენ.

აჯანყებულები სოფ. **გომის** ფოსტის შენობაში გამაგრდნენ, ლ. სოსელიას რაზმი — სოფ. **გომის** ტყეში. ლ. სოსელიამ მზვერავები გააგზავნა, რომლებსაც აჯანყებულებმა სროლა აუტეხეს. ორმხრივი სროლის დროს მზვერავებს ერთი შეიარაღებული და ერთი უიარაღო აჯანყებული ხელში ჩაუვარდათ. აჯანყებულებმა ლ. სოსელიას და-

მორჩილებისა და ფ. მახარაძის მათთვის გადაცემის მოთხოვნით დელეგაცია გაუგზავნეს. ფილიპე მახარაძის დასაცავად სოფ. გომში და სოფ. გონების კარში 45 კომუნარი შეიკრიბა. დიდი ძალისხმევის შედეგად მილიციელებმა ფ. მახარაძე მეუღლესთან ერთად ჯერ სოფ. გომის მთაზე გადაიყვანეს, აქედან კი — აჭარაში. აჭარის საზღვართან ფ. მახარაძეს აჭარის საგანგებო ხუთეულის თავმჯდომარე **ხიმშიაშვილი** დახვდა.

აჯანყებულებმა სოფლები **ბახვი და ლიხაური** დაიკავეს და ყველა ადგილობრივი კომუნისტი დააპატიმრეს. სოფ. ლიხაურში აჯანყებულებს მხოლოდ ერთი ჩეკისტი გაექცათ. სოფ. ლიხაურის დაკავებაში განსაკუთრებით თავი **სევერიანე თოიძემ** გამოიჩინა. აჯანყებულებმა სოფლებში: ბახვში, შემოქმედში და ლიხაურში ძალაუფლების ხელში აღების შემდეგ მთელი თავიანთი ძალები. ოზურგეთის ასაღებად წარმართეს.

ლანჩხუთის რაიონის დაკავებას **თეოფილე მუხაშავრია** ხელმძღვანელობდა. ლანჩხუთის რაიონული ფოსტის შენობას მილიციელი ალექსანდრე ერქომაიშვილი მარტო იცავდა. ა. **ერქომაიშვილი** აჯანყებულებს სისხლის უკანასკნელ წვეთამდე უმკლავდებოდა. ლანჩხუთის რაიონული მილიციის უფროსი კ. ორაგველიძე ერთ მილიციელთან ერთად მილიციის სამმართველოში გამაგრდა. მალე კ. ორაგველიძეს ადგილობრივი კომუნარების რაზმმა მოუსწრო. რამდენიმე საათიანი ბრძოლა აჯანყებულთა დამარცხებით დამთავრდა. ლანჩხუთის რაიონში 1924 წლის შეიარაღებულ აჯანყებაში მონაწილეობა მიიღეს: **პროკოფი თურნავამ, სოფ. სახურის სკოლის მეორე კლასის მოსწავლემ; სოფრომ გურგენიძემ, პეტრე მელიქიშვილის სახელობის ქიმიური ტექნიკუმის სტუდენტმა; ქრისტეფორე ბოლქვაძემ, ფოსტა-ტელეგრაფის სასწავლებლის.**

სოფ. სუფსაში აჯანყებულები **1924 წლის 29 აგვისტოს, დილის 4** საათზე შეიჭრნენ. აჯანყებულები პირველად მილიციის სამმართველოს დაესხნენ თავს.მილიციის

უფროსმა ტულუშმა გაქცევა მოასწრო. აჯანყებულებმა მილიციელებს,რომლებსაც ტყვიამფრქვევი გაეჭედათ, იარაღი აჰყარეს. სროლის ხმის გაგონებისთანავე სუფსის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის თანაშემწე მეგრელიძე სახლიდან გამოვიდა და რამდენიმე კომუნისტთან ერთად მდინარე სუფსის ხიდთან გამაგრდა. ის ხიდს ჯავშნოსანი მატარებლის მოსვლამდე იცავდა. სუფსაში აჯანყებულებმა ტელეგრაფით შეიტყვეს ხაშურში მყოფი რუსეთის წითელი ჯარის უფროსის ბრძანება, რომელიც **სამტრედიაში დაბანაკებულ წითელი ჯარის რაზმებს გურიის აჯანყებულების წინააღმდეგ მოქმედებას ავალებდა. მანამდე სუფსა ბათუმიდან მოსულმა წითელმა ჯარმა დაიკავა.**

1924 წლის 30 აგვისტოს აჯანყებულები ნასაკირალის მთაზე შეიკრიბნენ, რათა ოზურგეთზე შეტევა დაეწყოთ. იმავე დღის ნაშუადღევისათვის ოზურგეთში მყოფმა საბჭოთა საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა და რუსის ჯარმა, რომლებსაც ჯავშნოსანი მატარებელიც მიემატა, აჯანყებულების წინააღმდეგ სოფ. ექადიის მიმართულებით შეტევა დაიწყეს. აჯანყებულებმა **შემოქმედისაკენ** დაიხიეს. სოფლები **ლიხაური და ექადია** კომუნისტების ხელში აღმოჩნდა. აჯანყებულებმა ტყვე კომუნისტებთან ერთად **ნიგოითის** ქედი გადაიარეს. მიუხედავად ამისა, აჯანყებულებს. ოზურგეთზე შეტევაზე ხელი არ აუღიათ.

სურების რაზმს **თეოფილე მუხაშავრიას** მეთაურობით სოფ. **სიროულ-ჯუმათის** მიმართულებით მომედება დაევალა. ამ რაზმს **ნიგოითის** მთიდან კომუნისტები უნდა განედევნა. სურების რაზმს სოფ. **მოდინახეს** მხრიდან ოზურგეთზე უნდა შეეტია.ლანჩხუთის ორ რაზმს და ნაგომარის რაზმს მდინარე ნატანებზე გადასვლა დაევალა, რის შემდეგაც ისინი საბჭოთა ხელისუფლების იმ რაზმს მოექცეოდნენ ზურგში, რომელიც **პარმენ ჭანუყვაძეს** მისდევდა. აჯანყებულებმა პ. ჭანუყვაძეს მათი გეგმა აცნობეს და უბრძანეს, არავითარ შემთხვევაში უკან არ დაეხ-

ია. ამ ორი ამოცანის წარმატებით შესრულების შემდეგ, ეს რაზმები აჯანყებულთა მარჯვენა და მარცხენა ფრთად გადაიქცეოდნენ, ნასაკირალის მთაზე მყოფი აჯანყებულთა რაზმი — ცენტრალურ რაზმად. 1924 წლის 1 სექტემბერს ამ ძალებს ოზურგეთზე შეტევა უნდა დაეწყოთ.

სურების რაზმმა დაკისრებული ამოცანა პირნათლად შეასრულა: გაათავისუფლა სოფლები სიროული და ჯუმათი, გაამაგრა ნიგოითის ქედი, მოწინააღმდეგის მიერ აჯანყებულთა ტყვეობიდან გათავისუფლებული კომუნისტები ხელახლა დააპატიმრა და. ოზურგეთზე შეტევისათვის მოემზადა. სამწუხაროდ, **ლანჩხუთისა და ნაგომარის რაზმებმა დავალება ვერ შეასრულეს, რადგან პ. ჭანუყვაძემ თავისი პოზიცია დატოვა და სოფ. ბაღდადის სიმაღლეებისაკენ გაემართა.** პარმენ ჭანუყვაძემ ეს გადაწყვეტილება იმით ახსნა, რომ **ბათუმიდან წამოსული მუშათა საგანგებო რაზმისა და საოკუპაციო სამხედრო ძალის, წითელი არმიის ნაწილები სოფლების: შემოქმედ-ასკანა-ბასილეთის მიმართულებით მოიწევდნენ და მას ალყაში მოცევა ემუქრებოდა.**

1924 წლის 1 სექტემბერს, საღამოს, აჯანყებულთა ხელმძღვანელობამ თათბირი მოიწვია. თათბირზე გადაწყდა ორგანიზებულად უკან დაეხიათ. პ. ჭანუყვაძის რაზმმა და სოფ. აკეთის რაზმმა **პ. თოხაძის** მეთაურობით, ბრძოლით სოფლების: **ასკანა-ბასილეთ-ჭაჭიეთის** გზით სოფ. **ხიდისთავისაკენ** დაიხია. სურების რაზმმა ბრძოლით გაიკაფა გზა და **ბახმაროს მთაზე** მყოფ აჯანყებულებს შეუერთდა .**ნასაკირალის** მთაზე მყოფმა აჯანყებულთა რაზმმა სოფ. **ნაგომარისაკენ** დაიხია. ფხიზლად იყო აჭარის საბჭოთა ხელისუფლება, რადგან გურული აჯანყებულების აჭარაში გადასვლა იყო მოსალოდნელი.

აჭარის საგანგებო ხუთეულის გადაწყვეტილებით ქობულეთში გაიგზავნა **50 შეიარაღებული კომუნარი და 140 წითელარმიელი,ორი ტყვიამფრქვევით.** ამ დროს გურული აჯანყებულების ნაწილი ქობულეთის მიმართულებით მიდიოდა. აჯანყებულებმა სოფლები **შემო-**

ქმედი და გომი გაამაგრეს, მაგრამ კომუნარებმა აქაც მოახერხეს მათი წინააღმდეგობის დაძლევა. გაქცეულმა აჯანყებულებმა ბახმაროს მთას მიაშურეს. აჭარის საგანგებო ხუთეულმა ხულოს მაზრის საგანგებო სამეულს აჯანყებულების მიერ დაკავებული **ბახმაროს მთის** გათავისუფლება და **ბახმარო-ზოიტის და გომისმთის** გაყოლებით სამხედრო ხაზის გამაგრება უბრძანა).

სოფ. ხიდისთავს ოზურგეთის მხრიდან მოსული რუსული წითელი არმიის ნაწილები მიადგნენ და აჯანყებულებს ტყვიამფრქვევებიდან ცეცხლი გაუხსნეს. **ბრძოლაში რამდენიმე აჯანყებული დაიღუპა.** სოფ. ხიდისთავში აჯანყებულთა მეთაურებმა 180 ტყვე კომუნისტიდან 38 დაიტოვეს: **ანდრო დოლიძე (ოზურგეთისმაზრის ხუთეულის თავმჯდომარე), პორშინი (რუსი ჩეკისტი), ჭანიშვილი, ნინიძე** და სხვ. დანარჩენი ტყვეები კი გაათავისუფლეს. **სოფ. ჭაჭიეთის მაღლობზე აჯანყებულებსა და ბათუმიდან წამოსულ მუშათა საგანგებო რაზმისა და ოკუპანტ წითელ არმიელებს შორის შეტაკება მოხდა.** ოკუპანტრენეგატებმა, შეიარაღებითა და რიცხვით ბევრად აღმატებულებმა, სძლიეს საქართველოს განთავისუფლებისთვის აჯანყებულ გურულებს. შეტაკებისას ლანჩხუთის რაზმმა რამდენიმე მებრძოლი დაკარგა.

1924 წლის 2 სექტემბერს, 13 საათზე, ჩოხატაურისაკენ მიმავალი აჯანყებულთა რაზმი ს. მათითაიშვილის რაზმს სოფ. ჯვარცმის მალობზე შეუერთდა. იქვე იმყოფებოდა აჯანყებულთა სამაზრო კომიტეტი, დამკომის წარმომადგენელი ქავთარაძე და სხვ. **სოფელ ჯვარცმაში აჯანყებულებსა და რუსის ჯარს შორის შეტაკება მოხდა. ამბოხებულებმა უკან დაიხიეს.** სოფ. სურებისაკენ მიმავალმა აჯანყებულებმა ტყვე კომუნისტები გზაში დატოვეს და მათ დამცველად რამდენიმე შეიარაღებული აჯანყებული გამოყვეს.

აჯანყებულებმა **სურებში 1924 წლის 3 სექტემბერს,** შუადღისას, ჩააღწიეს. სურების მცხოვრებლები აჯანყებულთა მიმართ დიდ მზრუნველობას იჩენდნენ.

სურებში მყოფ აჯანყებულებს იმერეთიდან გადმოსული **ვლასა მგელაძე** შეუერთდა. მგელაძემ მათ იმერეთში განვითარებული მოვლენების შესახებ აუწყა. ამ დროს აჯანყებულთა თავზე აეროპლანმა გადაიფრინა, რომელმაც აჯანყებულებს ტყვიამფრქვევიდან ცეცხლი გაუხსნა და ფურცლები გადმოყარა. ფურცლები დამკომის მოწოდება აღმოჩნდა. **საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის ხელმძღვანელები აჯანყებულებს აჯანყების მთელ საქართველოში დამარცხებას აცნობებდნენ და ყოველგვარი წინააღმდეგობის შეწყვეტისაკენ მოუწოდებდნენ.**

წითელმა არმიამ ჩოხატაური 1924 წლის 3 სექტემბერს დაიკავა, სოფ. სურები — 4 სექტემბერს. 4 სექტემბერს წითელმა ჯარმა გომის მთა,ბახმარო და ზოტიყელი დაიკავა. იმავე დღეს აჭარის ხუთეულის თავმჯდომარე **თ.ხიმშიაშვილმა** ხულოში **ო. მოწყობილს** აცნობა, რომ დაახლოებით 200-250 შეიარაღებული აჯანყებული **სიმონ მათითაიშვილის** მეთაურობით სოფ. სურებისაკენ მიემართებოდა. წითელი არმიის ნაწილებმა სოფ. სურებისაკენ მიმავალი გზა გადაკეტეს და ს. მათითაიშვილს სოფელში შესვლის შესაძლებლობა არ მისცეს. ხულოს მაზრის საბჭოთა ხელისუფლებამ განსაკუთრებული ყურადღება ბახმარო-გომის მთის გამაგრებას მიაქცია. დაიწყო აჯანყებულებთან შეტაკება. ერთერთი შეტაკების დროს ხულოს მაზრის რაზმმა სოფ. ბახმაროში 17 აჯანყებული დაატყვევა, გომის მთაზე — 15. **აჭარიდან გურული აჯანყებულების წინააღმდეგ 1924 წლის 28 აგვისტოდან 3 სექტემბრის ჩათვლით 500 კომუნარი და 1700 ოკუპანტ წითელარმიელი გაიგზავნა, შვიდი ტყვიამფრქვევითა და და ორი ჯავშანმანქანით.** კომუნარების ამ რაზმებს **ქავთარაძე, კილაძე, ახალაძე ,რამიშვილი, ცხომელიძე და კომროვსკი** ხელმძღვანელობდნენ. გურიაში 1924 წლის აჯანყების ჩახშობის დროს საბჭოთა ხელისუფლების 20 წარმომადგენელი დაიღუპა. **ამბოხებულმა გურულებმა ოზურგეთის გარდა დანარ-**

ჩენი გურია მთლიანად გაანთავისუფლეს და საბჭოთა სახელმწიფო ხელსუფლების დამამხობელნი, განმანთავისუფლებელნი გურულნი სამი დღის მანძილზე ფლობდნენ ძალაუფლებას გურიის უმეტეს ნაწილში. საბოლოოდ რიცხვით ბევრად მეტმა და შეიარაღებითაც გაცილებით უკეთესად აღჭურვილმა საოკუპაციო წითელ არმიისა და ადგილობრივი რენეგატი ჩეკისტებისა და კომუნარების ძალებმა, მომხვდურთა სასარგებლოდ და ქართველთა საწინააღმდეგოდ არსებულ უთანასწორო დაპირისპირებაში, სძლიეს ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის ამხედრებულ გურულებს.

დ) აჯანყების მიმდინარეობა სვანეთში

1924 წლის 28 აგვისტოს, ღამით ბალის მთაზე 150 სვანი შეიკრიბა, რომელთა შორის იყვნენ: ბიძინა პირველი, ეგნატე გაბლიანიმ ნესტორ გარდაფხაძე იშმაგ ქურდიანი (მღვდელი), ბაუჩი ქალდანი, ელიზბარ იოსელიანი, ალექსანდრე შერვაშიძე, ვარლამ შერვაშიძე, ბესარიონ ჟორჟოლიანი, აფრასიონ ჟორჟოლიანი, მიხეილ (მიშა) ჟორჟოლიანი, ივანე გაბლიანი, ვლადიმერ გაბლიანი, გიორგი გაბლიანი, თედო გუჯეჯიანი, არჩილ გუჯეჯიანი, არდევან ზურაბიანი, გოჯი ჯაფარიძე, გრიგოლ ჯაფარიძე, კონსტანტინე ჯაფარიძე, სარდიონ გოშტელიანი, ერმოლე გოშტელიანი, ბესარიონ ხერგიანი, გიორგი ხვისტანი, ისიდორე გულბანი, გიორგი გულბანი, ილარიონ მარგველანი (ბიძინა პირველის მარჯვენა ხელი), ვასილ არღვლიანი, გიორგი გუჯეჯიანი, სილო მარგიანი, რაფა გულბანი, თენგიზ დადეშქელიანი, კონსტანტინე (კოწია) დადეშქელიანი, მოსესტრო დადეშქელიანი, მირზაყან დადეშქელიანი, არდევან ჭკადუა, კილინებეი რეზესიძე, ბიქუ ცინდელიანი, ერასტი შერვაშიძე, კოსტა შერვაშიძე, სალიბე

ბალდანი, თავადე გადრანი და სხვა. შეკრებილებს **ბიძინა პირველმა** და **ეგნატე გაბლიანმა** საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტისაგან გამოგზავნილი წერილები წაუკითხეს.

ამის შემდეგ **ბიძინა პირველმა და ეგნატე გაბლიანმა** შეკრებილები სამ 50 კაციან რაზმად დაჰყვეს. ერთ-ერთ რაზმ სათავეში **ბ. პირველი და ე. გაბლიანი** ჩაუდგნენ, დანარჩენ ორს — ძმები **კონსტანტინე (კოწია) და მოსესტრო დადეშქელიანები.**

აჯანყებული სვანები 1924 წლის 28-29 აგვისტოს, ღამის 2 საათზე,ზემო სვანეთის ადმინისტრაციულ ცენტრს სოფ. ბეჩოს თავს დაესხნენ. აჯანყებულებმა ადგილობრივ საბჭოთა ხელისუფლებას მოსთხოვეს მთელი სახაზინო ქონება და იარაღი მათთვის გადაებარებინა, რადგან, მათი თქმით,მთელი საქართველოს მასშტაბით ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყება დაიწყო და ძალაუფლება პატრიოტულმა ძალებმა აიღეს ხელში. ადგილობრივმა საბჭოთა ხელისუფლებამ აჯანყებულთა წინადადება უარყო. ორმხრივი სროლები დაიწყო. **ხელისუფლების შეიარაღებულმა ძალებმა აჯანყებულებთა შტურმს ვერ გაუძლეს,იარაღი დაყარეს და აჯანყებულებს ტყვედ ჩაბარდნენ.** ტყვედ ჩავარდნილთა შორისიყვნენ: **ანდრო ამაშუკელი (ზემო სვანეთის მაზრის მილიციის უფროსი), შალვა(შალიკო) ამილახვარი (ზემო სვანეთის მაზრის მილიციის უფროსის თანაშემწე),ბესარიონ (ბესო) ამაშუკელი (სოფ. ბეჩოს მილიციის უფროსი), გრიგოლ (გრიშა) კარანაძე, შალვა (შალიკო) ნიკურაძე (მესტიის რაიონული მილიციის უფროსი),პარმენ ნოდია (სახალხო მოსამართლე) და სხვები, სულ 35 კაცი.**

აჯანყებულებმა ისინი განაიარაღეს და გაათავისუფლეს. 1924 წლის 29 აგვისტოს, დილით, სოფ. ბეჩოს დაკავების შემდეგ აჯანყებულებმა მიტინგი ჩაატარეს. მიტინგზე პირველად ყოფილი თავადი **თენგიზ დადეშქელიანი** გამოვიდა, რომელმაც ხალხს საბჭოთა წყობილების დამხობის მიზნით გაერთიანებისაკენ მოუწოდა. თენგიზ დადეშქე-

ლიანის თქმით, 1924 წლის 29 აგვისტოს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლას საქართველოსთან ერთად სომხეთი და თითქმის მთელი რუსეთი დაიწყებდა და არა უმეტეს ერთი კვირისა საბჭოთა წყობილება ყველგან დაემხობოდა. ანალოგიურად ილაპარაკა ე. გაბლიანმა. ამის შემდეგ აჯანყებულთა რიცხვმა ათასს მიაღწია.

ბ. პირველმა და ე. გაბლიანმა ხალხს აუხსნეს, რომ შესაძლებელი იყო აჯანყების დამარცხება, ამიტომ, მათი თმით, ვისაც არ ჰქონდა აჯანყებაში მონაწილეობის სურვილი, შეეძლო არ ჩაბმულიყო მასში. ხალხმა ერთხმად განაცხადა, რომ მათ წინასწარ ჰქონდათ ყველაფერი აწონილ-დაწონილი და ბოლომდე იბრძოლებდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა და განთავისუფლებისთვის. **ბიძინა პირველმა** ზემო და ქვემო სვანეთის რაზმების შტაბი შექმნა. რაზმების მეთაურობა თავის თავზე ბ. პირველმა აიღო. შტაბის უფროსად **ე. გაბლიანი** დაინიშნა, სვანეთის ცენტრის რწმუნებულად — ექიმი **ილია კობალაძე,** შტაბის მდივნად **-კაპიტონ ჭიჭინაძე.** შტაბში .მნიშვნელოვან ფუნქციებს **პავლე კობეშავიძე** (მესტიის აღმასკომის საქმის მწარმოებელი, ყოფილი ოფიცერი) ასრულებდა.

სოფ. ბეჩოს დაკავების შემდეგ აჯანყებულთა მხარეზე ნებაყოფლობით გადავიდნენ: **ადგილობრივი რაიონული მილიციის უფროსი, ყოფილი ოფიცერი კაპიტონ ჭიჭინაძე, სადაზღვევო სალაროს რწმუნებული გიორგი ბერულოვი, მეანექალი სოფიო პავლეს ასული ახალაძე, მილიციელები: იასონ ლაგოშვილი, დილიმონ გერგასლიდი, ზაქარია სამადაშვილი და დავით გორდაძე.**

1924 წლის 31 აგვისტოს სვანეთიდან ყაბარდო-ბალყარეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე უღელტეხილ უსენგის გავლით აჯანყებულების მიერ გათავისუფლებული მილიციელები გადავიდნენ, რომელთა შორის იყვნენ: სამაზრო მილიციის უფროსის თანაშემწე **შალვა ამილახვარი,** სახალხო მოსამართლე **პარმენ ნოდია, სამაზრო გამომძიებელი კუგუნალო** და სხვ. ყაბარდო-ბალყარე-

თის ავტონომიური ოლქის ხელმძღვანელობამ ენერგიული ზომები მიიღო სვანეთ-ბალყარეთის საზღვრის სათანადოდ გასამაგრებლად, რათა ბალყარელებს აჯანყებული სვანებისათვის მხარი არ დაეჭირათ.

1924 წლის 29 აგვისტოს ზემო სვანეთის თხუთმეტივე საზოგადოებას **ბიძინა პირველისა და ეგნატე გაბლიანის** მიერ ხელმოწერილი ბრძანება დაეგზავნა. ბრძანებაში აღნიშნული იყო, რომ ყველა სვანი 20-იდან 40 წლამდე, ვისაც თოფი გააჩნდა,მიმდინარე წლის 2 სექტემბერს სოფელ კალაში საკუთარი იარაღით და ორი დღის სამყოფი სურსათით უნდა გამოცხადებულიყო. სოფ. კალაში შეკრების შემდეგ აჯანყებულები ქვემო სვანეთში გადასვლას გეგმავდნენ.

1924 წლის 2 სექტემბერს სოფელ კალაში 180 შეიარაღებული სვანი შეიკრიბა. 3 სექტემბერს აჯანყებულები ჩოლურში შევიდნენ, სადაც ძალაუფლება უკვე აეღო ხელში აჯანყებულ გრიგოლ კვასტიანს. პირველის რაზმს შეუერთდნენ ჩოლურის თემის აჯანყებულთა მეთაური **გრიგოლ კვასტიანი** და ლაშხეთის აჯანყებულთა მეთაური **მალაქია ონიანი** , ამბოხებულ ლენტეხელებთან ერთად **ბიძინა პირველს** შეუერთდნენ. მათ განკარგულებაში 350 ზე მეტმა უსამართლობის წინააღმდეგ ამხედრებულმა ზემო და ქვემო სვანმა მოიყარა თავი. აჯანყების გაშლაგაფართოების შემთხვევაში მეამბოხეთა რიცხვი 1500 ზე მეტ მორკინალს გააერთიანებდა.

1924 წლის 4 სექტემბერს ქვემო სვანეთიდან აჯანყებულებმა ლეჩხუმის მაზრის მიმართულებით წასვლა გადაწყვიტეს. აქ მათ ჩასაფრებულმა კომუნარებმა სროლა აუტეხეს. კომუნარებმა აჯანყებულთა იერიშებს ვერ გაუძლეს და რამდენიმე მათგანი ტყვედ ჩავარდა, დანარჩენები კი ცაგერის მიმართულებით გაიქცნენ. აჯანყებულები გაქცეულებს დაედევნენ. **ბ. პირველი და ე. გაბლიანი** თავიანთი რაზმებით ცაგერში შეიჭრნენ და საპყრობილე აიღეს. **ლეჩხუმის მაზრაში შესულ აჯანყებულ სვანებთან ერთად საბჭოთა ხელი-**

სულების წინააღმდეგ მედგრად იბრძოდნენ ადგილობრივი აჯანყებული ლეჩხუმელნი. ლეჩხუმის მაზრაში აჯანყებულებთან შეტაკებაში დაიღუპნენ უმცროსი მილიციელები: **ფილიპე გიორგის ძე ჩხეტიანი და გიორგი ილარიონის ძე ჩაკვეტაძე. დაიჭრა და შეიმუსრა არაერთი ოკუპანტი წითელარმიელი და ადგილობრივი რენეგატი კომუნისტი..**

მექვენის რაიონის (ლეჩხუმის მაზრა) ადგილობრივი საბჭოთა ხელისუფლება მოსალოდნელი აჯანყების შესახებ აჯანყებამდე ორი საათით ადრე ცენტრიდან (ცაგერიდან) გააფრთხილეს. მექვენის რაიონში აჯანყების აღსაკვეთად ცაგერიდან ცხენოსანი რაზმი გაიგზავნა, რომელშიც იყვნენ: **ინდისი სვანიძე, კოლია ნერგაძე, გრიგოლლა კვებელიანი, კოლია ლეთოდიანი, გრიგოლ სვანიძე, იაკობ ახვლედიანი** და სხვ. რაზმს მექვენის რაიონში აჯანყების ჩახშობასთან ერთად აჯანყების მონაწილეების დაპატიმრება და ცაგერში გაგზავნა ევალებოდა. ამოცანის წარმატებით შესრულების შემდეგ რაზმი ადგილზე უნდა დარჩენილიყო, მაგრამ ცაგერში აჯანყებული სვანების შეჭრის გამო ეს რაზმი მალევე ცაგერში გამოიძახეს. ამ რაზმმა მექვენის რაიონში საეჭვო პირები დააპატიმრა. დაპატიმრებულთა შორის მრავლად იყვნენ ქალები. რაზმის წევრებმა **კ. ნერგაძემ და გ. ლაკვებელიანმა პატიმარი ქალები გააუპატიურეს**.

ცაგერში მყოფმა **ბ. პირველმა და ე. გაბლიანმა** საბჭოთა ხელისუფლების მიერ აჯანყების მთელი საქართველოს მასშტაბით ჩახშობის შესახებ შეიტყვეს. ამიტომ მათ ყველა სტრატეგიული ადგილი გაამაგრეს. **ცაგერში აჯანყებული სვანები რუსის ჯარს შეეტაკნენ და დამარცხებაც განაცდევინეს**. უკანდახეულმა ოკუპანტწითელარმიელებმა იმერეთიდან შემოსული საკმაოდ მრავალრიცხოვანი დამატებითი ძალებით შეავსეს თავიანთი რიგები და კვლავ მოემზადნენ ცაგერზე იერიშისთვის. რიცხობრივი უპირატესობა ოკუპნტბოლშევიკების მხარეზე იყო და სვანი აჯანყებულები,საქართველოს უმთავრეს და უმეტეს ნაწილში ეროვნული აჯანყების დამარცხების ფონზე,

დარწმუნდნენ რა ამ შემთხვევაში ბრძოლის გაგრძელების უპერსპექტივობაში და სვანეთში დაბრუნდნენ.

ქვემო სვანეთში მყოფ აჯანყებულებს 1924 წლის 11 სექტემბერს სოფელ ლექსურაში ზემო სვანეთიდან მოსული თავისუფლებისთვის ამხედრებულნი ენგურის ხეობელნი შეუერთდნენ, რომელთა შორის იყვნენ აგრეთვე სამეგრელოს აჯანყების მეთაურები: ხარიტონ ლაშხია, დავით მხეიძე, შალვაკალანდარაშვილი, აკაკი კალანდარაშვილი, თეოფანე შენგელია და სხვები. სამეგრელოში აჯანყების დამარცხების შემდეგ ბოლშევიკოკუპანტებს გამორიდებულმა მეგრელმა განმანთავისუფლებელმა მეამბოხეებმა სვანეთის ტყეებს შეაფარეს თავი .სამეგრელოდან გაქცეულმა აჯანყებულებმა აჯანყების დამარცხების შემდეგ დაწყებული უსასტიკესი რეპრესიების შესახებ აუწყეს სვანებს. ბიძინა პირველს გაზეთები მოუტანეს,რომლებიც აჯანყების მთელი საქართველოს მასშტაბით დამარცხებას ადასტურებდა. გაზეთში საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის ხელმძღვანელების განცხადება იყო მოთავსებული, რომლითაც ისინი აჯანყებულებს მოუწოდებდნენ,წინააღმდეგობა შეეწყვიტათ. სვანი მეამბოხები, გამორჩეულნი საომარი შემართებითა და მხნეობაშემტეობით მოწადინებულნი იყვნენ გაეგრძელებინათ ბოლშევიკებისა და ოკუპანტაგრესორთა წინააღმდეგ შერკინება, საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის, მაგრამ როცა დაინახეს მთელი საქართველოს მასშტაბით ეროვნულ-განმანთავისუფლებელი აჯანყების დამარცხების უტყუარი და უმტკივნეულესი ფაქტი, უზარმაზარ და მძლეობა შემოსილ იმპერიასთან დაპირისპირებაში ისევ მარტოდ დარჩენილებმა, დაინახეს მრავალრიცხოვანი მტრის სასარგებლოდ არსებული უთანასწორო ბრძოლის გაგრძელების არაკეთილსაიმედოობა და უპერსპექტივობა. სვან მეამბოხეთა მთავარმა თავკაცმა ბიძინა პირველმა აჯანყების ყველა აქტიურ მონაწილეს წერილები დაუგზავნა და ურჩია მათ რუსის ჯარისათვის წინააღმდეგობა არ

გაეწიათ. მიუხედავად ამისა, აჯანყებულებსა და რუსის ჯარს შორის შეტაკება მაინც მოხდა, რომლის დროსაც 19 რუსი ჯარისკაცი დაიღუპა. 1924 წლის 14 სექტემბერს ბიძინა პირველმა აჯანყებულები დაითხოვა, თვითონ კი იფარის ტყეს შეაფარა თავი.

სვანებმა მსგავსად 1921 და 1922 წლების აჯანყებებისა, ამჯერადაც, 1924 წლის აგვისტოსექტემბრის განმანთავისუფლებელ ამბოხებაშიც მოიპოვეს თავდაპირველად გამარჯვება და ზემო და ქვემო სვანეთის მთელს ტერიტორიაზე დაამხეს საბჭოთა საოკუპაციო სახელმწიფო ხელისუფლება, მაგრამ როცა დადგნენ ეროვნულ აჯანყების მთელს დანარჩენ საქართველოში დამარცხების სავალალო ფაქტის წინაშე და კვლავ მარტონი აღმოჩნდნენ რუსეთის უზარმაზარ და ფიზიკურად ძლიერ ტოტალიტარულ იმპერიასთან უთანასწორო დაპირისპირებაში , კეთილგონიერებიდან გამომდინარე, აღარ გააგრძელეს უკვე უპერსპექტივობაში გადასული და დამარცხებული აჯანყება, რითაც იხსნეს სვანეთი მასობრივი სისხლისმღვრელი, სასტიკი და ულმობელი, მთელი მოდგმის გამანადგურებელი ბოლშევიკური რეპრესიებიდან. ისიც ხაზგასმით მინდა ვთქვა რომ აჯანყებული და იმპერიულ ბოროტებასთან შერკინებული მრავალი სვანი, სვანეთის გარდა, მამაცურად და ღირსეულად იბრძოდა საბჭოთა საოკუპაციო დიქტატურისს წინააღმდეგ აფხაზეთშიც. ამ უტყუარი და უდაოდ სასიქადულო ისტორიული ფაქტებიდან გამომდინარე ყოვლად შეუძლებელია ნებისმიერი კეთილსინდისიერი და კეთილშობილი პიროვნება, მით უფრო ქართველი,ბუბებრივად და ლოგიკურად არ მოიხიბლოს სვანების სამაგალითო გამბედაობით, საომარსაბრძოლო შემართებითა და ღირსეულობით და რაც ძალზე საყურადღებო და არსებითად მნიშვნელოვანია საქართველოს საერთო ეროვნულ ერთმთლიანობაში საქართველოსთან და დანარჩენ ქართველებთან განუყოფლობისა და ერთად ყოფნის სვანებისეული გამორჩეულად ძლიერი და წარუქცეველი ნებასურვილითა და უმაღლესი ეროვნული თვითშეგნებით.

ე) აჯანყების მიმდინარეობა აფხაზეთში

აფხაზეთში 1924 წლის აგვისტოს ეროვნულ აჯანყებას წინ უსწრებდა შემდეგი მოვლენები. 1921 წლის 4 მარტს აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. აფხაზეთში მომუშავე საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრების უმეტესობამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან ერთად საქართველო დატოვა. სოციალ-დემოკრატიული პარტიის რიგითი წევრები კი აფხაზეთის სხვადასხვა სოფლებში გაიხიზნენ. მიუხედავად ამისა, აფხაზეთში ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობა მალევე დაიწყო.

1922 წლის 26 მაისის აღსანიშნავად მთელ აფხაზეთში პროკლამაციები გავრცელდა. ფხიზლად იყო ადგილობრივი საბჭოთა ხელისუფლება,. სოხუმში მრავალი ეჭვმიტანილი დააპატიმრეს. 1922 წლის პირველ ნახევარში ოჩამჩირეში თბილისიდან სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრები ჩავიდნენ. ისინი გლეხებში აგიტაციას ეწეოდნენ, რათა საბჭოთა ხელისუფლებას არ დამორჩილებოდნენ, გადასახადები არ გადაეხადათ და ანტისაბჭოთა ეროვნულ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობა მიეღოთ. აგიტატორების თქმით, მათ თბილისში, ქუთაისში და ოჩამჩირეში შეიარაღებული რაზმები ჰყავდათ და აჯანყებისათვის ემზადებოდნენ. ამ რაზმებს,როგორც ისინი ამბობდნენ, შეეძლოთ პირველივე ნიშანზე თავისუფლების დროშა აღემართათ.

კოდორის მაზრაში საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის უჯრედები აღმოცენდა. ოჩამჩირეში (კოდორის მაზრის ადმინისტრაციული ცენტრი) სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრები კონსპირაციულად **ნოჩო მიქელაძის** კუთვნილ რესტორან **„სამოთხეში"** იკრიბებოდნენ. კრებებს **ესწრებოდნენ: კონსტანტინე (კოწია) დადეშქელიანი, გრიგოლ ჭედია, რაჟდენ ჟვანია, კონსტანტინე გაბლია, გრიგოლ ჯინჯოლია, ნიკოლოზ მალანია, სოლდატ შერვაშიძე (შარაშია) ,ბიქტორ ჟორ-**

ჟოლიანი, იასონ მარღანია, მაქსიმე კორსანტია, ანდრო ხოფერია, გრიგოლ გამესონია, ასტამურ აქირთავა, ჭიჭიკო უჩანაშვილი, სეით-ბეი ანჩაბაძე, დიუ კვეკვესკირი, ნესტორ დადიანი. სოფლებში სააგიტაციოდ დადიოდნენ: ნოჩო მიქელაძე, ალექსანდრე მარშანია, ვლადიმერ ქორქია, ალექსანდრე მიელაძე და ნესტორ დადიანი.

სოციალ-დემოკრატები მოსახლეობაში ქართულ და რუსულ ენებზე ხელით ნაწერ და ნაბეჭდ პროკლამაციებს ავრცელებდნენ. პროკლამაციებში ლენინი, ტროცკი, ჩიჩერინი და სხვები ყაჩაღებად იყვნენ მოხსენიებული. პროკლამაციის ავტორები წითელ არმიასა და პროფკავშირებს აუგად იხსენიებდნენ. პროკლამაცია მთავრდებოდა მოწოდებით: „გაუმარჯოს 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს!“ და „გაუმარჯოს მენშევიკების ლიდერ ნოე ჟორდანიას! “

მოსახლეობაში გარკვეული სამუშაოების ჩატარების შემდეგ **სოციალდემოკრატიული პარტიის წევრებმა აფხაზეთში შეიარაღებული აჯანყების მოწყობა განიზრახეს. აჯანყების მეთაურებმა იატაკქვეშა კომიტეტთან ერთად გენერალური შტაბიც შექმნეს.** შტაბში ინსტრუქციებს **ბიქტორ ჟორჟოლიანი** იძლეოდა, აჯანყების საერთო ხელმძღვანელი **ნოჩო მიქელაძე** იყო. **აჯანყების თარიღად 1922 წლის 26 მაისი დაინიშნა.**

1922 წლის 12 მაისს კოდორის მაზრის პოლიტბიუროში ინფორმაცია შევიდა, რომ მაზრაში ანტისაბჭოთა შეიარაღებული აჯანყება მზადდებოდა. 23-24 მაისს კოდორის მაზრის პოლიტბიუროსა და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) კოდორის სამაზრო კომიტეტის ერთობლივი სხდომა გაიმართა. სხდომაზე მოსალოდნელი აჯანყების საწინააღმდეგო ღონისძიებები დაისახა. კოდორის მაზრაში ანტისაბჭოთა აჯანყების დაწყება ვერ მოხერხდა, რადგან ადგილობრივმა ხელისუფლებამ რამდენიმე საეჭვო პირი დააპატიმრა. მიუხედავად ამისა, აჯანყების მეთაურებს თავიანთ განზრახვაზე ხელი არ აუ-

ღიათ.

1922 წლის 29 მაისს აჯანყების ხელმძღვანელებმა სოფ. აბაცახუში შეკრება მოაწყვეს. თათბირზე აჯანყების აუცილებლობაზე იყო საუბარი. აჯანყების ხელმძღვანელებმა მეორე შეკრება **1922 წლის 1 ივნისის ღამეს სოფ. მოქვის ტყეში გამართეს.** შეკრებაზე გადაწყდა იმ ღამესვე დაეწყოთ აჯანყება და. ოჩამჩირე დაეკავებინათ. გეგმის თანახმად აჯანყებულებს ოჩამჩირეში კომუნისტები უნდა დაეპატიმრებინათ და ძალაუფლება ხელში აეღოთ. აჯანყებულებისათვის დახმარება **სოციალ-დემოკრატიული პარტიის ტამიშის ორგანიზაციის შეიარაღებულ რაზმსა და ოჩამჩირის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას** უნდა აღმოეჩინა. შეკრებილებმა ოჩამჩირეში საბჭოთა ხელისუფლების მიერ დაწყებული მასობრივი რეპრესიების შესახებ გაიგეს და დაიშალნენ.

1922 წლის 7 ივნისს სოფ. აჟარაში დისლოცირებულმა წითელი არმიის ნაწილებმა, მისი მეთაურის **ჩერნიშოვის** გადაწყვეტილებით სოფელი დატოვა და ჩხალთის მიმართულებით დაიძრა. ამ დროს სოფ. აჟარაში სოფ. ტამიშიდან მოვიდნენ **კონსტანტინე (კოწია) დადეშქელიანი, მისი ძმები თენგიზი, არდევანი და ტარიელი, ასევე ნიკოლოზ გერლიანი.** მათ დაიწყეს მოსახლეობის დარწმუნება, რომ ზღვის სანაპიროს მიმდებარე ტერიტორიაზე მძლავრი ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყება მიმდინარეობდა. მათი თქმით, ისინი სოფელში აჯანყების მოსაწყობად მოვიდნენ. კ. დადეშქელიანის განმარტებით, აჟარიდან ხელისუფლების შეიარაღებული რაზმის გასვლა ტყვედ ჩავარდნის შიშით მოხდა. ყოველივე ამის შემდეგ 50 შეიარაღებული სვანი კ. დადეშქელიანის გარშემო დაირაზმა. **კონსტანტინე დადეშქელიანი** შეიარაღებულ სვანებთან ერთად ჩერნიშევის რაზმის მოძრაობის მიმართულებით, ანუ სოფელ ჩხალთისაკენ დაიძრა. **ჩერნიშევის რაზმმა სოფელი ჩხალთა კოწია დადეშქელიანის მისვლამდე დატოვა.**

აფხაზეთის საგანგებო კომისიამ მასობრივი დაპა-

ტიმრებები 1922 წლის 28 მაისს დაიწყო. ამ დღეს დააპატიმრეს: **ექვთიმე გაბუნია (სოციალ-დემოკრატი),ალექსანდრე მაჭავარიანი (სოციალ-დემოკრატი), პელაგია პინტურია, ტარასი კვარაცხელია, ვასილ ანტონის ძე კვარაცხელია, მუშნი დადეშქელიანი, ჭიჭიკო იოსების ძე კოპალეიშვილი.** მალე აფხაზეთში უფრო ფართო მასშტაბის დაპატიმრებები დაიწყო. აფხაზეთის საგანგებო კომისიამ 1922 წლის 16 ივნისს დააპატიმრა: **ბარდღუ მიქვაბია, კაპიშ ფილია, ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ჯიჯელავა, ნესტორ ანუა, ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე ბჟანია, კონსტანტინე გაბლია, მახმედ (ალესი) გაბლია, 1922 წლის 21 ივნისს * ნიკოლოზ მალანია, თამშულ ანჩაბაძე, ნარბეი მარშანია, ბიჯგვა ატუმავა.**

აფხაზეთის საგანგებო კომისია აფხაზეთში აჯანყების მოწყობის მცდელობაში ეჭვმიტანილების დასაპატიმრებლად არაფერს იშურებდა. მალე ამ ბრალდებით პატიმრობაში აიყვანეს: **ბიქტორ გიორგის ძე ჟორჟოლიანი, ნოჩო მიქელაძე, ალექსანდრე არჩილის ძე მაჭავარიანი, ექვთიმე ფილიფეს ძე გაბუნია, თეიმურაზ ანდროს ძე კუპრავა, ვასილ გურჯუა, სეითბი ანჩაბაძე, ხერიპს ანჩაბაძე, გუჯუჯ მარღანია, გრიგოლ გამისონია, ალექსანდრე მარშანია, ვლადიმერ ქორქია; ნესტორ დადიანი, გიორგი მიქელაძე; ბიჯგვა ათუმავა, კვაკვანა სოლმაქის ძე აგირბა, ედიკ სულეიმანის ძე აბიდჟი, სოლდატ შერვაშიძე; კონსტანტინე (კოწია) დადეშქელიანი; იპოლიტე ჟორჟოლიანი; ტარას კვარაცხელია; ალექსანდრე ყურაშვილი; მუშნი დადიანი; ოთარ დადიანი; ასტამურ ძიაპშიპა; ალექსანდრე მარშანია; დაჟგუ ხინდბა, მაჯგა ადლეიბა, სეითბეი ძიაპშიპა ტაია ემუხვარი, იასონ მარღანი, ჩიკ კვარაცხელია; ფარნა ფილია; ფეხუ კვარჩაია; პლატონ ბერია; რაჟდენ ჟვანია; ბეგი (ბეგლარ) მინჯგია, ნესტორ გოგიძე; იაკობ აბაკელია, არსენ ალანია, სამსონ ალანია, ჩიჟ ახუბა; ზოვარბექ ანჩაბაძე; ჟვილვ ადჟიბაია; პლატონ გოგი, ერმოლოზ გაბელია; უკუ კვარაცხელია; ევგენი კვარაცხელია; სეიდიკ ქარ-**

დავა, იასონ მარღანია; გუჯუჯ მარღანია; თამაშ მარშანია; შურა მაჭავარიანი; ჯოტო მარშანია, ალექსანდრე მარშანია; ბარდღუ მიქვაბია; ტარა მიქვაბია; ჯოტო მიქვაბია; ქვათა მიქვაბია; კონსტანტინე მოდზელევსკი; კირბეი მარშანია; პეტრე ლაგვილავა; სპირიდონ სალაყაია; თამაშ ძიაპშიპა; ტარასხან ანჩაბაძე; ყარამან ბარკალაია; ზაფას კვეკვესკირი; ზოსიმე ხაბურზანია, ბესარიონ ჭურლულია; ხუხუტი ჩაჩავა.

აფხაზეთის საბჭოთა ხელისუფლებას ახალი თავსატეხი გაუჩნდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს აფხაზეთის განსაკუთრებული რაზმის ხელმძღვანელი **ტარასხან დიმიტრის ძე ეშბა** აფხაზეთში დაბრუნდა. აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებისთანავე ტ. **ეშბამ** აფხაზეთი დატოვა და თავი კონსტანტინოპოლს შეაფარა. **ტარას ეშბა** თურქეთიდან სამურზაყანოს მაზრაში (აფხაზეთში) 1922 წლის აგვისტოში ჩავიდა. ტ. ეშბას ჩასვლის შემდეგ სამურზაყანოს მაზრაში ანტისაბჭოთა მუხტი საგრძნობლად გაიზარდა. ეშბამ სამურზაყანოში ჩასვლისთანავე შეიარაღებული რაზმი ჩამოაყალიბა, რომელშიც შედიოდნენ: **ტარასხან ეშბა, აკუმ კაჭარავა, ევგენი ჯობავა, იონა ჯინჯოლია, ლეონტი ოკუჯავა, იასონ ჯინჯოლია, სხულუხია** (სახელი უცნობია) თუმცა,როგორც ჩანს, ტ. ეშბას რაზმის წევრების რაოდენობა ხშირად იცვლებოდა.

ტარას ეშბას რაზმი 1923 წლის 21 აპრილს საბერიოს რაიონში იმყოფებოდა. აქ ტ. ეშბას რაზმსა და ადგილობრივ მილიციას შორის შეტაკება მოხდა. ხანგრძლივი ორმხრივი სროლების შემდეგ ტ. ეშბას რაზმი სამ ნაწილად დაიშალა. აფხაზეთის საგანგებო კომისიის ინფორმაციით, ტ. ეშბა 1923 წლის 30 მაისს სოფ. **რეჩხოცხირში ბოკო ჩეხერიას** სახლში იმყოფებოდა, საიდანაც ჯერ სოფ. ოქუმში, შემდეგ კი კოდორის მაზრაში გადავიდა. **ტ. ეშბამ 1923 წლის ივნისის პირველ რიცხვებში აფხაზეთის საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყების მოწყობა სცადა, მაგრამ უშედეგოდ.** ამის შემდეგ აფხაზ-

ეთის საბჭოთა ხელისუფლებამ ტ. ეშბას ძებნა კიდევ უფრო გააძლიერა. ყოველივე ამის შედეგად **1923 წლის 7 ივლისს ტ. ეშბა სოფ. ბედიაში ხელისუფლებას ნებაყოფლობით ჩაბარდა.** მოგვიანებით ტარასხან ეშბა თბილისში გადააგზავნეს. ტ. ეშბას რაზმის გარდა აფხაზეთში მრავალი ანტისაბჭოთა შეიარაღებული რაზმი მოქმედებდა.

ერთ-ერთი ასეთი რაზმის მეთაური **ხუდა ემუხვარი იყო.** ხ. ემუხვარს ტ. ეშბასთან მუდმივი კავშირი ჰქონდა 1923 წლის 28 ოქტომბერს **ხუდა ემუხვარმა** თავის რაზმთან ერთად სოფელ **ბარღეფში** სამურზაყანოს მაზრის მილიციის უფროს **ქოცბაიას** და მასთან მყოფ მილიციელებს საფარიდან ცეცხლი გაუხსნა. სროლის დროს მილიციის უფროსი ქოცბაია ორ ადგილას დაიჭრა, ერთი მილიციელი გვარად **ხვიტია** ადგილზევე დაიღუპა. აფხაზეთის საბჭოთა ხელისუფლებისათვის სერიოზულ პრობლემად იქცა ასევე **სიჭინავას რაზმის** წინააღმდეგ ბრძოლა. თავდაპირველად სიჭინავას რაზმის დისლოკაციის ადგილი ზუგდიდის მაზრა იყო, შემდეგ — გუმისთის მაზრა (აფხაზეთი).აფხაზეთის საბჭოთა ხელისუფლებამ სიჭინავას რაზმის წინააღმდეგ რამდენიმე წარუმატებელი სპეცოპერაცია ჩაატარა.

აფხაზეთში სოციალ-დემოკრატიული პარტიის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარე **არტემ სილიბისტროს ძე ფანცულაია** იყო. ა. ფანცულაია აფხაზეთში 1922 წლის აპრილში ჩავიდა და იქ 1924 წლის 8 სექტემბრამდე დარჩა. ა. ფანცულაიამ აფხაზეთის ყველა მაზრასთან კავშირი აღადგინა. 1922 წლის ნოემბერში სოხუმში სოციალ-დემოკრატი **ალექსანდრე ბეგლარის ძე ძაძამია** ჩავიდა და იქ 1924 წლის სექტემბრამდე ანუ დაპატიმრებამდე დარჩა. ა. ძაძამიამ ა. ფანცულაიას განუცხადა, რომ მას აფხაზეთში სამხედრო ორგანიზაციის შექმნა სურდა. ა. ძაძამიას თქმით,მას ეს დავალება სოციალ-დემოკრატმა **ნოე ხომერიკმა** მისცა. ა. ფანცულაიამ ა. ძაძამიას ამ განზრახვის შესრულების ნებართვა მისცა. თუმცა იმავდროულად ა.ფანცულაიამ საქართველოს სოციალ-დემოკრა-

ტიული პარტიის ცენტრალურ კომიტეტს განცხადებით მიმართა, რომ აფხაზეთში მოსახლეობის სიჭრელის გამო სამხედრო ორგანიზაციის შექმნა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. საბოლოოდ, ა. ძაძამიამ აფხაზეთში სამხედრო ორგანიზაციის შექმნა ვერ შეძლო.

1924 წლის დამდეგს საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით სოხუმში **ივანე ჯაგუს ძე ბაძაღუა** ჩავიდა. ი.ბაძაღუას სოხუმში ჩასვლის მიზანი სოციალ-დემოკრატიული პარტიის სოხუმის საოლქო კომიტეტის მუშაობის შემოწმება იყო. ი. ბაძაღუამ ა. ფანცულაიას აუწყა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი სოციალ-დემოკრატიული პარტიის სოხუმის საოლქო კომიტეტის მუშაობით უკმაყოფილი იყო, რადგან ამ უკანასკნელმა ადგილობრივი დამკომი და სამხედრო ორგანიზაცია ამ დრომდე ვერ შექმნა. ი. ბაძაღუას თქმით, აფხაზეთის საოლქო კომიტეტი ცენტრიდან(თბილისიდან) სუბსიდიას ვერ მიიღებდა მანამ, სანამ სამხედრო ორგანიზაცია არ შეიქმნებოდა.

სოხუმში ყოფნისას ი. ბაძაღუამ კავშირი დაამყარა ა. ძაძამიასთან და სოხუმის საოლქო კომიტეტის წევრ ქუჩულორიასთან . 1924 წლის 29 მარტს აფხაზეთის საგანგებო კომისიამ ა. ძაძამიას დაკავების მიზნით სპეცოპერაცია ჩაატარა, მაგრამ ოთახში ა. ძაძამია არ აღმოჩნდა. სამაგიეროდ მათ ხელში ი. ბაძაღუა ჩაიგდეს. 1924 წლის ივლისის დამლევს სოხუმში **გიორგი ჯინორიას** დავალებით სოციალდემოკრატიული პარტიის კიდევ ერთი რწმუნებული აკაკი **ალესის ძე ფიჩხაია** ჩავიდა. წასვლის წინ გ. ჯინორიამ ა. ფიჩხაიას 80 მანეთი და სალაყაიას სახელზე გაცემული ყალბი პასპორტი მისცა .

ალექსი ფიჩხაიას სოხუმში ჩასვლის მიზანი იყო, გაერკვია სოხუმის საოლქო კომიტეტი რა ტიპის მუშაობას ეწეოდა და, საერთოდ, რამდენი წევრი ჰყავდა მას. ა. ფიჩხაია აფხაზეთში ერთ თვეზე მეტხანს დარჩა. ა. ფიჩხაიას სოხუმში ჩასვლისთანავე ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, რომ თითქოს იქ სოციალ-დემოკრატიული პარტიის

საოლქო კომიტეტი არც არსებობდა. წესით კომიტეტში 5 კაცი უნდა ყოფილიყო, მაგრამ სინამდვილეში იქ მხოლოდ **ა.ფანცულაია და ქუჩულორია** იყვნენ. მაზრებში კი, როგორც ა. ფანცულაიამ და ქუჩულორიამ განუცხადეს მას,ხელისუფლების მიერ სრულიად იქნა ლიკვიდირებული სამაზრო ორგანიზაცია. გარდა ამისა, ა. ფიჩხაიამ შეიტყო, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრებს შორისაც არ იყო ჯანსაღი დამოკიდებულება. საბოლოოდ, ა. ფიჩხაიამ აფხაზეთი დატოვა.

აფხაზეთში საართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის რწმუნებული **სიმონ (ხუხუ) ხოფერია** იყო. ს. ხოფერია აფხაზეთში **გიორგი წინამძღვრიშვილმა** გაგზავნა. აფხაზეთში ჩასვლიდან 15-20 დღის შემდეგ ს.ხოფერიამ გ. წინამძღვრიშვილს წერილი გაუგზავნა. სიმონ ხოფერია საპასუხო წერილს ერთი თვის განმავლობაში უშედეგოდ ელოდა. ხოფერიამ აფხაზეთი დატოვა და თბილისში დაბრუნდა სამურზაყანოს მაზრაში სამხედრო მუშაობა სამეგრელოს სამხედრო შტაბს დაევალა. სამეგრელოს დამოუკიდებლობის კომიტეტის მიერ შემუშავებული გეგმის მიხედვით, სამეგრელოში 1924 წლის აჯანყების წარმატების შემთხვევაში ადგილობრივ შეიარაღებულ ძალებს სამურზაყანოს მაზრა უნდა დაეკავებინათ და შემდეგ. სოხუმის მიმართულებით გაელაშქრათ. სოხუმისაკენ უნდა დაძრულიყვნენ ასევე აჯანყებული სვანები.

1924 წლის 28-29 აგვისტოს ღამეს აჯანყებულებმა კონსტანტინე (კოწია) დადეშქელიანის მეთაურობით წებელდის რაიონში ძალაუფლება ხელში აიღეს. კ.დადეშქელიანმა სოფელ აჟარის სოფლის საბჭოს თავმჯდომარედ **ბესარიონ გიორგისძე აფრასიძე** დანიშნა **კონია დადეშქელიანმა თავისი რაზმით საბჭოთა ხელისუფლება დაამხო მთელს დალის ხეობაში და ბარად, შედარებით ახლომდებარე დიდი სოფელი მერხეულიც და ოჩამჩირეის რაიონის კიდევ რამდენიმე სოფელი ბოლშევიკებისგან გაწმინდა.**

1924 წლის აგვისტოს აჯანყებას ადგილი ჰქონდა სა-

ბერიოს რაიონში. ამ აჯანყების სათავეში **მანუჩარ ცხოტუა** იდგა. ჩხოტუამ მოახერხა საბჭოთა ხელისუფლების დროებით დამხობა სამურზაყონოს არაერთ სოფელში **ჭუბურხინჯიდან ოქუმამდე.**

აფხაზეთში საბჭოთა საოკუპაციო ხელისუფლებამ **სოხუმში,ოჩამჩირეში,გაგრაში, ახალ ათონსა და გულრიფშში** აჯანყებამდე, ამბოხების შესახებ არსებული ინფორმაციის საფუძველზე, მასობრივი დაპატიმრებები დაიწყო, დააკავეს 300 მეტი ადამიანი. პარალელურად **სოჩიდან, ტუაფსედან და კრასნოდარის** მხარიდან აფხაზეთში შემოვიდნენ საბჭოთასაოკუპაციო წითერლი არმიის კარგად შეიარაღებული ნაწილები და ადგილობრივ, საკმაოდ ბევრ ბოლშევიკთან, , ჩეკისტებთან და მილიციელებთან ერთად იმდენად გაამაგრეს პოზიციები აფხაზეთის ძირითად ტერიტორიაზე, რომ აჯანყების აფეთქება და გაშლა ვერ მოხრსდა. 4 სექტემბრისთვის საბჭოთა ხელისუფლება აღდგენილი იყო სამურზაყანოსა და დალის ხეობის,(აფხაზეთის სვანეთის) უმეტეს ნაწილში. **კონსტანტინე დადეშქელიანმა ლათასთან,ჩხალთასთან, აჟარასთან,გენწვიშთან და ომარშარასთან შეტაკებები გაუმართა ბოლშევიკებს, მნიშვნელოვანი ზარალიც მიაყენა და ბოლოს, სრულიად საქართველოს მთელს ტერიტორიაზე ეროვნული აჯანყების ჩახშობის შემდეგ, იძულებულმა ქართველთა საყოველთაო დამარცხებით ლოგიკურად უკან დაიხია და სვანეთის დაბურულ ტყეებსა და მიუვალ ხევხუვებს შეაფარა თავი.**

ის ფაქტი რომ აფხაზეთიც იყო ფიზიკურად ჩართული გასული საუკუნის ოციანი წლების ანტისაბჭოთა ეროვნულ-განმანთავისუფლებელ ბრძოლებსა და წინააღმდეგობაში ნათლად ადასტურებს აფხაზეთის განუყოფლობას საქართველოს საერთო ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ერთიანობაში და ამდენად აფხაზეთის საქართველოს შემადგენელ ქართულ ნაწილად ყოფნას.

3) აჯანყების მიმდინარეობა აჭარაში

აჭარას საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი ანტისაბჭოთა ეროვნულ აჯანყებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. აჯანყებისათვის მზადება ბათუმში სტამბოლიდან რამდენიმე პირის ჩამოსვლის შემდეგ კიდევ უფრო გააქტიურდა. **ბათუმში** სამხედრო შტაბი შეიქმნა, თუმცა ის დაარსების დღიდან საგანგებო კომისიის ფარული მეთვალყურეობის ქვეშ მოექცა. საქართველოს საგანგებო კომისიიდან და ამიერკავკასიის საგანგებო კომისიიდან ბათუმში მაღალი რანგის ჩეკისტები გაიგზავნა. აჭარის საგანგებო კომისიამ 1924 წლის 27 აგვისტოს საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მ) ბათუმის კომიტეტისა და სამხედრო ორგანიზაციის წევრები დააპატიმრა. დაპატიმრებულთა შორის აღმოჩნდნენ: **საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მ) მიერ აჭარაში შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად დანიშნული გენერალ-მაიორი სოლომონ ყარალაშვილი, სოციალდემოკრატიული პარტიის (მ) ბათუმის სამხედრო ორგანიზაციის შტაბის წევრი აკაკი რამიშვილი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მ) სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარე აჭარაში ვასილ ჩიტაიშვილი, ვალიკო ჯუღელთან ერთად პარიზიდან სპეციალური დავალებით ჩამოსული ვიქტორ ცენტერაძე.**

აჭარის საგანგებო კომისიის ხელში აღმოჩნდა აჭარაში განსახორციელებელი აჯანყების გეგმა და„ფრიად მნიშვნელოვანი დოკუმენტები. გეგმის მიხედვით ბათუმში სამასი შეუიარაღებელი კაცი უნდა გამოსულიყო. ნავარაუდევი იყო ქობულეთში შეიარაღებული რაზმის შექმნა. გეგმის მიხედვით აჯანყებაში დიდი როლი ბათუმში დისლოცირებული ქართული წითელი ჯარის ერთი პოლკის ჯარისკაცებს უნდა შეესრულებინათ. ბათუმის არტილერიის საწყობს ქართველი ჯარისკაცები იცავდნენ. 500 შეუიარაღებელი აჯანყებული ამ საწყობიდან გამოტანილი იარათით უნდა აღჭურვილიყო.

აჭარის საბჭოთა ხელისუფლებამ ქართული წითელი ჯარის(პოლკის) მეთაურები სანდო პირებით შეცვალა. საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის გეგმის მიხედვით გურიაში აჯანყების წარმატების შემთხვევაში ბათუმზე გალაშრება იგეგმებოდა. 1924 წლის 28 აგვისტოს აჭარის საგანგებო კომისიამ სადგურ მწვანე კონცხთან სოციალისტფედერალისტების სამხედრო შტაბის წევრები დააპატიმრა. დაპატიმრებულთა შორის აღმოჩნდნენ: **სოციალისტ-ფედერალისტების ბათუმის ორგანიზაციის თავმჯდომარე, დამკომის სამხედრო რწმუნებული ქობულეთში გიგა ჩიქოვანი, ქობულეთის სამხედრო უბნის სარდალი გენერალი გიორგი ფურცელაძე; სოციალისტ-ფედერალლისტების სამხედრო შტაბის წევრი, უფროსი ლეიტენანტი ვლადიმერ ახვლედიანი და სხვ. გარდა ამისა, ბათუმში არასანდო პირთა მასობრივი დაპატიმრებები განხორციელდა. დააკავეს 170 ზე მეტი მოქალაქე.**

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის განკარგულებით ქობულეთში 250 წითელარმიელისა და კომუნარისაგან შემდგარი რაზმი გაიგზავნა აჭარის საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის **კილაძის** მეთაურობით. **1924 წლის 29 აგვისტოს რკინიგზის სადგურების ნატანებისა და სუფსის მიდამოებში ამ რაზმსა დაჯანყებულებს შორის შეტაკება მოხდა.** შეტაკების შემდეგ აჯანყების მეთაურები დააპატიმრეს.

სოციალისტ-ფედერალისტმა **ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ჩხაიძემ** მოსალოდნელი აჯანყების შესახებ 1924 წლის 27 აგვისტოს სოციალისტ-ფედერალისტ **იესე კეჭეყმაძისაგან** (ბიძამისი) გაიგო. ი. კეჭეყმაძემ ა. ჩხაიძეს აუწყა, რომ ის.ბათუმიდან ფარულად უნდა გასულიყო, რადგან წინა ღამეს თურმე მის სახლში ჩეკისტები მივიდნენ. ი. კეჭეყმაძემ ა. ჩხაიძე მეორე დღეს, დილისათვის, დაიბარა ა. ჩხაიძემ მას თანხმობა მისცა და მეორე დღეს ქობულეთში გაემგზავრა. ქობულეთში ა. ჩხაიძის გარშემო 70 შეიარაღებუ-

ლი და უფრო მეტი შეუიარაღებელი კაცი დაირაზმა.

სოფელ ლიხაურში ალექსანდრე ჩხაიძის რაზმსა და რუსული წითელი არმიის კავალერიას შორის შეტაკება მოხდა. შეტაკებისას აჯანყებულთაგან ერთი მებრძოლი დაიღუპა. აჯანყებულთა რაზმმა სოფელ **შემოქმედისაკენ** დაიხია. **გაბრიელ კონსტანტინეს ძე გოგოლეიშვილს 1924 წლის 28 აგვისტოს ვლადიმერ ახვლედიანმა** აცნობა, რომ აჭარაში ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყება იწყებოდა. ვ.ახვლედიანის თქმით, **გ. გოგოლეიშვილს იესე კეჭეყმაძე** უნდა ენახა, რომელიც მას მითითებებს მისცემდა. ი. კეჭეყმაძის მითითებით, გ. გოგოლეიშვილი ა. ჩხაიძესთან ერთად ქობულეთში გაემგზავრა.

გ. გოგოლეიშვილი ბათუმიდან ჩამომავალ შტაბს რკინიგზის სადგურზე ელოდებოდა, მაგრამ შტაბიც და მალე გაბრიელ გოგოლეიშვილიც დააპატიმრეს. საქართველოს რეგიონებში 1924 წლის აჯანყების დაწყებისთანავე აჭარის საგანგებო ხუთეული შეიკრიბა. შეკრებაზე აჯანყების შესახებ მოხსენება **ი.ქავთარაძემ** გააკეთა. **1924 წლის 28 აგვისტოდან აჭარაში საომარი მდგომარეობა გამოცხადდა.** ხუთეულმა იანოვსკის დაავალა სამხედრო მდგომარეობის შესახებ ბრძანების პროექტი წარმოედგინა. სხდომაზე საგანგებო სამეულები შეიქმნა.

1924 წლის 29 აგვისტოს ბათუმის მოსახლეობისათვის სპეციალური ბრძანება გამოიცა. 1924 წლის 28 აგვისტოს საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის ბიურომ დაადგინა: „მენშევიკების და ანტისაბჭოთა ძალების გამოსვლების სალიკვიდაციოდ შეიქმნას ცენტალური საგანგებო ხუთეული თ.ხიმშიაშვილის (თავმჯდომარე), ს. ქავთარაძის, დ. კილაძის, იანოვსკის, ტაკუნოვის,ახალაძის და წითლიძის შემადგენლობით. **ხუთეულის ყველა განკარგულება შესრულებულ იქნას უსიტყვოდ და რიგგარეშედ, აჭარაში არსებულ ყველა დაწესებულებათა მიერ. მაზრებში საგანგებო სამეულების ხელმძღვანელებად**

მიავლინეს მაღალი თანამდებობის კომუნისტები: **ქობულეთის მაზრაში ბარამიძე, ხულოს მაზრაში** კომახიძე, **ქედის მაზრაში თავდიშვილი,აჭარის-წყლის მაზრაში სულუხია, ჭოროხის მაზრაში გოგიტიძე.**

1924 წლის 29 აგვისტოს გამოიცა აჭარის საგანგებო ხუთეულის ბრძანება №1, რომლითაც აჭარაში სამხედრო წესები გამოცხადდა. 1924 წლის 30 აგვისტოს აჭარის ცენტრალურმა საგანგებო ხუთეულმა მიიღო დადგენილება შავი ზღვის სანაპიროს საქართველოს მონაკვეთის დაცვის გაძლიერების შესახებ. ბათუმის მისადგომების დასაცავად 5 გემი გამოიყო,სანაპიროს დარჩენილი ნაწილისათვის 7 გემი. 1924 წლის ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყების პირველ დღეებში ბათუმში 260 კომუნისტის, 260 კომკავშირელისა და 150 უპარტიოს მობილიზირება მოხდა. ისინი შეიარაღეს და სრულ მზადყოფნაში მოიყვანეს. კომუნართა მთავარ სამხედრო ხელმძღვანელად **ვ. ჩაჩბა** დაინიშნა.

საბჭოთა წითელი არმიის ნაწილებთან და ჩეკისტებთან ერთად აჭარის ხუთივე მაზრაში დამატებით მობილიზებული იყო 2234 გლეხი, მათგან 771 ქობულეთის მაზრიდან იყო მობილიზებული, 430 — ჭოროხის მაზრიდან, 255 — აჭარისწყლის მაზრიდან, 365 — ქედის მაზრიდან და 413 ხულოს მაზრიდან. მობილიზებულმა გლეხებმა თურქეთთან აჭარის სასაზღვრო პუნქტები გაამაგრეს, რათა თურქეთში მყოფი შეიარაღებული რაზმები აჭარაში არ შემოჭრილიყვნენ. მობილიზებულმა გლეხებმა გაამაგრეს ასევე **ბახმარო-ზოტის** სასაზღვრო ხაზი, რომ ამით აღკვეთილიყო აჯანყებული გურულების მხრიდან აჭარაში გადმოსვლის შესაძლებლობა.

აჯანყებულების გურიის შტაბმა აჭარაში **ლეო ლომაძე და კირილე სიხარულიძე** გააგზავნეს. 1924 წლის 31 აგვისტოს . ბათუმის ცენტრალურ მოედანზე ოცამდე კაცი შეიკრიბა, რომლებმაც მიტინგის ჩატარება სცადეს, მაგრამ უშედეგოდ ყველა მათგანი დააპატიმრეს. დაპატიმრებისას **ნოდარ მენაბდემ** ხმამაღლა დაიძახა: „ძირს სისხლიანი ხელისუფლება, გაუმარჯოს თავისუფალ საქა-

რთველოს!"

1924 წლის 1 სექტემბერს მდინარე ჩოლოქთან განლაგებულ **ჩაჩბას რაზმს** გურული აჯანყებულები თავს დაესხნენ. ჩაჩბას რაზმსა და აჯანყებულებს შორის ბრძოლა დიდხანს გაგრძელდა, ბოლოს თავდამსხმელები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ. აჯანყებული გურულების ერთი ნაწილი **ნიკოლოზ ურუშაძის** ხელმძღვანელობით გურიიდან ქობულეთისაკენ დაიძრა. სოფელ **ქაქუთთან** აჯანყებულებს საბჭოთა ჯარის ნაწილებმა გზა გადაუღობეს. ორმხრივი სროლების შემდეგ აჯანყებულებმა უკან დაიხიეს. **ნიკოლოზ ურუშაძის** რაზმის დასახმარებლად ქობულეთიდან სოფელ **ქაქუთის** მიმართულებით **მაჰმუდ დიასამიძის** რაზმი დაიძრა. მ. დიასამიძე ბრძოლის ველზე იმ დროს მივიდა, როდესაც **ნიკოლოზ ურუშაძის** რაზმი უკან იხევდა. ურუშაძემ უკანდახევა შეაჩერა.

მაჰმუდ დიასამიძის რაზმი სამხედრო დაპირისპირებაში ჩაერთო და **ქაქუთის** მიდამოებში ბრძოლა განახლდა. წითელი ჯარის ნაწილები ალყაში მოექცნენ.გარდაუვალი იყო მათი განადგურება, მაგრამ, ამ დროს, წითელი ჯარის ნაწილებს ოზურგეთიდან და ბათუმიდან მრავალრიცხოვანი დამხმარე ძალები მოუვიდათ. **გაჩაღდა გაავებული ბრძოლა, რომელშიც წითელარმიელი ოკუპანტები და ადგილობრივი ბოლშევიკრენეგატები რიცხობრივად ბევრად აღემატებოდნენ საქართველოს ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის ამხედრებულ გურულ და აჭარელ მეამბოხე მამულიშვილებს და შეიარაღებაც უკეთესი ქონდათ. შვიდი ტყვიამფრქვევის ჩათვლით.** ამ უთანასწორო ბრძოლაში **მაჰმუდ დიასამიძის** რაზმი მთლიანად განადგურდა. თითქმის სრულად შეიმისრა ნიკოლოზ **ურუშაძის** რაზმიც. მსხვერპლი წითელ არმიაშიც ძალიან დიდი იყო. ბევრი დაიხოცა როგორც რუსი საბჭოთა ოკუპანტი, ასევე მოღალატე ქართველი ბოლშევიკიც. **ქაქუთის სანახებში ბრძოლა ერთერთი სახელოვანი შერკინებაა მრავალრიცხოვან და ძლიერ მტერთან უთანასწორო დაპირისპირებაში,**

1924 წლის ეროვნულ აჯანყების ჰეროიკულ მატიანეში. მაჰმუდ დიასამიძე თავის თანამემამულეებთან ერთად გმირულად დაეცა ამ სისხლისმღვრელ ოტებაში და პირადად მან თავისი ხელით 32 ოკუპანტსა და ბოლშევიკს დაუბნელა მზე საუკუნოდ.

ზემო აჭარაში, ხულოს მიმართულებით საბჭოთა ხელისუფლებამ დამატებით სამხედრო ნაწილები გააგზავნა რამდენიმე ტყვიამფრქვევით. ამ დროს ზემო გურიაში **შუქრი კეკელიძის** რაზმმა სოფლები: **ქვაბღა, ზოტი და ჩხაკოურა** დაიკავა. აჯანყებულებმა ამ სოფლებში საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლები დაატყვევეს. ამის შემდეგ გურული აჯანყებულები აჭარის მიმართულებით დაიძრნენ. **შუქრი კეკელიძემ** მისი რაზმის წევრის **ალი ოსმან თავართქილაძის** ხელით ხულოში მყოფ თანამოაზრეებს წერილი გაუგზავნა და აჯანყებისაკენ მოუწოდა, მაგრამ ხულოში აჯანყების დაწყება ვერ მოხერხდა, რადგან აჭარის საგანგებო კომისიამ რამდენიმე პირი დააპატიმრა.

ხულოში მყოფი ანტისაბჭოთა ძალები სოფ. ღორჯომში გადავიდნენ და მოსახლეობის დარაზმვა დაიწყეს. **1924 წლის 4 სექტემბერს სოფელ. ღორჯომში ხალხი გამოვიდა და საბჭოთა ხელისუფლების ლიკვიდაცია მოითხოვა. აჯანყებულებმა საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენლები დააპატიმრეს.** ხალხის წინაშე სიტყვით **მემედ გაბაიძე** გამოვიდა, რომელმაც აღნიშნა, რომ გურიაში ხელისუფლებაში აჯანყებულები მოვიდნენ. მ. გაბაიძის თქმით, ზემო გურიაში მოქმედი აჯანყებულები მათ დასახმარებლად მოემართებოდნენ. ამიტომაც, მ. გაბაიძის აზრით, საჭირო იყო დაუყოვნებლივ შეიარაღება და ხულოს მიმართულებით წასვლა.

მამედ გაბაიძის სიტყვით გამოსვლის შემდეგ ასამდე თოფებით შეიარაღებული კაცი ხულოს მიმართულებით დაიძრა. აჯანყებულებმა დიდი მანძილის გავლა ვერ მოახერხეს, რადგან მათ. ხულოდან ღორჯომში გამოგზავნილი წითელი ჯარის ნაწილები გადაეღობნენ **ო. მოწყობილის**

მეთაურობით. ო.მოწყობილმა აჯანყებულებს დაპატიმრებული კომუნისტების გათავისუფლება მოსთხოვა, მაგრამ უშედეგოდ. ო. მოწყობილის რაზმმა შესაშინებლად ჰაერში გაისროლა. ამან მდგომარეობა კიდევ უფრო დაძაბა. აჯანყებულები საბრძოლველად მოემზადნენ. დაიწყო ორმხრივი სროლები, რის შედეგადაც ორივე მხრიდან დაიღუპა 5 და დაიჭრა 3 მებრძოლი. ო. მოწყობილი იძულებული გახდა უკან დაეხია, მაგრამ შორს არ წასულა, რადგან შეიტყო, რომ ხულოდან **ბასოვის** მეთაურობით წითელარმიელები მის დასახმარებლად მოემართებოდნენ მათ მოჰონდათ ორი ტყვიამფრქვევი.

დამხმარე ძალის მოსვლის შემდეგ **ო.მოწყობილი** შეტევაზე გადავიდა. ამასთანავე ბასოვის რაზმმა ტყვიამფრქვევებიდან აჯანყებულებს ცეცხლი გაუხსნა, რის შედეგადაც 4 აჯანყებული დაიღუპა. აჯანყებულები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ. ბასოვმა გადაწყვიტა მთლიანად გადაეწვა სოფელი **ღორჯომი**. ის მივიდა ღორჯომის ცენტრში, შეკრიბა ადგილობრივი მოსახლეობა და მათ „ბუნტოვშიკების" გადაცემა მოსთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში ის სოფლის განადგურებით იმუქრებოდა. მიუხედავად მუქარისა ხალხმა აჯანყებულები არ გასცა. მოსახლეობისათვის საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, ბასოვის წინაშე აჯანყების მეთაურები **მემედ გაბაიძე, ჰასან მეკეიძე** და სხვ. თვითონ გამოცხადნენ. **ბასოვის ბრძანებით ისინი იქვე, ხალხის თვალწინ ჯერ სასტიკად გაროზგეს, შემდეგ კი დახვრიტეს.** ბასოვმა ესეც არ იკმარა და რამდენიმე სახლი გადაწვა.

ბასოვმა თავისი რაზმის ნაწილი **ღორჯომში** დატოვა, თვითონ კი ო. მოწყობილთან ერთად **ხულოსაკენ** გაეშურა, სადაც **კეკელიძის** რაზმი ხულოს აღებას ცდილობდა. კეკელიძის რაზმი ხულოდან რამდენიმე კილომეტრის მოშორებით იდგა. ო. მოწყობილმა კეკელიძეს ულტიმატუმი წაუყენა წინააღმდეგობა არ გაეწია მისთვის, წინააღმდეგ შემთხვევაშიმას სასტიკად დასჯას „დაჰპირდა. კეკელიძე დანებებას არ აპირებდა. ბასოვმა საიდუმლო თათბირი

მოიწვია, სადაც გადაწყდა, რომ შემოვლითი გზით ზურგიდან დაერტყათ მოწინააღმდეგისათვის. ამ მანევრის შესასრულებლად ორმოცამდე ჯარისკაცი გამოიყო. ჯარისკაცები, რომლებსაც ვინმე **საფრონოვი** მეთაურობდა, საცალფეხო ბილიკით გაემართნენ, მაგრამ მათ თავს აჯანყებულები დაესხნენ და ოკუპანტები შემუსრეს. მათ შორის საფრონოვიც. ბასოვისა და მოწყობილის გეგმა გაენადგურებინათ კეკელიძის რაზმი შემოვლითი მოულოდნელი დარტყმით ჩაიშალა.

ამასობაში **ო.მოწყობილს და ბასოვს** შეუერთდა ბათუმიდან წამოსული რაზმი **კაპიტან პანოვის** მეთაურობით. კეკელიძე დარწმუნდა, რომ წინააღმდეგობის გაწევას აზრი არჰქონდა და თურქეთში გადასვლა გადაწყვიტა. **თურქეთის საზღვრისაკენ მიმავალ კეკელიძის რაზმს სანისლიას ტყესთან წამოეწივნენ. დაიწყო ორმხრივი სროლები. წითელარმიელებმა 6 აჯანყებული შეიპყრეს. კეკელიძემ რევოლვერით თავი მოიკლა. გაბოროტებულმა რუსმა ჯარისკაცებმა კეკელიძის გვამი ხიშტებით დაასახიჩრეს და ხევში გადააგდეს. დაპატიმრებული ექვსი აჯანყებულიდან სამი იასონ წითელაძე, გაბრიელ ლომიძე და ალექსანდრე კაკაბაძე ფეხებით ხეზე ჩამოკიდეს და ცემით მოკლეს, შემდეგ კი მათი გვამები ხევში გადააგდეს.**დანარჩენი სამი აჯანყებული კი ხულოში ჩაიყვანეს.

ხულოში წინასწარ შედგენილი სცენა გათამაშდა. ხულოს ცენტრში თავი მოუყარეს ადგილობრივ მოსახლეობას, დაასვენეს მოკლული წითელარმიელები (მათ შორის საფრონოვი) და მათ წინ სამი დაპატიმრებული დააყენეს. **ო. მოწყობილი, ბასოვი, პანოვი** და სხვ. სიტყვებით გამოვიდნენ. მათ მოითხოვეს მოსახლეობას აღეძრა შუამდგომლობა აჭარის საბჭოთა ხელისუფლების წინაშე „ბანდიტებთან ბრძოლის დროს გმირულად დაღუპულების მედლებით დაჯილდოვების და მათი ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ. შემდეგ პანოვმა ხალხს ჰკითხა თუ რისი ღირსნი იყვნენ დაპატიმ-

რებულები. დაშინებულმა ხალხმა ერთხმად იღრიალა: „ჩაქოლვის,ჩაქოლვისო!“ და ის ის იყო, რომ ხალხის ერთი მოზრდილი ჯგუფი აჯანყებულების ჩასაქოლად მოემზადა, რომ ამ დროს მათ წინ **ო. მოწყობილი** გადაეღობა და შეაჩერა ისინი. **ო. მოწყობილმა** ხალხს მიმართა: „მართალია ეს ბანდიტები მართლაც რომ ჩაქოლვის ღირსნი არიან, მაგრამ ამჯერად უმჯობესია,რომ თავი შევიკავოთ ასეთი მოქმედებისაგან. ისინი სამართალში გადაეცემა და რათქმა უნდა მიიღებენ საკადრის პასუხს).

აჭარის საგანგებო ხუთეულის ყურადღება მიპყრობილი იყო აჭარა-გურიის საზღვრისაკენ, ვინაიდან მოსალოდნელი იყო გურული აჯანყებულების აჭარის ტერიტორიაზე გადასვლა. გამომდინარე იქიდან, რომ ოზურგეთიდან გაქცეული აჯანყებულების ერთი ნაწილი ქობულეთის მიმართულებით გაემართა, საგანგებო ხუთეულის დადგენილებით ქობულეთში **50 კომუნარი და 100 წითელარმიელი გაიგზავნა ერთი ტყვიამფრქვევით.** აჯანყებულებმა სოფლები შემოქმედი და გომი გაამაგრეს, მაგრამ კომუნარებმა აქაც მოახერხეს მათი წინააღმდეგობის დაძლევა.უკუქცეულმა აჯანყებულებმა **ბახმაროს მთას** მიაშურეს. აჭარის საგანგებო ხუთეულმა ხულოს მაზრის სამეულს დაავალა აჯანყებულების მიერ დაკავებული ბახმაროს მთის გათავისუფლება და **ბახმარო-ზოტის, გომის მთის** გაყოლებით სამხედრო ხაზის გამაგრება.

აჭარის ხუთეულის ასეთი ყურადღება გურიის მიმართ იმითაც იყო განპირობებული, რომ გურიაში **ფილიპე მახარაძე** იმყოფებოდა. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ ფ. მახარაძემ ბათუმში ჩასვლა მოახერხა. **1924 წლის 5 სექტემბერს ბათუმიდან ხულოს მაზრის მიმართულებით 110 კომუნარი გაიგზავნა 2 ტყვიამფრქვევით იქ მყოფი გლეხთა შეიარაღებული რაზმის დასახმარებლად.** გლეხთა რაზმს დავალებული ჰქონდა აჭარიდან თურქეთში აჯანყებულთა გადასვლა აღეკვეთა. **აჭარის საბჭოთა ხელისუფლების ინიციატივით, 1924 წლის 29 აგვისტოდან მოყოლებული ბათუმში და აჭარის ყველა მაზრაში**

ხალხმრავალი მიტინგები იმართებოდა. 1924 წლის 2 სექტემბერს ბათუმში მორიგი მიტინგი ჩატარდა, რომელზეც სიტყვით ფ. მახარაძე გამოვიდა.

1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ ბათუმში 200 შეიარაღებულის გარდა ყველა ძალის დემობილიზაცია მოხდა. ანალოგიურად მოხდა შეიარაღებული ძალების დემობილიზაცია აჭარის მაზრებში. იქ მხოლოდ მცირე რაზმები დატოვეს. 1924 წლის 8 სექტემბერს საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის ყველა უჯრედების ერთობლივი სხდომა გაიმართა, რომელზეც აჯანყებულთა წინააღმდეგ ჩატარებული ღონისძიებების ანგარიში მოისმინეს. სხდომამ აჯანყების დღეებში აჭარის ცენტრალური ორგანოების მუშაობა ერთხმად მოიწონა. აჯანყებულების წინააღმდეგ წარმატებული მოქმედებისათვის რამდენიმე ადამიანი დააჯილდოვეს

1924 წლის 6 სექტემბერს სოფ. დღვანში დავით ფუტკარაძის სახლში ანტისაბჭოთა ჯგუფი შეიკრიბა ისკენდერ ფუტკარაძის, ოსმან ფუტკარაძის, მევლუდ ფუტკარაძის, ომერ ფუტკარაძის, ქერიმ ფუტკარაძისა და სხვათა შემადგენლობით. შეკრებილებმა შექმნილ ვითარებაზე იმსჯელეს და აღნიშნეს, რომ სოფელ კვიახიძეებში დავითაძის 150 კაციანი ჯგუფის შეჭრა იყო მოსალოდნელი. შეკრებილებმა დავითაძის რაზმთან შეერთების სურვილი გამოთქვეს.

აჭარის საგანგებო ხუთეულის თავმჯდომარე თ. ხიმშიაშვილმა ხულოში ო.მოწყობილს აცნობა, რომ მოსალოდნელი იყო თურქეთის მხრიდან ბანდის შემოჭრა. თ. ხიმშიაშვილმა ო. მოწყობილს განსაკუთრებული ზომების მიღება დაავალა. „ბანდას“ თ. ხიმშიაშვილის თქმით, სოციალ-დემოკრატებთან ჰქონდა კავშირი. 1924 წლის 5 სექტემბერს ხულოს მაზრაში სასწრაფოდ გააგზავნეს 110კომუნარი ორი ტყვიამფრქვევით, რათა თურქეთის მხიდან გადმოსასვლელები საიმედოდ ჩაეკეტათ. 1924 წლის 8 სექტემბერს მეექვსე სანაპირო საგუშაგოს სა-

რიჩაირ-ჩირუხის ხაზზე შემოიჭრა 30 კაცისაგან შემდგარი შეიარაღებული ჯგუფი დავითაძის მეთაურობით, მაგრამ სანაპირო რაზმის წინააღმდეგობის გამო იძულებული გახდა უკან გაბრუნებულიყო. 1924 წლის 7 სექტემბერს დავითაძის ჯგუფის შემოჭრამდე ჭოროხისპირეთში სოფელ თხილნარის თავზე თურქული აეროპლანი გამოჩნდა.

8 სექტემბერს **სოფელ კობალთის** მხრიდან გადმოფრინდა აეროპლანი, რომელმაც ორი ბომბი ჩამოაგდო. როგორც ჩანს აეროპლანს სადაზვერვო დავალება ჰქონდა. თ. ხიმშიაშვილმა მომხდარი თბილისს შეატყობინა. 1924 წლის აჯანყების დროს აჯანყებულთათვის თურქეთიდან იარაღის მიწოდების არა ერთი მცდელობა იყო. აჭარაში იარაღის შემოტანის ორგანიზებას აჭარიდან ემიგრირებული ბეგები ცდილობდნენ, მათ შორის ყოფილი „სედაიმილეთის" ორგანიზაციის წევრები: **ჰუსეინ ბეგ ბიბინ-ოღლი (ბიბინეიშვილი) და მაჰმუდ მათარაჯ-ოღლი.** პირველი ართვინში იმყოფებოდა, მეორე — რიზეში. ჰ.ბიბინეიშვილმა თავისი შვილების **იუსუფის და ომერის** მეშვეობით **გურიაში, მაჭახელა-მარადიდის გავლით, დიდი რაოდენობით იარაღი გაგზავნა გუნთაიშვილის რაზმისათვის. მაჰმუდ მათარაჯ-ოღლიმ** რიზედან ფოთისაკენ იარაღით დატვირთული მოტორიანი ნავი გამოაგზავნა. **აჭარის საგანგებო ხუთეულის ინიციატივით 1924 წლის 25 სექტემბერს აჭარის მშრომელი მოსახლეობის ყრილობა ჩატარდა, რომელზეც ხალხმა ერთსულოვნად მოიწონა პარტიის გენერალურ ხაზი და ანტისაბჭოთა ანტისაოკუპაციო განმანთავისუფლებელი აჯანყების დამარცხება.**

ზ) აჯანყების მიმდინარეობა აღმოსავლეთ საქართველოში და აჯანყების საბოლოო დამარცხება

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის თავდაპირველი გადაწყვეტილებით ეროვნული აჯანყება თბილისის ამბოხით უნდა დაწყებულიყო. ამისათვის **ქაქუცა ჩოლოყაშვილი** თავისი რაზმით თბილისს 20 კილომეტრზე მიუახლოვდებოდა და **სოფელ ნახშირის გორასთან** დაბანაკდებოდა. ჩოლოყაშვილს დაუკავშირდებოდნენ: **მიხეილ (მიშა) ლაშქარაშვილი** თავისი რაზმით, **გიორგი ნაცვლიშვილი** დუშეთისა და დიღმის რაზმით, **ელიზბარ ვაჩნაძე** ბორჩალოს რაზმით. ამ ძალებს დაემატებოდა **მანგლისის რაზმი. აჯანყებულებს თავდაპირველად უნდა აეღოთ ვაზიანის სამხედრო პოლიგონი და ხელში ჩაეგდოთ მოწინააღმდეგის მძიმე არტილერია, 120 ზარბაზნით, რომელიც ვაზიანში ინახებოდა. მძიმე არტილერიის მოპოვება გადამწყვეტად გადაჭრდა ამბოხებულთა სასიკეთოდ თბილისის აღების ბედს.** არტილერიის სარდლად გათვალისწინებული იყო სამხედრო პოლკოვნიკი, სოციალდემოკრატი, პროფესიით არტილერისტი **ირაკლი ცაგურია.** ილარიონ ცაგურიას განკარგულებაში სოციალ-დემოკრატთა რაზმი იყო. შემუშავებული გეგმით, ამ რაზმს რუსებისათვის უნდა წაერთმია ზარბაზნები და თბილისს ნავთლულის მხრიდან უნდა მისდგომოდა. თბილისში აჯანყებულებს ხელში უნდა **ჩაეგდოთ აეროპლანები.ჯავშნოსანი მატარებელი და მოაბჯრებული ავტომობილები, აეღოთ ფოსტა-ტელეგრაფის, საქართველოს საგანგებო კომისიის, საქართველოს კომპარტიის ცეკას, საბჭოთა არმიის ცენტრალური შტაბის შენობები და საბჭოთა მთავრობის რეზიდენცია, დაეკავებინათ და განეარაღებინათ სამხედრო კურსანტები და საავიაციო რაზმი.**

მოგვიანებით, ვინაიდან დაგეგმილი აჯანყების წინა დღეებში, საბჭოთა ხელისუფლებამ გააძლიერა დაპატიმრებები და თბილისში დიდი რაოდენობით დამატებითი

ძალები შემოიყვანა, **დამკომმა უარი თქვა აჯენყების თბილისში დაწყებაზე, რადგან საქართველოს მთავარქალაქი მნიშვნელოვნად იყო უკვე გამაგრებული კომუნისტების მიერ. თბილისის აღება დაიგეგმა მას შემდეგ, რაც აჯანყება წარმატებით გაიშლებოდა და განვითარდებოდა საქართველოს ძირითად ტერიტორიაზე.** აჯანყების დაწყებამ ჭიათურაში, აჯანყების ხელმძღვანელთა მიერ დათქმულ დროზე ერთი დღით ადრე, მეამბოხეთა შორის მოულოდნელობა და გარკვეული დაბნეულობა შეიტანა, თუმც 29 აგვისტოდან აჯანყებამ მაინც იფეთქა როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოში.

აღმოსავლეთ საქართველოში 1924 წლის აჯანყებას ფაქტობრივად ქაქუცა ჩოლოყაშვილი ედგა სათავეში. აჯანყებულებმა პროგრამა მინიმუმი პირნათლად შეასრულეს - თითქმის ყველგან,უმეტეს რაიონში, გორისა, სიღნაღისა და თელავის გარდა, საბჭოთა ხელისუფლება ჩამოამხეს და ძალაუფლება დროებით ხელში აიღეს. აღმოსავლეთ საქართველოში ქაქუცა ჩოლოყაშვილის გარდა მამაცურად იბრძოდნენ მიხეილ ლაშქარაშვილი, გიორგი ნაცვლიშვილი, ელიზბარ ვაჩნაძე, თავიანთი რაზმებით და ერთმანეთთან კოორდინაციით.

დასაწყისში აჯანყება წარმატებული იყო. დიდი ქალაქების გარდა, კომუნისტების წინააღმდეგობა მოსალოდნელზე სუსტი აღმოჩნდა. აჯანყებულებმა გაფანტული წითელი არმიის და ჩეკას ძალები დაამარცხეს ან დააკავეს. ბრძოლის პირველ დღეებში ქართული ქალაქებისა და სოფლების ნახევარზე მეტი აჯანყებულთა ხელში გადავიდა. წითელი დროშებისა და საბჭოთა ემბლემების ნაცვლად ყველგან ეროვნული დროშები აფრიალდა; ეკლესიებში კი, რომლებიც კომუნისტების ნგრევას გადაურჩა, კვლავ წირვა-ლოცვა გაიმართა და ზარები დაირეკა. **ამბოხებულებმა საბჭოთა საოკუპაციო ხელისუფლების თანამდებობის პირები მრავლად დააკავეს, ქართლშიც, კახეთშიც, მაგრამ ისევე როგორც დასავ-**

ლეთ საქართველოში,ამიერ საქართველოშიც ერთი კაციც კი არ დაუხვრეტიათ, რადგან საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა მკაცრად აკრძალა თუნდაც ერთი დაკავებული კომუნისტის სიკვდილით დასჯა.

ქართლისა და კახეთის ტერიტორიაზე უმეტეს რაიონებში უპირატესობა თავდაპირველად აჯანყებულებმა მოიპოვეს, მაგრამ დიდ ქალაქებში, და განსაკუთრებით თბილისში, სიტუაცია ძალიან გართულდა.თბილისზე შეტევა **პოლკოვნიკ ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელოვანი რაზმელებისა და აჯანყებულთა საერთო ძალების ყველაზე მრავალრიცხოვანი ნაწილის საერთო იერიშით უნდა დაწყებულიყო.** მაგრამ ჭიათურაში აჯანყების დაწყებით დაეჭვებულმა რუსმა სარდალმა **მოგილევსკიმ** (ამიერკავკასიის ჩეკას მაშინდელმა ხელმძღვანელმა), და მოგილევსკისთან ერთად საერთოდ საბჭოთა ხელმძღვანელობამ, ისედაც ბოლო დღეებში გამაგრებულ თბილისში, კიდევ დამატებით მრავალრიცხოვანი შეიარაღებული ძალების ოპერატიული შემოყვანით, მეტად გააძლიერა თბილისის ყველა სტრატეგიული პოზიცია და პრაქტიკულად შეუძლებელი გახადა საქართველოს დედაქალაქის დაკავება,არაგანსაკუთრებულად ძლიერი და არამრავალრიცხოვანი ნებისმიერი მილიტარული შენაერთისა და სამხედრო ძალისთვის.ს **ამის გამო ქაიხოსრო ჩოლოყაშვილმა ვეღარ შეძლო თბილისის მიმართულებით საგანგებოდ მობილიზებული დიდრიცხვოვანი დაცვის გარღვევა და გარკვეული დანაკარგებით მოუხდა უკან დახევა.** (მოგილევსკი მოგვიანებით დრამატულად მოკლეს.

ახალგაზრდა ქართველმა გმირმა, მფრინავმა საღარაძემ, რომელიც მოგილევსკის თვითმფრინავს მართავდა, განზრახ მოახდინა ავარია, რის შედეგადაც ყველა, მათ შორის მოგილევსკი და რაც მთავარია თვითონ საღარაძეც, დაიღუპა, გამიზნულად მოწყობილ ავიაკატასტროფაში).,

1924 წლის 29 აგვისტოს, ჩოლოყაშვილის მცირერიცხოვანმა რაზმმა აიღო მანგლისი, მაგრამ მისი შეტევა იქ განლაგებულ სამხედრო ყაზარმებზე უშედეგოდ დასრულდა. ამიტომ ქაქუცა გადავიდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში და დალაშქრა დუშეთი, რომელიც მალე დატოვა, რადგან დახმარება ვერ მიიღო. ამის შემდეგ, **3 სექტემბერს, მან სვიმონიანთ ხევთან დაამარცხა წითელი არმია;**

1924 წლის 4 სექტემბერს შიომღვიმის ტყეში დააპატიმეს დამკომის წევრები კოტე ანდრონიკაშვილი და იასონ ჯავახიშვილი. მათ აჯანყების დამარცხება ოფიციალურად აცნობეს ქართველ ერს, საგანგებოდ შედგენილი მიმართვით, რომელსაც დიდი ტირაჟით ავრცელებდნენ თავად ბოლშევიკები სრულიად საქართველოში. ამ ფაქტმა ლოგიკურად უარყოფითად იმოქმედა ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის საომრად შემართულ და უზარმაზარი საბჭოთა იმპერიის წინააღმდეგ ამხედრებულ ქართველ აჯანყებულთა საბრძოლო განწყობაზე. **ამის მიუხედავად ჩოლოყაშვილი აგრძელებდა ბრძოლას და 6 სექტემბერს ხევ-გძელასთან, კახეთში კიდევ დაამარცხა წითელი არმია. ქაქუცა ჩოლოყაშვილმა რამდენიმე დღე თბილისს უტრიალა, მაგრამ დარწმუნდა ბრძოლის გაგრძელების ამაოებაში. ოქტომბრის ბოლოს 26 თანამებრძოლთან ერთად თურქეთის გავლით საფრანგეთში გადაიხვეწა.**

სამხედრო წარმატებებისა და მიღწეულ უპირატესობათა დიდხანს შენარჩუნება სამწუხაროდ ვერ მოხერხდა, საქართველოს გასანთავისუფლად ამბოხებულთა მიერ, რადგან საოკუპაციო საბჭოთა ხელისუფლების შეიარაღებული ძალები რაოდენობრივადაც და შეიარაღებითაც ბევრად აღემატებოდნენ ეროვნული თავისუფლებისთვის ამხედრებულ მამულიშვილებს.

1924 წლის 31 აგვისტოს ოკუპანტკომუნისტები კონტრშეტევაზე გადავიდნენ. საბჭოთა ხელისუფლებას იმ დროისთვის, ოფიციალურად ჩატარებული რეგ-

ისტრაციის თანახმად, საქართველოში შემდეგი ძალები ჰყავდა: **7 ქვეითი პოლკი; 2 ცხენოსანი ბრიგადა; 1 საარტილერიო ბრიგადა; 3 ტყვიამფრქვეველთა პოლკი; ჩეკას 7 ბატალიონი და მესაზღვრეთა 4 ბატალიონი და ამას დამატებული საკმაოდ მომრავლებული ქართული საბჭოთა მილიცია -, საერთო დათვლით დაახლოებით 54 000 კაცი.** წითელი არმიის მთავარსარდალი ამიერკავკასიაში მაშინ იყო რუსეთის იმპერიის გენერალური შტაბის ყოფილი პოლკოვნიკი, **გენერალი პუგაჩოვი.** აჯანყების ჩაშახსობად ამბოხების დაწყებისთანავე საქართველოსკენ შემდეგი ძალები დაიძრა: **1 ქვეითი დივიზია აზერბაიჯანიდან; 1 ქვეითი დივიზია სომხეთიდან; 2 პოლკი შავი ზღვის სანაპიროდან; 3 პოლკი საქართველოს სამხედრო გზიდან დარიალის უღელტეხილის გამოვლით; 3 რაზმი მამისონის უღელტეხილის გამოვლით; ეს არის კიდევ 56 000 ჯარისკაცი, იმ 54 000 მებრძოლის გარდა, რომელიც განლაგებული იყო საკუთრივ საქართველოში, საბჭოთა სახელმწიფო ხელისუფლების დაქვემდებარების ქვეშ. მიახლოებით 110 000 მებრძოლი.** გარდა ამ ძალებისა, ბათუმსა და სოხუმს შავი ზღვის ფლოტის ნაწილები მოადგა. **ქართველთა ეროვნულ აჯანყებაში კი, მთელი საქართველოს მასშტაბით, შეიარაღებულ განმანთავისუფლებელ ანტიიმპერიულ გამოსვლებში უშუალო მონაწილეობა მიიღო არაუმეტეს 6000 მორკინალმა.**

ასეთი მრავალრიცხოვანი მტრის წინააღმდეგ დაპირისპირებაში, უცხოეთიდან დახმარების მიღებისა და აგრეთვე აჯანყებაში ერის უმრავლესობის ჩართვის გარეშე ქართველები ხანგრძლივად ბრძოლას უბრალოდ ვერ გააგრძელებდნენ. **სამწუხაროდ იმხანად ყველა გარემოება თავისუფლებისთვის მორკინალ ქართველთა წინააღმდეგ შემოტრიალდა. საზღვარგარეთიდან დახმარების მიუღებლობისა და აღმოუჩენლობის გამო,ერის რაოდენობრივი უმრავლესობის ბრძოლებში ჩაურთველობამ განმანთავისუფლებელ წინააღმდე-**

გობას მისცა მტრის სასარგებლოდ არსებული უთანასწორო ბრძოლის სახე. აჯანყების დაწყებიდან მიახლოებით ხუთ/შვიდ დღეში საბჭოთა იმპერიულმა საოკუპაციო ხელისუფლებამ მთელს საქართველოში გამარჯვება მოიპოვა აჯანყებულებზე. **1924 წლის 9 სექტემბრისათვის ეროვნული აჯანყება დამარცხებულ იყო მთელს საქართველოში და კონკრეტულად ყველგან იქ და ყველა იმ ქართულ ტერიტორიაზე, სადაც განმანთავისუფლებელმა ამბოხებამ იფეთქა და ბრძოლები გარდაიხადა, კონკრეტულად ქართლში, კახეთში, იმერეთში, სამეგრელოში, გურიაში, სვანეთსა და ლეჩხუმში, აფხაზეთსა და აჭარაში.** თავისუფლების სიყვარულით უძლიერეს იმპერიას შერკინებულმა ღირსეულმა მამულიშვილებმა გააგრძელეს გაფანტული და ფრაგმენტული შერკინებები მტრებთან, კიდევ დაახლოებით სამი კვირის მანძილზე და არაერთი მტარვალი მომხვდური, ოკუპანტი და რენეგატი გაიყოლეს საფლავში. წითელი არმია და საბჭოთა იმპერია დანაკარგების გარეშე არ დარჩენილა, მაგრამ, სამწუხაროდ, **შექმნილი საბედისწერო ვითარებიდან გამომდინარე ლოგიკითა და კანონზომიერებით, ეროვნული დამარცხება გახდა გარდაუვალი და მრავალრიცხოვანმა, აშკარად ბოროტმა და სასტიკმა მტერმა, დიდი ხნის მანძილზე საქართველოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობაზე გამარჯვება იზეიმა.**

აჯანყებულთა და საერთოდ თავისუფლებისმოყვარე ქართველთა დამარცხება აგვისტოს ეროვნულ აჯანყებაში განაპირობა შემდეგმა კონკრეტულმა მიზეზებმა

1 ძალთა დაპირისპირებაში მტრის მხარეზე არსებულ ესოდენ კოლოსალური აღმეტებულობისა და შეუდარებლად დიდი უპირატესობის გათვალისწინებით ყოვლად შეუძლებელი იყო რაიმენაირი გამარჯვების მოპოვება.

2 **მეტად საგულისხმო და დამაფიქრებელია ისიც, რომ რატომღაც აჯანყების დაწყების შემდგომ ვერ მოხერხდა თუ ვერ მოესწრო ანტიიმპერიულ ნაციონალურ წინააღმდეგობაში იმ უაღრესად მრავალი პატრიოტის**

ჩართვა,რომელთა შემომატებაც ეროვნულ აჯანყებას გახდიდა გაცილებით მრავალრიცხოვანს,ფიზიკურად ბევრად უფრო მასშტაბურს და ძლიერს და უდაოდ გაზრდიდა საერთო მტრებზე გადამწყვეტი ისტორიული გამარჯვების მოპოვების პერსპექტივას. სამწუხარო ფაქტი, მაგრამ რეალური სინამდვილეა - აგვისტოს ეროვნულ განმანთავისუფლებელ აჯანყებაში მონაწილე ქართველთა რიცხვი ბევრად ჩამოუვარდებოდა იმ ქართველების რიცხვს, რომლებმაც აჯანყებაში მონაწილეობა საერთოდ არ მიიღო, იმის მიუხედავად რომ ანტისაოკუპაციო ანტისაბჭოთა განწყობა საქართველოში იყო აშკარად დიდ უმრავლესობაში.

3 ასევე საქართველოში ვერ შემოვიდა საზღვარგარეთიდან წინასწარ მოაზრებული, საკნაოდ დიდი შეიარაღება, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო გადამწყვეტად არსებითი საერთო სამხედრო გამარჯვებისთვის.

4 უნდა განვაცხადოთ რომ საბჭოთა იმპერიის დანამდვილებით ძლიერმა სპეცსამსახურებმა, თავისი მრავალრიცხოვანი აგენტებით, აჯანყების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის წინასწარცოდნით, ასევე პრევენციულად ჩატარებულ საკმაოდ ფართომასშტაბიანი რეპრესიებითა და მათ შორის გადმობირებებით, აშკარად შეუშალეს ხელი ანტიიმპერიული შეიარაღებული წინააღმდეგობის მასშტაბურ და რაოდენობრივ გაშლასა და გაფართოებას და პირიქით ხელი შეუწყვეს ეროვნულ-განმანთავისუფლებელ აჯანყებაში ქართველი ერის ფიზიკურად და რაოდენობრივად დიდი უმრავლესობის ჩაუბმელობასა და არმონაწილეობას.

5 ისიც გამოკვეთილი სიცხადით უნდა აღინიშნოს რომ იმდრონდელი დასავლეთის სახელწიფოთა სოლიდარობა და მხარდაჭერა ქართველთა განმანთავისუფლებელი ბრძოლებისა და მოძრაობისთვის, ყველა მიმართულებით და ყველა თვალსაზრისით იყო უაღრე-

სად არასაკმარისი და ძალზე მცირე, შეიძლება ითქვას ნულოვანიც. იმჟამინდელ საქართველოს ვერც თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებაში და ვერც თავისუფლებისთვის ბრძოლაში ვერ და არ გაუმართლა მაშინდელმა მსოფლიო პოლიტიკამ და საერთაშორისო ვითარებამ, მაშინდელმა ცივილიზებულმა მსოფლიომ განსხვავებით თანამედროვე ცივილიზებული, დემოკრატიული და თავისუფალი დასავლეთისა.

კეთილსინდისიერად უნდა ავღნიშნოთ, რომ დემოკრატია და პროგრესი,კონტაქტები და ინტეგრაცია იმჟამინდელ მსოფლიოში არ იყო და ვერ იყო ისე ძლიერი და ქმედითუნარიანი, როგორიც არის ამჟამად და ეს ალბათ ლოგიკური კანონზომიერებაა, რამეთუ მრავალი და მრავალი კონკრეტული და მნიშვნელოვანი დაბრკოლების, სირთულისა და ხშირ შემთხვევაში ბოროტების, ჩავარდნის მიუხედავად მსოფლიო,მთლიანობაში მაინც მიდის წინ - უკეთესობისკენ და პროგრესისკენ.

1924 წლის აგვისტოს ეროვნული აჯანყებამ იმითაც წარმოაჩინა ქართველთა სიდიადე, რომ რამდენადაც საქართველო იმჟამად მარტო გამოვიდა რუსეთის ანტიდემოკრატიულ, ტოტალიტარულ, ფიზიკურად ძალიან დიდსა და ძლიერ იმპერიასთან სამხედრო დაპირისპირებაში,რამდენადაც ვერც ამიერდავერც იმიერ კავკასიაში ვერავინ ვერ აუმხედრდა რუსეთის იმპერიულექსპანსიონისტურ ძალმომრეობას, თავისუფლებისა და სამართლიანობისთვის, გარდა ქართველებისა, და ეს ფაქტია, ამიტომ სწორედ საქართველო და ქართველი ერი აღმოჩნდა მთელს კავკასიაში ის ერთადერთი ღირსეული და სახელოვანი ერი და ქვეყანა, რომელმაც გაბედა და ითავა თავისუფლებისა და სამართლიანობის დიადი და მარადიული სიკეთისთვის ეტვირთა უბოროტეს და უძლიერეს ბოლკშევიკურ იმპერიასთან თავგანწირული სამხედრო შერკინების უმძიმესი, უმტკივნეულესი, მაგრამ უაღრესად უღირსეულესი და უსა-

პატიოესი ისტორიული ჯვარი და მისია. ამ მხრივ 1924 წლის აგვისტოს ეროვნული აჯანყება, ვითარცა ისტორიული მოვლენა, უდიდესია არამარტო ბრძოლებითა და შერკინებებით, არამედ იმ არაადამიანურად ულმობელი და სასტიკი, უკვე საქვეყნოდ ცნობილი ბოლშევიკური რეპრესიებითა და დესპოტიით, რომელიც რუსეთის ბოროტების იმპერიამ დაატეხა თავს სწორედ თავისუფლებისთვის აჯანყების გამო საქართველოს და რომელმაც მოწამეობრივი სიდიადის დალურსმნული, უმტანჯველესი, მაგრამ ზეცაში უკვდავებით აელვარებული, გვირგვინი დაადგა ყველას უკლებლივ, ვინც კი ემსხვერპლა თავისუფლების უაღმატებულეს სიყვარულს, თავისუფლების უმაღლესსა და მარადიულ იდეას!

7) მასობრივი სისხლიანი რეპრესიები აჯანყების დამარცხების შემდეგ

საბჭოთა სახელმწიფო და ხელისუფლება დაარსებისთანავე გამოირჩეოდა გადამეტებული სიმკაცრით, ულმობელობითა და სისასტიკით და საქართველოშიც, საოკუპაციო საბჭოთა ბოლშევიკურმა მართველობამ პირველი დღეებიდანვე გამოიჩინა თავი რეპრესიებით, როგორც დახვრეტებით, ასევე დაპატიმრებებით. 1924 წლის აგვისტოს აჯანყებამდე საქართველოში ბევრი ემსხვერპლა ანტიდემოკრატიული საოკუპაციო რეჟიმის რეპრესიებს,მაგრამ აჯანყების დაწყებისა და დასრულების შემდეგ ტოტალიტარული იმპერიის სისასტიკემ და ულმობელობამ უმტკვნეულესად ფართო მასშტაბები მიიღო. მიახლოებით ორკვირიანი უმძიმესი ბრძოლების შემდეგ აჯანყება სისხლში ჩაახშეს წითელი არმიისა და ჩეკას ნაწილებმა. **მიუხედავად იმისა, რომ აჯანყებულებს არსად დაუხვრეტიათ ხელისუფლების თანამდებობის პირები, აჯანყებულთა წინააღმდეგ სასტიკი რეპრესიები და ულმერთო ანგარიშსწორებები დაიწყო.** რეპრესიებმა საერთო ჯამში ამბობენ, რომ თორმეტი ათასამდე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.. საბჭოთა ხელისუფლებამ აჯანყებულთა წინააღმდეგ ულმობელი სისხლიანი ანგარიშსწორება დაიწყო. მთელი საქართველო უმოწყალოდ დახვრეტილებითა და საძმო სასაფლაოებით მოიფინა.

განსაკუთრებით ბევრი დახვრიტეს სამეგრელოსა და ზემო იმერეთში, სადაც ყველაზე ძლიერი იყო აჯანყებულთა გამოსვლები. მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთ საქართველოში აჯანყებას შედარებით ნაკლებად მასობრივი ხასიათი ჰქონდა, **რეპრესიები მთლიანად შეეხო ქართლ-კახეთის თავადაზნაურობას. განადგურდა ეროვნულ-პოლიტიკური ოპოზიციის დიდი ნაწილი,**

განადგურდა ქართველი ოფიცრობა, რომელთა ნაწილი შეთქმულებაში იყო ჩართული ან თანაუგრძნობდა მათ, ხოლო ნაწილი ყოველგვარი პოლიტიკის მიღმა იდგა. ყოველგვარი გამოძიებისა და სასამართლოს გარეშე დაიხვრიტა მრავალი ადამიანი, - პოლიტიკური ოპოზიციის, ოფიცრობის, თავადაზნაურობის, ინტელიგენციის, სამღვდელოების და გლეხობის წარმომადგენლები. მთლიანად განადგურდა რამდენიმე ქარფული არისტოკრატული საგვარეულო. სამეგრელოსა და იმერეთზე შედარებით ნაკლებად დაზარალდა გურია, რადგან ამ მიმართულებით საქმეში აქტიურად ჩაერთო ფილიპე მახარაძე, თუმც სამწუხაროდ რეპრესიები გურიაშიც დატრიალდა.

საბჭოთა ხელისუფლების მიერ სპეციალურად შეიქმნა შეიარაღებული რაზმები და ეგრედ წოდებული სამეულები, რომლებიც ყოველგვარი გამოძიებისა და გასამართლების გარეშე ხვრეტდნენ ოდნავ ეჭვმიტანილებს. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული ერთი დოკუმენტი 1924 წლის აგვისტო-სექტემბრის ავბედით დღეებში დახვრეტილთა ციფრობრივ მონაცემებს შეიცავს. ამ დოკუმენტის მიხედვით თბილისში 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდებით დახვრიტეს 230 ადამიანი, სიღნაღის მაზრაში - 60, თელავის მაზრაში - 30, სართიჭალის რაიონში - 49, ბორჩალოს მაზრაში - 19, დუშეთის მაზრაში - 7, გორის მაზრაში - 128, შორაპნის მაზრაში - 171, ქუთაისის მაზრაში - 90, ზუგდიდის მაზრაში - 40, სენაკის მაზრაში - 146, ოზურგეთის მაზრაში - 7, ცაგერის მაზრაში - 37, აფხაზეთში - 12, რაჭის მაზრაში -4, აჭარაში - 25. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ციფრი არ ასახავს დახვრეტილთა ზუსტ რაოდენობას. მეორე დოკუმენტში 1047 დახვრეტილზეა საუბარი, მესამეში - 1714-ზე. თვით დახვრეტებს გადარჩენილი თუ ემიგრაციაში მყოფი ქართველები და უცხოელი მკვლევარები დახვრეტილთა სხვადასხვა რაოდენობას ასახელებენ: 3000, 5000 და ა.შ.

1925 წლის 15 ივლისიდან 3 აგვისტომდე მიმდინარეობდა 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდებით დაპატიმრებულთა სასამართლო პროცესი. სულ განსასჯელთა სკამზე 47 ადამიანი აღმოჩნდა. მათ შორის იყვნენ: **კონსტანტინე ანდრონიკაშვილი, იასონ ჯავახიშვილი, დავით ონიაშვილი, ნიკოლოზ ქარცივაძე, გიორგი ანჯაფარიძე, ბიძინა პირველი, ეგნატე გაბლიანი, გიორგი ჯინორია** და სხვები. თავიდან სასამართლომ მათ უმრავლესობას სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა მიუსაჯა, მაგრამ შემდეგ ის ხანგრძლივი პატიმრობითა და გადასახლებით შეუცვალა. პატიმრობა მისჯილი აჯანყების მონაწილეები ე.წ. საბჭოთა გულაგებში გადაასახლეს, საიდანაც მათი უმრავლესობა არც დაბრუნებულა. **ასე ტრაგიკულად დამთავრდა ქართველთა უდაოდ გმირული და თავგანწირული ეროვნული აჯანყება, საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის, ბოლშევიკური რუსეთის უდიდესი და უძლიერესი,ამასთანავე უბოროტესი იმპერიის წინააღმდეგ, 1924 წლის აგვისტოს დამლევსა და სექტემბრის დასაწყისში. ამ ეროვნულმა ამბოხებამ უაღრესად დიდი ზეგავლენა იქონია საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის იდეით შეპყრობილ და ანთებულ ქართველ პატრიოტებზე, თაობათა მანძილზე და ხელი შეუწყო ეროვნული თვითშეგნების, ეროვნული სიამაყისა და თავმოყვარეობის, ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დიადი იდეის გაძლიერებას ქართველებში!**

უნდა აღინიშნოს რომ დღემდე ქართულ სახელმწიფოს და ქართულ ისტორიოგრაფიას საბოლოოდ დაზუსტებული რიცხვი აგვისტოს აჯანყებასთან დაკავშირებულ რეპრესირებულ პირებზე არ გააჩნია. არსებობს სხვადასხვა სია დახვრეტილების, დაპატიმრებულებისა და გადასახლებულების შესახებ, მაგრამ არცერთი მათგანი სრული არ არის. ყველა ეს სია შეიცავს უტყუარ ცნობებს, მაგრამ არ არის რიცხობრივად დაზუსტებული,ზუსტად საბ-

ოლოოდ არ არის დადგენილი თუ კონკრეტულად რამდენი ადამიანი დაიხვრიტა და რამდენი დაპატიმრდა ეროვნულ აჯანყებამდე, აჯანყების მიმდინარეობის ჟამს და ამბოხების დასრულების შემდგომ .ციფრობრივი სტატისტიკის დადგენის გარდა სახელმწიფომ და და საერთო ეროვნულმა აზროვნებამ პირუთვნელი, კეთილსინდისიერი, სამართლიანი და ღირსეული შეფასება უნდა მისცეს უმნიშვნელოვანეს ისტორიულ მოვლენებს, ფაქტებსა და აუცილებლად პიროვნებებს, ყველას როგორც იტყვიან შესაფერისი და ჯეროვანი მისაგებელი უდა მიაგოს. დამსახურებისა და ღვაწლისამებრ.

რამდენადაც ქართველმა ერმა სამოცდაათწლოვანი საბჭოთა ტოტალიტარული იმპერიული დაპყრობის შემდეგ ისევ დაიბრუნა ეროვნული თავისუფლება და დამოუკიდებლობა, რამდენადაც საქართველო სადღეისოდ უკვე მთელი ცივილიზებული მსოფლიოს მიერ, მსოფლიოს უკლებლივ ყველა სახელმწიფოსა და ყველა საერთაშორისო ორგანიზაციის, მათ შორის ყველაზე უფრო ძლიერი და გავლენიანი სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ საყოველთაოდ ცნობილი და აღიარებული სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა, რამდენადაც მსოფლიო პოლიტიკასა და საერთაშორისო ურთიერთობებში საქართველო ჩართულია და მონაწილეობს, ყველა დონესა და ყველა მიმართულებით, სწორედ სრულუფლებოვანი თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსით, რამდენადაც თანამედროვე ქართული სუვერენული სახელმწიფო არის პირდაპირი, უშუალო შედეგი და ღვაწლი 1987-1991 წლების დიდი ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ძალისხმევის, რამდენადაც ამ მოძრაობის მთავარი ისტორიული მიზანი და ამოცანა იყო ზუსტად იგივე და ზუსტად ის, რაც1921, 1922, 1923 და 1924 წლების ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლებისა და აუცილებლად 1924 წლის დიდი ეროვნული აჯანყების, და ეს მიზანი იყო დანა-

შაულებრივი ბოლშვიკური იმპერიული ოკუპაციისა და ანექსიის შედეგად უსამართლოდ წართმეული ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაბრუნება, 1918 წლის 26 მაისს დაფუძნებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენით, ქართული სუვერენული სახელმწიფოს ერთერთი აუცილებელი და უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა ,მისი ნაციონალური პრესტიჟის კომპეტენცია და ვალდებულებაა ყველაფერი დაადგინოს და დააზუსტოს, რაც კი უკავშირდება ეროვნულ თავისუფლებას და დამოუკდებლობას, ამ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას და ამ მხრივ, არც თუ ისე შორეული ისტორიული წარსულიდან, ნათელი მოეფინოს მნიშვნელოვან და მით უფრო საპოატიო მოვლენებს აუცილებლად გასაკეთებელია სახელმწიფოს, დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს მიერ. ამადაც უდიდესი ეროვნული მოვლენის , თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაბრუნებისთვის გარდახდენილი ქართველთა საარაკოდ გმირული აჯანყების, მათი მონაწილეების,ამ აჯანყებაში და ამ აჯანყების გამო დაცემულთა, დახვრეტილთა, დაპატიმრებულთა, გადასახლებულთა, დევნილთა და შევიწროებულთა, რეპრესირებულთა შესახებ ყველაფერი უნდა იყოს ცნობილი, დაზუსტებული, გაცხადებული და საშვილთაშვილოდ გარდაცემული.

ბ ო ლ ო თ ქ მ ა

ამ წიგნის გამოცემას აქვს გამოკვეთილად კონკრეტული არაერთი მიზანი 1 გაიხსენოს და გაახსენოს საზოგადოებას ერთერთი გამორჩეულად მნიშვნელოვანი და ღირსეული მოვლენა ქართველი ერის ისტორიაში და დაუდასტუროს პატივისცემა ამ ფრიად სახელოვან მოვლენას მისი ღირსეულობისა და მნიშვნელობის გამო!

2 გაიხსენოს და გაახსენოს საზოგადოებას ის უაღრესად საპატივცემულო,ღირსეული და სახელოვანი უკვე ისტორიული პიროვნებები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან აგვისტოს ეროვნულ აჯანყებასთან,გასული საუკუნის ოციანი წლების ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობასთან და ამდენად ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დიადი სიკეთისთვის ბრძოლასთან.

3 მისცეს თავისი მხრიდან ღირსეული და სამართლიანი შეფასება თავად ამ კონკრეტულ მოვლენას-1924 წლის აგვისტოს ეროვნულ აჯანყებას და წინა საუკუნის პირველი მეოთხედის განმანთავისუფლებელ ბრძოლებს,ყველაფერ და ყოველს იმ არსებითსა და მნიშველოვანს რაც დაკავშირებულია ამ ამბოხებასთან და თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაბრუნებისთვის ბრძოლებთან, ვინც და რამაც განაპირობა და განსაზღვრა ამ მოვლენთა ღირებულება, მნიშვნელობა და შინაარსი საქართველოს ისტორიაში.

ჩვენი შეფასება კეთდება მხოლოდ და მხოლოდ ობიექტურად არსებული და მომხდარი ფაქტების საფუძველზე, მიუკერძოებლობის, კეთილსინდისიერებისა და პირუთვნელობის დაცვით და ამასთან ერთად თავისუფლების,მათ შორის ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის, ვითარცა დიადი და უაღმატებულესი იდეისა და სიკეთის სიყვარულისა და აპოლოგიის სულისკვეთებით, თავისუფლების მეტი და მეტი პოპუ-

ლარიზაციითა და გამიზნული პოლიტიკური პროპაგანდირებით.

მას შემდეგ რაც ეროვნულმა მოძრაობამ საქართველოში გაიმარჯვა ჯერ კიდევ სსრ კავშირის საბოლოო დაშლამდე, კომუნისტური საბჭოთა იმპერიული სახელმწიფოსა და ხელისუფლების უკიდურესი დაუძლურებითა და ფიქციად ქცევით, მით უფრო მას შემდეგ, რაც სწორედ ეროვნულგანმანთავისუფლებელი მოძრაობის შედეგად, საქართველომ დაიბრუნა ეროვნული თავისუფლება და დამოუკიდებლობა, საქართველოში კანონზომიერად და ლოგიკურად მოიხსნა ყოველგვარი იდეოლოგიური და დამთრგუნველი ზეწოლები აზროვნებაზე, რაც ერთერთი მთავარმახასიათებელი ბოროტება იყო ტოტალიტარული და მონოპარტოკრატიულ ანტიდემოკრატიაზე დამყარებულ საბჭოთა იმპერიისა. ამ იდეოლოგიურ დამთრგუნველ წნეხთან ერთად მოიხსნა ყოველგვარი აკრძალვები ერთდროს დახურულ და საზოგადოებისთვის გასაიდუმლოებულ ლიტერატურაზე. გაიხსნა არქივები, გაიხსნა საკონტაქტო გზები საზღვარგარეთის სახელმწიფოებთან და საარქივო მასალებთან ერთად ხელმისაწვდომი გახდა ემიგრანტული და საზღვარგარეთული ყველანაირი სახისა და ხასიათის ლიტერატურა. იდეოლოოგიური კონტროლი და პოლიტიკური დოგმატიზირება, ცენზურა,საინტერესო ლიტერატურის მიუწვდომელობა წარსულს ჩაბარდა და უკლებლივ ყველა მოვლენაზე და მათ შორის გნებავთ გასული საუკუნის ოციანი წლების ანტისაბჭოურ ეროვნულ-განმანთავისუფლებელ ბრძოლებსა და ძალისხმევებზე, ყველაფერი შეუდარებლად უფრო ნათელი და რაც მთავარია სავსებით ადვილი ხელშესახები და მოსაპოვებელი გახდა.

დღეს არავისთვის ვინც დაინტერესდება არანაირ პრობლემას აღარ წარმოადგენს გაეცნოს უამრავი ინფორმაციების შემცველ ზღვასავით თვალუწვდენელ ლიტერატურას, ერთდროს დაგმანული და უმრავლესობისთვის გადარაზული საარქივო მასალების ჩათვლით. ამიტომ

ამ მხრივ მადლობა ღმერთს პრობლემა აღარ არსებობს. პრობლემა ახლა უკვე იმაშია თუ **განთავისუფლებული ადამიანები რამდენად მართებულად გამოიყენებენ და მოიშველიებენ მოპოვებულ თავისუფლებას სწორედ ისევ და ისევ თავისუფლების გაძლიერებისთვის.**

ფაქტია რომ ჩვენ ვცხოვრობთ უკვე დამოუკიდებელ საქართველოში. ისც ფაქტია რომ საბჭოთა იმპერიის ჟამინდელ მდგომარეობასთან შედარებით ჩვენი თავისუფლება შეუდარებლად მეტია,როგორც პიროვნული, ასევე ეროვნული თვალსაზრისით. **ადამიანური და ერვნული თავისუფლებაა სწორედ ის უმთავრესი ორი სიკეთე, რომელიც დავიბრუნეთ, ეროვნული და ადამიანური თავისუფლების წამრთმეველი და ჩამახშობელი გასაბჭოებული რუსეთის ტოტალიტარული იმპერიისაგან განთავისუფლებით.** ხაზი მინდა მკვეთრად **გავუსვა--ეროვნული თავისუფლება და დამოუკიდებლობა დავიბრუნეთ ფაქტია ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის, კონკრეტულად 1987-1991 წლების ეროვნულგანმანთავისუფლებელი მოძრაობის მიზანმიმართული, მიზანდასახული, კი ბატონო არაშეიარაღებული, მაგრამ უაღრესად ენერგიული, აქტიური, დაუდგრომელი და პრინციპული ბრძოლების შედეგად.**

მაგრამ ისიც ფაქტია რომ რუსეთის თანამედროვე იმპერია აგრძელებს 1921 წლიდან დაწყებულ აგრესიას საქართველოს, ამჯერად დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ, ხელყოფს ჩვენს ეროვნულ სუვერენიტეტს, ხელყოფს და გვართმევს, პირდაპირი მნიშვნელობით, ეროვნულ ტერიტორიებს. ისიც ფაქტია, რომ სახელმწიფო დონეზე დემოკრატიის საქვეყნო და ოფიციალური დეკლარირების მიუხედავად, ჯერ კიდევ ვერ ვცხოვრობთ რეალურად დემოკრატიულ სახელმწიფოში. კანონების სამართლიანობა და უზენაესობა ხშირად ფეხქვეშ ითელება ხელისუფალთა მიერ .

ამ წიგნის გამოცემით, როგორც მთელი შეგნებული

ცხოვრების მანძილზე ეროვნული და ადამიანური თავისუფლებისთვის პერმანენტულად მორკინალ პიროვნებას, ძალიან **მინდა სახელოვანი წარსულის ახმოვანებითაც გავაძლიერო ამჟამად აშკარად მინავლებული და მისისტებული საყოველთაო ეროვნული ლტოლვა და მისწრაფება თავისუფლებისკენ და სამართლიანობისკენ, როგორც ეროვნული სუვერენიტეტის, ასევე დემოკრატიის დაცვისა და გამარჯვების ფრონტზე.**

მინდა განვაცხადო , რომ ეროვნული და ადამიანური თავისუფლებისთვის, დამოუკიდებლობისა და დემოკრატიისთვის იბრძოდნენ ჩვენი ღირსეული წინამორბედნი გასული საუკუნის ოციან წლებში და ასევე დამოუკიდებლობისა და დემოკრატიისთვის ვიბრძოდით ჩვენი თაობები გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების დამლევსა და ოთხმოცდაათიანი წლების დამდეგს. გასული საუკუნის ოციან და ოთხმოციან წლებშიც ქართველები ვებრძოდით ერთსა და იმავე რუსეთის ბოროტების იპერიას,რადგან **ჩვენსა და ჩვენი ბაბუების თაობებს ერთი და იგივე რუსეთის იმპერია დევნიდა და ხოცავდა სწორედ თავისუფლებისთვის ბრძოლის, ამხედრების, თავისუფლების ჩაუქრობელი და დაუდგრომელი სიყვარულის გამო.**

დამოუკიდებლობაც და დემოკრატიაც აუცილებლად თავისუფლების ღმრთივკურთხეულ სიკეთეში ერთიანდება და ამ სიკეთისთვის დახოცა თავისუფლებისთვის ამხედრებული ქართველები ზუსტად ერთმა და იმავე რუსეთის ტოტალიტარულმა იმპერიამ, როგორც 1924 წლის აგვისტოს ეროვნული და გმირული აჯანყების, ასევე 1989 წლის 9 აპრილის ჰეროიკული და თავგანწირული დემონსტრაციის ჟამს. ჩვენ ,ცხრა აპრილის ჰეროიკული მატიანის შემოქმედ თაობებს, საერთო გენეტიკური წარმომავლობის გარდა, თავისუფლებისთვის თავგანწირვაში აელვარებული დიადი და დაუძლეველი სიყვარული გვანათესავებს მათთან,1924 წლის აგვისტოს ასევე ჰეროიკული მატეანის შემოქმედ

თაობებთან. ჩვენ მათთან საერთო ქართველობა გვაერთიანებს რამეთუ ქართველობა, ჭეშმარიტი და ღირსეული ქართველობა, არის სწორედ მუდმივი და განუწყვეტელი ბრძოლა თავისუფლებისთვის, ყველა დროის თავისუფლების ხელმყოფელ და დამთრგუნველ ბოროტ იმპერიებთან, როგორც წესი ტრადიციულად ჩვენთვის საზიანოდ და მტერთათვის ხელსაყრელ უთანასწორო შერკინებებში.

ჩვენი თაობების გამაერთიანებელი მთავარი მიზანი იყო და არის რუსეთის იმპერიული დანაშაულებრივი ოკუპაციისა და ანექსიის შედეგად, შეიარაღებული აგრესიის შედეგად, წართმეული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაბრუნება, უფრო პოლიტიკური დაკონკრეტებით 1918 წლის 26 მაისს დაფუძნებული და გამოცხადებული დამოუკიდებელი და დემოკრატიული,ქართული რესპუბლიკური სახელმწიფოს-საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უპირობო და სრულმასშტაბიანი აღდგენა. ეს დიდი მიზანი მუხლობრივი თვალსაჩინოებით ჩაინერა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის შეთანხმებაში, ეს დიდი მიზანი ერთმნიშვნელოვანი დეფინიციით დაკონკრეტდა სარეფერენდუმო კითხვაში და **სწორედ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დიადმა იდეამ საშვილთაშვილოდ გაიმარჯვა საქართველოს ისტორიაში, როდესაც ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საკითხზე ჩატარებულ საყოველთაო რეფერენდუმში უპრეცედენტოდ არნახული ტოტალური ნაციონალური დადასტურება ჰპოვა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამ 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე, რასაც პირდაპირ შედეგად მოჰყვა უმაღლეს სახელმწიფო სახელისუფლებო დონეზე საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საქვეყნო დადგინება და გამოცხადება და შემდგომ საქართველოს ეროვული სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობის საყოველთაო საერთაშორისო ცნო-**

ბა და აღიარება მთელი თანამედროვე მსოფლიოს მიერ, უკლებლივ ყველა სახელმწიფოსა და ყველა საერთაშორისო სახელმწიფოს მიერ.

ეს ისტორიული ფაქტობრივი მოცემულობა რეალურად ადასტურებს თავისუფლების წარუვალ და მარადიულ სიკეთეში ქართველი ერის გმირულ სიდიადეს. ჩვენ გამარჯვებულნი ვართ მაშინაც , როცა გვკლავენ თავისუფლების გამო და ფიზიკურად ვერ ვესწრებით თავისუფლებას და გამარჯვებულნი ვართ მაშინაც როდესაც მტრები ვეღარ გვმუსრავენ თავისუფლებისათვის ბრძოლაში და ცოცხლები ვზეიმობთ თავისუფლების მოპოვებას. 1924 წლის აჯანყება ფიზიკურად მწარედ დამარცხდა, მაგრამ ეროვნული სიდიადისთვის დაღვრილმა მოწამეობრივი სისხლის მდინარემ პერსპექტივაში წალეკა, ისტორიულად მომწიფებულ კურთხეულ ჟამს, ზღუდენი და და გალავანნი ყოველნი თავისუფლების წინ აღმართულ ბოროტებათა. გარდაუვალი დახვრეტის მოლოდინში შეუდრეკელმა ქართველმა მოწამე მამულიშვილმა გენერალმა კონსტანტინე კოტე აფხაზმა სიამაყითა და დამარწმუნებელი შემართებით განაცხადა-ჩემი სიკვდილი გამარჯვებას მოუტანს საქართველოს. და მოუტანა კიდევაც როდესაც მისი გმირული აღსასრულიდან 68 წლის შემდგომ დამოუკიდებლობა საზეიმოდ გამოაცხადა თავისუფლების ღვთაებრივ სათნოებაში გაერთმთლიანებულმა და აღზევებულმა ქართველმა ერმა. 1991 წლის 9 აპრილის ისტორიული გამარჯვება 1989 წლის 9აპრილს თავისუფლებისთვის დაღვრილ სისხლთან ,1991 წლის 31 მარტის საყოველთაო რეფერენდუმთან და ამ საყოველთაო კენჭისყრის ბრწყინვალე შედეგებთან ერთად აუცილებლად განაპირობა 1921, 1922, 1923 და 1924 წლებში ასევე თავისუფლებისათვის დაღვრილმა სისხლმა და საუკუნეთა მანძილზე მრავალრიცხოვან და ძლიერ მტრებთან პერმანენტულ შერკინებებში სადარდღვრილი და ყველგანდაღვრილი ქართული სისხლის შენაკადები და ერთიანობა ავსებს

იმ დაუშრეტელ წყალუხვ მდინარეს ,რომელიც უხსოვარი დროიდან მოედინება საკაცობრიო განუწყვეტელობაში, მარადცოცხალი და ისტორიულად უკვდავი ქართველი ერის მეობით, სინამდვილით, თავისთავადობითა და თავისუფლებით. თავისთავად მრავლისმეტყველია ის ტრაგიკული და ამაღელვებელი იდუმალებით მოსილი აქტი, რომ საქართველოს თავისუფლების დიდებაში გაერთმთლიანებული და ზეაწეული ქართველი ერის მიერ საყოველთაო სიყვარულით ტრიმფალურად არჩეულმა, საქართველოს განმანთავისუფლებელმა და დამთუკიდებლობის აღდგენის გამომცხადებელმა, პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ, მტარვალ მტერთაგან მუხანათურად განგმირულმა, გაიზიარა უმტკივნეულესი, მაგრამ უღირსეულესი პატივდიდება, მოწამეობრივად სისხლდანთხეულ დევნილ ლიდერად წარმსდგარიყო ღვთის წინაშე და რა თქმა უნდა საქართველოს პირველი და დღემდე ერთადერთი ეროვნული პრეზიდენტის სისხლმაც აუცილებლად კიდევ უფრო განამტკიცა და განაძლიერა ფუძებალავრიანად ციტადელი საქართველოს ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისა. მრავლისმეტყველია ის ისტორიული ფაქტიც რომ ოციან წლებში თავისუფლებისათვის გმირულ შერკინებებში დაუცხრომელმა მებრძოლმა გმირმა ქაქუცა ჩოლოყაშვილმა ვერც სიკვდილს შემდეგ ჰპოვა მოსვენება და უცხოეთში აღსრულებიდან 57 წლის შემდეგ 1987-1991 წლების დიდ ეროვნულგანმანთავისუფლებელ მოძრაობაში თავისი უკვდავი სახელითა და დროშის ყაიდაზე გამოსახული თავისი ქართული პორტრეტით ,მუდმივად ამშვენებდა, ეროვნული მოძრაობის ქარიშხლიან დღეებში ,თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის აღსადგენად, გარდახდილ ეპოქალურ გამოსვლებსა და დემონსტრაციებს. ცოცხალი მერაბ კოსტავა და განსვენებული ქაქუცა ჩოლოყაშვილი ერთად შეერკინენ რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის სამხედრო ძალებისა და საგანგებო დანიშნულების ჯარების შენ-

ჯერთებს, საქართველოს დედაქალაქში პოლიტიკურად მთავარ გამზირზე ეროვნული თავისუფლებისთვის ამხედრებული და თავგადადებული ათასობით მამულიშვილის ულამაზეს გარემოცვაში. და რა თქმა უნდა ამ უაღრესად შთამბეჭდავ ჰეროიკულ ეროვნულ შემართებასა და შერკინებაში, ვითარცა საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის მორკინალი ერთერთი უკომპრომისო ლიდერი, მეც სასიქადულო გმირთა და მამულიშვილთა გვერდით ვებრძოდი რუსეთის უზარმაზარი და უძლიერესი, მოდერნიზებული იმპერიის სამხედრო ძალმომრეობას, რაც მიძლიერებს მხოლოდ ეროვნული სიამაყის, ღირსებისა და თავისუფლების სიყვარულის ღვთაებრივად დიად განცდას.

ქართველი ერის და საქართველოს ისტორია გრძელდება და აუცილებლად გაგრძელდება მუდმივობასა და ნარუვალობაში. ქართველი ერის წარუშლელობას და უკვდავებას განაპირობებს თავისუფლება, თავისუფლების განუზომელი სიყვარული და დიადი ნებასურვილი. განაპირობებს აგრეთვე უშუალოდ ღმერთისგან ზეგარდმომავალი და ზეგარდმოსული ნიჭი ღვთაებრივი თავგანწირვისა ღმრთივკურთხეული თავისუფლებისთვის. ჩემს სხვა ნაწერებთან ერთად ეს წიგნი აუცილებლად განახმოვანებს თავისუფლების, ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის განუსაზღვრელად დიად სიყვარულს! და ამ წიგნითაც თავისუფლების სიდიადეში გაერთიანებას და თავისუფლების სიყვარულში აღზევებას ვუსურვებ მთელის არსებით, სულით, გულითა და დაუოკებელი და წარუქცეველი შემართებით ჩემს უსაყვარლეს ქართველ ერს! და აქვე სიყვარულით, პატივისცემითა და მოკრძალებით შევახსენებ ყველას, რომ ღვთივკურთხეულ ჭეშმარიტებათათვის ბრძოლა და მოქმედება თუ არ იქნება მუდმივი და განუწყვეტელი და თუ ადამიანები, წარსულში აღსრულებულ სიქველეთა და გნებავთ გმირობათა გამო, შთავარდებიან თვითკმაყოფილების,განცხრომისა და გაქსუების ჩამყაყებულ

მორევში და პირიქით უმაღლეს და საერთოდ ღირსეულ და მართალ საქმეთათვის საბრძოლველად ყოველდღიურად არ იქნებიან მზად და მუდმივად მონდომებულნი და დამაშვრალნი, ასეთ შემთხვევებში აუცილებლად დამარცხება და ბოროტებათა გარდაუვალი გამარჯვება იზეიმებს ქვეყნად! ამიტომ რომ არ იზეიმოს ბოროტებამ და იდღესასწაულოს სიკეთემ კეთილსინდისიერებით, კეთილშობილებით, კეთილგონიერებით, ღმერთის, მოყვასისა და საქართველოს,თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის განუზომლად დიადი და სამარადჟამოდ დაუძლეველი სიყვარულით, ჭეშმარიტებასა და თავისუფლებაში გაერთმთლიანებულებმა განვაგრძელოთ ღირსეული ბროლა და შერკინება ქართველი ერის სახელმწიფოებრივი და ეროვნული ძლევამოსილებისა და სიდიადისთვის და ჟამს ესვითარს ჩვენთან აუცილებლად იქნება ღმერთი!

გამოყენებული ლიტერატურა

1) ელისაბედ(ლიზიკო) ქავთარაძის 3 სტატია--**1924 წლის აჯანყება და საქართველოს დამოუკიდებლობა** --(პოლიტიკური სტატია) 1974 წელი 1 წერილი, 1976 წელი 2 წერილი, 1978 წელი მესამე წერილი, გამოუქვეყნებელი გადაბეჭდილი ნაწერები

2) ელისაბედ ქავთარაძის **მოგონებები**-- გამოუქვეყნებელი გადაბეჭდილი მემუარული ჩანაწერები,(1982/1983 წლები)

3) გიორგი ჭანტურია-**საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი და გასულ საუკუნის ოციანი წლების ეროვნულ განმანთავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში**-1988 წელი(გამოუქვეყნებელი პოლიტიკური სტატია)

4) ვასილ ხომერიკი-- **ამონაწერები იმელში დაცული საქართველოს სსრ საგანგებო კომისიის, შისახკომის, შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივებიდან 1989/1990** (მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის ჟამს, ეს არქივები,სრული შემადგენლობით იმელის შენობიდან გამოიტანეს და ოფიციალურად გადაეცა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს)

5) სოლომონ ზალდაშტანიშვილი **1924 წლის აგვისტოს ამბოხება**

6) ნოე ჟორდანია რა მოხდა--პარიზი 192 5

7) ირაკლი წერეთელი-**ეროვნულ განმანთავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში მეოცე საუკუნის პირველ და ბოლო მეოთხედში**--პოლიტიკური სტატია, ცალკეული თვითგამოცემა 1989

8) ირაკლი **წერეთელი-ოციანი წლების ეროვნულგანმანთავისუფლებელი ბრძოლების მიმოხილვა**--პოლიტიკური სტატია, ცალკეული ლეგალური თვითგამოცემა, 1990 წ

9) ნოე რამიშვილი-**საქართველო და რუსეთი, პარიზი 1925**

10) ნოე ჟორდანია--რჩეული ნაწერები 1990
11) გურამ შარაძე--ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია. ტ. VI. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 2005.
12) ალექსანდრე სულხანიშვილი . რა ხდებოდა მეტეხის ციხეში ქართველებს შორის 1923 და 1924 წლებში და ილიას მკვლელობის სინამდვილე. სან-ფრანცისკო, 1985.
13). ალექსანდრე სულხანიშვილი . „ჩემი პასუხი“ ჟორდანიას მემკვიდრეებს. სანფრანცისკო, 1987.
14) გრიგოლ(გრიშა)ონიანი ---ბოლშევიკურიოკუპაციის წინააღმდეგ სვანეთის განმანთავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან
15) ლევან ჯიქია---1924 წქლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში

დიდი მადლიერებით მინდა გავიხსენო აწგანსვენებული ქართველი ლიტერატორი და მთარგმელი **ედიშერ გიორგაძე,** რომელთანაც ეროვნული მოძრაობის დასაწყისში დამაახლოვა ასევე აწგანსვენებულმა **უჩა ძიძავამ** და ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს ჩემმა სიჭაბუკის ჟამინდელმა მეგობარმა **კონსტანტინე გამსახურდიამ. ედიშერ გიორგაძემ** 1987 წლის დამლევს მათხოვა თავისი არქივიდან 151 გვერდზე გადაბეჭდილი უნიკალური, მაშინ გამოუქვეყნებელი ,ცნობები 1924 წლის აჯანყებაზე,საქართველოს ემიგრანტულ მთავრობასა და გასული საუკუნის ოციანი წლების ანტისაბჭოთა ეროვნულ-განმანთავისუფლებელ ბრძოლებზე.

ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს უფროს მეგობარსა და საპატივცემულო სვანქართველს ბატონ გრიგოლ (გრიშა) ონიანს, რომლის გამოკვლევა გმირ სვან აჯანყებულებზე ძალიან გამომადგა.

თანამედროვე ქართველი ისტორიკოსებიდან და მკვლევარებიდან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩემთვის ჯერჯერობით უცნობ ლევან ჯიქიას, რომლის წიგნი, ინტერნეტში გამოქვეყნებული სადოქტორო ნაშრომის სახით, სახელწოდებით 1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში ძალიან გამომადგა და მისმა საკმაოდ ვრცელმა ისტორიულმა პუბლიკაციამ ამჯერად წინამდებარე ჩემი წიგნის შექმნის პროცესში სამუშაო გამიადვილა! განმეორებით აღარ დამჭირდა არქივებში შესვლა, რაც ძალიან გამიხანგრძლივებდა წიგნის დასრულების პროცესს და ამდენად ლოგიკურად დამაკარგვინებდა დიდ დროს.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო აგრეთვე ქალბატონ ნესტან კირთაძეს, რომელმაც 1924 წლის აგვისტოს ეროვნულ აჯანყებაზე გამოსცა, დღემდე გამოცემულ ყველა წიგნთა შორის, ყველაზე უფრო ვრცელი და მოცულობით დიდი წიგნი და რომლის წაკითხვაც დღემდე ვერ მოვახერხე,წიგნის შეუძენლობისა და ამ გამოქვეყნების შესახებ ინფორმაციის გვიან მიღებისა გამო.

და ბოლოს ვისაც ვიცნობ და ვისაც არ ვიცნობ მადლობა ყველას ,ვინც რაღაც მაინც დაწერა ამ ჰეროიკული ეროვნული აჯანყების შესახებ და აუცილებლად მადლობა და საუკეთესო სურვილები უკლებლივ ყველას ვინც თანაუგრძნობს და მხარს უჭერს საქართველოს თავისუფლებას და დამოუკიდებლობას!



ბიძინა პირველი



ნოე ჟორდანია




ვარლამ ანჩაბაძე



1924 წლის აჯანყებაში მონაწილე ქართველი ოფიცრები




ვალიკო ჯუღელი



კონსტანტინე (კოტე) აფხაზი



ჩოლოყაშვილთა გვარჯალაბი მატანში



1924 წლის აჯანყების მონაწილე ჭიათურელნი




ქაიხოსრო (ქაქუცა)
ჩოლოყაშვილი



კონსტანტინე
ანდრონიკაშვილი



აგვისტოს აჯანყების მონაწილე მეგრელნი



ბენია ჩხიკვიშვილი(მარცხნივ)



სოლომონ ზალდას
ტანიშვილი



ნოე ხომერიკი



ქაქუცა ჩოლოყაშვილი და შეფიცულთა რაზმელნი



მიხეილ ჯავახიშვილი



ეგნატე გაბლიანი მეუღლესთან ერთად



ნოე რამიშვილი



ი. ა. ჯავახიშვილი

